

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ს ა მ ო ქ ა ლ ა ე თ კ ო დ ე ქ ს ი ს
კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

წიგნი პირველი

სამოქალაქო კოდექსის წიგანი

დებულება

გამომცემლობა «სამართალი»

თბილისი 2002

სამართლის სამოქალაქო კოდექსის
კომენტარი სუთი ვიზნად

ვიზნი პირველი

სარედაქციო კოლეგია: ლადო ჭანტურია (მთავარი რედაქტორი)

ზურაბ ახვლედიანი (პასუხისმგებელი მდივანი)
ბესარიონ ზოიძე,

სერგო ჯორბენაძე

სამოქალაქო კოდექსის კომენტარების პირველი ვიზნი მოამზადეს:

ს. ჯორბენაძემ - პირველი გამოცემის წინათქმა,
მუხლები 1-10, 115-120

ზ. ახვლედიანმა - მუხლები 121-146

ბ. ზოიძემ - მუხლები 50-114

თ. ნინიძემ - მუხლები 17-19

ლ. ჭანტურიამ - მუხლები 11-16, 20-49

© გამომცემლობა „სამართალი“, 2002 წელი



ს-285123

289/4176

რედაქტორისაზანი

სამოქალაქო კოდექსის მიღებითა და ამოქმედებით საქართველო თავისი განვითარების სრულიად ახალ ეპოქაში შევიდა. ამ კანონმა სამოქალაქო საზოგადოების რეალური დამკვიდრება უნდა შეძლოს ჩვენს ქვეყანაში. ხალხის კეთილდღეობა ამ ხალხისათვის ნიჭისა და უნარზეა დამოკიდებული. ამ ნიჭისა და უნარის ნაყოფიერად გამოყენებას ხელი სამოქალაქო კოდექსმაც უნდა შეუწყოს.

კანონის წინადადებები – ნორმები ყოველთვის სრულად ვერ გამოხატავენ იმას, რისი თქმაც კანონმდებელს სურდა: კანონის ტექსტის ლაკონურობა ვერ იძლევა ამის ვრცლად გამოხატვის შესაძლებლობას. ამ მიზანს კანონის კომენტარი აღწევს.

ბუნებრივია, რომ კანონის პირველი კომენტარი ვერ უქნება ყოველისმომცველი და სრულქმნილი. იწელია მას ეს ჰოსთაოვო. კომენტატორებს სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაუძლიდროს სააზროვნო და სათქმელი. დარწმუნებული ვარ, ახალი სასამართლო სისტემა, ახალი მართლმსაჯულება ის წყარო იქნება, რომელიც ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ასე რუდუნებათა და სიყვარულით შექმნილ სამოქალაქო კოდექსს.

იურისტებმა შეიყვარეს სამოქალაქო კოდექსი. მიუხედავად სირთულისა, ზოგი ნორმის ბუნდოვნობისა, ქართველ სამართლისმცოდნეთა სამაგიდო წიგნად იქცა იგი. კანონისთვის ეს დიდი ბედნიერებაა. ცხოვრებაში უღავო არაფერია და არც ისაა გასაკვირი, რომ კანონშიც იყო სადავო დებულება. მართალი სამოსამართლო სამართალი ამას თავის ადგილს მიუჩენს.

დასანანი, რომ სამოქალაქო კოდექსის უპირველესი შემოქმედი ბატონი სერგო ჯორბენაძე ვერ მოესწრო ამ კოდექსის კომენტარის

გამოცემას. თუკცა მან შეძლო, მიუხედავად ბიბე ავადმყოფობისა, კომენტარის შექმნაშიც მიეღო აქტიური მონაწილეობა. ამიტომ კომენტარის ის ნაწილი, რომელიც ბატონ სერგოს კალამს ეკუთვნის, არა მხოლოდ კომენტარია, არამედ მისი ძლიერი შემოქმედების უკანასკნელი ქმნილებაც.

კომენტარი ხუთ წიგნადაა განზრახული. ასე, რომ ქართველი მკითხველი ვრცელ კომენტარს უნდა ელოდოს.

დაბოლოს, მაღლიერების სიტყვები მინდა ვუძღვნა ჩვენს უცხოელ მეგობრებს, რომლებმაც უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს კომენტარის ავტორებს ამ კომენტარის მომზადებაში. ხაზგასმით აღვნიშნავ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრის (CILC) ხელშეწყობას.

იმედია ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ გამოცემას.

ლადო ჭანტურია

FROM THE EDITOR

The adoption and implementation of the Civil Code has caused Georgia to enter a new epoch in its development. This law supports the establishment of a civil society in our country. The well-being of the people strongly depends on their talent and capacity. The Civil Code will encourage beneficial realization of such talent and capacity.

The provisions of a law do not completely express will of the drafter. The succinct language of a law does not always reflect legislative intent. Commentaries enlarge one's understanding of the law.

Obviously, the first edition of commentaries will not be absolutely comprehensive and complete. It would be unrealistic to expect that it would be. However, court interpretations will enrich the insights of the commentators. I am sure that the decisions of the new judiciary will infuse life into Civil Code, which was drafted with great care.

Lawyers have already become fond of the Civil Code. Despite some difficulties and ambiguity, it has become a fundamental tool for Georgian lawyers. This is very fortunate. Nothing exists without dispute in this life, so it is not surprising that this law also contained some disputed provisions. Correct court decisions will determine the outcome of the disputed provisions.

It is sad that the initial creator of the Civil Code, Mr. Sergo Jorbenadze is not among us any more and unfortunately, will not be able to see the publication of these commentaries. In spite of illness, he managed to participate actively in the preparation of the commentaries. The part which he authored was the last creation of a life of splendid activity.

The commentaries will be published in five volumes. Each book

of the Code comprises one volume; therefore, the reader should anticipate expanded commentaries.

Lastly, I would like to express my gratitude to our foreign friends who provided the authors with great assistance in the preparation process. I would like to emphasize the support of German Technical Cooperation Society (GTZ), the US Agency for International Development (USAID) and Ministry of Foreign Affairs of the Netherlands - Center for International Legal Cooperation (CILC).

I hope that the reader will find this edition interesting.

LADO CHANTURIA

პირველი გა მოცემის წინათქმა

1997 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სამოქალაქო კოდექსი. მისი მიღება უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია ქვეყნის კანონშემოქმედების განვითარებაში.

ახალი კოდექსით ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის დომინირებული შგლომარეობის ნაცვლად, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიხედვით წესრიგდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი.

ძირეული ეკონომიკური რეფორმა გულისხმობს ჰორიზონტალური კავშირების მოწესრიგებას მხარეთა თანასწორუფლებიანობის, ნების ავტონომიისა და ქონებრივი განკერძოებულობის საფუძველზე, კერძო საქმეებში თვითნებური ჩარევის გარეშე. იგი ითვალისწინებს საკუთრების ხელშეუხებლობას, ხელშეკრულების თავისუფლებას, სამოქალაქო უფლებათა შეუფერხებელ განხორციელებას, დარღვეული უფლების აღდგენას სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო სამართალი ყოველდღიურობის მომწესრიგებელ ურთიერთობებს, ყველასა და თითოეულს ეხება. სამოქალაქო სამართალი აღჭურავს მოქალაქეებს პირადი თავისუფლებითა და ძალდატანების გარეშე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით, განსაზღვრავს მოქალაქეთა საოჯახო ურთიერთობებს, მათ უფლებებს ქონებაზე, მოქალაქეთა შორის მუდმივად მიმდინარე სამსახურისა და ღირებულებათა ურთიერთგაცვლას.

სწორედ სამოქალაქო სამართლის ფარგლებში შემუშავდა საერთო საწყისები თანამედროვე ცივილიზაციის სამართლებრივი ცხოვრებისა, რომელიც ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებისა და დამოუკიდებლობის ყოველმხრივ წახალისებას ითვალისწინებს, რაც მონაწილეთა მხრივ კეთილსინდისიერების, გონიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას გულისხმობს.

ეს სამოქალაქო კოდექსი ეყრდნობა საბაზრო ურთიერთობების ცივილიზებული ფორმების საერთაშორისო გამოცდილებას, ჩვენში მომხდარი ეკონომიკური რეფორმების მონაპოვრებს.

როდესაც მოწინავე ქვეყნების გამოცდილების სარგებლობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულადაც და თანამედროვეობითაც ჩვენ ვეკუთვნით რომანულ-გერმანულ კონტინენტური სამართლის ოჯახს. ეს პროცესი შეუცვლადია, კერძოდ კი ეს კოდექსი პანდექტური სამართლის სისტემითაა აგებული, რაც ამ სისტემის ლოგიკური დასრულებულობით აიხსნება.

კოდექსის ზოგადი ნაწილი აუცილებელია. იგი ხელს უწყობს სამართლებრივ პროგრესს, იძლევა რა საშუალებას ახალ ურთიერთობათა გათვალისწინებისა და ნორმათა ზედმეტი განმეორების თავიდან აცილებისა.

კოდექსი ექვსი წიგნითაა წარმოდგენილი.

პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი ეძღვნება სამოქალაქო სამართლის ზოგად დებულებებს. ეს ის დებულებებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად სამოქალაქო სამართლის ყოველი ნაწილისთვის არის დამახასიათებელი.

შესავალი დებულებანი განსაზღვრავენ, რომ ზოგადი და სპეციალური ნორმების კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. კანონქვემდებარე აქტები გამოიყენებიან სამოქალაქო სამართლის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. დასაშვებია ჩვეულებათა გამოყენება სამოქალაქო ურთიერთობის მოწესრიგებისას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და საჯარო წესრიგს.

კანონები ძალაში შედიან დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

რამდენადაც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს შეუძლია განახორციელოს კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება, გათვალისწინებულია კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენება. სამოქალაქო ურთიერთობა დისპოზიციურ ნორმებთან ერთად შეიძლება მოწესრიგდეს იმპერატიული ნორმებითაც.

პირველი წიგნით გათვალისწინებულია ფიზიკური პირების სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი ნიშნები, ზოგადი ნორმები იურიდიული პირების შესახებ და ნორმები კავშირებსა და ფონდებზე. საგანგებო კარით გათვალისწინებულია გარიგება როგორც იურიდიული ფაქტი, ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნაძვინლობის პირობა, წარმომადგენლობა გარიგებაში, ბათილი გარიგების სახეები და პირობითი გარიგებანი.

ცალკე კარით წესრიგდება უფლების განხორციელება სამოქალაქო სამართალში, მათ შორის ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია აუცილებელ მოგერიებასთან, უკიდურეს აუცილებლობასთან და თვითდახმარებასთან.

ცალკე კარით წესრიგდება ვადების გამოანგარიშებისა და ხანდაზმულობის რეგულირება სამოქალაქო სამართალში.

კოდექსის მეორე წიგნით ეძღვნება სანივთო (ქონებრივ) სამართალს. ქონების განმარტების შემდეგ ცალკეა მიმოხილული მფლობელობა, როგორც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა პირის ნებით მოპოვებული. საკუთრება ცალკე კარში დახასიათებულია, როგორც ყველაზე ფართო ქონებრივი უფლება, რომლის დროსაც მესაკუთრეს

შეუძლია კანონისძიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელმწიფოებრივ შებენიან ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს ან სარგებლობდეს ქონებით. არ დაუშვას სხვა პირის მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი აბით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუკი ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი. ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია. კანონმა შეიძლება დააწესოს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ჩვეთის გამოყენებლობა ანდა მოუვლელიობა ხელს უშლის საზოგადო ინტერესებს. მაგალითად, კულტურული ფასეულობანი, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია და სახელმწიფო დაცვას ექვემდებარება, შეიძლება გამოსყიდულ იქნეს მესაკუთრისაგან.

ცალკე თავი არეგულირებს სამეზობლო სამართალს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც გამომდინარეობს ორმხრივი ზემოქმედება. მეზობელი მიწის ნაკვეთის ანდა სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი თავიანთი უფლებამოსილების გარდა ვალდებული არიან პატივი სცენ ერთმანეთს. ამასთან მიწის ნაკვეთისა და/ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელ ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, მჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს მისი ნაკვეთის სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

მიჯნების აღდგენის ხარჯები მეზობლებს თანაბრად ეკისრებათ. განსაზღვრულია საკუთრების შექმნა და დაკარგვა მოძრავ ნივთი-

ბზე ისევე, როგორც საკუთრების შექმნა უძრავ ნივთებსა და მოთხოვნებზე.

საგანგებო თავში მოწესრიგებულია ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში. სადაც არსებობს საკუთრების უფლება ბინაზე – ბინის საკუთრება და შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ გამოიყენება ბინად – არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება. ინდივიდუალურ მესაკუთრეთა ერთობლიობა წარმოადგენს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მესაკუთრეს არ შეუძლია მოითხოვოს ამხანაგობის დაშლა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შენობა მთლიანად ან ნაწილობრივ ირგრევა.

ბინის მესაკუთრე, შენობაში მისი ბინის მდებარეობის მიუხედავად, ვალდებულია გასწიოს თავისი წილის შესაბამისად სახლის სათანადო მდგომარეობაში შენახვის, მიმდინარე რემონტის და მართვისათვის აუცილებელი ხარჯები.

თუ ბინის მესაკუთრე სხვა მესაკუთრის წინაშე თავის მოვალეობას ისე უხეშად არღვევს, რომ შეუძლებელია მასთან ერთად ამხანაგობის გაგრძელება, მაშინ სხვა მესაკუთრეებს შეუძლიათ მოსთხოვონ მას ბინის გასხვისება.

სხვისი საკუთრების შეზღუდული სარგებლობა არსებობს აღნაგობის, უზუფრუქტისა და სერვიტუტის სახით.

აღნაგობის უფლება გულისხმობს სხვა პირისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემას ვადიანი სარგებლობისათვის ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობების აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისება, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, ვაჭირავების უფლება.

უზუფრუქტის დროს პირი უფლებამოსილია ისარგებლოს ნივთით როგორც მესაკუთრემ, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით

გადაცემის უფლება. ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისას საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.

მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევაში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ან გამორიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი).

სერვიტუტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უფლებამოსილ პირს უქმნის თავისი ნაკვეთით სარგებლობის შელავათს. სერვიტუტის განხორციელებისას უფლებამოსილი პირი უნდა გაუფრთხილდეს გამოყენებული (დატვირთული) მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებს.

ვირავნობა და იპოთეკა განიხილავს საკუთრებას, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას.

მ ე ს ა მ ე წ ი გ ნ ი ეძღვნება ვალდებულებით სამართალს. აქ ცენტრალური ნაწილია სახელშეკრულებო სამართალი, რომელიც თავის მხრივ ორი ნაწილისაგან შედგება — ზოგადი ნაწილი და კერძო ნაწილი.

სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნაწილით კერძო სამართლის სუბიექტებს კანონის ფარგლებში შეუძლიათ დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას ამ დროს არ შეუძლია კონტრაქტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.

იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებით და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება უარი ეთქვას ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. წესები, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ 326-ე მუხლით გამოიყენება ასევე არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ცალკე თავადაა გათვალისწინებული ხელშეკრულების დადება და სტანდარტული პირობები ხელშეკრულების დადებისა, რომლის დროსაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვები წესების დადგენა. გათვალისწინებულია მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები. მოწესრიგებულია ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები.

ცალკე კარითაა მოწესრიგებული ვალდებულების შესრულება, მათ შორის ფულადი ვალდებულებისა. ვალდებულების დარღვევას აგრეთვე ცალკე კარი ეთმობა. ასევე გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. ვალდებულების შეწყვეტა გულისხმობს მის შესრულებით შეწყვეტას, ვალდებულების შეწყვეტას დეკონირებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატივებით და სხვა საფუძვლით.

ცალკე კარის სახითაა მოწესრიგებული კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში.

სახელშეკრულებო სამართლის მეორე – კერძო ნაწილი ეძღვნება ცალკეულ ხელშეკრულებებს. იგი იწყება ყველაზე გავრცელებული ბრუნვითი ხელშეკრულებით, ნასყიდობით. გათვალისწინებულია სხვადასხვა ხელშეკრულებები, როგორცაა გადაზიდვა-გადაყვანის, დაზღვევის, საბანკო მომსახურების ხელშეკრულებების და ა.შ. სახით და მთავრდება ოაშობის და სანაძლეო ხელშეკრულებებით.

საგანგებო კარით მოწესრიგებულია კანონისმიერი ვალდებულებითი

ურთიერთობანი, რომელიც ითვალისწინებს საზიარო უფლებებს, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას და უსაფუძვლო გამდიდრებას.

მესამე კარში ცალკეა მოწესრიგებული დელიქტური ვალდებულებანი, რომელიც თავდება თავით – პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის.

მ ე ო თ ხ ე წ ი ვ ნ ი ეძღვნება ინტელექტუალურ საკუთრებას.

პირველი კარი მიძღვნილია საავტორო სამართლისადმი, რომელიც იცავს ავტორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების შექნისა და გამოყენებისას. გარდა საავტორო უფლებებისა, გათვალისწინებულია მისი მომიჯნავე უფლებების დაცვა, რაც დაკავშირებულია შემსრულებლებთან, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამზადებასა და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან. საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას. მომიჯნავე უფლებები სორციელდება საავტორო უფლებების პატივისცემისა და დაცვის გზით.

საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ასევე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით. საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. სწორედ ამიტომ მატერიალური ობიექტის საკუთრების გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოსატული ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას. საავტორო უფლება მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარ-

¹ საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 24 ივნისს მიიღო კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომლითაც სამოქალაქო კოდექსის 1017-1099-ე მუხლები მიიღიანად გადავიდა ამ კანონში. შესაბამისად აბისა, კოდექსის ეს მუხლები ძალდაკარგულია (ლ.ჭ.)

მოებზე წარმოიშება მათი შექმნის პოპენტიდან. ნაწარმოების შექმნად წაითვლება მისი ობიექტური ფორმით გამოხატვა, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

საავტორო უფლების ნაწარმოების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

ეროვნული შემოქმედებითი შრომით შექმნილ ნაწარმოების ავტორს აქვს თანაავტორობის უფლება ამისაგან დამოუკიდებლად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

მთარგმნელს აქვს საავტორო უფლება საკუთარ თარგმანებზე. მთარგმნელმა უნდა დაიცვას ნათარგმნი ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება. მთარგმნელის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს თარგმნონ იგივე ნაწარმოები.

ნაწარმოების ავტორს აქვს პირადი არაქონებრივი უფლებები, რომელიც ეკუთვნის მას ქონებრივ უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებებით.

გათვალისწინებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე (ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასახელებული წყაროს აუცილებელი მიითითებთ) სხვისი ნაწარმოებიდან ციტირება, მოკლე ნაწყვეტების გამოყენება.

დაშვებულია მიმდინარე ეკონომიკურ, პილიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში, მართლზოპიერად გამოქვეყნებული სტატიის ან ეთერში გადაცემული ანალოგიური სხვა ნაწარმოების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით,

ან საჯაროდ მათი გადაცემა. დაშვებულია საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, ქადაგების და სხვა ანალოგიური ნაწარმოების ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა პერიოდული გამოცემების საშუალებით რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა იმ მოცულობით, რაც განსაზღვრულია საინფორმაციო მიზნით, ამასთანავე ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის უფლება. განსაზღვრულია საავტორო უფლების მოქმედების ვადა. ავტორობის უფლების, სახელის უფლებისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა უვადოა.

ვადაგასული ნაწარმოები ნებისმიერმა პირმა შეიძლება გამოიყენოს თავისუფლად პონორარის გადახდის გარეშე. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სპეციალური ანარიცხები საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის, რომელთა საავტორო უფლება გასულია. ასეთი ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა ავტორთა პროფესიულ ფონდებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებებს კოლექტიურ საფუძველზე.

ნაწარმოებთა, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დამზადება ან გავრცელება იწვევს საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა დარღვევას, ჩაითვლებიან კონტრაფაქტულ ეგზემპლარებად. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის კონტრაფაქტული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და მასალების ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირების მიერ კეთილსინდისიერად შექმნილი ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის კონტრაფაქტული ეგზემპლარები.

სამრეწველო საკუთრების დაცვის თაობაზე სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ მითითებითი ნორმებით კმაყოფილდება. სამრეწველო საკუთრება

გულისხმობს გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე და სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა დაცვას პატენტის გაცემის გზით. პატენტის მოქმედების გასწავლობაში პატენტის მფლობელს ეკუთვნის ინტელექტუალური საკუთრების განსაკუთრებული უფლება ამ ობიექტზე.

მცენარეებისა და ცხოველთა ჯიშებზე (სასელექციო მიღწევათა) განსაკუთრებული უფლებების დაცვა ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

ასევე შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების დაცვა. საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლება დაცულია მეწარმეთა შესახებ კანონით და სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით. შესაბამისი კანონით წესრიგდება საქონელზე (მომსახურებაზე) ადგილწარმოშობის დასახელებისა და წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის უფლება.

მეწარმის უფლება, რომელიც ფლობს საწარმოო კომერციულ საიდუმლოებას – ნოუ-ჰაუს – განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, ხორციელდება სამრეწველო საკუთრების შესახებ შესაბამისი კანონმდებლობით.

მ ე ხ უ თ ე წ ი გ ნ ი საოჯახო სამართალს ეძღვნება.

დაქორწინების წესი და პირობები, ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი განსაზღვრავენ საქორწინო სამართალს. განქორწინება დასაშვებია მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში, როცა მეუღლეებს არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და როცა ორთავენი თანახმანი არიან განქორწინებაზე. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირობით, ვინც კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უზოუკველოდ დაკარგულად, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის.

ბის გამო აღიარებულია ქმედუხაროდ ან სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

არსებობს განქორწინების ზოგადი საფუძვლები. განქორწინება ხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მიუხედავად შესარიკებლად მიღებული ზომებისა. მხარეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება. საოჯახო ურთიერთობაში განმტკიცებულია თანაბარი უფლებები და თანაბარი მოვალეობები მეუღლეებისა.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

გათვალისწინებულია მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას. საქორწინო ხელშეკრულება იღება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

დადგენილია მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა. შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ. მშობლების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ. მშობლის უფლების ჩამორთმევა, როგორც უკიდურესი ღონისძიება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით. მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობელს შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

მშობლების ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა. თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო, გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი მოთხოვნების ფარგლებში.

გათვალისწინებულია შვილების კალდებულება მშობლების მიმართ, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრთა შორის საალიმენტო უფლება-მოვალეობანი.

შვილება, როგორც წესი, დაიშვება არასრულწლოვანისა, მისი კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის. შესაძლებელია სრულწლოვანი პირის შვილება, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და ზნეობრივად გამართლებულია.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება არასრულწლოვან ბავშვებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე მათი აღზრდის, პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის ინტერესების დასაცავად. მეურვეობა და მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს აგრეთვე იმ სრულწლოვან პირებზე, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

ბოლო მ ე ე ქ ვ ს ე წ ი გ ნ ი ეძღვნება მემკვიდრეობით სამართალს.

მემკვიდრეობა ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ან ორივე საფუძველით. უღირს მემკვიდრედ ითვლება ის პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი და მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის

ვაზრდას. ანდა ჩაიდინა განზრახ დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნების საწინააღმდეგოდ, როცა ყველაფერი ეს დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ.

კანონით შემკვიდრებულ ვერ იქნებიან ის პირები, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას ერწინათ მამკვიდრებელი. დადგენილია კანონით შემკვიდრეთა ხუთი რივი. პირველ რიგში გარდაცვლილის შვილები, მეუღლე, მშობლები. ბოლო მეხუთე რიგში კი ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ძაბიდაშვილები, ხოლო იუ ეს უკანასკნელები არ არიან, მათი შვილები.

პიროვნებას შეუძლია თავისი სიკვდილისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც შემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. მოანდერძეს, როგორც სრულწლოვან პირს ანდერძის შედგენას ძომენტში უნდა შეუძლოს გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. მოანდერძეს შეუძლია ანდერძით შემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ ან რამდენიმე ან ყველა კანონით შემკვიდრეს და იგი არ არის კალღებული მაუთიით ან ამის მოტივზე.

გათვალისწინებულია ანდერძი სანოტარო ფორმით ან მის გარეშე, ამასთან კანონი ითვალისწინებს სანოტარო ფორმასთან გათანაბრებულ ანდერძის ფორმებსაც.

მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სავალდებულო წილი, რაც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონის შემკვიდრეობის დროს ერგებოდა. თითოეული შემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით შემკვიდრე, რომელიც მოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

მოანდერძეს შეუძლია დააკისროს შემკვიდრეს ერთი ან რამდენ-

იმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულებას შესრულება სამკვიდროს ხარჯზე — ლეგატი.

საგანგებოდაა მოწესრიგებული ანდერძის შეცვლისა და მოშლის წესები, ასევე ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები. საანდერძო განკარგულების ზუსტად შესრულების მიზნით, მოანდერძეს შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე აღმსრულებელი, როგორც ანდერძის შემკვიდრეთა წრიდან ისე სხვა პირებიც, რომლებიც შემკვიდრეები არ არიან. საჭიროა ანდერძის აღმსრულებლის თანხმობა. ანდერძის აღმსრულებელი ვალდებულია შემკვიდრებს მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

შემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როცა იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგას სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოქმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს სამკვიდროს გაყოფის წესი, კერძოდ მას შეუძლია სამკვიდროს გაყოფა მიანდოს მესამე პირს. თანამემკვიდრეთა შეთანხმებით დასაშვებია ძიელი სამკვიდროს გაყოფა და შემკვიდრეთა შორის ფუძის განაწილება მათი წილის კვალობაზე.

განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყოფის თავისუბურებანი შემკვიდრეთა შორის, თანამემკვიდრეთა შორის ქონების მართვის წესი. შემკვიდრეები ვალდებულნი არიან იწლიანად დააკმაყოფილონ სამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილს პროპორციულად.

სამკვიდროს დაცვა გრძელდება ყველა შემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვა-

დის გასვლამდე დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან ნოტარიუსის ინიციატივით.

მაშასადამე, როგორც დავინახეთ, ყოველი მოქალაქე იმყოფება სამოქალაქო კანონების ზემოქმედების ქვეშ დაბადებიდან გარდაცვალებამდე, მონაწილეობს რა იგი ქონებრივ, საოჯახო და პირად არაქონებრივ ურთიერთობებში.

ეს ურთიერთობანი მრავალსახეობით წარმოგვიდგება და ურთიერთობის მონაწილეს არჩევანის საშუალებას აძლევს.

სამართლის ზემოქმედების ყველაზე ფართო საზღვარს სამოქალაქო კანონი გვაძლევს. სამოქალაქო კოდექსი კანონმდებლობის დარგობრივი სისტემატიზაციის უმაღლესი აქტია.

პროფესორი სერგო ჯორბენაძე

შინაარსი

წინათქმა	7
შესავალი დებულებანი	29
მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო	29
მუხლი 2. სამოქალაქო კანონმდებლობა	29
მუხლი 3. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში	32
მუხლი 4. სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა	33
მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია	34
მუხლი 6. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა	35
მუხლი 7. კერძო სამართლის ობიექტები	36
მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები	36
მუხლი 9. სამოქალაქო კანონთა მიზანი	38
მუხლი 10. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან, სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები	38

პირი პირველი

პირში

თავი პირველი

ფიზიკური პირები	40
მუხლი 11. უფლებასარიანობა	40
მუხლი 12. ქმედსარიანობა	43
მუხლი 13. ქმედსარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარეგნით	46
მუხლი 14. შეზღუდული ქმედსარიანობა	47
მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედსარიანობისაზე	48
მუხლი 16. ქმედსარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო	50
მუხლი 17. სახელის უფლება	51
მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები	57
მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ	78
მუხლი 20. საცხოვრებელი ადგილი	81
მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად	90
მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად	92
მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები	94

თავი მეორე

იურიდიული პირები	97
მუხლი 24. ცნება სახეები	97
მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა	110
მუხლი 26. არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება	116
მუხლი 27. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი	117
მუხლი 28. იურიდიული პირის ფილიალი	118
მუხლი 29. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები	119
მუხლი 30. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	120
მუხლი 31. კავშირისა და ფონდის რეგისტრაცია	126
მუხლი 32. კავშირისა და ფონდის წესდება	129
მუხლი 33. რეგისტრაციის მონაცემები	132
მუხლი 34. ცვლილებების რეგისტრაცია	132
მუხლი 35. სახელმწიფო კონტროლი კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე	133
მუხლი 36. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	134
მუხლი 37. გამგეობის კომპეტენცია მესამე პირებთან ურთიერთობაში	136
მუხლი 38. ზიანის ანაზღაურება	137
მუხლი 39. კავშირისა და ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია	139
მუხლი 40. გამგეობა	142
მუხლი 41. კავშირის წევრთა საერთო კრება	143
მუხლი 42. კომისიები	147
მუხლი 43. საკონსულტაციო ორგანოები	147
მუხლი 44. კავშირის წევრობა	148
მუხლი 45. არარეგისტრირებული კავშირი	153
მუხლი 46. ფონდი დესტინატურებისათვის	156
მუხლი 47. ფონდში შესატანის უზრუნველყოფის ვალდებულება	157
მუხლი 48. სამეთვალყურეო ორგანო	160
მუხლი 49. ფონდის მიზნის შეცვლა	163

პარი მმორე

პარიზმბანი

თავი პირველი

ზოგადი ნორმები	165
მუხლი 50. ცნება	165
მუხლი 51. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა	170
მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება	173
მუხლი 53. გარიგების არარსებობა მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო	175

მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი	176
მუხლი 55. გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო	181
მუხლი 56. ზონების და თვალთმაქცური გარიგებანი	186
მუხლი 57. გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო	188
მუხლი 58. გარიგების ბათილობა ქმედუნარიანობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო	190
მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება	192
მუხლი 60. გარიგების კონვერსია	196
მუხლი 61. დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას	197
მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა	201

თავი მეორე

ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების

ნამდვილობის პირობა	204
მუხლი 63. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება	204
მუხლი 64. უარი არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებაზე	206
მუხლი 65. არასრულწლოვანის ემანსიპაცია	207
მუხლი 66. წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა	210
მუხლი 67. ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე	212

თავი მესამე

გარიგების ფორმა	213
მუხლი 68. ფორმის მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისათვის	213
მუხლი 69. ფორმის სახეები	216
მუხლი 70. ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის	219
მუხლი 71. გარიგების დადება რამდენიმე დოკუმენტის შედგენით	221

თავი მეოთხე

საცილო გარიგებანი	223
მუხლი 72. ცნება	223
მუხლი 73. არსებითი შეცდომის სახეები	224
მუხლი 74. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში	227
მუხლი 75. შეცდომა უფლებაში	231
მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში	232
მუხლი 77. კონტრაქტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში	233

მუხლი 78.	წვრილმანი შეცდომები	235
მუხლი 79.	შეცდომების ნამდვილობა	236
მუხლი 80.	შეცდომა შუამავლის მიზნით	238
მუხლი 81.	ცნება	239
მუხლი 82.	გარიგების მიჩნევა ბათილად მოტყუებას გამო	242
მუხლი 83.	მოტყუება შესამე პირის მხრიდან	243
მუხლი 84.	შეცდომების ვადა	245
მუხლი 85.	ცნება	246
მუხლი 86.	იძულების ხასიათი	247
მუხლი 87.	იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ	249
მუხლი 88.	იძულება მართლზომიერი საშუალებებით	250
მუხლი 89.	შეცდომების ვადა	252

თავი მეხუთე

პირობითი გარიგებანი	253	
მუხლი 90.	ცნება	253
მუხლი 91.	მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური პირობის ბათილობა	255
მუხლი 92.	ნებაზე დამოკიდებული პირობა	256
მუხლი 93.	პოზიტიური პირობა	258
მუხლი 94.	ნეგატიური პირობა	260
მუხლი 95.	პირობის დადგომაზე ზემოქმედების დაუშვებლობა	261
მუხლი 96.	გარიგება გადადების პირობით	263
მუხლი 97.	გარიგება გაუქმების პირობით	264
მუხლი 98.	კეთილსინდისიერების მნიშვნელობა პირობის დადგომისას ..	265

თავი მეექვსე

თანხმობა გარიგებებში	267	
მუხლი 99.	ცნება	267
მუხლი 100.	წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)	271
მუხლი 101.	შემდგომი თანხმობა (მოწონება)	273
მუხლი 102.	საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ	274

თავი მეშვიდე

წარმომადგენლობა გარიგებებში	276	
მუხლი 103.	ცნება	276
მუხლი 104.	გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას	279
მუხლი 105.	წარმომადგენლის შეზღუდული ქმედუნარიანობა	281
მუხლი 106.	ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას	283
მუხლი 107.	წარმომადგენლობითი უფლებამოსილება	285

მუხლი 108. შეტყობინების ვალდებულება უფლებამოსილების შეცვლისას.....	288
მუხლი 109. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები	289
მუხლი 110. წარმომადგენლის ვალდებულება უფლებამოსილების გაქარწყლებისას	291
მუხლი 111. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე	292
მუხლი 112. ხელშეკრულებაზე უარის უფლება	294
მუხლი 113. წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას	295
მუხლი 114. საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა.....	298

პარი მესამე

უფლების განხორციელება	301
მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა	301
მუხლი 116. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი ...	301
მუხლი 117. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი	302
მუხლი 118. თვითდახმარება	303
მუხლი 119. თვითდახმარების ფარგლები	304
მუხლი 120. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	305

პარი მეთოხე

ვადები

თავი პირველი

ვადების გამოთვლა	306
მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო.....	306
მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო	310
მუხლი 123. ვადის დამთავრება	311
მუხლი 124. ცნებები	312
მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას	313
მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით	314
მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები	314

თავი მეორე

ხანდაზმულობა	316
მუხლი 128. ცნება. სახეები	316
მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა	318
მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება	319

მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა	322
მუხლი 132. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება	323
მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ქორწინების განმავლობაში	325
მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქმედუენარო პირის მონაწილეობისას	326
მუხლი 135. დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია	327
მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი	328
მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა	330
მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით	331
მუხლი 139. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა	332
მუხლი 140. უარი სარჩელზე	333
მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან	335
მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	335
მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ	336
მუხლი 144. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას	337
მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	338
მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუმუშებლობა მხარეთა შეთანხმებით	339

მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო

ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

კერძო სამართლებრივი ხასიათის ქონებრივი ურთიერთობა მხარეთა უფლებრივი თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული, რაც პორიზონტალურ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობას გულისხმობს და ითვალისწინებს იურიდიულ თანასწორობას სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს შორის, მათ ქონებრივ დამოუკიდებლობას, მათ მხრივ ინიციატივის გამოჩენას, გარეშე პირთა ჩაურევლობას მათ საქმიანობაში. ამით სამოქალაქო ქონებრივი ურთიერთობა ემიჯნება საგადასახადო, საფინანსო და ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაზე დამყარებულ ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებზედაც ეს კოდექსი არ ვრცელდება.

ასევე მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზეა აგებული საოჯახო-პირადი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობანი, რომელთაც ხშირად არა აქვთ მატერიალური შინაარსი და გულისხმობს პიროვნების პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხლებლობის ან საქმიანი რეპუტაციის დაცვას.

მუხლი 2. სამოქალაქო კანონმდებლობა

1. სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

2. ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები.

3. სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი.

4. ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. ეს ეხება სამოქალაქო კოდექსსაც, კერძო სამართლის სხვა კანონებს და მათ განმარტებებს. ისინი, ისევე როგორც მათი განმარტებანი სავალდებულო ძალას იძენენ მხოლოდ მაშინ, როცა შეესაბამებიან კონსტიტუციას, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის აქტს.

საერთო სასამართლოების შესახებ 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლით თუ „საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“.

2. პანდექტური სისტემა ითვალისწინებს ზოგადი ნორმებისა და სპეციალური ნორმების გამოყენებას კოდექსის მიერ ურთიერთობის მოწესრიგებისას, ამასთან უპირატესობა ეძლევა სპეციალურ კანონს. ერთი და იგივე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. არ შეიძლება, ნაკლები იურიდიული ძალის მქონე აქტის მიერ უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტების მოქმედების ძალადაკარგულად გამოცხადება.

3. სამოქალაქო ურთიერთობის მოწესრიგება კანონქვემდებარე აქტებით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. სხვააირად ამგვარი ნორმები არ უნდა იქნან მიღებული. თუ კანონქვემდებარე აქტები ეწინააღმდეგებიან კანონს, მაშინ რასაკვირველია მოქმედებს კანონი. საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა მიუხედავად იმისა, გამოცემულია თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი. დაუშვებელია საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის განხორციელებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად გამოცემული არ არის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, თუ იმავე საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი.

4. კანონის არარსებობის დროს, მისი გამოყენების საფუძველად შეიძლება გახდეს ჩვეულებანი, მაგრამ ჩვეულების გამოყენება იზღუდება იმით, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს. საჯარო წესრიგია ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური პრინციპები, რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ქვეყანაში. ამ პირობების არსებობის დროს შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვეულებაზე, როგორც სამოქალაქო სამართლის წყაროზე.

მუხლი 3. სამოქალაქო კანონის შემხლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

1. კანონის ამოქმედებისათვის ეს პუნქტი აუცილებელი პირობაა. კანონის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ, შესაძლებელია მისი შემდგომი გამოქვეყნება თუნდაც კერძო გამომცემლის მიერ. არ შეიძლება კანონის გამოქვეყნება მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

2. საჯაროდ გამოქვეყნებული კანონი ყველასათვის მისაწვდომია. იგულისხმება, რომ იგი ყველა ადრესატმა იცის. ამიტომაც არ შეიძლება პირი უთითებდეს კანონის არცოდნაზე ან მის არასათანადოდ გაგებაზე კანონის უცოდინარობის გამო.

კანონის ცოდნის პრეზუმპცია ყველასა და თითოეულზე ვრცელდება.

3. კანონი კარგაუბს ძალას, თუ ამის შესახებ უთითებს ახალი კანონი. ეს ყველაზე გავრცელებული ვაა კანონის გაუქმებისა, მაგრამ ის ერთადერთი არაა იგი შეიძლება დუმილითაც გაუქმდეს, როცა ძველი ეწინააღმდეგება ახალს ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონით არ უქმდება სპეციალური კანონი, თუკი ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მაზანს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი შეიძლება გაუქმდეს ზოგადი კანონის საფუძველზე.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს თავისთავად ძველი კანონის ამოქმედებას, თუკი ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ახალ კანონში.

მუხლი 4. სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა

1. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.

2. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.

1. სამოქალაქო საქმეების განხილვაზე უარის უფლება არა აქვს სასამართლოს იმ შემთხვევაშიც, როცა კანონს ხარვეზი აქვს, როცა სამართლის ნორმა არ არსებობს ანდა იგი ბუნდოვანია. ხარვეზის არსებობა შევსებას ითხოვს და არა ურთიერთობების მოწესრიგება-

ზე უარის თქმას, რამდენადაც სამოქალაქო სამართალი უპირატესად ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მართლმსაჯულების აუცილებელ ჩარევას ითვალისწინებს.

2. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე, როცა კანონი მას უსამართლოდ და არაზნეობრივად მიანია. ნორმა საუაღდებულოა შესასრულებლად, ვიდრე იგი მოქმედი ნორმის სახით წარმოგვიდგება.

მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია

1. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

2. თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).

3. სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საკამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

1. ნორმის არარსებობა არ ნიშნავს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის უფლებას. კანონმდებლობის ხარვეზების შევსების გზაა ახალი საკანონმდებლო შემოქმედება, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი გზა ხარვეზების შევსებისა. ხარვეზების შევსება შეიძლება სასამართლოებმაც განახორციელონ. ეს ხდება კანონისა და სამართლის ანალოგიის დროს. კანონის ანალოგიას მაშინ აქვს ადგილი, როცა სასამართლო კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოიყენებს ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს. ეს შეიძლება პირდა-

პირ იყოს მითითებული კანონში, როგორც ეს გაკეთებულია ძაგ. 523-ე მუხლში, რომ „გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების წესები“. ამ დროს სასამართლოს იავისი გადაწყვეტილების დასაბუთებაც არ სჭირდება. სხვა შემთხვევაში კი საჭიროა ანალოგიის გამოყენების დასაბუთება.

2. სამართლის ანალოგია არ გულისხმობს სპეციალური ნორმის არსებობას. ავი გულისხმობს საქმას გადაწყვეტას სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, მაგრამ ხარვეზი საერთო სამართლებრივ სივრცეში უნდა მდებარეობდეს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს.

3. სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი საგამონაკლისო ნორმების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ანალოგია, ვინაიდან მისი მოქმედების ფარგლები წინასწარვე ამომწურავად და ზუსტადაა განსაზღვრული.

მუხლი ნ. სამოქალაქო კანონთა შესახებ იმითი ძალა

კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

სამოქალაქო კანონები და კანონქვემდებარე აქტები იმ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლებიც მისი მიღების, გამოცემისა და ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ წარმოიშვა. მას შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ ეს პირდაპირ გათვალისწინებულია კანონმდებლობაში. კანონმდებელს ეს უფლება ყოველთვის არა აქვს. მას

არ შეუძლია კანონს მისცეს უკუქცევითი ძალა, თუ ის ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. კანონმდებელმა ეს მოსალოდნელი შედეგი უნდა გაითვალისწინოს იმ დროს, თუკი გადაწყვეტს კანონისთვის უკუქცევითი ძალის მიცემას.

მუხლი 7. კერძო სამართლის ობიექტები

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური აიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებია მატერიალური და არამატერიალური სიკეთე. მატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება ნივთები (მათ შორის ფული და ფასიანი ქაღალდი), სხვა ქონება და ქონებრივი უფლებანი.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, როგორც არამატერიალურ სიკეთეზე არსებობს განსაკუთრებული უფლება მისი სუბიექტისა.

არამატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. ეს უფლებანი ყველასათვის აღიარებულ უფლებებად წარმოგვიდგება.

მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები

1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენე როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართ-

ველოსა, თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

1. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე, იმის მიუხედავად სამეწარმეოა თუ არასამეწარმეო, საქართველოს თუ უცხო ქვეყნის პირია იგი. აქ იგულისხმება, რომ ყველა ისინი სამოქალაქო ბრუნვის თანასწორუფლებიანი მონაწილენი არიან.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, ე.ი. თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამ წესისაგან გადახვევა შეიძლება, თუ ეს ურთიერთობები სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. ამგვარი გადახვევა სიკანაღლო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მართლზომიერად, კანონისა და ზნეობის ნორმების დაცვით განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 9. სამოქალაქო კანონთა მიზანი

სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს.

სამოქალაქო კანონები მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება. ეს თავისუფლება გულისხმობს მომსახურებისა და ქონების შეუზღუდავ გადაადგილებას, თავისუფალ საქონელბრუნვას, მიმოსვლის თავისუფლებას, მესამე პირთა ინტერესების დაცვას.

მუხლი 10. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა კოლექტიურ უფლებებისაგან. სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები

1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით.

2. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.

3. უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული.

1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე. პოლიტიკური უფლებების შეზღუდვამ ან წართმევამ არ შეიძლება ხელყოს პირის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, რომელსაც სრულიად სხვა შინაარსი და სხვა სოციალური დატვირთვა აქვს.

2. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ქმედება. ამრიგად, სამოქალაქო კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება დაშვებულია.

3. ამ პუნქტში გათვალისწინებულია ბრუნვის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლების დაცვა სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმებით. ისინი სავალდებულონი არიან მხარეთა მიერ შესასრულებლად. ეს იძულებითი ხასიათის ნორმებია, რომელთა შეცვლა, შეკვეცა ან გაფართოება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ. ისინი სხვადასხვა ხარისხით გვხვდება სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა ნაწილში. ვალდებულებით სამართალში სჭარბობს დისპოზიციური ნორმები, თუმცა იქაც გვხვდება იმპერატიული ნორმებიც. იმპერატიულ ნორმებს უფრო ხშირად სანივთო, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალში აქვს ადგილი. ბათილობა არის იმპერატიული ნორმების შეუსრულებლობის შედეგი. იმპერატიული ნორმების მოქმედება არ უკარგავს თვით ურთიერთობას კერძო სამართლებრივ ხასიათს.

ბირი პირველი

პირები

თავი პირველი

ფიზიკური პირები

მუხლი II. უფლებასწარმიანობა

1. ფიზიკური პირის უფლებასწარმიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.

2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

3. ფიზიკური პირის უფლებასწარმიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებასწარმიანობა.

უფლებასწარმიანობა კონტინენტური ევროპის სამართლის კლასიკური ინსტიტუტია. იგი უცხოა ინგლისურ-ამერიკული სამართლისათვის. უფლებასწარმიანობის ინსტიტუტის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ აღიაროს ყველა ადამიანის უნარი, იყოს სამოქალაქო ურთიერთობათა მონაწილე, ე.ი. ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი არის უფლებასწარმიანი. მიუხედავად მოქალაქეობისა, ასაკისა, სქესისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა.

უფლებასწარმიანობის წარმოშობა არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს რაიმე აქტზე. მის ნებართვაზე, ადამიანის ასაკზე ან

ჯანმრთელობაზე და ა.შ. ერთადერთი იურიდიული ფაქტი, რომელიც უფლებაუნარიანობის წარმოშობას იწვევს, არის დაბადება (მე-11 მუხლის პირველი ნაწილი). თუ რა ჩაითვლება დაბადებად, ამას სამოქალაქო კოდექსი არ აზუსტებს. თანამედროვე მედიცინის მიხედვით, დაბადებად მიიჩნევა ნაყოფის გამოყოფა დედის საშვილოსნოდან. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენ ხანს იცოცხლებს ახალშობილი. დედის საშვილოსნოდან გამოყოფის მომენტიდან დაბადება დამთავრებულად ჩაითვლება, უფლებაუნარიანობა კი – წარმოშობილად. ე.ი. დაბადების მომენტიდან ახალშობილი იძენს უნარს ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ცხოვრებაში ხშირად წამოიჭრება კითხვა: თუ უფლებაუნარიანობა აქვს ყველას, მაშინ რატომ აქვთ განსხვავებული მოქალაქეობის, ასაკისა და სქესის ადამიანებს განსხვავებული უფლებები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია უფლებასა და უფლებაუნარიანობას შორის მიჯნის გავლება. უფლებაუნარიანობა ზოგადი ინსტიტუტია და იგი კონკრეტული უფლების შინაარსზე გავლენას ვერ ახდენს. უფლება ყოველთვის კონკრეტულია იმ გაგებით, რომ იგი ყოველთვის ან კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება ან კონკრეტულ ურთიერთობას. იმ შემთხვევებშიც, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანად მიიჩნევს ყველას, მიუხედავად მოქალაქეობისა, არ არის გამორიცხული, რომ უცხოელებს განსაზღვრული უფლებები შეეზღუდოთ. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონით უცხოელებს არა აქვთ უფლება საკუთრებაში ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამით ირღვევა ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპი. რა თქმა უნდა, არა. უცხოელს საზოგადოდ კი არ ერთმევა უფლება იყოს სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ჰქონდეს სამოქალაქო უფლება-მოვალეობები. მას მხოლოდ კონკრეტული უფლება აქვს შეზღუდული.

უფლებათარიალობასთან არის დაკავშირებული ყოველი კონკრეტული უფლებისა და მოვალეობის არსებობა. უფლებათარიალობა კი მხოლოდ ცოცხალ ადამიანს აქვს. მაშასადამე, სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოცხალი ადამიანი. უფლება კი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სუბიექტს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა კანონმდებელს ანგარიშის გაწევა უხდება რეალობისათვის. ესაა ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი კანონით შემკვიდრებად მიიჩნევს მამკვიდრებლის იმ შვილებს, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან, სოლო ანდერძით შემკვიდრებისას – იმ პირებს, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან თუ არა ისინი როგორც ჩანს, კანონმდებელი იგნორირებას არ უკეთებს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებს. ამიტომ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი შემკვიდრედ ყოფნის უფლებას უკავშირებს არა დაბადებას, არამედ ჩასახვას. "შემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე" – იმის გამო, რომ სამართლის სუბიექტი დაბადებამდე არ არსებობს, აქ დგება ერთი ასეთი საკითხი: თუ სუბიექტი არ არსებობს, როგორ შეიძლება არსებობდეს უფლება? ასეთ უფლებათარიალობას შეზღუდული უფლებათარიალობა ეწოდება. შეზღუდული – იმიტომ, რომ სვი მხოლოდ შემკვიდრედ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს. იმავედროულად, ეს უფლებათარიალობა პირობითია. პირობითია იმიტომ, რომ მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე (მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

უფლებათარიალობა ადამიანის თანდაყოლილ, ბუნებით, სამართლით აღიარებულ უნარს წარმოადგენს. ამიტომ ქართული სამოქალაქო სამართალი არც კანონით, არც ვარიეტებით არ უშვებს მისი ჩამორთმევის შესაძლებლობას. უფლებათარიალობა შეიძლება შეწ-

ყდეს მხოლოდ ადამიანის გარდაცვალებით. თუ რა ჩაითვლება გარდაცვალების მომენტად, ამას სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს: ადამიანის თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება). გარდაცვალების მომენტის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში ეს ეხება შემკვიდრეობის გახსნის საკითხს. გარდაცვალების მომენტის განსაზღვრისას სამოქალაქო კოდექსი თანამედროვე მედიცინის მიღწევებს ემყარება. მას შემდეგ, რაც გახშირდა გულის ოპერაციები და სისხლის მიმოქცევის დროებითი შეჩერება, მედიცინამ გარდაცვალების მომენტად აღიარა არა ადამიანის სისხლის მიმოქცევის შეჩერება, არამედ ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ადამიანის გარდაცვალებად თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას აღიარებს.

მუხლი 12. ქმედუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

4. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუნარო.

5. ქმედუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს

მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

6. ქმედუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.

1. უფლებაუნარიანობის ვარდა, სამოქალაქო კოდექსი პირის მეორე უნარსაც იცნობს, რომელიც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ეს არის ქმედუნარიანობა.

ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (მე-12 მუხლის პირველი ნაწილი). უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე არ იძენს. იგი ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ქმედუნარიანობა, წარმოადგენს ასაკი და ჯანმრთელობა.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს (იმავე მუხლის მე-2 ნაწილი).

შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუნაროა (მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი).

შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა (მე-14 მუხლის პირველი ნაწილი).

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ემანსიპაციის ინსტიტუტი. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს, მართალია, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას

უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს. პირველი, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქორწინებს (მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი). სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში დაქორწინება დაიშვება თექვსმეტი წლის ასაკიდან. მაშასადამე, პირი, თუკი იგი იქორწინებს, შეიძლება ქმედუნარიანი გახდეს თექვსმეტი წლის ასაკიდან; ემანსიპაციის მეორე შემთხვევა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მის მიხედვით, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუზღუდავად ქმედუნარიანად, თუკი კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს ხაწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.

3. კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე დოკუმენტის შედგენა ამისთვის აუცილებელი არ არის. ამიტომ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია.

პირის უნარს, საკუთარი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო სამართალი უკავშირებს არა მხოლოდ ასაკს, არამედ ჯანმრთელობას. ადამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდეს მას ნორმალური განსჯის უნარს. ამასთან, სამოქალაქო სამართალი „ჯანმრთელობის“ ცნებაში არ გულისხმობს ფიზიკურ ნაკლს. პირიქით, ფიზიკური ნაკლი არ წარმოადგენს ქმედუნარიოდ პირის ცნობის საფუძველს. ასეთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევს ჭკუასუსტობას ან სულით ავადმყოფობას (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილი).

იმ შემთხვევებში, როცა სულით ავადმყოფობის გამო ხდება

პირის მიჩნევა ქმედუნაროდ, მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი სრულწლოვანია თუ არასრულწლოვანი, ე.ი. ქმედუნაროდ პირის აღიარებას ამ დროს საფუძვლად უდევს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუნაროდ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. სხვა არც ერთი სახელმწიფო ორგანო არაა უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუნაროდ. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის მიჩნევისათვის ქმედუნაროდ.

ავადმყოფობის გამო ქმედუნაროდ აღიარებული პირის განკურნების შემთხვევაშიც, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი აღიაროს პირი კვლავ ქმედუნარიანად.

მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარემოებებში

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.

იმის გამო, რომ სამოქალაქო კოდექსი ქმედუნარიანობას მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს, მისი მომწესრიგებელი ნორმებიც იმპერატიულია. მათი შეცვლა ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ. ამიტომაც მიუთითებს კანონი პირდაპირ, რომ „ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. გარიგებით ქმედუნარიანობის შეზღუდვას კანონი კრძალავს. (დაწვრილებით მე-14-16 მუხლების კომენტარი).

1. არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს.

3. ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს: ა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე; ბ. შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს და სასამართლო მას შეუზღუდავს ქმედუნარიანობას.

სხვა საფუძველი ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლინება კერძო სამართლის საფუძველთა საფუძველია, არც გარიგებით არ დაიშვება ქმედუნარიანობის შეზღუდვა. ისეთი გარიგება, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იზღუდება ქმედუნარიანობა, ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი 14-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანებს ნაწილობრივ ქმედუნარიანებად მიიჩნევდა. ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტს ახალი სამოქალაქო კო-

დექსი არ იცნობს. ამ ინსტიტუტის შინაარსი განსხვავდება შეზღუდული ქმედუნარიანობისაგან და გულისხმობს ქმედუნარობას საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში. მართალია, ნ5-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არასრულწლოვანის ემანსიპაცია საწარმოს საქმიანობის სფეროში ითვალისწინებს სრულ ქმედუნარიანად მიჩნევას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სფეროებში პირი ქმედუნაროა.

მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგებების დადებისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (მე-15 მუხლი). ძიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლად დადოს გარიგებები. ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს მას ქმედუნარო პირისაგან. აქედან გამომდინარე, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მონაწილეობისას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში განსაზღვრულ დიფერენციაციას უნდა მივმართოთ. ერთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს გარიგებები, რომლებიც ნამდვილია, ხოლო მეორე შემთხვევაში გვაქვს გარიგებები, რომლებიც ბათილ გარიგებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ზოგ სახეს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ განსაზ-

ღვრავს. ზოგადი წესის თანახმად, რომელიც განმტკიცებულია მე-15 მუხლში, ამ პირთა მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლის (მზრუნველის) თანხმობა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ასეთი თანხმობის გარეშეც გარიგება ჩაითვლება ნამდვილად, კერძოდ, მე-15 მუხლისა და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მოითხოვს წარმომადგენლის თანხმობას. გარიგებით მიღებული სარგებლის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარიგების შეფასების დროს უნდა გადაწყდეს. როცა გარიგებას დებს არასრულწლოვანი, საკითხი იმის შესახებ ამ გარიგებამ სარგებელი მოუტანა თუ არა მას, უნდა გადაწყვიტოს არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა (მზრუნველმა). შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ ეკონომიკური მხარე, არამედ პედაგოგიური ასპექტიც. ის, რაც ეკონომიური თვალსაზრისით მომგებიანი და, მაშასადამე, სარგებლიანი შეიძლება იყოს, სრულიადაც არ ნიშნავს, აღმზრდელობითი თვალსაზრისით სარგებლიანს. სარგებლის მომტანად არ უნდა მივიჩნიოთ ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები, ვინაიდან ასეთ ხელშეკრულებებში უფლებებს (უფლებრივ სარგებელს) ყოველთვის უპირისპირდება მოვალეობები. ამიტომ გარიგებებს, რომლებითაც არასრულწლოვანი სარგებელს იღებს და მზრუნველის თანხმობა არ სჭირდება, უნდა მივაკუთვნოთ ჩუქება, უპატრონო ნივთის მითვისება.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული გარიგებების მეორე ჯგუფის ნამდვილობისათვის აუცილებელია მათი წარმომადგენლების წინასწარი თანხმობა. მაგალითად, თუ სკოლის მოსწავლე ყიდულობს კომპიუტერს, ამ გარიგების დადებისათვის მას სჭირდება მშობლების წინასწარი თანხმობა.

არასრულწლოვანის მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ჯგუფს განეკუთვნება გარიგებები, რომელთა დასადებად არასრულ-

წლოვანმა განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცემს კანონიერმა წარმომადგენლებმა. ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა (65-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზემოთ ჩამოთვლილი გარიგებების გარდა, ყველა სხვა გარიგება, რომელიც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე, ჩაითვლება ბათილად, თუცა, ეს ბათილობა სწორდება კანონიერი წარმომადგენლის მოწონებით. ე.ი. თუ კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დათქმულ გარიგებას, ეს გარიგება გახდება ნაბეზღი. ამიტომ ასეთი გარიგებები განეკუთვნება ან საცილო გარიგებებს ან მურყევად ლათილ გარიგებებს.

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

ქმედუნარიან პირთათვის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-16 მუხლი. ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, რის გამოც პირი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. თავისთავად ალკო-

ჰოლას ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება არ არის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი. აუცილებელია, რომ ამით პირი ოჯახს აყენებდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. თუ რა ჩაითვლება ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების „ბოროტად გამოყენებად“ ან „მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ოჯახის ჩაყენებად“, კანონში არ არის განსაზღვრული და ამის გარკვევა კონკრეტული ფაქტის სასამართლოსეული შეფასების საკითხია.

ქმედუნარიანობის შეზღუდვით ასეთ პირს ეზღუდება ქონების განკარგვის გარიგებების დადება მზრუნველის თანხმობის გარეშე. მზრუნველის თანხმობაა ასევე საჭირო ხელუფასის, პენსიის ან სხვა სახის შემოსავლის განკარგვისათვის.

გადაწყვეტილება ქმედუნარიანობის შეზღუდვისა და მზრუნველის დანიშვნის შესახებ უნდა მიიღოს სასამართლომ.

მუხლი 17. სახელის უზღუბა

1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.

2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.

3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შექმნილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.

1. ფიზიკური პირის სახელის ქვეშ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და

მედების აღკვეთა ან სახელის ხელყოფით მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურება.

სახელის უფლების შინაარსი მოიცავს აგრეთვე ინდივიდის უფლებას განსაზღვრულ ურთიერთობებში ისარგებლოს გამოგონილი სახელით ანუ ფსევდონიმით. ხაზგასასმელია შემდეგი გარემოებანი: ფსევდონიმი განეკუთვნება ინდივიდის, როგორც შეპოქმედებითი ნაწარმოების ავტორის არაქონებრივ უფლებათა რიცხვს. ფსევდონიმით შეიძლება სარგებლობდნენ მწერლები, მსახიობები თავიანთ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. ამასთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობებში, რაიმე ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერისას, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ „სამოქალაქო სახელი“. ისე როგორც მხოლოდ სამოქალაქო სახელით შეიძლება მოსარჩელედ ან მოპასუხედ გამოსვლა, დაქორწინება, სხვა სამართლებრივ ურთიერთობათა განხორციელება. ფსევდონიმით სარგებლობა გულისხმობს გამოგონილი და არა სხვისი სახელით სარგებლობას.

სახელის უფლების შინაარსი მოიცავს ასევე ადამიანის უფლებას იქონიოს სამოქალაქო სახელისა და ფსევდონიმისაგან განსხვავებული არაოფიციალური საკუთარი სახელი, რაც განსაკუთრებითაა გავრცელებული ჩვენს სინამდვილეში და სამართლებრივ დაცვას იმსახურებს.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება სამეწარმეო სახელი ანუ ფირმა. ფირმის ქვეშ იგულისხმება სახელი, რომლითაც პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ფირმა შესაძლოა ემთხვეოდეს ინდივიდუალური მეწარმის სამოქალაქო სახელს, ან კიდევ ემთხვეოდეს სხვა პირის სამოქალაქო სახელს, რომლის შექვეობითაც ადრე საქმიანობდა სხვა მეწარმე. მეწარმის მიერ სახელის შეცვლის შემთხვევაში დასაშვებია საწარმომ საქმიანობა ძველი სახელით გააგრძელოს. მეწარმეს უფლება აქვს ფირმა გამოიყენოს მოსარჩელედ

ან მოპასუხედ სასამართლოში გამოსვლას, თუ დავა საწარმოს საქმიანობას ეხება.

2. საკუთარ სახელს ბავშვს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით (1194-ე მუხლი). გვარი, როგორც წესი, ეფუძნება წარმოშობას ან ქორწინებას (იხ. მე-5 წიგნის კომენტარი). საკუთარი სახელი და დაბადებით მინიჭებული გვარი შეიტანება მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებში, კერძოდ, დაბადების სააქტო ჩანაწერში. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საკუთარ სახელთან და გვართან ერთად მამის სახელის შესახებ მონაცემის აღნიშვნასაც, რომელიც არ წარმოადგენს სახელის აუცილებელ კომპონენტს და სააქტო ჩანაწერში მისი აღნიშვნა ემსახურება სახელის რეგისტრაციისაგან განსხვავებულ მიზნებს.

დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის გვარი აღინიშნება მშობლის გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, ბავშვის გვარი ჩაიწერება მამის ან დედის გვარის მიხედვით ან ბავშვს შეიძლება მიეკუთვნოს მშობლების შეერთებული გვარი, თუ მშობლები თანახმანი არიან. თუ მშობლები ბავშვის გვარის თაობაზე ვერ თანხმდებიან და მათ საერთო გვარი არა აქვთ, გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი მმართველობის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

სახელის შეცვლა ხდება „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სახელის შეცვლა, ისე როგორც თავდაპირველი რეგისტრაცია, განეკუთვნება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სპეციალური განყოფილების კომპეტენციას, რომელსაც სახელმწიფოს მიერ კანონით დაკისრებული აქვს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის უფლებ მოსილება.

სახელის შეცვლის უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ როგორც სრულწლოვანმა, ისე არასრულწლოვანმა მოქალაქეებმა. სრულ-

წლოვანები აღნიშნულ უფლებას ახორციელებენ დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, ხოლო არასრულწლოვანები – მშობლების ან იმ მშობლის იანხმობით, რომელთანაც ცხოვრობენ ან მშობლების შექცვლელ პირთა თახხმობით ამასთან, არასრულწლოვანებს სახელის შეცვლის უფლება წარმოეშობათ 16 წლის ასაკიდან, როცა ისინი მოვალენი არიან მიიღონ პირადობის დამადასტურებელი საბუთები – პირადობის მოწმობა და პასპორტი.

სახელის შეცვლის უფლება შეზღუდულია საჯარო-სამართლებრივი ინტერესებით. კანონი განსაზღვრავს იმ მიზეზებს, რომლებიც შესაძლოა საფუძველად დაედოს სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლას და გარემოებებს, რომელთა გამოც დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის მოთხოვნაზე.

საკუთარი სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა საფუძველიანია, როცა ისინი წარმოსათქმელად რთულია, არაკეთილხმოვანია ან აკნინებენ ადამიანის პიროვნებას; თუ ისინი შეუსაბამოა ადამიანის ეროვნულობასთან; პირს სურვილი აქვს მიაღოს ან თავის გვარს შეუერთოს ძეუღლის გვარი; მიიღოს ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი; დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი; მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი. სახელის შეცვლა დასაშვებია შეიძლება იყოს აგრეთვე, თუ არსებობს სხვა, კანონით გაუთვალისწინებელი მიზეზი, მაგრამ მისი საფუძველიანობა დადასტურებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს მიერ.

კანონის მიხედვით, მამის სახელის ან გვარის შეცვლის დამოუკიდებელ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მშობლების მიერ საკუთარი სახელის ან გვარის შეცვლა, თუმცა ეს უკანასკნელი უშუალოდ არ განაპირობებს ცვლილებების შეტანას შვილების სააქტო ჩანაწერებსა თუ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში. მშობლების სახე-

ლის, მამის სახელის ან გვარის შეცვლის გამო არასრულწლოვანი შვილების სააქტო ჩანაწერებსა, თუ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში ცვლილებები შეიტანება მშობლების ნებით, ხოლო სრულწლოვანი შვილების სააქტო ჩანაწერებსა თუ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში – შვილების სურვილის საფუძველზე.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოები ვალდებული არიან არ დააკმაყოფილონ პირის მოთხოვნა სახელის შეცვლის თაობაზე, თუ: სახელის, გვარის, მამის სახელის შეცვლით რეალური საფრთხე ექმნება შესაძენ პირთა ინტერესებს; შერჩეული ახალი სახელი ძნელად წარმოსათქმელი ან არაკეთილხმოვანია; პირი, რომელიც სახელს იცვლის, ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში ან ნასამართლევა და ნასამართლობა მოხსნილი არა აქვს. ეს უკანასკნელი ვარაუდები უნდა დაადასტუროს პოლიციის ორგანომ, რომლის დასკვნა წარედგინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის განყოფილებას კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

სახელის შეცვლის თაობაზე მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის განყოფილებები აწარმოებენ სპეციალურ სააქტო ჩანაწერს და გასცემენ სათანადო მოწმობას.

3. საკუთარი სახელის ან გვარის შეცვლა არ წარმოადგენს იმ ქონებრივი ურთიერთობების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს, რომლებიც მოცემული ფიზიკური პირის მონაწილეობით სახელის შეცვლამდე წარმოიშობა. პირი, რომელმაც სახელი შეიცვალა, ვალდებულია ამ უკანასკნელის თაობაზე სათანადო ცნობები მიაწოდოს თავის მოვალეებსა და კრედიტორებს. იგი ვალდებულია აგრეთვე სათანადო ცვლილებები შეიტანოს დოკუმენტებში, რომლებიც მის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ადასტურებენ. მხედველობაშია, უპირველეს ყოვლისა, საფინანსო და სადამფუძნებლო დოკუმენტები. ცვლილებები შეიტანება იმ პირის ხარჯზე, ვინც სახელი

შეიცვალა. იმ ქონებრივი შედეგების რისკი, რაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს მოვალეებსა და კრედიტორების არაინფორმირებულობას, ეკისრება პირს, ვინც სახელი შეიცვალა და არ მიიღო სათანადო ზომები კონტრაქტების გასაფრთხილებლად.

მუხლი 18. პირადი არაკონსერვივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული

მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმოწერის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმოწერის ბრალეული ხელმოწერის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

1. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ერთმანეთისაგან ვანახვავებს ორ შემთხვევას, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სასარჩელო მოთხოვნებს სახელის უფლების დაცვის შესახებ. პირველი, როცა ფიზიკურ პირს სახელს ეცილებიან და მეორე, როცა ფიზიკური პირის სახელით სხვა უნებართვოდ სარგებლობს და ამით ფიზიკური პირის ინტერესები ილახება.

პირველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას აქვს ორი ფაქტობრივი წინამძღვარი: 1) სადავო სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს; 2) მოპასუხე უარყოფს მოსარჩელესათვის სადავო სახელის ეკუთვნილებას. დავა შეიძლება შეეხებოდეს როგორც სამოქალაქო სახელს, ისე ფსევდონიმს ან არაოფიციალურ სახელს. სასარჩელო

მოთხოვნას მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სახელის აღიარება, კერძოდ, მოთხოვნა შესაფერის შემთხვევებში მოსარჩელე იხსენიებოდეს კუთვნილი სახელით. თუ დავის საგანი სამოქალაქო სახელია, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით უნდა წარმოადგინოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერი ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც სახელის შექმნის კანონიერ ტიტულს ადასტურებენ. თუ დავა ეხება ფსევდონიმს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ შესაბამის სფეროში მან ინდივიდუალობა შეიქმნა. თუ სადავოა არაოფიციალური სახელი, მტკიცებულებად შეიძლება მოგვევლინოს მისი ტარება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

მეორე შემთხვევაში სარჩელს სამი ფაქტობრივი წანამძღვარი აქვს: 1) სახელი ეკუთვნის მოსარჩელეს; 2) მოპასუხე უნებართვოდ სარგებლობს მოსარჩელის სახელით; 3) მოსარჩელის ინტერესები ილახება.

პირველი ფაქტობრივი წანამძღვარი ჩვენს მიერ უკვე განხილული პირველი შემთხვევის წანამძღვარიცაა და მტკიცებულებანი იგივეა. მეორე წანამძღვარი ანუ სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობა, შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით: სახელის მითვისებით, ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟისათვის მოსარჩელის სახელის შერჩევით ან საგნის თუ საქონლისათვის მოსარჩელის სახელის მიკუთვნებით. ამასთან, საკმარისია, მოპასუხე სადავო სახელით სარგებლობდეს ისე, რომ შესაძვე პირებმა სახელით მიღებული წარმოდგენა მოსარჩელის პიროვნებას დაუკავშირონ.

პირველი შემთხვევისაგან მეორე არსებითად ვანსხვავდება იმით, რომ მეორე შემთხვევაში ილახება მოსარჩელის ქონებრივი ან არაქონებრივი ინტერესები.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობისათვის მნიშვნელობა არ აქვს მოპასუხის ბრალეულობას.

თუ სახელის უფლება დაირღვა მოპასუხის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მოსარჩელეს დელიქტური სარჩელით უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.

2. ძველ კანონმდებლობასთან შედარებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ვააფართოვა როგორც პირად არაქონებრივ უფლებათა კატალოგი, ისე იმ უფლებათა სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ფორმები, რომლებსაც ძველი კანონმდებლობაც აღიარებდა. თუ ძველი კანონმდებლობა იმ პირად არაქონებრივ უფლებებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არ არის ქონებრივ უფლებებთან, ცალკე გამოჰყოფდა და უზრუნველყოფდა პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, ერთი მხრივ, გააფართოვა პატივისა და ღირსების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები და, მეორე მხრივ, განსაზღვრული ადგილი დაუთმო ისეთი არაქონებრივი სიკეთეების დაცვას, როგორიცაა პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია.

ეთიკის მექანიზებაში დამკვიდრებული განმარტების მიხედვით, პიროვნების პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება. პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. ღირსების ქვეშ იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ. ამასთან, ეს თვითშეფასება ემყარება მორალური თუ სხვა თვისებების შეფასების საზოგადოების მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს. როგორც პატივი, ისე ღირსება უნდა ემყარებოდეს ფაქტებს. რომლებიც სინამდვილეს შეესაბამება.

საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც ემყარება საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული ფიზიკური, თუ იურიდიული პირის მიმართ. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის ნორმები პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ თანაბრად შეიძლება განხორცილდეს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.

მე-18 მუხლი ითვალისწინებს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვას სასამართლოს მეშვეობით, სასამართლოში სათანადო სარჩელის შეტანის საფუძველზე. ამასთან, დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან უშუალოდ მიმართონ სასამართლოს, მოპასუხისადმი წინასწარ პრეტენზიის წარდგენის გარეშე.

მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით პირის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია სასამართლოს მეშვეობით შესაბამის დაცვას ექვემდებარება, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებანი: შელახულია ფიზიკური ან იურიდიული პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია; პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია; გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება.

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დაღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ქვეშ იგულისხმება ასეთი ცნობების გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ცნობების გადმოცემა საჯარო განცხადებებში, გამოსვლებში; სიტყვიერად თუ ზეპირად მათი მიწოდება დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის, ერთი ან რამდენიმე პირისათვის. მე-18 მუხლით

გათვალისწინებული წესით დაცვას არ ექვემდებარება ცნობები, რომლებსაც ფიზიკური თუ იურიდიული პირის შესახებ შეიცავენ სასამართლო გადაწყვეტილებები, საგამოძიებო ორგანოთა დადგენილებები). რადგან ამ დოკუმენტების განხილვა ექვემდებარება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესს. ამასთან, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესი შესაძლოა გავრცელდეს ფიზიკური თუ ოფიციალური პირების იმ დახასიათებებსა თუ განცხადებებზე, რომლებიც მათ მიაწოდეს აღნიშნულ ორგანოებს კონკრეტული პირების შესახებ.

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვის დროს მოსარჩელე მოვალეა დაამტკიცოს, რომ ასეთი ცნობები გავრცელებულია. მას არ ეკისრება იმის მტკიცება, შეესაბამება თუ არა გავრცელებული ცნობები სინამდვილეს. გავრცელებული ცნობების სინამდვილისადმი შესაბამისობის მტკიცება ეკისრება მოპასუხეს.

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების თაობაზე სამოქალაქო დავათა განხილვის დროს მოპასუხეებს წარმოადგენენ პირები, რომლებმაც აღნიშნული ცნობები გაავრცელეს. თუ ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მოპასუხეებს უნდა წარმოადგენდნენ პუბლიკაციის ავტორი და რედაქცია ერთად. თუ ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ავტორის მითითების გარეშე, მოპასუხეს უნდა წარმოადგენდეს რედაქცია; თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია იურიდიული პირი არ არის, მოპასუხეს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი.

3. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევებში მოსარჩელის უფლებათა დაცვის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ა) გავრცელებ-

ბული ცნობების უარყოფა; ბ) გავრცელებული არასრული ცნობების შევსება ისეთი ცნობებით, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამებოდნ და ამასთან ერთად აქარწყლებენ გავრცელებულ არასრულ, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებს; გ) გავრცელებული ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებით, რომლითაც ისინი გავრცელდა; დ) იმ საბუთის შეცვლა, რომელიც სინამდვილის შეუსაბამო ცნობებს შეიცავდა და გავრცელდა არა ფიზიკური პირის, არამედ ორგანიზაციის მიერ;

როცა პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გამოქვეყნებულია პრესაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ ცნობების უარყოფა უნდა მოხდეს პუბლიკით სიტყვის იმავე საშუალებით, რომელმაც გამაწილებელი ცნობები გაავრცელა. ამასთან, უთუოდ ანგარიშგასაწევია მოსარჩელის მოთხოვნა, თუ იგი უარყოფის გამოქვეყნებას გაზეთის იმავე გვერდზე და ისეთივე შრიფტით ითხოვს, როგორც გამაწილებელი ცნობების პუბლიკაცია მოხდა.

სასამართლო უფლებამოსილია თავისუფალი გადაწყვეტილებით განსაზღვროს უარყოფის გამოქვეყნების ადეკვატური შესაძლებლობანი. თუ პიროვნების გამაწილებელ ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი და ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებოდნ, სასამართლო უფლებამოსილია ორგანიზაციას დააკისოს დოკუმენტის შეცვლა, რომელიც უნდა დაეგზავნოს ყველა იმ დაინტერესებულ პირს, ვისაც თავდაპირველი დოკუმენტი მიეწოდა.

4. პირი, რომლის შესახებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მისი პიროვნების პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა, უფლებამოსილია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებით გამოაქვეყნოს თავისი პასუხი. თუ რედაქციამ გამაწილებელი პუბლიკაციის პასუხი არ გამოაქვეყნა, პირი უფლებამოსილია გამოქ-

ვეფნების იტულებების მოთხოვნით, მიმართოს სასამართლოს.

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან ერთად მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულია აგრეთვე ისეთი არამატერიალური სიკეთეების დაცვაზე, როგორცაა პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა.

სოციოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განმარტების თანახმად „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ინფორმაცია, რომელიც არ შეეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ან მისი ვინმესთვის განდობა საერთოდ არ შეადგენს პირის ინტერესს. თუ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს, კანონი იცავს პიროვნების ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეებს, სინამდვილის შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვისას, საქმე ეხება სრულიად საპირისპირო მოვლენას. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შესაძლოა სინამდვილეს შეესაბამებოდნენ, მაგრამ პიროვნება დაინტერესებულია მათი გახმაურებისაგან დაცვით. გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პიროვნულობის ამ სფეროს დაცვა საჯაროობისაგან. ამიტომაც, სამოქალაქო კოდექსმა, სრულიად სამართლიანად პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა აღიარა როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, მაგრამ ჩვენი აზრით, განსაზღვრა მისი უზრუნველყოფის არაადექვატური საშუალება – სასამართლოს მეშვეობით პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი ცნობების უარყოფა. ვიდრე სამოქალაქო კოდექსის ამ ნაწილში შესაბამისი ცვლილებები შევიდოდეს, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ დაცვის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელების განხილვა და ამ უფლების დაცვა ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებით, როგორცაა უფლების აღიარება, უფლების შექლახავი მოქმედების აღკვეთა,

უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურება.

დაცვის იმავე პრინციპებს ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ისეთი არამატერიალური სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა. აღნიშნული კონსტიტუციური თავისუფლება მოიცავს ისეთ პიროვნულ ღირებულებებს, როგორცაა მიწერ-მოწერის, პირადი წერილების, დღიურების, კერძო დოკუმენტაციის დაცვა, რომელთა უზრუნველყოფა ეფექტურია „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ განხილვისას მითითებული სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებებით.

5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ფიზიკური პირის დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა.

კანონის ტექსტის მიხედვით ნათელია პრინციპი: ინდივიდის გამოსახულების გამოქვეყნება, როგორც წესი, მისი თანხმობით შეიძლება. ზოგადი წესიდან კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როცა გამოსახულების უფლება შეზღუდულია და გამოქვეყნებისათვის ინდივიდის თანხმობა საჭირო არ არის.

გამოსახულების ქვეშ იგულისხმება მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, ინდივიდის გამოსახულება კინოფილმში, ტელეგადაცემაში თუ ვიდეოფილმში, სადაც მისი გარეგნული იერის შეცნობა შეიძლება. საგულისხმოა, რომ ძველი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული პირის ინტერესს, რაც საკუთარი გამოსახულების უფლებას საავტორო უფლების რეფლექსიის შინაარსს აძლევდა.

საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა მხატვრული ტილო ან ფოტოსურათი თუ კინოლენტი, როგორც ფიზიკური საგანი. ინდივიდის თავისუფლება — მისი გამოსახულება გამოტანილი იქნეს საჯაროდ ან ეჩვენოს სა-

ზოგადობას მისთვის სასურველი ფორმით, პიროვნულობის გაჩუ-
ყოფელი ნაწილია.

გამოქვეყნება გულისხმობს ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანას. საკმარისია, გამოქვეყნება მოხდეს მარტოოდენ პუბლიკაციის ავტორის ნებით, საქმე გვაქვს გამოსახულებაზე აღბეჭდილი ინდივიდის პიროვნულობის ექსპლუატაციასთან. პიროვნულობის ამგვარი ექსპლუატაცია შესაძლოა მიზნად ისახავდეს როგორც გამოსახულებაზე აღბეჭდილი პირის დისკრედიტაციას, ისე მისი გამოსახულების გამოყენებას რეკლამის მიზნით, ამა თუ იმ პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა იდეების სასარგებლოდ. გამოქვეყნება არ ნიშნავს გამოსახულების გაცნობას ადამიანთა უსათუოდ ფართო წრისათვის. სამართლებრივ რეაქციას იმსახურებს თავისთავად საჯაროობის ფაქტი.

თანხმობა პუბლიკაციაზე შეიძლება იყოს, როგორც ცალმხრივი ნებართვის, ისე ხელშეკრულების ელემენტის სახით. როცა პირი, ვინმეს შემხვედრი მოვალეობის გარეშე, თანახმაა გამოსახულება გამოქვეყნდეს, საქმე გვაქვს თანხმობის ცალმხრივ განცხადებასთან ანუ ნებართვასთან. როცა პირი თანახმაა გამოსახულება გამოქვეყნდეს ვინმეს შემხვედრი მოვალეობის შესრულების პირობით, თანხმობას ეძლევა ხელშეკრულების სახე. ასეთი ხელშეკრულებები გავრცელებულია პროფესიული ფოტომოდელების პრაქტიკაში.

როცა საქმე გვაქვს თანხმობის ცალმხრივ განცხადებასთან, იმის გარკვევისას, იყო თუ არა თანხმობა, უნდა გამოვიდეთ პრაქტიკაში დამკვიდრებული თანხმობის ფორმებიდან. თუ თანხმობის ამგვარი დამკვიდრებული ფორმები არ არსებობს, საჭიროა გაირკვეს, შეეძლო თუ არა თანხმობის მიძღვება პირის მოქმედება ან საქციელი თანხმობად ჩაითვალოს. მაგალითად, თუ პირი ითვალისწინებს, რომ ფილმის გადაღებისას იგი კადრში შეიძლება მოხვდეს, ეს ჯერ კიდევ არ გულისხმობს მის კონკლუდენტურ მოქმედებას. თანხმო-

ბის ფარგლები შეიძლება დადგინდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით. ჩვეულებრივ, გამოიყენება პრინციპი – თანხმობა იმ მოცულობისაა, რა ფარგლებისათვისაც არის გამაზნული. თუ პირი თანახმაა გამოქვეყნდეს მისი ფოტოსურათი, რადგან იგი იმ საქმის შესვეურია, რომლის შესახებაც მოთხრობილია პუბლიკაციაში, ინდივიდის თანხმობის მიზანს სწორედ ეს პუბლიკაცია წარმოადგენს. თანხობა ძალადაკარგული იქნება მას შემდეგ, რაც პირი კარვა ხანია აღნიშნულ საქმეს ჩამოშორდა და მის შესახებ ქვეყნდება მასალა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ძველ გარემოებებთან.

თანხმობა, როგორც ნების გამოვლინება, შეიძლება გაპროტესტებული იქნას. ეს იმ შემთხვევებს ეხება, როცა პიროვნება მოტყუების გზით შეცდომაში შეიყვანეს. ამგვარ მოქმედებასთან გვაქვს საქმე, როცა კორესპონდენტი ინდივიდს, რომლისგანაც ინტერვიუს იღებს, ყალბ ცნობებს აძლევს ამ ინტერვიუს გამოყენების მიზნის ან დაგეგმილი კორესპონდენციის შინაარსის შესახებ.

ერთხელ მიცემული თანხმობა ბოჭავს მის განმცხადებელს. ეს პრინციპი ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა თანხმობა ცალმხრივადაა განცხადებული. საინფორმაციო საშუალებებში კორესპონდენციის გამოქვეყნებაზე თანხმობა ინდივიდმა შეიძლება „უკან წაიღოს“, თუ გარემოებები ისე რადიკალურად შეიცვალა, რომ აღნიშნულმა კორესპონდენციამ შესაძლოა დაარღვიოს მისი პიროვნული უფლებები. თანხმობის გაუქმება დასაშვებია, როდესაც განსაზღვრულ მომენტში პირი თანახმაა გამოქვეყნდეს მისი პოლიტიკური ან მსოფლმხედველობრივი მოსაზრებები, მაგრამ მოგვიანებით მისი პოზიციები პრინციპულად იცვლება.

რაც შეეხება თანხმობას, როგორც ხელშეკრულების ელემენტს, ფოტომოდელი უფლებამოსილია გააპროტესტოს თანხმობა, თუ გამოსახულებაში მისმა ავტორმა დაამახანჯა ფოტომოდელის პიროვნ-

ნულობა ან განოსახულება გამოიყენა ხელშეკრულების პირობებისაგან განსხვავებული მიზნით.

ინდივიდის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, კანონის ტექსტის მიხედვით, არ წარმოადგენს უსაძანო თავისუფლებას. თუ გამოსახულება „დაკავშირებულია ინდივიდის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის საზღაური მიიღო, ინდივიდის თანხმობა გამოსახულების პუბლიკაციისათვის საჭირო არ არის.

გამოსახულების გამოქვეყნების მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტისას საქმე გვაქვს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების კოლიზიასთან. ერთი მხრივ სახეზეა ინდივიდის ინტერესი – დაუპირისპირდეს თავისი გამოსახულების საჯაროდ გამოტანას, მეორე მხრივ – საზოგადოების ინტერესი, მიიღოს ინფორმაცია საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. თუ გამოსახულებაში აღბეჭდილი მოვლენა თავისი მნიშვნელობით სცილდება კერძო ცხოვრების ფარგლებს და შეადგენს საზოგადოებრივ ცხოვრების ნაწილს, „ეწერება აქტუალობისა და თანამედროვეობის“ შინაარსში. საზოგადოების ინფორმირების საყოველთაო ინტერესი სჭარბობს ინდივიდის ინტერესს – დაუპირისპირდეს საკუთარი გამოსახულების პუბლიკაციას.

საზოგადოებრივად აღიარებული პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე ან თანამდებობის პირი ინტეგრირებულია თანამედროვეობის ამსახველ მოვლენებში და მათი გამოსახულება საზოგადოებრივი ინფორმაციის შეზღვევად ნაწილია.

ამასთან, პიროვნების სპეციფიური ინტერესების დაცვა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს თანამედროვეობის პროცესებში ინტეგრირებული პირის გამოსახულების პუბლიკაციის აკრძალ-

ვის საფუძველი. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა გამოსახულებაზე აღბეჭდილი მოვლენა არ აღდგენს „თანამედროვეობის ისტორიას“, განეკუთვნება პირადი ცხოვრების სფეროს. „თანამედროვე ისტორიას“, ზემოაღნიშნული გაგებით, არ შეიძლება განეკუთვნებოდეს ეპიზოდი, როცა „თანამედროვე ისტორიული პიროვნება“ განმარტოვებულია და აშკარაა, რომ მარტო ყოფნა სურს და როდესაც იგი კონკრეტულ სიტუაციაში, თავის მარტობაში დარჩმუნებული, ისე იქცევა, როგორც არ მოიქცეოდა ფართო საზოგადოებაში ყოფნისას. ამ კატეგორიის ეპიზოდების გამომხატველ გამოსახულებათა გამოქვეყნება ექვემდებარება ზოგადი წესით განსაზღვრულ დაცულობას. თანამედროვეობის ისტორიის ამსახველი მოვლენები ინფორმირების სფეროში შემოდინან მხოლოდ იმ პირობით, თუ მათი საჯაროდ გამოტანა არ აღვიძებს საზოგადოების არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას, არ შეურაცხყოფს ადამიანურ გრძნობებს.

„საზოგადო ვითარებას“ განეკუთვნება მოვლენები, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს იწვევს. ამგვარ ვითარებაში წარმოდგენილი პიროვნება უნდა იყოს ასახული მოკლენის მიზეზი, მონაწილე ან მსხვერპლი. სხვა შემთხვევაში გამოსახულების გამოქვეყნებას არავითარი კავშირი არ აქვს მომხდარი მოვლენის შეცნობასთან. ასეთ შემთხვევაში პუბლიკაცია არ თავსდება „თანამედროვეობის ისტორიის“ ჩარჩოებში.

დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებულ პირთა გამოსახულებების პუბლიკაცია დაკავშირებულია საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესებთან. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ძებნილა და დამნაშავე პირთა გამოსახულებების პუბლიკაციას. როცა დამნაშავეს პოლიცია ეძებს, მისი გამოსახულების პუბლიკაციას კანონიერ საფუძველს აძლევს საზოგადოებრივი ინტერესი. ეს აადვილებს დამნაშავის ძებნას.

სიტუაცია იცვლება იმ პირთა მიმართ, რომლებიც გვევლინებიან ეჭვმიტანილებად.

ბ. პირადი არაქონებრივი უფლებების იურიდიული შინაარსი მოიცავს ფიზიკური პირის შესაძლებლობას, სამართლის ყველა სხვა სუბიექტისაგან მოითხოვოს მისი აღნიშნული უფლებების პატივისცემა. ვიდრე პიროვნული უფლება არ დარღვეულა ან არ შექმნილა მისი ხელყოფის საფრთხე, ეს მოთხოვნა პრეზიუმირებულია საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ხელყოფის ან მისი საფრთხის არსებობისას აღნიშნული მოთხოვნა აქტიურად ვლინდება და კონკრეტულ ფორმას იღებს. მე-18 მუხლის მიხედვით არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებად მიჩნეულია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (გავრცელებული ცნობების უარყოფა). დაცვის ეს ფორმები უმთავრეს მიზნად ისახავს დაზარალებულის უფლებების აღდგენას და მათი განხორციელების მოთხოვნა ფიზიკურ პირს შეუძლია ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად.

თუ პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა ხორციელდება ვინმეს ბრალეული მოქმედებით, ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ქონებრივი ზარალის ან მორალური ზიანის ანაზღაურება ან ზარალის და მორალური ზიანის ანაზღაურება ერთად.

პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ საფუძვლებად ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძვლები. ამასთან, კანონი ითვალისწინებს გარემოებებს, რომლებიც სპეციფიურია არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისათვის.

პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პირველ, უმთავრეს საფუძველს თავად ქონებრივი ზიანის არსებობა წარმოადგენს. ზიანის ქვეშ, მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება ქონებრივი დანაკლისი, რაც ფიზიკურმა პირმა მისი პიროვნული უფლებების ხელყოფით განიცადა.

აღნიშნული დანაკლისი შესაძლოა დადგეს ანაცდენი სარგებლობის სახით. ქონებრივი ზიანის გამოთვლის ერთერთ კრიტერიუმად კანონი მიიჩნევს მოგებას, რომელიც სამართალდამრღვევმა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად მიიღო. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული ქონებრივი ზიანის შედარებით გავრცელებული შემთხვევებია: პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, კლიენტურის, პაციენტების დაკარგვა და სხვა. ხელყოფით გამოწვეული მოგება შესაძლოა გამოვლინდეს პუბლიკაციის ტირაჟის ზრდის ან სხვა ქონებრივი სარგებლის სახით.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მეორე აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომლითაც ხდება პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა. საგულისხმოა, რომ მე-18 მუხლი იძლევა პირადი არაქონებრივი უფლებებით დაცული ზოგადი პიროვნული ღირებულებების ამომწურავ ჩამონათვალს. სხვა პიროვნული სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული ქონებრივი ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

მე-18 და 993-ე მუხლების შინაარსის მიხედვით პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა შეიძლება განხორციელდეს სამი სხვადასხვა შინაარსის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით: ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებით, ამგვარი ზიანის მომტანი ფაქტების გახმაურებით, ფიზიკური პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნებით. რადგან 993-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელების ან გახმაურებისათვის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირადი გამოსახულების უნებართვო გამოქვეყნებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის გამოიყენება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ზოგადი, 992-ე მუხლით, გათვალისწინებული წესები. „გახმაურების“ ქვეშ, ამ სიტყვის ლექსიკოლოგიური მნიშვნელობის შესაბამისად, ძირითადად ისეთი ცნობების გავრცელე-

ბა იგულისხმება, რომლებიც პირადი ცხოვრების საიდუმლოებას ასახავს და უმეტესწილად სინამდვილეს შეესაბამება. „გავრცელება“ უნდა გულისხმობდეს პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას.

სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლი ითვალისწინებს ორ მნიშვნელოვან ფაქტორივ გარემოებას, რომლებიც არაქონებრივ უფლებათა ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობებს განეკუთვნება: პირველი; ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვება თუ გავრცელებული ან გახმაურებული ცნობები აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ გავრცელებული ან გახმაურებული ცნობები ნაწილობრივ სწორია, პირს, ვისაც ამ ცნობების გავრცელებით ან გახმაურებით ქონებრივი ზიანი მიადგა, არ გააჩნია მისი ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი საფუძველი. მეორე; ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქონებრივი ზიანი, რომელიც ფიზიკურ პირს მიადგა იმ ცნობების გავრცელებით ან გახმაურებით, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. სხვაგვარად რომ ითქვას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად არ ჩაითვლება სინამდვილის შესაბამისი ისეთი ცნობების გავრცელება ან გახმაურება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან კანონით დაცული სხვა საზოგადოებრივი ინტერესისათვის.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესამე აუცილებელი საფუძველია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ქონებრივ ზიანს შორის. ქონებრივი ზიანი უნდა იყოს უშუალო შედეგი პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისა.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მეოთხე აუცილებელ საფუძველს შეადგენს ხელმყოფი პირის ბრალი. ეს უკანასკნელი თავის მოქმედებით მიზნად უნდა ისახავდეს უფლების მატარებელი სუბიექტის პიროვნების კომპრომეტაციას ან ითვალისწინებს მისი მოქმედებით დაზარებულის კომპრომეტაციის შესაძლებლობას. ზიანის

მიბყენებლის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის თანაბარი მნიშვნელობისაა. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.

მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობის უმნიშვნელოვანეს სიახლეებს განეკუთვნება. საგულისხმოა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსი ძირითადად სწორედ პირად არაქონებრივ უფლებათა დარღვევებს უკავშირებს.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ფაქტობრივი საფუძვლების იგივე ჩამონათვალს ემყარება, რასაც პასუხისმგებლობა არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული ქონებრივი ზიანისათვის. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არსებითად განსხვავებული შინაარსისაა მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების პირველი ფაქტობრივი საფუძველი – ზიანი.

მორალური ზიანის ქვეშ, მოცემულ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანი შესაძლოა სხვადასხვა სიმძიმის იყოს – დაწყებული მორალური დარღვევებით, რომლებიც თავს ატყდება ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არ ბღალავს მისი სირცხვილის გრძობას, დამთავრებული სულიერი ტკივილებით, რომლებიც შესაძლოა მისი ფიზიკური დაუძლეურების ან ფსიქიკური აშლილობის საფუძველი შეიქმნას. პიროვნული ღირებულებების ხელყოფის დროს ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მორალური და არა მატერიალური ზიანის დადასტურებას ცდილობს.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი

თანხა, რომელსაც იგი ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ხორცი-
ელი ტკივილის კომპენსაციისათვის. მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩე-
ლის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზ-
ღვრა სასამართლოს შეხედულებით გადასაწყვეტია. სამოქალაქო
კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ფულადი
კომპენსაცია უნდა განხორციელდეს „გონივრული და სამართლიანი
ანაზღაურების სახით“.

მორალური ზიანის ანაზღაურების „გონივრულობა და სამარ-
თლიანობა“ უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორ-
ციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური ვალდებულე-
ბის ეს სახე. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნ-
ქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – შე-
მოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან
ააცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.
აღნიშნული სამი – სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციუ-
ლი ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზ-
ღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის
ფულად ანაზღაურებაში.

მორალური ზიანის ანაზღაურების პირველ უმთავრეს მიზანს
არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია შეადგენს, რომელიც შე-
უძლებელია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ
გააჩნია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფი-
ლი პიროვნული სიკეთის დაღებითი ემოციებით შეცვლა. ფულადმა
კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს ახალი დაღებითი ემოციების
მეშვეობით დაზარალებულის სულიერი გაწონასწორება და სრულ-
ფასოვანი ჩართვა სოციალურ ურთიერთობაში. აღნიშნული შეად-
გენს მორალური ზიანის სატისფაქციის შინაარსს.

თუ პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა არავითარ სუბ-
სტანციურ ზიანს არ აყენებს პიროვნებას, მორალური ზიანის ანაზ-

დაურებას სიმბოლური ხასიათი აქვს. მაგრამ ფულადი სიმბოლური საზღაურით ხორციელდება, ერთი მხრივ, დარღვეული პიროვნული უფლების აღიარება, მეორე მხრივ, ქონებრივი ზემოქმედება პიროვნული უფლების ხელმყოფზე მის მიერ ჩადენილი ხელყოფის სიმძიმის მიხედვით, რასაც თავისთავად ახლავს პრევენციული ფუნქცია უცხო პირებთან მიმართებაში.

ისტორიულად, მორალური დაკმაყოფილების პრინციპი სისხლის სამართლიდან მომდინარეობს. თანამედროვე პრაქტიკა და სამართალწარმოება აღიარებს, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთობა სასჯელსა და მორალურ დაკმაყოფილებას შორის. მორალური დაკმაყოფილების „სასასჯელო ხასიათიდან“ გამომდინარეობს ის, რომ ფულადი კომპენსაციის მოცულობაზე ზეგავლენას ახდენს სამართალდამრღვევის პიროვნება. თვით კომპენსაცია საკმაო მოცულობის უნდა იყოს, რათა იგი გამოყენებულ იქნას, როგორც სანქცია სამართალდარღვევისათვის.

თუ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია დაეკისრება, გაპორიცხული არ არის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება სამართალდარღვევისათვის წინასწარ კალკულირებადი და მომგებიანი საქმე გახდეს, რაც პიროვნების უფლებათა პრაქტიკულად უსანქციო დარღვევის შესაძლებლობას ნიშნავს. ამასთან, პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის ოდენობის უზომოდ გაზრდა და პრესას თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის დროს საჭიროა კონკრეტულად გამოიკვიოს ის კრიტერიუმები, რომლებიც არსებით ზეგავლენას მოახდენენ ზემოთხსენებული ფუნქციების რეალიზაციაზე.

კომპენსაციური ფუნქციას განსაზღორციელებლად უპირველეს ფაქტორს წარმოადგენს ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შელახვის შედეგად დადგა. თუ

ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაშიც ჰპოვა, საქმე გვექნება ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვან მასშტაბებთან. კომპენსაციის მოცულობას განსაკუთრებით ზრდის ზიანის მიყენება დაზარალებულის ცხოვრების ინტიმური სფეროებისათვის. თუ პიროვნული უფლებების შელახვა პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მოხდა, მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგრეთვე გამოქვეყნებული მასალის მოცულობას, ფორმას, გამოქვეყნების ადგილს. გასათვალისწინებელია ტერიტორია, რომელზედაც პუბლიკაცია გავრცელდა, აგრეთვე პუბლიკაციის ტირაჟი. ნათელია, რომ რაც უფრო მეტი საშუალება აქვს მკითხველთა ან მაყურებელთა წრეს გაეცნოს გავრცელებულ მცდარ ინფორმაციას, მით უფრო ინტენსიურ ზიანთან გვაქვს საქმე. ფულადი კომპენსაციის მოცულობაზე ზეგავლენის ფაქტორებია აგრეთვე კორესპონდენციის დამამცირებელი ტონი, პოპულისტური ხასიათი. ამასთან, ზიანის მიმყენებლის მოქმედება, რომელიც მიმართულია საქმის გამოსწორებისაკენ (მაგ. გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა) ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას.

მორალური ზიანის ანაზღაურების რეპრესიული ფუნქციის განსახორციელებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა სამართალდამრღვევის ბრალეულობა. ვანზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა არსებითად ზრდის უფლებას კომპენსაციაზე. მცდარი ინფორმაციის შემცველი კორესპონდენციის მიწოდება და, აგრეთვე, წინასწარი ვანზრახვის გარეშე, მაგრამ ფაქტობრივ გარემოებათა ზედაპირული შესწავლით გამოწვეული უფლებების დარღვევა არის დაზარალებულის პიროვნების განსაკუთრებული უპატივცემულობის გამოხატულება. საბოლოოდ, რაც უფრო დიდია ზიანის ხარისხი, მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული დაზარალებული პიროვნების უპატივცემულობა, ხოლო რაც უფრო დიდია პიროვნების უპატივცემულობა, მით უფრო მაღალია კომპენსაციის მოცულობა.

ასევე, მნიშვნელობა ენიჭება ზიანის მიმყენებლის გადახდის უნარიანობას. პირი, რომლის უფლებაც შელახულია, მხოლოდ მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, როცა მან იცის, რომ ზიანის მიმყენებლის მიმართ გამოყენებული იქნება ისეთი სანქცია, რომელიც ამ უკანასკნელისათვის მართლაც მტკივნეულია. ეს პრინციპი, ცხადია, არ ნიშნავს ზიანის ანაზღაურებისაგან იმ სამართალდამრღვევის გათავისუფლებას, რომლის ქონებრივი მდგომარეობა ცუდია.

მორალური ზიანის პრევენციული ფუნქციების განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება და მოგების მიღება ზიანის მიმყენებლის მიერ.

პიროვნულ უფლებათა დარღვევის განმეორების ვარაუდის შესაძლებლობას ზიანის მიმყენებლის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედებები იძლევიან. თუ ზიანის მიმყენებელს ხშირად აქვს უგულვებელყოფილი პიროვნული უფლებები მოგების მიზნით, მაშინ მის შესაჩერებლად საჭიროა განსაკუთრებული დამცავი საშუალებები, რაც თავისთავად საკომპენსაციო თანხის არსებითი ზრდის საფუძველი ხდება.

შესაძლებლობის ფარგლებში გამოანგარიშებულ უნდა იქნას ის მოგება, რომელიც მიღებულია პიროვნული უფლებების ხელყოფის გზით და ფულადი კომპენსაციის მეშვეობით მთლიანად უნდა მოხდეს მისი ამოღება. თუ მოხდება მხოლოდ ერთი ნაწილის ამოღება, იქმნეა საშიშროება, ზიანის მიმყენებლის მხრივ, ასეთივე ხასიათის ქმედების განმეორებისა. ამ შემთხვევაში მორალური ზიანის მიმყენება სამართალდამრღვევისათვის მომგებიან საქმედ რჩება და მიღწეული ვერ იქნება სასურველი პრევენცია.

„მოგება“ არ შეიძლება გაგებულ იქნას სუფთა ეკონომიკური მოგების სახით, არამედ მის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ აბსტრაქტული „ქონებრივი ხეირი“. მაგალითად, ბეჭდვით საინფორმაციო საშუალებებში „ქონებრივი ხეირის“ დადგენას მიზნით, შესაძლებელია

განისაზღვროს. თუ რამდენად გაიზარდა ტირაჟი. შესაძლებელია „ქონებრივი ხეირის“ ორიენტირება სარეკლამო ფასებზე იქნას აგებული. თანხა, რომელიც ზიანის მიმყენებელმა იმ სტატიის ერთი გვერდიდან მიიღო, რომელიც მორალურ ზიანს აყენებს, უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც რედაქციას იმავე ზომის გვერდზე განთავსებული რეკლამიდან შემოსდის. „ქონებრივი ხეირის“ დაანგარიშების საფუძველს შეიძლება შეადგენდეს, აგრეთვე, თანხა, რასაც რედაქციები თავიანთ ინფორმანტებს უზღიან მოპოვებული ინფორმაციისა და ფოტომასალებისათვის. გამოანგარიშების ზემოთაღნიშნული მეთოდები არ იძლევა მოგების სრული სიზუსტით დაანგარიშების შესაძლებლობას, მაგრამ იხინი რაციონალურ პრინციპზეა აგებული და მათი მეშვეობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულების რესტრუქციურ და კომპენსაციურ კრიტერიუმებთან ერთად შესაძლებელია „კონივრული და სამართლიანი“ ანაზღაურების დაკისრება.

მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა პარლამენტის შემდეგ

მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

სამართალში ადამიანი ფიგურირებს როგორც პირი და როგორც პიროვნება. პირი და პიროვნება ადამიანის ორი ურთიერთგანსახვავებული იპოსტასია. ადამიანს, როგორც პირს ანუ სამართლის სუ-

ბიექტს ენიჭება უფლებები და ეკისრება მოვალეობანი. პიროვნება ადამიანის სულიერ ღირებულებათა ერთობლიობაა. იგი წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის საგანს.

გარდაცვალებით ადამიანი ქრება როგორც პირი, სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. მაგრამ ადამიანი, როგორც პიროვნება, როგორც განსაკუთრებული სულიერი ღირებულება არ ქრება, გრძელდება მისი სოციალური ზემოქმედება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისათვის. კანონი იცავს პიროვნებას, ვიდრე არ შეწყდება მისი სოციალური ზემოქმედება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იძლევა გარდაცვლილის პიროვნულ უფლებათა დაცვის გარანტიებს ანუ იცავს ადამიანის პიროვნულობის ცალკეულ გამოვლინებებს მისი სიკვდილის შემდეგ.

გარდაცვლილის პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესი. ამიტომაც, კოდექსში განსაზღვრული არ არის იმ კონკრეტული პირების ჩამონათვალი, ვისაც შეუძლია გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნა დააყენოს. ამგვარი მოთხოვნის უფლება აქვს როგორც გარდაცვლილის შემკვიდრეებს, ისე სხვა პირებს, ვისთვისაც გარდაცვლილის პიროვნება მნიშვნელოვანია. შემკვიდრეებს არ გააჩნიათ გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მონოპოლია. პირი და პიროვნება ერთი არსების ორი მხარეა – სუბიექტური და ობიექტური. ეს ერთიანობა გარდაცვალებით ირღვევა. გარდაცვლილი აღარ შეიძლება იყოს უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი. მას აღარ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა. ამიტომაც კანონი პირის სიკვდილის შემდეგ სხვა პირებს ანიჭებს გარდაცვლილის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს იმ სულიერ სი-

კეთათა დაცვას, რომლებიც პიროვნულობის განმსაზღვრელია. ამგვარ სიკეთებს, უპირველეს ყოვლისა, გარდაცვლილის შემოქმედებითი შემკვიდრება განეკუთვნება. მისი დაცვა საავტორო სამართლის საგანია (იხ. შესაბამისი კომენტარები).

მე-19 მუხლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება გარდაცვლილის პიროვნულობის ისეთი ელემენტები, როგორცაა სახელი, პატივი, რეპუტაცია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარი გამოსახულების უფლება.

საზოგადოებრივი ფუნქციის შესაბამისად, გარდაცვლილის სახელი, აღარ შეიძლება შეიცვალოს, ცოცხალი მშობლის მიერ სახელის შეცვლა აღარ იწვევს ცვლილებების შეტანას გარდაცვლილი შვილის ან მეუღლის სააქტო ჩანაწერებში. გარდაცვლილის სახელის უფლების დარღვევად ჩაითვლება მისი უგულვებელყოფა, შეცვლა, დამახინჯება.

გარდაცვლილის ხსოვნა ქმედითია მხოლოდ მაშინ, როცა მასთან დაკავშირებული მონაცემები სინამდვილეს შეესაბამება. გარდაცვლილის პატივს, საქმიან რეპუტაციას, სხვა პიროვნულ ღირებულებებს ხელყოფს ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც სინამდვილეს ამახინჯებს, გამოსვლები, რომლებიც ზიანს აყენებს საზოგადოებრივ აზრს. ამასთან, გარდაცვლილის მიმართ მოქმედებს სიტყვის თავისუფლების ფაქტორიც. ბუნებრივია, შესაძლებელია გარდაცვლილის მოქმედებათა შეფასება, მაგრამ ცილისმწამებლური გამოხატულებები, სინამდვილის შეუსაბამო მოსაზრებები გარდაცვლილის პატივის დაცვის მოთხოვნათა საფუძველია.

გარდაცვლილის შემკვიდრებს, განსაზღვრული სოციალური ფუნქციებიდან გამომდინარე, უფლება არა აქვთ გაახმაურონ საიდუმლოებანი, რომლებიც გარდაცვლილის პიროვნების შეურაცხყოფელია, თუ ასეთი ცნობების გახმაურების შესახებ თავისი ნება არ გამოუთქვამს მას, ვისაც საიდუმლოება ეხება. ამასთან,

საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა. გამოსახულების ან ფონოჩანაწერის გამოქვეყნების აკრძალვა არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომლებიც გარდაცვლილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეეხება, არ ვრცელდება ცნობებზე, რომლებიც მის მიერ საჯაროდ გამოითქვა. საზოგადოებას უფლება აქვს გაეცნოს ასეთ მასალებს. პირად საიდუმლოებად არ ჩაითვლება პოლიტიკოსის საზოგადოებრივი პოზიცია, მეცნიერის თეორია, მწერლის შემოქმედებითა კრედიტ. ამგვარი ცნობების გამოქვეყნება ამდიდრებს ისტორიოგრაფიას, მეცნიერულ თუ მხატვრულ ანალიზს. საიდუმლოების დაცვის საკითხის გადაწყვეტის დროს საჭიროა გაიმიჯნოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი.

პირადი არაქონებრივი უფლებებია შემკვიდრებით არ გადაიცემა. ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში შემკვიდრების მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების და არა გარდაცვლილისაგან შემკვიდრებით მიღებული უფლებების დაცვა. მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია. ამასთან, უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს ანაზღაურება მორალური ზიანისა, რომლის მოთხოვნით დაზარებულმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე იგი გარდაიცვალა. მორალური ზიანის ფულადი საზღაური ასეთ შემთხვევაში სამკვიდრო მასის შემადგენელი ნაწილია.

მუხლი 20. საცხოვრებელი ადგილი

1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

2. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობ-

ლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი.

3. პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.

1. საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სამოქალაქო სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია შეესაბამება ამ ინსტიტუტის განვითარების თანამედროვე დონეს სამოქალაქო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში. ქართული კანონი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს ადგილს, „რომელსაც იგი (ე.ი. ფიზიკური პირი) ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს“ (მე-20 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

„ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ცნებამ საერთაშორისო კერძო სამართალში პოვა დიდი გავრცელება. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემთხვევით არ განამტკიცებს „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ინსტიტუტს.

საერთაშორისო კერძო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, „ჩვეულებრივ საცხოვრებლად“ გაიგება პირის ბირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელი. ამ პოზიციას იზიარებს საერთაშორისო საპროცესო სამართალიც. ამასთან, გარემოებებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ პირი მოცემულ ადგილას დროებით არ იმყოფება. გარდა ამისა, ერთ ადგილზე ექვსთვიანი ყოფნის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ეს არის პირის „ჩვეულებრივი საცხოვრებელი“. ექვსთვიანი ვადა საერთაშორისო კერძო სამართალში მიიჩნევა იმის მიმანიშნებელ ფაქტორად, რომ დაფუძნებულია ჩვეულებრივი საცხოვრებელი.

„ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის ფაქტობრივ ყოფნას მოცემულ ადგილზე. ამიტომაც უწოდებენ მას „ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს“ მაშინ, როცა „საცხოვრებელ ადგილად“ მიჩნევისათვის მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი. მას თან უნდა ახლდეს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. სწორედ ამ ნებას გამოხატავს მე-20 მუხლის პირველ წინადადებაში განმტკიცებული დებულება ჩვეულებრივ საცხოვრებლად „არჩევის“ შესახებ, ე.ი. არა მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა, არამედ მისი არჩევა საცხოვრებელ ადგილად, გადამწყვეტია მე-20 მუხლით ვათვალისწინებული ურთიერთობების წარმოშობისთვის.

ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე ავტომატურად რომ წარმოშობდეს საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ყოველი პატიმრის ან ავადმყოფის საცხოვრებელ ადგილად უნდა მიგვეჩნია ციხე ან საავადმყოფო, თუკი ისინი იქ „სკვს თვეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებიან.

მაშასადამე, საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განვპარტოთ, როგორც ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს.

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს, ე.ი. ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) ცნებას.

შესაძლებელია, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ერთხვეოდეს ერთმანეთს. ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკურა პირი ერთდროულად ინდივიდუალური მეწარმეცაა და თავისი ინდივიდუალური საწარმოს იურიდიულ მისამართად საცხოვრებელ ადგილს იყენებს.

საცხოვრებელი ადგილის ცნება შეიძლება განსხვავებული იყოს

იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელ დარგთან გვაქვს საქმე. უფრო ზუსტად, მე-20 მუხლით განმტკიცებული საცხოვრებელი ადგილი გამოიყენება მთლიანად კერძო სამართლისთვის მაშინ, როცა საჯარო სამართალი შეიძლება საცხოვრებელი ადგილის სულ სხვაგვარ დეფინიციას იძლეოდეს (მაგალითად, საპოლიციო, საგადასახადო სამართალი და ა.შ.).

საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კერძო სამართლისთვის. საჯარო სამართალში მასზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული, მაგალითად, საარჩევნო უფლება ან სასამართლო ქვემდებარეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში და ა.შ. მართალია, ამ დროს საცხოვრებელი ადგილის სამოქალაქოსამართლებრივი ცნება დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს საჯარო სამართლის ამა თუ იმ დარგში საცხოვრებელი ადგილის სპეციფიკური ცნების არსებობას.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განამტკიცებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს. ეს შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას და, შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევას.

როდის და როგორ წარმოიშობა საცხოვრებელი ადგილი? რა კავშირშია იგი საპოლიციო ჩაწერასთან? რა არის აუცილებელი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებისთვის?

საცხოვრებელი ადგილის არჩევა დამოკიდებულია პირის ნებაზე და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე. სრულწლოვანი პირებისათვის იძულებითი წესით საცხოვრებელი ადგილის არჩევას ქართული სამართალი არ იცნობს.

პირის ნება დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი.

პირს უნდა ჰქონდეს ბანა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ეს სადგომი მისი საკუთრებაა, თუ ქირით აქვს აღებული.

საპოლიციო რეგისტრაცია, თუ აღრიცხვა პირის საცხოვრებელ ადგილს არ წარმოშობს და არც აუქმებს. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება არსებობდეს რეგისტრაციის გარეშეც და პირქით, რეგისტრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის არსებობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 27 ივნისს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი რევოლუციური მნიშვნელობის კანონია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში: მან გააუქმა საპოლიციო ჩაწერის ის სისტემა, რომელიც საბჭოთა წყობილებიდან შემკვიდრებით ბოლო დრომდე არსებობდა. კანონი სრულიად იზიარებს სამოქალაქო კოდექსის კონცეფციას რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მე-3 მუხლი).

საცხოვრებელი ადგილას ცნება არ არის საჯარო სამართალში გამოყენებული საცხოვრებელი ადგილის ცნების იდენტური. მაგალითად, საარჩევნო კანონში განმტკიცებული საცხოვრებელი ადგილის ცნება მოიცავს საერთო საცხოვრებელში მყოფი სტუდენტის უფლებასაც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. სწავლა ან სხვაგვარი დროებითი ყოფნა მოცემულ ადგილზე არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს.

ისევე, როგორც ადმინისტრაციული აქტით არ შეიძლება საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, არც მისი გაუქმება შეიძლება ამავე აქტით. ამას პირდაპირ განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი.

2. „პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგი-

ლი" რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეუძლია რამდენჯერმე ჰქონდეს საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები (მაგალითად, შემკვიდრების გახსნის დროს). იგი შეიძლება მოსარჩელედ გამოდიოდეს რამდენიმე ადგილას და ა.შ.

ვინაიდან ჩაწერა არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ჩაწერილი კი იყოს მხოლოდ ერთ ადგილას. მაშასადამე, ჩაწერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტი არავითარ წინააღმდეგობაში არაა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის პრინციპთან. რაც შეეხება საგადასახადო სამსახურს, მათ შეუძლიათ გადასახადების გადახდის ადგილად მიიჩნიონ ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელ ადგილად არ ჩაითვლება სააგარაკო და საბაღე სახლები.

3. საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით აქამდე განხილული საკითხები შეეხებოდა იმ საცხოვრებელ ადგილებს, რომელთა არჩევის უფლება პირებს მოქმედი კანონმდებლობით აქვთ უზრუნველყოფილი, ამიტომ მათ არჩევითი საცხოვრებელი ადგილი ეწოდებათ. იგი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას უკავშირდება მაშინაც, როცა მოცემული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის ინსტიტუტს განამტკიცებს.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი უპირველესია და იგი ამ სფეროში წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას. ეს ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტით, მაგალითად, ჩაწერის ინსტიტუტით, არ შეიძლება ეს უფლება შეიზღუდოს. პირიქით, ჩაწერის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისაგან, ე.ი. პირი ჯერ ირჩევს საცხოვრებელ ადგილს, ხოლო შემდეგ ღვება საპოლიციო

ან სამისამართო აღრიცხვაზე და არა პირიქით, როგორც ეს საბჭო-
თა წყობილებიდან მომდინარე საქართველოში ბოლო დრომდე იყო.

თუ ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით საცხოვრებელი ადგი-
ლის არჩევის უფლება პირველადია, ხოლო საჯარო სამართლებრივი
აქტი – ძვირადღი, უცხოელი მოქალაქეების მიმართ ეს პირიქითაა.
საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა უცხოელთათვის და-
მოკიდებულია იმაზე, რამდენად კანონიერად იმყოფება იგი მოცემულ
ქვეყანაში და ყოფნის ეს უფლება აძლევს თუ არა მას შესაძლებლო-
ბას აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი (მაგალითად, მოკლევადიანი
ვიზა არ არის საფუძველი ამისთვის), ე.ი. უცხოელმა ჯერ უნდა
შიალოს ნებართვა სახელმწიფოსაგან ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლე-
ბის თაობაზე, ხოლო შემდეგ კი – აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა არ გულისხმობს
ამა თუ იმ ქვეყნის არჩევას საცხოვრებლად. ეს აღემატება სამოქალაქო
სამართლის შესაძლებლობებს. უფრო ზუსტად, იგი გულისხმობს მო-
ცემული ქვეყნის შიგნით ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის არჩევას
საცხოვრებელ ადგილად (ქალაქი, სოფელი, დაბა, რაიონი და ა.შ.).

4. თუმცა სამოქალაქო სამართალი საცხოვრებელი ადგილის
თავისუფლად არჩევის პრინციპს განამტკიცებს, იგი, ამავე დროს,
იცავს იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც ასეთი არჩევანის გაკეთუ-
ბა არ შეუძლიათ. ესაა პირები, რომლებსაც ასაკის (არასრულ-
წლოვანები) ან ჯანმრთელობის მდგომარეობის (ჭკუასუსტობის ან
სულით ავადმყოფობის) გამო არ შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ
საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხი. მათ ნაცვლად ამას
კანონი აკეთებს. ამიტომაც ეწოდება არასრულწლოვანებისა და
სხვა არაქმედუნარიანი პირების საცხოვრებელ ადგილს კანონით
საცხოვრებელი ადგილი.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,
არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლის უფ-

ლებიხ მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი. კანონი აქაც ზოგადი ნორმით შემოიფარგლება და ის არ იძლევა კონკრეტულ პასუხებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში შეიძლება წარმოიშვას. კერძოდ, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ ან როცა მშობლები განქორწინებულნი არიან, მშობლის უფლება კი ორივესა აქვს და ა.შ. ეს ის საკითხებია, რომლებიც ნორმათა ინტერპრეტაციის შედეგად და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა განვითარდეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სამეურვეო პირის საცხოვრებლად მიიჩნევა მეურვის საცხოვრებელი ადგილი. სამეურვეო პირებად ჩაითვლებიან არასრულწლოვანები, რომელთაც კანონით დადგენილი წესით დანიშნული აქვთ მეურვეობა ანდა არასრულწლოვანები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად არიან აღიარებულნი და მათზეც დანიშნულია მეურვეობა.

5. საცხოვრებელი ადგილის გაუქმება, ისევე როგორც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, ორ გარემოებაზეა დამოკიდებული: ერთია პირის ნება მიანებოს თავი ამ საცხოვრებელ ადგილს და ამის პრაქტიკული განხორციელება. არც ამ შემთხვევაშია სავალდებულო, რომ ნება რაიმე სპეციალური ფორმით იყოს გამოხატული.

საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, როცა დაუძლეველი ძალის, ომის, სამოქალაქო ომის ან სხვა ამის მსგავსი გარემოებების გამო პირი იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი. აფხაზეთიდან დევნილი ქართველების საცხოვრებელი ადგილი მაინც აფხაზეთშია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფიზიკურად იქ დაბრუნება ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებით. ოღონდ ეს უკანასკნელი ავტომატურად არ იწვევს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქ-

მებას. აუცილებელი აქაც პირის ნებაა, რომ იგი აუქმებს ძველ საცხოვრებელ ადგილს. სამართლებრივი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა ძველი საცხოვრებელი ადგილი გაუქმებულია, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არ არის დაფუძნებული. ფრანგული, ინგლისურ-ამერიკული, შვეიცარიული სამართალი ამ დროს უშვებს იურიდიულ ფიქციას – ვიდრე ახალი საცხოვრებელი ადგილი არ დაფუძნებულა, ძალაში მყოფად მიიჩნევა ძველი საცხოვრებელი ადგილი. ცხადია, ეს არ არის საუკეთესო გადაწყვეტა, ვინაიდან ფიქციას ამ შემთხვევაში არავითარი ძალა არა აქვს, თუკი პირს ფაქტობრივად გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა ძველ საცხოვრებელ ადგილთან.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება გამოიწვიოს უცხოელთათვის მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების ჩამორთმევამ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქის მიმართ დაუშვებელია.

6. საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილი არ არის საპოლიციო, საგადასახადო თუ საჯარო სამართლის სხვა დარგებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის იდენტური, თუ საპოლიციო ჩაწერა ან ამოწერა არავითარ გავლენას საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებასა და გაუქმებაზე არ ახდენს, მაშინ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას საერთოდ? ეს კითხვა სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება, ისევე როგორც ბუნებრივია ამ კითხვაზე პასუხი: საცხოვრებელ ადგილს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სწორედ მას მიხედვით განისაზღვრება:

– პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების საკითხი. თუკი მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას (21-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– გარდაცვლილად გამოცხადების საკითხი; თუკი პირის საც-

ხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ (22-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– ხელშეკრულებების ცალკეული დებულებების განმარტებისას თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა; გადამწვევტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი (მუხლი 337-ე);

– ვალდებულების შესრულების ადგილი გვარუობით განსაზღვრული საგნების შეძახვევაში, თუ შესრულების ადგილი არაა განსაზღვრული – შოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (362-ე მუხლის პირველი ნაწილის პ ქვეპუნქტი და მე-2 ნაწილი);

– კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი (363-ე მუხლი, 432-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

– საეჭვობისას ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი – კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი (386-ე მუხლის პირველი ნაწილი);

– სამკვიდროს გახსნის ადგილი – მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი (1324-ე მუხლი).

ზონმოძილი მაგალითები, ვფიქრობ, ნათლად ადასტურებენ საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალში. თუკი ამას დაუმატებთ სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, აშკარა გახდება, რომ საცხოვრებელი ადგილი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

მუხლი 21. პირის აღიარება შხსმ-შხსლმდ ღაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარე-

ბულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით შემკვიდრები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძლოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება უნდა მოხდეს ორი გარემოების არსებობისას: პირის ადგილსამყოფელი უნდა იყოს უცნობი და ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს იგი თავის საცხოვრებელ ადგილას გამოჩენილი. უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების ეს პირობები კუმულატიურია, ე.ი. აუცილებლად უნდა არსებობდეს ორივე პირობა. არაა საკმარისი მხოლოდ ის, რომ პირი ორი წლის მანძილზე არ გამოჩნდეს თავის საცხოვრებელ ადგილას. თუ ამ გარემოებას მივიჩნევდით საკმარისად, მაშინ ყველა, ვინც ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფება სხვაგან და არ გამოჩნდნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილას, უნდა მიგვეჩნია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. ეს შეუძლებელია. ამიტომაც, კანონი აუცილებლად მიიჩნევს, რომ უცნობი იყოს პირის ადგილსამყოფელიც. ცხადია, დაიბადება კითხვა, თუ ვისთვის უნდა იყოს ეს ადგილსამყოფელი უცნობი? დაინტერესებული პირისათვის, ე.ი. იმისთვის, ვისთვისაც მნიშ-

ვნელოვანია აღნიშნული პირის არსებობის დადასტურება. თუ ვინ არის ეს დაინტერესებული პირი, კანონი არ აზუსტებს. ამ პირთა წრე შეიძლება ძალიან ფართოც იყოს: მეუღლე, შვილები, კრედიტორები და ა.შ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

განსხვავებულია სამართლებრივი შედეგები გარდაცვლილად გამოცხადებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დროს. თუ გარდაცვლილად გამოცხადების დროს იხსნება მემკვიდრეობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ამ შედეგს არ იწვევს. კანონით მემკვიდრეები მხოლოდ უფლებამოსილებას მოიპოვებენ, რომ მართონ უკვალოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით (სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, მათ უფლება აქვთ ეს ქონება გამოიყენონ ჩვეულებრივად, მიიღონ მისგან სარგებელი. კანონი მათ მოვალეობასაც აკისრებს, კერძოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს ქონებიდან უნდა მიეცეთ სარჩო, ასევე უნდა დაიფაროს ვალები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს ჰქონდა.

მუხლი 22. პირის გამოსცხადება გარდაცვლილად

1. პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

2. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-

უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

3. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან, გარდაცვლილად გამოცხადება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ:

ა) ამ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ;

ბ) იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა ანდა

გ) სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ.

მაშასადამე, კანონი განსაზღვრულ დროს აწესებს, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება მხოლოდ პირის გამოცხადება გარდაცვლილად. ჩვეულებრივ შემთხვევებში ეს არის ხუთი წელი.

გარდაცვლილად გამოცხადების ზოგადი ხუთწლიანი ვადიდან არსებობს გამონაკლისები. ერთია, როცა სავარაუდოა პირის დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო. ასეთი უბედური შემთხვევები შეიძლება იყოს წყალდიდობა, მეწყერი, გემის დაღუპვა, საჰაერო

ხომალდის დაღუპვა და ა.შ. ამ დროს სავალდებულო არ არის ხუთწლიანი ვადის გასვლა. კანონი შესაძლებლად მიიჩნევს პირის გამოცხადებას გარდაცვლილად ექვსი თვის გასვლის შემდეგ ამ შემთხვევის დადგომიდან. მეორე გამონაკლისი დაკავშირებულია საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის ან სხვა პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან. ასეთ ვითარებაში დაკარგული პირები შეიძლება გამოცხადნენ გარდაცვლილად საომარი მოქმედებების დამთავრებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი გარდაცვალების დღის დადგენის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. უბედური შემთხვევის ან საომარი მოქმედებების გამო გარდაცვლილად გამოცხადებისას გარდაცვალების დღედ სასამართლომ შეიძლება აღიაროს სავარაუდო დაღუპვის დღე.

მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების უფლებები

1. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

3. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა

ხაზინას და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

ცხოვრებაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ყველა პროცედურა კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვით სორციელდება, პირი გამოცხადდება გარდაცვლილად, მაგრამ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ეს პირი დაბრუნდება ან მისი ადგილსამყოფელი დადგინდება.

როგორც პირის გარდაცვლილად გამოცხადებაა სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ასევე მნიშვნელოვანია გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების სამართლებრივი შედეგები. ამიტომ ამ საკითხებს კანონი უყურადღებოდ არ ტოვებს, კერძოდ, გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას. „ადგილსამყოფელის აღმოჩენა“ დადასტურებული უნდა იყოს სხვადასხვა მტკიცებულებებით. ხშირია შემთხვევები, როცა „გარდაცვლილად გამოცხადებულები“ სახელს იცვლიან და სხვა სახელით ცხოვრობენ. ადგილსამყოფელის აღმოჩენას შემოწმებისას ეს გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

დაბრუნებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ასევე შემკვიდრებიც. ქონებაზე გაწეული ხარჯები, გაუმჯობესებები და სხვა ანალოგიური მოქმედებები მან უნდა აანაზღაუროს.

განსხვავებულია ვითარება, როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სასყიდლით შეიძინა მესამე პირმა. ქონების

უკან დაბრუნების ვალდებულება მას ეკისრება მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

იმ შემთხვევებში, როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება ხაზინას გადაეცა და ამ უკანასკნელმა მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

სამოქალაქო კოდექსი არ შემოიფარგლება გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონებრივი უფლებების დაცვით. საყურადღებოა ის შედეგებიც, რომლებიც პირადი ურთიერთობების სფეროში წარმოიშობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქორწინება. სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის გამოცხადება გარდაცვლილად ქორწინების შეწყვეტის საფუძველია. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შემთხვევაში შესაძლებელია ქორწინების აღდგენა (1135-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინება ყველა შემთხვევაში უნდა აღდგეს. მთავარი აქ მეუღლეთა სურვილია. მაგრამ თუ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება (უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე), მაშინ კანონი კრძალავს ქორწინების აღდგენას.

თავი მეორე

იურიდიული პირები

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 24. ცნება. სახეები

1. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი, და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

4. სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.) ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

1. იურიდიული პირის ცნების ლეგალურ დეფინიციას არ შეიძ-

ლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. როგორც წესი, ის მხოლოდ არსებით ნიშნებს განამტკიცებს. სხვა დანარჩენი კი ცალკეული ნორმების შინაარსიდან უნდა იქნეს გამოყვანილი. იგივე ითქმის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილზეც, რომელიც თუმცა კი იძლევა იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას, მაგრამ ეს არ არის ამომწურავი სამართლის ამ სუბიექტის სრულად დახასიათებისათვის. იმავედროულად, 24-ე მუხლის ეს დეფინიცია სრულიად შეესაბამება დასავლეთის ქვეყნებში არსებულ შეხედულებას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ და მოქმედ კანონმდებლობას.

ა. ყოველი იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პირთა ანდა ქონების გაერთიანების შედეგადაა აღმოცენებული. მაშინაც კი, როცა იურიდიული პირი ერთი პირის მიერ იქმნება, მაგალითად, შპს, იგი მაინც ორგანიზებული წარმონაქმნია. იგივე ეხება ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილ იურიდიულ პირებს – ფონდებს.

ორგანიზებული წარმონაქმნობის ნიშანი რამდენიმე გარემოებას გულისხმობს. იურიდიული პირი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. განსაკუთრებით ეხება ეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართ გამოიყენება *numerus clausus* პრინციპი. გარდა ამისა, ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ასევე კანონით განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურები – მართვის ორგანოები. სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით ახორციელებს თავის საქმიანობას იურიდიული პირი.

ბ. განსაზღვრული მიზნის მიღწევა იურიდიული პირის ერთ-ერთ კონსტიტუციურ ნიშნად არის მიჩნეული. იურიდიული პირის დაფუძნებისას დამფუძნებლები ყოველთვის რაღაცის მიღწევას ისახავენ მიზნად და ამისთვის საჭიროებენ იმ ნორმატიულ-სამართლებ-

რივ კონსტრუქციას, რომელსაც იურიდიული პირი ეწოდება. ამ მიზნის განსაზღვრისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სამართლებრივად მნიშვნელოვანი მიზანი და იურიდიული პირის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი მიზანი. სამართლებრივად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს იურიდიული პირის შექმნა კომერციული (მოგების მიღება) თუ არაკომერციული (იდეალური მიზანი) მიზნებისთვის. ამგვარი დაყოფა სამართლებრივად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კანონმდებლობა განსაზღვრულ შეზღუდვებს აწესებს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევისას. მაგალითად, არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება შეიქმნან მხოლოდ კავშირების ან ფონდების ფორმით.

24-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული მიზანი უფრო ვიწროა და გულისხმობს იურიდიული პირის შემქმნელთათვის მნიშვნელოვან მიზანს. კონკრეტულად იმას, თუ რისთვის იქმნება ეს სუბიექტი, რისთვის სურთ დაშფუქნებლებს თავიანთი ქონება თუ პირადი ღვაწლი გამოიყენონ. მიზნის ეს დეფინიცია არ არის სპეციალური უფლებაუნარიანობის საფუძველი და არც იურიდიული პირის, როგორც მიზნობრივი ქონების თეორიის გამოხატულება.

ვ. ორგანიზებული წარმონაქმნის მიზნის ხასიათიდან უნდა ირკვეოდეს, რომ ის არ არის ერთჯერადი, ერთი მოქმედების შემდეგობით მასალწვევი მოვლენა. იგი უნდა მოითხოვდეს ორგანიზებული წარმონაქმნის არსებობას ხანგრძლივი ვადით, ე.ი. მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული ორგანიზებული წარმონაქმნის ხანგრძლივობა შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან. კანონი სრულიად ბუნებრივად და მართებულად არ განსაზღვრავს ამ ვადის ხანგრძლივობას. „ვადის ხანგრძლივობა“ გამოიყენება არა კონკრეტული კალენდარული ვადის აღსანიშნავად, არამედ იმ განზრახვის გამოსახატავად, რომელიც საფუძველად უდევს იურიდიული პირის შექმნას და მის საქმიანობას. ამა თუ იმ დაწესებულების

თანამშრომლების მიერ ფულის შეგროვება დაბადების დღის აღსანიშნავად საჩუქრის საყიდლად ფორმალურად თუმცა შეიცავს 24-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ მას სწორედ ხანგრძლივობის განზრახვა აკლია.

დ. იურიდიული პირის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ მას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ქონება და ეს ქონება განცალკევებული უნდა იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. დამოუკიდებელი ქონების არსებობა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და წინაპირობაა იურიდიული პირის წარმოშობისთვის. იურიდიული პირი ამ ქონების შესაკუთრება. თვითონ იურიდიული პირი კი არავის საკუთრება არ არის. იურიდიული პირის ქონება არც დამფუძნებლების ან მასში მონაწილეთა საერთო საკუთრებაა. მათი საკუთრება მხოლოდ ამ იურიდიული პირის წილები ან აქციებია. მაშინაც კი, როცა საქმე საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან გვაქვს, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი სახელმწიფოა, ქონების შესაკუთრედ მაინც იურიდიული პირი გამოდის. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი შესაკუთრება იმ ქონების, რომელიც მას სახელმწიფოსგან აქვს გადაცემული. თუმცა ამ უნივერსიტეტის ძირითადი განმკარგულებელი სახელმწიფოა, იგი მისი „შესაკუთრე“ მაინც არ არის. სახელმწიფოს შეუძლია კანონით დადგენილი წესით გარდაქმნას ან ლიკვიდაცია გაუკეთოს უნივერსიტეტს, მაგრამ „შესაკუთრის“ ცნების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ სამართლებრივად არაკორექტულია.

დამოუკიდებელი ქონების არსებობა უკავშირდება იურიდიული პირის დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. უზოგადესი პრინციპის თანახმად, იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი იურიდიული პირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად მისი დამოუკი-

ღებელი ქონების არსებობას აღიარებს, არც იურიდიული პირის მონაწილეების (პარტნიორების) პასუხისმგებლობას გამორიცხავს. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო სამართლით ღია სავაჭრო საზოგადოება, რომელსაც ქართულ სამართალში შეესაბამება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული პირია, მაგრამ მისი პარტნიორები კრედიტორების წინაშე პირდაპირ და შეუზღუდავად აგებენ პასუხს. ანალოგიურ წესს ითვალისწინებს საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

იმ ქვეყნებშიც, სადაც კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ მისი ქონებით შემოიფარგლება, სასამართლო პრაქტიკამ გამონაკლისები მაინც დაამკვიდრა. მაგალითად, გერმანიისა და პოლანდიის კანონმდებლობა შპს-ს პასუხისმგებლობას შემოფარგლავს მხოლოდ მისი ქონებით, მაგრამ სასამართლო პრაქტიკამ ხშირ შემთხვევებში პასუხი დააკისრა მის დაბფუძნებლებს, განსაკუთრებით ერთი პირის მიერ დაფუძნებული შპს-ს შემთხვევაში. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ ზიანი სწორედ პარტნიორის დაუდევარი მოქმედების შედეგად წარმოიშვა. ქართულმა სამართალმა გაითვალისწინა ეს ტენდენცია და მეწარმეთა კანონში განამტკიცა ანალოგიური ნორმა.

სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც ასევე იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, მათი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ქონებით – სუბსიდირად (ე.ი. დამატებით) სახელმწიფოც აგებს პასუხს საწარმოს კრედიტორების წინაშე.

ე. სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეების გათვალისწინებით და სხვა მონაწილეთაგან განსხვავების უზრუნველსაყოფად იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი. ეს ნიშანი ანიჭებს მას შესაძლებლობას შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე და ა.შ. მოკლედ,

იყოს ყველა იმ ურთიერთობის მონაწილე, რომელსაც სამოქალაქო სამართალი მას განუსაზღვრავს.

საკუთარი სახელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იურიდიული პირის განსაზღვრისათვის. მისი მეშვეობით ხდება სამართლის ამ სუბიექტის ინდივიდუალიზება და იდენტიფიკაცია. პირადი არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში სამოქალაქო სამართალი მას მნიშვნელოვან შედეგებსაც უკავშირებს.

ვ. საქართველოს სამოქალაქო სამართალი, ისევე როგორც დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო სამართალი, კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმოშობას რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. ამიტომ იურიდიული პირების რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

ყველა ზემოთ განხილული ნიშანი შეიძლება ახასიათებდეს ამა თუ იმ ორგანიზებულ წარმონაქმნს. მაგალითად, როცა ექსკურსიაზე მიდის სტუდენტთა ჯგუფი, გარეგნულად ეს არის ორგანიზებული წარმონაქმნი. ისინი აგროვებენ ფულს, რათა დაიქირაონ ავტობუსი და გადაიხადონ სასტუმროს ქირა; ე.ი. ამ ჯგუფის სახელით იდება ხელშეკრულებებიც (მგზავრობისა და ქირავნობის). არაა გამორიცხული, რომ ამ ჯგუფმა სახელიც კი დაირქვას. როგორც ჩანს, გარეგნულად ყველა ნიშანი იურიდიული პირისაა. მაგრამ ასეთი გაერთიანება არ იქნება იურიდიული პირი, რამეთუ არ შეესაბამება იურიდიულ პირთა იმ კატალოგს, რომელსაც კანონმდებლობა განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის არსებობის ფუძემდებლური წინაპირობა მაინც საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა. თუ მოქმედი კანონმდებლობა არ მიიჩნევს ამა თუ იმ წარმონაქმნს იურიდიულ პირად, იგი არ იქნება იურიდიული პირი.

2. იურიდიული პირების დაყოფას სახეებად არა მხოლოდ თეორიული, არამედ დადი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მას მრავალი, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული, სამართლებრივი შე-

დეგი უკავშირდება; ეს შედეგი არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივია, არამედ, არცთუ იშვიათად, საჯაროსამართლებრივი, საგადასახადოსამართლებრივი და ა.შ. კლასიფიკაციას ასევე მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ ადამიანებს ან იურიდიულ პირებს მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, კერძოდ, გადაწყვიტონ, თუ ორგანიზაციის რომელი ფორმაა მათთვის ყველაზე ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი, მოხერხებული და გამართლებული, უსაფრთხო და გარანტირებული.

იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალური დაყოფა სამართლის სისტემას უკავშირდება და ასახავს ამ პირთა შექმნისა და ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თავისებურებას. ამ კრიტერიუმის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება *კერძო სამართლის იურიდიული პირები* და *საჯარო სამართლის იურიდიული პირები*. კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა მაშინ, როცა საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე ხდება.

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ სამოქალაქო სამართალი იყენებს *numerus clausus* პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართალში დაიშვება მხოლოდ ის იურიდიული პირები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს. ასეთი შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ კერძო სამართალი კერძო პირთა სამართალია. მათი ფანტაზია არ შეიძლება არ იყოს გონივრული ფარგლებით ზღვარდადებული. თუ კერძო პირებს იმის უფლებას მივცემდით, თვითონ განესაზღვრათ იურიდიული პირის ფორმები, ეს დიდ ქაოსსა და სამართლებრივ არასტაბილურობას გამოიწვევდა. ამიტომ, კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმათა განსაზღვრისას კანონი საკმაოდ მკაცრია. იმავდროულად, სამოქალაქო სამართალი კერძო პირებს აძლევს სხვადასხვა ფორმებს შორის არჩევის თავი-

სუფლებას. იურიდიული პირის სახეების ასეთ შეზღუდვას საჯარო სამართალი არ იცნობს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფოს მრავალი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფუნქციის შესრულება უხდება. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს იურიდიული პირის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს მხარეთა კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. პირთა ეს ნება გარეგნულად გამოიხატება ამ იურიდიული პირის დამფუძნებელ დოკუმენტებში და, პირველ რიგში, წესდებაში. საჯარო სამართლის იურიდიული პირები იქმნება საგანკარგულებო წესით, რაც გარეგნულად გამოიხატება საჯარო (სახელმწიფო) აქტში.

საქმიანობის მიზნის მიხედვითაც შეიძლება იურიდიული პირების კლასიფიკაცია. ამ ნიშნით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ იურიდიული პირები, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას (*არაკომერციული, იდეალური მიზნის მქონე იურიდიული პირები*), და იურიდიული პირები, რომელთა მიზანს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა (*კომერციული იურიდიული პირები*). კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ასევე – საჯარო სამართლის. თუმცა, როგორც წესი, სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით იყენებს კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის გათვალისწინებულ ფორმებს. კომერციული საქმიანობა თავისი ბუნებით არის კერძო ხასიათის საქმიანობა. ამიტომ, სახელმწიფო აქ ისევე მონაწილეობს (უნდა მონაწილეობდეს), როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ამ ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი აკისრებს. აქედან გამომდინარე, კომერციული იურიდიული პირები, როგორც წესი,

კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით არსებობენ. თვით სახაზინო საწარმოც, რომელიც სამეწარმეო ურთიერთობებში სახელმწიფოს მონაწილეობის ერთერთი ფორმაა, კერძო სამართლის იურიდიულ პირად უნდა მივიჩნიოთ. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები არაკომერციულ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. ეს ეხება არა მხოლოდ სახელმწიფოს აქტის საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციებს, მაგალითად, ეროვნული ბანკი ან ეროვნული ბიბლიოთეკა, არამედ ნების თვისუფალი გამოვლენის საფუძველზე წარმოშობილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც – პარტიები, რელიგიური გაერთიანებები.

კომერციული, სამეწარმეო საქმიანობის განსაზღვრისას უნდა მივმართოთ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონს. კომერციული იურიდიული პირებას მდგომარეობა მოლიანად ამ კანონითაა მოწესრიგებული. რაც შეეხება არაკომერციულ იურიდიულ პირებს, მათი სამართლებრივი მდგომარეობა სრულად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსით. ის, რომ არაკომერციული იურიდიული პირების საქმიანობა არაა სამეწარმეო საქმიანობა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მათ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა. ამის უფლებას სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი იძლევა. ოღონდ ეს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს არაკომერციული იურიდიული პირის ძირითად მიზნებს და მის წევრებს არა აქვთ უფლება მიღებული მოგება ერთმანეთში გაინაწილონ. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი, რომელიც, როგორც წესი, კავშირის ფორმით არსებობს, ბეჭდავს და ყიდის პროშურებს ამ საფეხბურთო კლუბის შესახებ ან, რაც მთავარია, ყიდის საფეხბურთო ბილეთებს. გარეგნულად ეს ჰგავს სამეწარმეო საქმიანობას და არის კიდევაც, მაგრამ ამის გამო საფეხბურთო კლუბი არ გადაიქცევა კომერციულ იურიდიულ პირად.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით,

იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ე.ი. გაერთიანების საფუძველზე შექმნილი. ამის მაგალითია კავშირები, სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი. ამიტომ მათ ლიტერატურაში ხშირად კორპორაციებსაც უწოდებენ. იურიდიული პირი შეიძლება ასევე იყოს წევრობაზე დაფუძნებული (მაგალითად, კავშირი) ან საერთოდ არ ჰყავდეს წევრები (მაგალითად, ფონდი). წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირები თავის მხრივ ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: *წევრობა მდგომარეობაზე დამოკიდებული და მისგან დამოუკიდებელი*. თუ მაგალითად, სპს-ს წესდებაში წერია, რომ ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა იწვევს საზოგადოების დაშლას, მაშინ ეს იქნება წევრობა მდგომარეობაზე დამოკიდებული იურიდიული პირი. თუ წესდებით ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ეს იურიდიული პირი იარსებებს საზოგადოებიდან ერთ-ერთი წევრის გასვლის შემდეგაც. ამა თუ იმ იურიდიული პირის წევრობა მინიმალურ რაოდენობას კანონი ზოგჯერ პირდაპირ განსაზღვრავს (სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით კავშირს უნდა ჰყავდეს, სულ ცოტა, ხუთი წევრი მაინც).

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, ყველას მიმართ შეუზღუდავად გამოიყენება ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი, კერძოდ, მათ უფლება აქვთ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული (25-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3. საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი თვით *სახელმწიფოა*. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ის ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი სხვა – კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მეტად თავისებურია: ერთი მხრივ,

იგი არის კანონმდებელიც, უზენაესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი და, მეორე მხრივ კი, ურთიერთობათა რიგითი მონაწილე. „სახელმწიფო“ მეტად ზოგადი და აბსტრაქტული ცნებაა და ცხადია დაიბადება კითხვა: ვინ არის ეს სახელმწიფო? ვინ გამოდის მისი სახელით ამ ურთიერთობებში?

სახელმწიფო თვითონვეა იურიდიული პირი და ურთიერთობებში გამოდის მისი ორგანოების მეშვეობით. ეს ორგანოები კი არიან სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და ა.შ. სწორედ ისინი ახორციელებენ სახელმწიფოს საქმიანობას კონკრეტულ სფეროებში. მაგალითად, როცა პრივატიზებულ საწარმოში აქციათა განსაზღვრული ოდენობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გაბეგებლობაშია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს სამინისტროა აქციათა მესაკუთრე — აქციათა მესაკუთრე არის სახელმწიფო, რომლის ფუნქციებს სახელმწიფო ქონების მართვის სფეროში ახორციელებს აღნიშნული სამინისტრო. როცა განათლების სამინისტრო ახალ სკოლას ხსნის, ეს სკოლა სამინისტროს კი არ ეკუთვნის, არამედ სახელმწიფოს; განათლების სამინისტრო მხოლოდ განათლების პოლიტიკას ახორციელებს ამ სფეროში და წარმოადგენს სახელმწიფოს.

მაშასადამე, საჯარო სამართლის უპირველესი სუბიექტი არის სახელმწიფო. იგი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც, როგორც წესი, არ არიან იურიდიული პირები.

ის ფაქტი, რომ სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები არ არიან იურიდიული პირები და მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელი ორგანოებია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა იურიდიული პირებით წარმოდგენილი. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვა მრავალი იურიდიული პირი იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება მოუწევს მათ. მათზე დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. *საჯარო სამართლებრივი კორპორაციები*. მათ განეკუთვნება თვითმართველობები (მუნიციპალიტეტები). სახელმწიფოს მსგავსად აქაც თვით მუნიციპალიტეტია იურიდიული პირი და არა მისი ორგანოები სამმართველოების, განყოფილებების, სამსახურების და ა.შ. სახით. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად, თუ ისინი არჩევნების საფუძველზე არიან შექმნილნი და არა ზემდგომი ორგანოების მიერ დანიშნულნი. თუ ისინი ზემდგომი ორგანოების მიერ არიან დანიშნულნი, მაშინ მათ შეიძლება იგივე სტატუსი ჰქონდეთ, როგორც სამინისტროს.

საჯარო სამართლის კორპორაციებს განეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო სახსრებით სახელმწიფო ფუნქციებს ახორციელებენ უშუალოდ. მაგალითად, საქართველოში ასეთ ორგანოდ შეიძლება ჩაითვალოს საქენერგო და ა.შ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან ასევე სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც ასევე სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ეროვნული ბანკი, როგორც იურიდიული პირი, განმტკიცებულია კანონით ეროვნული ბანკის შესახებ; საქართველოს რკინიგზა, როგორც იურიდიული პირი, არსებობდა საქართველოს რკინიგზის შესახებ კანონის საფუძველზე შპს-ად მის გარდაქმნამდე და ა.შ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების კიდევ ერთი ჯგუფს ქმნიან ე.წ. *საჯარო სამართლებრივი დაწესებულებები*. ამ ჯგუფში შემაკვალი იურიდიული პირების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: სახელმწიფო ტელევიზია და რადიო; სახელმწიფო ბიბლიოთეკები (ეროვნული ბიბლიოთეკის ჩათვლით), უნივერსიტეტები და სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ცენტრები,

სახელმწიფო საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ა.შ. ყველა ეს იურიდიული პირი სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტების საფუძველზე არსებობენ.

დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ე.წ. *საჯარო სამართლებრივი ფონდების* ცნებას. ეს არის განსაზღვრული საჯარო მიზნისათვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ორგანოს მიერ. ქართული სამართალიც იცნობს ამგვარ ფონდს, მაგალითად, საქართველოს საგზაო ფონდი.

საჯარო სამართლის ყველა ამ იურიდიულ პირს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი, რაც მათ განასხვავებს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, ასევე საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირებისაგან: ყველა ისინი იქმნება საგანკარგულებო წესით ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი მას საფუძველად არ უდევს.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არ წარმოიშობიან, წარმოადგენენ *პოლიტიკური პარტიები*. იურიდიული პირის სტატუსს ისინი იძენენ პოლიტიკური პარტიების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. იმ გარემოებას, რომ *პოლიტიკური პარტიები* საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან, განაპირობებს მათი მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა შექმნაში და არა ის, თუ რა უდევს მათ შექმნას საფუძველად — ნების თავისუფალი გამოვლენა თუ ადმინისტრაციული აქტი.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს საქართველოს *მართლმადიდებლური ეკლესია*. მის ამ სტატუსს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც არა მხოლოდ მარ-

თლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ დამსახურებას აღიარებს ქართველი ერის წინაშე, არამედ მას საჯარო სამართლის სუბიექტადაც მიიჩნევს. ამას შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტი.

განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, *საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი* და არც შეიძლება იყოს. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ამ სუბიექტებს სახელმწიფო ქმნის და ამისთვის მას რაიმე სპეციალური ჩარჩოების დაწესება არ სჭირდება. სწორედ აქედან გამომდინარე თქვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი საჯარო სამართლის იურიდიული პირების დახურულ ჩამოთვლასა და მათ დეტალურ სამართლებრივ მოწესრიგებაზე. ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება კერძო სამართლის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამან განსაზღვრა 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის არსებობა, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების „შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით“. იქვე განამტკიცა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით, რა მოცულობით, რა ფუნქციებით შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები“.

მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებამოსიანობა 1509

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი

ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ნებართვის მიღების მომენტიდან.

4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან.

1. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ისეთივე უფლებაუნარიანობა აქვთ, როგორც ფიზიკურ პირებს.

ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნების თანახმად, იურიდიული პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და არაა აუცილებელი, რომ ეს ურთიერთობები წესდებაში იყოს ჩამოყალიბებული. მაგალითად, ტელევიზორების ქარხანას შეუძლია ასევე გამოუშვას სარეცხი მანქანები და ამის შესახებ წესდებაში ცვლილებების შეტანა სავალდებულო არაა. სამოქალაქო სამართლისთვის ეს ნიშნავს, რომ წესდების მიზნების საპირისპიროდ დადებული გარიგება არ მიიჩნევა ბათილად მხოლოდ იმის გამო, რომ იგი წესდებას ეწინააღმდეგება.

ზოგადი უფლებაუნარიანობა უფრო კონკრეტულად ნიშნავს, რომ იურიდიული პირი შეიძლება იყოს მესაკუთრე როგორც ნივთების, ასევე უფლებებისა და მოთხოვნების, მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, კომერციული იურიდიული პირების პარტნიორი და ა.შ. ე.ი. მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელსაც კანონი იურიდიულ პირებს არ უკრძალავს.

იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის განხილვისას აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, ერთდროულად წარმოიშობა.

ჩემი აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, უფრო ადრე, მეწარმეთა კანონმა სწორი გზა აირჩია, როცა განამტკიცა იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპი. ტოტალიტარული წყობილებიდან გამოსულ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება ისეთი საფუძვლები, რომლებიც ძველი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელ სულისკვეთებას შეზღუდავენ. სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპს, რომელიც საბჭოთა წყობილებიდან ქართულ სამართალსაც შემკვიდრებით გადმოჰყვა, სამოქალაქო სამართლისთვის პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა არც კქონია. სამაგიეროდ მას მაკონტროლებელი ორგანოები იყენებდნენ, ხშირად პარადოქსული მდგომარეობაც კი იქმნებოდა. მაგალითად, თუ იურიდიულ პირს წესდებაში არ ეწერა, რომ მას უფლება აქვს ბანკში გახსნას ანგარიში, ბანკი ანგარიშს არ უხსნიდა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა სრულიად შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

2. თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის მიმართ საკითხი ზოგადი უფლებაუნარიანობის სასარგებლოდ გადაწყდა, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა ყოველთვის სპეციალურია (25-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის ხასიათს მათ მიერ განხორციელებული ამოცანების ბუნება განსაზღვრავს, ხოლო რაც შეეხება უფლებაუნარიანობის მოცულობას, იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოცემულ სპეციალურ

აქტზე, რომელიც ამტკიცებს ამ სუბიექტების საქმიანობის მიზნებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების არც შექმნა და არც მათი საქმიანობა კერძო სამართლის, მათ შორის, სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების სფეროს არ შეადგენს. ეს საჯარო სამართლის საქმეა. მაგრამ კერძო სამართალი აღიარებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად. რაც შეეხება მათი უფლებაუნარიანობის მოცულობას, მას სპეციალური კანონი, სახელმწიფოს ადმინისტრაციული აქტი ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები განსაზღვრავენ. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის სუბიექტია და მისი მიზანი სამეცნიერო საქმიანობა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაა. შეიძლება თუ არა მან განახორციელოს კომერციული საქმიანობა? სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც იგი შეიქმნა. ამიტომ კომერციული საქმიანობის სფეროში დადებული გარიგებები ბათილად ჩაითვლება, თუ ამას მისი წესდება ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები არ ითვალისწინებენ.

3. იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხის განხილვა არასრული იქნება, თუ არ შევეხებით იურიდიული პირების ქმედუნარიანობის საკითხსაც. იურიდიულ პირს, განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, თვითონ არ შეუძლია მოქმედებების განხორციელება. ამისთვის აუცილებელია ადამიანები, რომლებიც იურიდიული პირის სახელით განახორციელებენ შესაბამის მოქმედებებს. იურიდიული პირების ქმედუნარიანობა ხორციელდება მისი ორგანოების მეშვეობით. ამიტომ ამ ორგანოთა სისტემა, მათი შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა განისაზღვროს ან კანონით ანდა წესდებებით.

ამასთან, წესდებით განსაზღვრული ფუნქციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის ნორმებს. მაგალითად, სააქციო საზოგადოების 'სავალდებულო ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. მიუხე-

დავად იმისა, რომ ამ ორგანოს მეტად დიდი უფლებამოსილებები აქვს, საბჭოს წევრს უფლება არა აქვს წარმოადგინოს საზოგადოება და მისი სახელით დადოს გარიგებები. თუ სს-ის წესდება მას ასეთ უფლებას ანიჭებს, წესდების ეს ნორმა ბათილი იქნება.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გარიგებებით, იგი მოიცავს ასევე დელიქტუნარიანობასაც.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შესაძენ პირებთან ურთიერთობა მისი წარმომადგენლების მეშვეობით, არამედ იურიდიული პირის შიგნით ხების ჩამოყალიბების პროცედურა, კერძოდ ის, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილებები. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა ორგანოებმა რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. მაგალითად, შპს-ს მიერ უძრავი ქონების გაყიდვისას აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება. თუ ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ დირექტორებმა მიიღეს, მაშინ ეს გადაწყვეტილება იქნება ბათილი. ე.ი. კანონი აქაც განსაზღვრავს ორგანოთა სტრუქტურას და მათ კომპეტენციას, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურას (ხმათა უბრალო უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით თუ ერთხმად).

მაშასადამე, იურიდიული პირის ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ან რომელი ორგანო ახორციელებს იურიდიული პირის სახელით საქმიანობას, ვინ წარმოადგენს მას შესაძენ პირებთან ურთიერთობაში და ის, თუ ვინ იღებს სამართლებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თვით იურიდიული პირის შიგნით.

როგორც სამოქალაქო კოდექსი, ასევე მეწარმეთა შესახებ კანონი, ზუსტად განსაზღვრავს იურიდიული პირების წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე იმ ორგანოთა სისტემასა და კომპეტენციას, რომლებიც იურიდიული პირისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ.

იმის გამო, რომ იურიდიული პირების ქმედუნარიანობა პრაქტიკულად ფიზიკური პირების მეშვეობით ებმება ცხოვრებისეულ ურთიერთობებში, სრულიად ბუნებრივად წარმოიშობა ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის საკითხი. ქართული კერძო სამართალი ამ მხრივაც შეესაბამება თანამედროვე სამართლის სტანდარტებს და იურიდიული პირის ხელმძღვანელებს აკისრებს პასუხისმგებლობას, თუკი მათ მოქმედებამ ან უმოქმედობამ (მაგალითად, ვალაუვალობის განუცხადებლობამ) ზიანი მოუტანა იურიდიულ პირს.

4. ადამიანებისაგან განსხვავებით იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად წარმოიშობა. ეს ხდება მაშინ, როცა იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, ოფიციალურად წარმოიშობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის იურიდიულ პირთა რეგისტრაციას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს: იურიდიული პირი წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად. ეს ეხება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს (კავშირებსა და ფონდებს), არამედ მეწარმეთა შესახებ კანონით განმტკიცებულ კომერციულ იურიდიულ პირებსაც. მაშასადამე, კერძო სამართლის იურიდიული პირები, ქართული სამართლის მიხედვით, წარმოიშობიან მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათი წარმოშობა წესრიგდება კანონით საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ ან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე აქტით განისაზღვრება. ამიტომ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმა ეხება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

1. არასამეწარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. სამეწარმეო იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება წესრიგდება კანონით მეწარმეთა შესახებ.

2. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ეს სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი.

3. იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები.

როგორც ფიზიკური პირების იდენტიფიკაციის აუცილებელი საშუალებაა სამოქალაქო სახელი, ასევე იურიდიულ პირთა იდენტიფიკაციის სავალდებულო საშუალებაა სახელწოდება (საფირმო სახელწოდება). ამის გამო, იურიდიულ პირთა სახელწოდება არ შეიძლება იყოს თვითნებური შემოქმედების ნაყოფი. კანონი მას მინიმალურ მოთხოვნებს უყენებს. კერძოდ, 26-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, არასამეწარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება რამდენიმე მაგალითი დავასახელოთ:

კავშირებისათვის – „საფეხბურთო კლუბი „თბაღისის დინამო“ რეგისტრირებული კავშირი“, „მხატვართა კავშირი რეგისტრირებული კავშირი“, „ქართულ-პოლანდიური მეგობრობის საზოგადოება რეგისტრირებული კავშირი“, „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რეგისტრირებული კავშირი“, „საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია რეგისტრირებული კავშირი“, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

აკადემია რეგისტრირებული კავშირი”, „ჰუმანიტარული უნივერსიტეტი რეგისტრირებული კავშირი” და ა.შ.

ფონდებისათვის – ქართული მწერლობის ხელშეწყობის ფონდი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, ქართული მეცნიერების განვითარების ფონდი და ა.შ.

რაც შეეხება სამეწარმეო იურიდიული პირების საფირმო სახელწოდებას, იგი წესრიგდება კანონით მეწარმეთა შესახებ.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის ორგანიზაციები, თუ ფიზიკური პირები უნებართვოდ იყენებენ სხვა იურიდიული პირების სახელწოდებას, მეტადრე ისეთი ორგანიზაციებისა, რომელთაც საზოგადოებრივი აღიარება და პრესტიჟი აქვთ. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი იცავს პირებს ასეთი არამართლზომიერი ხელყოფისაგან: იურიდიული პირის სახელწოდებას სამოქალაქო კოდექსი მე-18 მუხლით დაცულ სიკეთედ აღიარებს.

მუხლი 27. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი

1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

2. იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად.

კერძო საქართველოს იურიდიული პირების აუცილებელ რეკვიზიტს წარმოადგენს ადგილსამყოფელი, რომელსაც საქართველოს ენაზე იურიდიული მისამართი ეწოდება.

როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიული პირების წესდებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითება იურიდიულ მისამართზე. ამ მითითების გარეშე შესრულებული წესდება ჩაითვლება

ბათილად. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან და მეწარმეთა შესახებ კანონის 5.4.1 მუხლის „გ“ პუნქტიდან.

27-ე მუხლი იძლევა იურიდიული პირის ადგილსამყოფელის ლეგალურ დეფინიციას, კერძოდ, იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი, თუ იურიდიულ პირს სხვადასხვა ადგილას ჰყავს ადმინისტრაცია, მაშინ იგი ირჩევს ერთ-ერთს იურიდიული პირის ადგილსამყოფლად. თუ ფიზიკურ პირს აქვს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის უფლება, იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი, ყველა სხვა ადგილი, სადაც იურიდიული პირის ქვედანაყოფებია განთავსებული, ჩაითვლება იურიდიული პირის ფილიალის ადგილსამყოფლად.

მუხლი 28. იურიდიული პირის ფილიალი

1. იურიდიული პირის ფილიალი – განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

2. ფილიალი არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიანობას ეწევა იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე.

დასაუღეთის ქვეყნების სამართალში ფილიალის ცნება, როგორც წესი, კომერციული იურიდიული პირების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიმართ გამოიყენება. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ საქარმოს ფილიალის სამართლებრივი სტატუსი უფრო დაწვრილებით არის მოწესრიგებული მეწარმეთა შესახებ კანონის მე-16 მუხლში.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლს, იგი პრაქტიკულად მხოლოდ იურიდიული პირის ფილიალის ლეგალური დეფინიციის მოცემით შემოიფარგლება: ფილიალი არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელს გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

ფილიალი არ არის იურიდიული პირი. იგი არც თავისი სახელით გამოდის ურთიერთობებში და არც დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ეკისრება.

მუხლი 29. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები

იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც შეადგენს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, უნდა შეიქმნას მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.

კომერციული იურიდიული პირების სტატუსი საქართველოში მოწესრიგებულია კანონით მეწარმეთა შესახებ.

კომერციულ იურიდიულ პირად ჩაითვლება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც მისდევს სამეწარმეო საქმიანობას. სამეწარმეო საქმიანობის დეფინიცია კი მოცემულია ამ კანონის 1.1-ე მუხლში: სამეწარმეო საქმიანობა არის მართლწომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას კანონი მეწარმეთა შესახებ მიმართავს მათი ამომწურავი ჩამოთვლის პრინციპს. კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში. თავისუფალი ფანტაზიით საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი

ფორმების შექმნა არ დაიშვება. კანონმა განამტკიცა ყველა ის ორგანიზაციულ-საპარტლერო ფორმა, რომელთაც დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანია იცნობენ და რომლებიც თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობენ.

მეწარმეთა შესახებ კანონით მოწესრიგებული იურიდიული პირები პირობითად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველს განეკუთვნება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს). მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს.

კომერციული იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. კაპიტალური (ანუ კაპიტალისტური) საზოგადოებები. მათი შეზღუდვა დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებასთან. ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები, ე.ი. საზოგადოების წევრები, არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე. მაგრამ კრედიტორების დასაცავად აუცილებელია მინიმალური ქონების – კაპიტალის არსებობა. ამიტომაც ეწოდება მათ კაპიტალური საზოგადოებები. ამ ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი.

მუხლი 30. არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

1. იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს

დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის არაკომერციული იურიდიული პირის ხასიათს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებსა და ფონდის შემომწირველებს შორის დაუშვებელია.

2. კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც.

3. ფონდი არის იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არა ჰყავს წევრები.

კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა მიზანს არ შეადგენს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, შეიძლება არსებობდნენ კავშირისა (ასოციაციის) და ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი). როგორც კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას, კანონმდებელი ამჯერადაც მიმართავს იურიდიულ პირთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ამომწურავი რეგლამენტაციის პრინციპს: არასამეწარმეო სფეროში დასაშვებია მხოლოდ კავშირებისა და ფონდების დაფუძნება.

1. კავშირის ლეგალურ დეფინიციას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, *კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებებისაგან.*

კავშირი, როგორც არაკომერციული იურიდიული პირის ერთ-ერთი სახე, თანამედროვე მსოფლიოში დიდად გავრცელებულია.

საფეხბურთო და სხვა სპორტული კლუბები, დიდი სამეცნიერო თუ კულტურული დაწესებულებები და სხვა მსგავსი ორგანიზაციები არსებობენ კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

კავშირი კრებითი სახელწოდებაა იმ არაკომერციული გაერთიანებებისათვის, რომლებიც ჩვენი რეალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობენ: კლუბები, ცენტრები, ინსტიტუტები, აკადემიები, გაერთიანებები, ასოციაციები და ა.შ. ყველა თავსდება კავშირის ფორმაში. თუმცა ეს არ გამოირიცხავს, რომ „ცენტრი“ ან „ინსტიტუტი“ კომერციული იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაც არსებობდეს. მათ შორის განსხვავება ზუსტად აღსაქმელი რომ იყოს, კანონი იმპერატიულად მოითხოვს სახელწოდებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დართვას. მაგალითად, „საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ რეგისტრირებული კავშირი, ვოლფის კლუბი რეგისტრირებული კავშირი და ა.შ.

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როცა არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდებაში ჩართავენ ტერმინს „ასოციაცია“. ასოციაცია არ წარმოადგენს რაიმე სპეციალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. იგი კავშირის სინონიმია და დასავლეთის ქვეყნებში ზუსტად იმ გაგებით გამოიყენება, როგორც ჩვეთან კავშირი.

მართალია, კავშირი წევრობაზეა დაფუძნებული და ამიტომაც იგი კორპორაციულად ორგანიზებულ იურიდიულ პირებს განეკუთვნება, მაგრამ მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შეცვლისაგან. ეს კანონის უაღრესად მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც კავშირის არსებობის სტაბილურობას უზრუნველყოფს. მაგალითად, საფეხბურთო კლუბიდან რომელიმე ფეხბურთელის წასვლამ ან მწერალთა კავშირიდან რომელიმე მწერლის გასვლამ არ უნდა გამოიწვიოს კავშირის დაშლა.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს კავშირის

ორ სახეს: კავშირსა და არარეგისტრირებულ კავშირს (45-ე მუხლი). პირველი წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო მეორე — არა. პირველის რეგისტრაცია სავალდებულოა, ხოლო მეორისათვის კანონი ასეთ რაშეს არ ითვალისწინებს.

ფონდის ლეგალურ დეფინიციასაც სამოქალაქო კოდექსი იძლევა. 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ფონდი არის იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მიხედვით საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც წევრები არ ჰყავს.

განსხვავებით კავშირისაგან, რომელიც წევრთა გაერთიანების საფუძველზე იქმნება, ფონდს არა ჰყავს წევრები. იგი ქონების გაერთიანების შედეგად იქმნება კონკრეტული საერთო-სასარგებლო მიზნების მიხედვით. განსხვავება კავშირსა და ფონდს შორის პრაქტიკულად გამოიხატება მართვის ორგანოების სტრუქტურასა და მათი შექმნის წესში, ასევე იმაში, რომ ფონდი არ იცნობს წევრობის ინსტიტუტს.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში „ფონდი“ ასოცირდება იმ მრავალრიცხოვან სპეციალურ საბანკო ანგარიშებთან, რომლებზეც ხდება თანხების გადარიცხვა კონკრეტული საქველმოქმედო მიზნების მიხედვით. მაგალითად, ბავრატის ტაძრის აღდგენის ფონდი, დავით აღმაშენებლის ძეგლის მშენებლობის ფონდი. წყალდიდობით დაზარალებულთა დახმარების ფონდი და ა.შ. ამ ფონდებს თანამედროვე სამართალში „მკვლარი ფონდები“ ეწოდება, კინაიდან ისინი იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ. გადაცემული ქონების საფუძველზე ამ დროს იურიდიული პირი არ იქმნება, არამედ ხდება თანხის გადაცემა უკვე არსებული ორგანიზაციისათვის (მაგალითად, სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობა და ა.შ.), რათა მან წინასწარ განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს ეს ქონება.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფონდი არის იურიდიული პირი. უფრო ზუსტად ეს არის სამართლის სუბიექტად ქცეული ქონება. მას შეუძლია საკუთარი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე და ა.შ. ბუნებრივია, რომ „მკვდარ ფონდს“ ასეთი რამ არ შეუძლია. ამიტომ პრაქტიკულ კითხვაზე, გამოიწვევს თუ არა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლა ამ „მკვდარი ფონდების“ გაუქმებას ან რეორგანიზაციას, უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ეს ფონდები კვლავ დარჩება იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი დღემდე არსებობდნენ.

თუ ფონდის განსხვავება კერძო სამართლის ყველა სხვა დანარჩენი იურიდიული პირისაგან ადვილია და განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს, კავშირის განსხვავებაზე სხვა კორპორაციებისაგან უფრო დეტალურად უნდა შევჩერდეთ. უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია კავშირის განსხვავებაზე კომერციული იურიდიული პირებისაგან. როგორცაა, მაგალითად, შპს, სს და ა.შ. ზოგ განსხვავებაზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს:

ა. კავშირის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებს შორის დაუშვებელია. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი მნიშვნელოვან კომერციულ გარიგებებს ღებს და დიდ შემოსავალსაც იღებს. მაგრამ კლუბის წევრებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ რაიმე წილი კლუბის მოგებიდან. კომერციული იურიდიული პირები კი სწორედ იმიტომ იქმნება, რომ მათმა წევრებმა (პარტნიორებმა) მიიღონ მოგება. ასე, რომ კომერციული იურიდიული პირების მოგების განაწილება მათ წევრებს შორის სრულიად ბუნებრივია;

ბ. კომერციული იურიდიული პირების ქონება დაყოფილია წილებად (აქციებად), რომელთაც დამოუკიდებელი ქონებრივი ღირებულება აქვთ. წილთა შესაკუთრებს შეუძლიათ მათი თავისუფალი

გასხვისება. კავშირის ქონება წილებად არ არის დაყოფილი და არც მათი გასხვისებაა შესაძლებელი. კავშირის წევრი თავის წევრობას სხვა პირს ვერ მიჰყიდის;

გ. კომერციული იურიდიული პირებიდან წევრთა (პარტნიორთა) გასვლა ყოველთვის დაკავშირებულია ქონებრივ შედეგებთან (წილის კომპენსაცია, მოგების ნაწილის მიღება და ა.შ.). კავშირიდან წევრის გასვლას ასეთი ქონებრივი შედეგები არ მოსდევს. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწევრო შესატანების მიმართ;

დ. უმრავლეს კომერციულ იურიდიულ პირებში გათვალისწინებულია მინიმალური საწესდებო კაპიტალის შეტანის მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია იურიდიული პირის დაფუძნება. ეს ეხება შპს-ს, სს-ს, კოოპერატივს. მსგავსი რამ კავშირებისათვის უცხოა.

კავშირისა და ფონდის დახასიათებისას პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, შეუძლიათ თუ არა ამ არაკომერციულ იურიდიულ პირებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება კავშირებსა და ფონდებს სამეწარმეო საქმიანობის უფლებამოსილებას ანიჭებს, თუკი ეს საქმიანობა ემსახურება კავშირისა და ფონდის მიზნებს. მაგალითად, ქართული მეცნიერების განვითარების ფონდმა შეიძლება დააფუძნოს კომერციული ორგანიზაცია და მისი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით დააფინანსოს ფონდის მიზნები. მაგრამ რისი უფლებაც არაკომერციულ იურიდიულ პირებს არა აქვთ, ესაა მოგების განაწილების დაუშვებლობა კავშირის წევრებსა და ფონდის დამფუძნებლებს შორის.

II. საერთო ნორმები კავშირისა და ფონდის შესახებ

მუხლი 31. კავშირისა და ფონდის რეგისტრაცია

1. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო, ხოლო ფონდისას – იუსტიციის სამინისტრო.
2. რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. ფონდის შემთხვევაში ქონება უნდა მიესადაგებოდეს დასახულ მიზნებს.
3. რეგისტრაციისათვის აუცილებელია ყველა დამფუძნებლისა და გამგეობის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება და წესდება. კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მასალები წარედგინება კავშირის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს.
4. სასამართლომ გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ უნდა მიიღოს ერთი თვის ვადაში განცხადების შეტანის დღიდან. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რეგისტრაცია განხორციელებულად ჩაითვლება. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.
5. რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

1. კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის რეგისტრაციას გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს: კავშირი

და ფონდი, როგორც იურიდიული პირები, წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.

კავშირი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ სოფელში, დაბასა თუ ქალაქში და არ მოითხოვს დიდ ქონებრივ დაბანდებებს. აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობის არეალიც საკმაოდ ფართოა. დამფუძნებლებს რომ გაუადვილდეთ კავშირის შექმნა და რეგისტრაცია, სამოქალაქო კოდექსმა დეცენტრალიზაციის გზა აირჩია: იგი რეგისტრაციაში ტარდება სასამართლოში კავშირის ადგილსამყოფელის მიხედვით. რაც შეეხება ფონდს, იგი უფრო რთული ფორმაა. მისი დაფუძნებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ დამფუძნებლის სურვილი. ვინაიდან ფონდი ქონების გაერთიანების საფუძველზე იქმნება, აუცილებელია იმის შემოწმება, მიესადაგება თუ არა ეს ქონება ფონდის მიზნებს. ამის შემოწმება კი სპეციალურ ცოდნასა და მეთოდოკასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, კონტროლი ფონდებზე სახელმწიფოს მხრიდან უფრო მკაცრია, ვიდრე კავშირებზე. ამიტომ ფონდის რეგისტრაციისას სამოქალაქო კოდექსი ცენტრალიზების გზას დაადგა: ფონდის რეგისტრაცია ხდება იუსტიციის სამინისტროში.

რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინ, როცა წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს (31-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). როგორც ჩანს, წესდების, როგორც დამფუძნებელთა ნების გამოვლენის, ნამდვილობისათვის კანონი ისეთივე მოთხოვნებს ითვალისწინებს, რასაც გარიგების ნამდვილობისათვის. შეესაბამება თუ არა წესდება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მოწმდება ჯერ ნოტარიუსის მიერ,

ხოლო შემდეგ – სასამართლოს ან იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრაციისას.

რეგისტრაციისათვის სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს) უნდა წარედგინოს განცხადება რეგისტრაციის შესახებ და წესდება, თორვე ამ დოკუმენტს ხელს უნდა აწერდნენ დამფუძნებლები და გამგეობის წევრები.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლაძღე დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაციის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1511-ე მუხლის მიხედვით მათი ხელახალი რეგისტრაცია უნდა მოხდეს 1999 წლის 1 სექტემბრამდე. ხელახალი რეგისტრაცია სავალდებულოა შაშინაც, თუ დამფუძნებლები ან წევრები მიიღებენ გადაწყვეტილებას წესდებაში ან სხვა დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის ააობაზე.

განსხვავებით ახლადდაფუძნებული კავშირის ან ფონდის დამფუძნებელი დოკუმენტებისაგან, ხელახალი რეგისტრაციის დროს კავშირის ან ფონდის დამფუძნებლების ხელმოწერა წესდებაზე ან განცხადებაზე სავალდებულო არ არის. ეს აიხსნება იმით, რომ ხანგრძლივი საქმიანობის შედეგად, როგორც წესი, კავშირის წევრთა რაოდენობა მრავალრიცხოვანი ხდება. შეუძლებელია, რომ ამ დროს ყველა წევრმა მოაწეროს ხელი წესდებას და განცხადებას ხელახალი რეგისტრაციის შესახებ. ამიტომ არაკომერციული იურიდიული პირების ხელახალი რეგისტრაციისათვის სამოქალაქო კოდექსი უფრო გამარტივებულ პროცედურას ითვალისწინებს, კერძოდ, ამისათვის აუცილებელია:

ა. არაკომერციული იურიდიული პირების იმ ორგანოთა გადაწყვეტილება, რომლებიც მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის ან ამ იურიდიული პირების წესდების შესაბამისად უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვე-

ტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის ან მათი რეორგანიზაციის შესახებ;

ბ. წესდების ახალი რედაქცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს (1511-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ მიიღება განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში. თუ ამ ვადაში არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული (დადებითი ან უარყოფითი) რეგისტრაცია განხორციელებულად ჩაითვლება (რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია).

რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია არ ნიშნავს ავტომატურ რეგისტრაციას. იგა უფლებას იძლევა მოითხოვონ კავშირის ან ფონდის დამფუძნებლებმა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ.

რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესს. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (31-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

რეგისტრაციისათვის წარდგენილი საბუთები დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით. სანოტარო წესით დამოწმებაა ასევე საჭირო წესდებასა თუ გამგეობის წევრთა შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებებისათვის. ეს ცვლილებები ასევე უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

მუხლი 32. კავშირისა და ფონდის წესდება

1. კავშირისა და ფონდის ორგანიზაცია და სტრუქტურა წესდებშია წესდებით.

2. წესდება უნდა შეიცავდეს:

ა. საქმიანობის მიზნებს;

ბ. სახელწოდებას;

- გ. ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
- დ. ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესს;
- ე. კავშირის ან ფონდის დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრის სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესებს;
- ვ. კავშირის წევრთა უფლებამოსილებას.

3. წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა მონაცემებსაც, სახელდობრ:

- ა. მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციებს;
- ბ. კავშირის წევრთა კრების უფლებამოსილებას.

4. ფონდის წესდება, ამ მუხლის მეორე ნაწილში მოცემულის გარდა, უნდა შეიცავდეს:

- ა. შესაწირავის მინიმალურ ოდენობასა და სახეს;
- ბ. მითითებებს თანხის გამოყენების შესახებ.

5. წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

წესდება ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი კავშირისა და ფონდის დასაფუძნებლად აუცილებლად მიიჩნევს. იგი კავშირისა და ფონდის ორგანიზაციასა და სტრუქტურას აწესრიგებს. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ წესდება შიდაორგანიზაციული აქტია, რომლის მინიმალურ რეკვიზიტებსაც კოდექსი განსაზღვრავს. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ კრედიტორებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, საქმიანობის საგანზე, ხელმძღვანელ ორგანოებზე, გადაწ-

ყვეტილებათა მიღების პროცედურაზე, წევრობაზე და ა.შ. წინააღმდეგ შექმნივებაში ადვილი მოსალოდნელი იქნებოდა ქაოსი სამართლებრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლში დეტალურად არის განსაზღვრული წესდების რეკვიზიტები. თუ წესდება ამ მონაცემებს არ შეიცავს, მაშინ იგი ბათილად მიიჩნევა და კავშირი ან ფონდი რეგისტრაციაში არ უნდა გატარდეს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ წესდების სავალდებულო და ფაკულტატური რეკვიზიტები. პირველი აუცილებელია ყველა წესდებისათვის, მეორე კი დამოკიდებულია დამფუძნებელთა ნებაზე; სურთ, თუ არა მათ ამ დებულებათა შეტანა.

კავშირისა და ფონდის დაფუძნებისას წესდების სავალდებულო რეკვიზიტებს განეკუთვნება: ა. საქმიანობის მიზნები; ბ. სახელწოდება; გ. ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი); დ. ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესი; ე. კავშირისა და ფონდის დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესები; ვ. კავშირის წევრთა უფლებამოსილება. ფონდის წესდებისათვის დამატებით სავალდებულოა: ა. შესაწირავის მინიმალური ოდენობა და სახე; ბ. მითითებები თანხის გამოყენების შესახებ.

წესდების ფაკულტატური რეკვიზიტებია: ა. მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციები; ბ. კავშირის წევრთა კრების უფლებამოსილება.

წესდებაზე აუცილებელია ყველა დამფუძნებლის ხელმოწერა. წესდება უნდა დამოწმდეს სახოტარო წესით.

მუხლი 33. რეგისტრაციის მონაცემები

1. კავშირისა და ფონდის რეგისტრაციის დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს, საქმიანობის მიზანს. წესდების მიღების თარიღს, დამფუძნებლების ვინაობას, გამგეობის წევრთა ვინაობასა და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვებს.

2. რეგისტრაციის მონაცემები უნდა გამოქვეყნდეს.

3. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის ჩანაწერებს და მოითხოვოს წერილობითი ამონაწერები.

ინფორმაცია კავშირისა და ფონდის რეგისტრაციის შესახებ ქვეყნდება პრესაში. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. გარდა ამისა, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის ჩანაწერებს და მოითხოვოს წერილობითი ამონაწერები. პრესაში ამ ინფორმაციის გამოქვეყნების მოვალეობა აკისრია იუსტიციის სამინისტროს.

მუხლი 34. ცვლილებების რეგისტრაცია

ცვლილებები, რომლებიც საჭიროებენ რეგისტრაციას, გამგეობამ დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს) ხანოტარო წესით დამოწმებული ფორმით. ისინი შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება.

34-ე მუხლით გათვალისწინებულ „ცვლილებებს, რომლებიც საჭიროებენ რეგისტრაციას“, განეკუთვნება 32-33-ე მუხლებით გათვალისწინებული მონაცემები. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს გამგეობის წევრთა შეცვლა. ამის გამო, რომ გამგეობის წევრთა ვინაობა წესდების შემადგენელი ნაწილია. გამგეობის წევრთა შეცვლა წესდებაში ცვლილებების შეტ-

ანის გზით ხდება. წესდებაში ცვლილებისათვის კი აუცილებელია ამ ცვლილებათა დამოწმება სახელმწიფო წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილება არ ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ.

მუხლი 35. სახელმწიფო კონტროლი კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე

სასამართლომ (იუსტიციის სამინისტრომ) უნდა გააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

კავშირები და ფონდები დიდი საზოგადოებრივი ძალის ორგანიზაციებია. ღია საზოგადოების პირობებში ისინი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამიტომ მათზე კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის ბუნებრივი თანამდევია. კონტროლის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს რეგისტრაციის გაუქმება. სამოქალაქო კოდექსი რეგისტრაციის გაუქმების რამდენიმე საფუძველს იცნობს. ერთერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს კავშირის ან ფონდის მიერ საქმიანობის ჩასიათის შეცვლა. კერძოდ, რეგისტრაცია უქმდება, თუ ეს ორგანიზაციები არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადავიდნენ. ამ საფუძველით რეგისტრაციის გაუქმებისას ვასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კავშირსა და ფონდს პრინციპულად აქვთ კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება. ასეთი საქმიანობით მიღებული შემოსავალი მათ მიზნებს უნდა ხმარდებოდეს. ბუნებრივად დაიბადება კითხვა: როგორ უნდა განისაზღვროს, არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადავიდნენ თუ არა კავშირი და ფონდი? ამ შემთხვევაში ორი ძირითადი კრიტერიუმია განმსაზ-

ღვრელი: ა. გამოიყენება თუ არა საბეწარშეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი კავშირისა და ფონდის მიზნებისათვის და ბ. ხომ არ ინაწილებენ ამ საქმიანობით მიღებულ შემოსავალს მოგების სახით კავშირის წევრები და ფონდის დამფუძნებლები. თუ ეს ორი პირობა დაირღვა, მაშინ რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს.

რეგისტრაციის გაუქმების სხვა ზოგადი საფუძვლები გამოძიწნარეობს 31-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: ა. თუ კავშირის ან ფონდის მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს; ბ. თუ ფონდის ქონება აღარ მიესადაგება ფონდის მიზნებს.

მუხლი 36. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. ხელმძღვანელობის უფლება აქვთ გამგეობის წევრებს და, ცალკეულ შემთხვევებში, სპეციალურ წარმომადგენლებს. ეს ამავდროს მათ მოვალეობას შეადგენს.

2. ხელმძღვანელობის ფარგლები განისაზღვრება წესდებით კავშირის ან ფონდის მიზნების შესაბამისად.

3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პირის მიერ საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილებას, ან აწესებდეს ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივ ხელმძღვანელობას.

4. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, თუ რომელი მოქმედების განხორციელება საჭიროებს სხვა საკონტროლო ორგანოების თანხმობას.

კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ კავშირი და ფონდი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამგვარი გადაწყვეტის ძირითადი მიზანი არის კრედიტორებისა და მესამე პირთა უფლებებისა და

ინტერესების დაცვა. თუ ჩვენ კავშირისა და ფონდის შესვეურებას იმის უფლებას მივცემდით თვითონ განესაზღვრათ ორგანოს სახეები, ეს დიდ არასტაბილურობას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში ძნელი იქნებოდა იმის ვარკვევა, თუ ვინ არის რეალურად უფლებამოსილი გასწიოს ხელმძღვანელობა კავშირისა და ფონდის შიგნით ან წარმოადგინოს ისინი გარეშე პირებთან ურთიერთობაში.

ორგანო, რომელიც საერთოა კავშირისა და ფონდისათვის და აღჭურვილია ხელმძღვანელობისა და წარმომადგებლობის უფლებამოსილებით, არის გამგეობა. გამგეობა შედგება გამგეობის წევრებისაგან. მათი არჩევის წესი განსხვავდება კავშირისა და ფონდში. გამგეობის წევრები უფლებამოსილი არიან უხელმძღვანელონ კავშირსა და ფონდს. იმავედროულად ეს მათ მოვალეობასაც შეადგენს. ამ ხელმძღვანელობის ფარგლებს ორგანიზაციის შიგნით განსაზღვრავს წესდება (36-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გამგეობა შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე წევრისაგან. თუ გამგეობა რამდენიმე წევრისაგან შედგება, მაშინ დადგება მათ შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი. წესდებას შეუძლია გამგეობის წევრებს მიანიჭოს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ანდა დააწესოს ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა. როცა წესდება ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივი ხელმძღვანელობას ითვალისწინებს, მაშინ დადგება საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრაქტიკულად – როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილებები მიღებული, რა წესით უნდა წარმოადგინონ გამგეობის წევრებმა კავშირი ან ფონდი? ყველა ეს საკითხი პრაქტიკული მნიშვნელობისაა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: გამგეობა შედგება ათი წევრისაგან. კავშირმა უნდა იქირავოს შენობა ოფისისათვის, ე.ი. უნდა დადოს ქირავნობის ხელშეკრულება. წესდებით გამგეობის წევრები ერთობლივი ხელმძღვანელობისათვის არი-

ან უფლებამოსილნი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქირავნობის ხელშეკრულებას კავშირის სახელით ყველა ათივე წევრმა უნდა მოაწეროს ხელი? ანდა ფართის გამქირავებელი ვალდებულია, რომ გამგეობის ყველა წევრთან აწარმოოს მოლაპარაკება? ეს დიდ სირთულეებს შექმნიდა. ამიტომ როცა ხელმძღვანელობის ერთობლივ უფლებამოსილებაზეა საუბარი, იგულისხმება გადაწყვეტილებების მიღების ფორმა თვით გამგეობის შიგნით. გარე ურთიერთობებში კი გამგეობის ერთ-ერთი წევრის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ.

მუხლი 37. გამგეობის კომპეტენცია მესამე პირებთან ურთიერთობაში

1. გამგეობა წარმოადგენს კავშირს ან ფონდს მესამე პირებთან ურთიერთობებში. წესდებამ უნდა მოაწესრიგოს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები იმოქმედებენ ერთპიროვნულად, რამდენიმე თუ ყველა ერთობლივად.

2. წესდებით შეიძლება შეიზღუდოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამ შეზღუდვებს მესამე პირთათვის ძალა აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი რეგისტრირებულია რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მესამე პირებმა იცოდნენ ამ შეზღუდვების შესახებ.

3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კავშირის ან ფონდის სპეციალური წარმომადგენლის არსებობას. წესდებამ უნდა მოაწესრიგოს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები და წარმომადგენლობის ფორმა, რაც ასევე უნდა იქნეს რეგისტრირებული.

შიდახელმძღვანელობითი საქმიანობის გარდა, გამგეობის წევრები უფლებამოსილნი არიან სპეციალური მინდობილობის გარეშე

წარმომადგენელთა კავშირი და ფონდი მესამე პირებთან ურთიერთობაში. მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

გამგეობის წევრების გარდა, კავშირისა და ფონდის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს ასევე „სპეციალურ წარმომადგენელს“ (36-ე მუხლის პირველი ნაწილი). სპეციალური წარმომადგენელი არ არის გამგეობის წევრი, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მას უფლება აქვს უხელმძღვანელოს კავშირის ან ფონდის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს და გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამ სფეროებს შეიძლება განეკუთვნოს: ფონდის ან კავშირის გაზეთის (ჟურნალის) გამოცემა, პრესასთან ურთიერთობა, სპორტული ან სხვა განყოფილების ხელმძღვანელობა და ა.შ. რადგანაც ზემოდასახელებულ სფეროებში სპეციალურ წარმომადგენელს გარიგებების დადება უხდება, იგულისხმება, რომ იგი ამ გარიგებათა დასადებად სათანადო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.

მუხლი 38. ზიანის ანაზღაურება

1. კავშირი და ფონდი პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგათ მესამე პირებს გამგეობის წევრების ან სხვა წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

2. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები საქმეს კეთილხინდისიერად უნდა უძღვებოდნენ. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, კავშირის ან ფონდის წინაშე პასუხს აგებენ წარმომობილი ზიანისათვის. უარის თქმა ზიანის ანაზღაურების მოთ-

ხოვნაზე ბათილია, თუკი იგი აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

3. კავშირისა და ფონდის ვალდებულებებისათვის მათი წევრები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებენ პასუხს კავშირი და ფონდი მათი წევრების ვალდებულებებისათვის.

მართალია, გამგეობის წევრების უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა, როგორც ხელმძღვანელობის, ისე წარმომადგენლობის სფეროში, მაგრამ პასუხისმგებლობაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ მათი ბრალეული მოქმედების გამო კავშირს ან ფონდს ზიანი მიაღვათ, ისინი თავიანთი პირადი ქონებით აგებენ პასუხს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუშვებელია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გამგეობის წევრების ან სპეციალური წარმომადგენლების მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს ის, რომ ისინი კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდნენ კავშირისა და ფონდის საქმეებს. „კეთილსინდისიერად გაძლილის“ დეფინიციას კანონი არ აძლევს. ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. თუმცა, ამ მოვალეობის დარღვევა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია: წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან ამ მოვალეობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანი აუნაზღაურონ კავშირსა და ფონდს. 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი აქ იმპერატიულ ნორმას განამტკიცებს: კავშირსა და ფონდს არა აქვთ უფლება, გამგეობის წევრები ან სპეციალური წარმომადგენლები გაათავისუფლონ პასუხისმგებლობისაგან, თუ ზიანის ანაზღაურება აუცილებელია მესამე პირების დასაკმაყოფილებლად.

კავშირისა და ფონდის ქონება დამოუკიდებელია მათი წევრების ან დამფუძნებლების ქონებისაგან. თუ კომერციული იურიდიული პირების დროს კანონმდებელი ითვალისწინებს პარტნიორთა პასუხ-

ისმგებლობას, არაკომერციული იურიდიული პირების დროს ეს გამორიცხულია. კავშირის წევრები და ფონდის დამფუძნებლები კავშირისა და ფონდის ვალებზე პასუხს არ აგებენ.

მუხლი 39. კავშირისა და ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კავშირისა და ფონდის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება განაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

4. ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები შეიძლება განისაზღვრონ წესდებით. სასამართლო ან იუსტიციის სამინისტრო დარჩენილ ქონებას შესაბამისად გადასცემს ერთ ან რამდენიმე კავშირს ან ფონდს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც – ლიკვიდირებული კავშირი ან ფონდი. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

5. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

6. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს)

შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები.

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია გულისხმობს კავშირისა და ფონდის, როგორც იურიდიული პირების ამოშლას რეესტრიდან და არსებობის შეწყვეტას. ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი. იგი პროცესია და გრძელდება მანამ, სანამ ამ იურიდიული პირების კრედიტორები არ დაკმაყოფილდებიან და არ დასრულდება მიმდინარე საქმეები.

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის მრავალი საფუძველი არსებობს. ზოგ მათგანზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს. კერძოდ, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევას შუღევად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება ლიკვიდაციის შესახებ. კავშირის შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია კავშირის წევრთა საერთო კრებას. კანონში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ ხმათა რა რაოდენობაა საჭირო ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამას წესდება განსაზღვრავს. მაგრამ 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის ანალიზის შუღევად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა რაოდენობა არ უნდა იყოს ორ მესამედზე ნაკლები. ფონდის შემთხვევაშიც ლიკვიდაციაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს წესდება. მაგრამ სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაშიც მიუთითებს ამგვარ პირებზე. ერთ შემთხვევაში ესაა დესტინატურები, ხოლო მეორე შემთხვევაში – იუსტიციის სამინისტრო (46-ე მუხლი).

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის პროცედურას ხელმძღვანელობს გამგეობა. მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევების არსე-

ზობისას შეიძლება სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ასეთ დანიშვნას კავშირის ლიკვიდაციისას ახდენს სასამართლო, ხოლო ფონდის ლიკვიდაციისას – იუსტიციის სამინისტრო. ლიკვიდატორების უფლებამოსილება იგივეა, რაც გაბგეობის წევრების. ასევე იდენტურია მათი პასუხისმგებლობაც კავშირის ან ფონდის წინაშე.

სალიკვიდაციო პროცესის ბოლო ეტაპი კავშირის ან ფონდის დარჩენილი ქონების განაწილებაა. თუ ვის უნდა გადაეცეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება, წესდების გადასაწყვეტია. თუ წესდება ასეთ უფლებამოსილ პირებს არ განსაზღვრავს, მაშინ ქონება ავტომატურად არ ნაწილდება კავშირის წევრებს ან ფონდის დამფუძნებლებს შორის. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებს შორის. ამ უკანასკნელთა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. კავშირის ან ფონდის შემთხვევაში სასამართლო ან იუსტიციის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას, რომ დარჩენილი ქონება გადაეცეს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე კავშირს ან ფონდს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული კავშირი ან ფონდი. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ფონდების ლიკვიდაციის შემთხვევაში, დარჩენილი ქონება შეიძლება გადაეცეთ ფონდის დესტინატურებს.

ინფორმაცია კავშირის ან ფონდის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონების განაწილება კი შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

III. სპეციალური ნორმები კავშირის შესახებ

მუხლი 40. გამგეობა

1. გამგეობას ირჩევს წევრთა კრება ოთხი წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე. წესდება განსაზღვრავს ასევე გამგეობის წევრთა საქმიანობის ანაზღაურების საკითხს.

2. გადაწყვეტილება გამგეობის არჩევის შესახებ შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს. გაუქმების საკითხი წესდებით შეიძლება დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობასთან.

3. თუ გამგეობის წევრთა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას, სასამართლოს შეუძლია გარდამავალი დროისათვის დანიშნოს წევრები იმავე კავშირიდან. ასეთ შემთხვევაში გამგეობის წევრებმა უნდა მოიწვიონ წევრთა საერთო კრება, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ოთხი წლის ვადით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვადით არჩევასაც. გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც კავშირის წევრები, ისე გარეშე პირებიც.

იმ ზოგადი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გარდა, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, წესდება დაწვრილებით უნდა აწესრიგებდეს გამგეობის კომპეტენციას, უნდა ჩამოთვლიდეს იმ შეზღუდვებს, რომლებიც სავალდებულო იქნება გამგეობისათვის. მაგალითად, თუ საკითხი ეხება კავშირის უძრავი ქონების დაგირავებას ან მის გასხვისებას, აუცილებელია კავშირის წევრთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში გარიგება ჩაითვლება ბათილად.

კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელია გამგეობის არჩევა. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირის დაფუძნებლები კავშირის დაფუძნებისას ირჩევენ გამგეობას. წესდებით უნდა განისაზღვროს ასევე გამგეობის წევრობა რაოდენობა. თუ გამგეობის წევრობა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით დადგენილ მინიმალურ ოდენობას, მაშინ გამგეობის დანარჩენ წევრებს სასამართლო ნიშნავს გარდამავალი დროისათვის, ვიდრე არ იქნება საერთო კრება მოწვეული.

გამგეობის წევრობა დაძვარებულია ნდობაზე, რომელიც კავშირის წევრებს გამგეობის წევრების მიმართ აქვთ ამიტომ შრომის ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება კავშირსა და გამგეობის წევრებს შორის არ ფორმდება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება გამგეობის არჩევის შესახებ შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს (მე-40 მუხლის მე-7 ნაწილი). ეს პრაქტიკულად გამგეობის წევრების გამოწვევას ნიშნავს. გამგეობის წევრების გამოწვევა შეიძლება დამოკიდებული იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე. მნიშვნელოვანი საფუძვლის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების დროს უნდა გადაწყდეს.

მუხლი 41. კავშირის წევრობა საერთო კრება

1. კავშირის წევრობა საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც, ან როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს წევრობა მეათედის წერილობითი მოთხოვნით და კრების დღის წესრიგის მითითებით.

2. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან კავშირის ბუკდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

3. წევროთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კავშირის ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში. გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

4. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევროთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე – ორი მესამედის უმრავლესობით. კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.

იმის გამო, რომ კავშირი წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია, ეს წევრები განსაზღვრავენ კავშირის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს. ამიტომაც კავშირის წევროთა საერთო კრება წარმოადგენს კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოს. კავშირის წევრები კავშირისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კრების მეშვეობით იღებენ. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კრების მოწვევის პროცედურას და მასზე გადაწყვეტილებების მიღების წესს.

კავშირის წევროთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით. როგორც წესი, კავშირი მრავალი წევრისაგან შედგება. ყველა წევრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგაზავნა პრაქტიკულად რთულია. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კრება მოწვეულ იქნეს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით. თუ კონკრეტულად რომელ ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს განცხადება კრების მოწვევის შესახებ, ამას კავშირის წესდება განსაზღვრავს. განცხადება კრების

3. წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კავშირის ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში. გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

4. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე – ორი მესამედის უმრავლესობით. კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.

იმის გამო, რომ კავშირი წევრობაზე დაფუძნებული თურიდიული პირია, ეს წევრები განსაზღვრავენ კავშირის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს. ამიტომაც კავშირის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოს. კავშირის წევრები კავშირისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კრების მეშვეობით იღებენ. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კრების მოწვევის პროცედურას და მასზე გადაწყვეტილებების მიღების წესს.

კავშირის წევრთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით. როგორც წესი, კავშირი მრავალი წევრისაგან შედგება. ყველა წევრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგაზავნა პრაქტიკულად რთულია. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კრება მოწვეულ იქნეს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით. თუ კონკრეტულად რომელ ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს ვანცხადება კრების მოწვევის შესახებ, ამას კავშირის წესდება განსაზღვრავს. ვანცხადება კრების

მოწვევის შესახებ უნდა გაკეთდეს კრების ჩატარების დღემდე ორი კვირით ადრე მაინც (41-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საერთო კრების მოწვევის პერიოდულობა კავშირის წესდებაზეა დამოკიდებული. მაგრამ მინიმალურ ნორმებს კანონი აქაც განსაზღვრავს – კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იქნეს მოწვეული. კრების მოწვევის სხვა პერიოდულობა დამოკიდებულია კავშირის ინტერესებზე. საერთო კრების მოწვევა შეუძლია ასევე წევრთა ერთ შეათედს (41-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მიუხედავად იმისა, თუ ვინ იწვევს კრებას – გამგეობა თუ კავშირის წევრები – კრების მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს კრების დღის წესრიგი. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და მას მნიშვნელოვანი სამართლებრივ შედეგი უკავშირდება. კერძოდ, ისეთ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დღის წესრიგში წინასწარ არ იყო შეტანილი, ბათილია (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ ნორმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კავშირის წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ განსახილველ საკითხს და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით არ შეიღებოს როგორც კავშირის წევრთა, ისე მთლიანად კავშირის ინტერესები.

მართალია, საერთო კრება კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა, მაგრამ მისი კომპეტენცია არ არის შეუზღუდავი. საერთო კრების კომპეტენციას განსაზღვრავს კავშირის წესდება, თუმცა კანონი მინიმალურ მოთხოვნებს აქაც აწესებს: გამგეობის კომპეტენციაში შემავალი საკითხები არ შეიძლება გადაწყვიტოს საერთო კრებამ (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ რა შედის გამგეობის კომპეტენციაში, ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს კანონი (მაგალითად, კავშირის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში), ხოლო მეორე შემთხვევაში – თვითონ წესდება. კანონით განსაზღვრული კომპეტენციის შეცვლა წესდებით დაუშვებელია, ე.ი. წესდება ვერ დააკისრებს საერთო კრებას, რომ ამ უკანასკნელმა წარმოად-

გინოს კავშირი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეს გაშვების პრეროგატივაა.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი და პროცედურა. 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. იმავდროულად, კანონი განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელთა გადასაწყვეტად ხმათა უბრალო უმრავლესობა საკმარისი არ არის. წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია ხმათა ორი მესამედი, ე.ი. 75%-ზე მეტი, ხოლო კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება ყველა წევრის ხმათა ოთხი მეხუთედი, ე.ი. 80%-ზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას იგულისხმება კავშირის წევრების მონაწილეობა კრების მუშაობაში. მაგრამ კანონი იმის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, რომ კავშირის წევრებმა კრებაზე დაუსწრებლად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში, ამისათვის კი საჭიროა წერილობითი შეტყობინება.

ზემოაღნიშნულ პროცედურულ საკითხებს, როგორც დაეინახეთ, კანონი საკმაოდ დაწვრილებით არეგულირებს. ეს არაა შემთხვევითი. ყველა გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას, რომლის შედეგებიც კავშირის წევრებს ეხება უშუალოდ. კანონმა უნდა დაიცვას მათი ინტერესები. მით უფრო, რომ საერთო კრების კომპეტენცია კავშირის შიდა საკითხების დარეგულირებაა: კავშირისა და კავშირის წევრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება. კავშირის აღმასრულებელი ორგანოების არჩევა და მათზე კონტროლის განხორციელება და ა.შ.

კომისიებისაგან განსხვავებული ფუნქციები ეკისრებათ საკონსულტაციო საბჭოებს, რომლებიც ასევე კავშირის წევრობა საერთო კრების ძიერ იქმნება. მათი საქმიანობა ცალკეულ საკითხებზე რჩევების მიცემით შემოიფარგლება და სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლება მათ არა აქვთ. ამიტომაც უშვებს სამოქალაქო კოდექსი იმის შესაძლებლობას, რომ საკონსულტაციო საბჭოების წევრები იყვნენ კავშირის არაწევრებაც (43-ე მუხლის მე-2 წინადადება).

მუხლი 44. კავშირის წევრობა

1. კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე ან წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს კავშირიდან. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გასვლის განსაზღვრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ გასვლის ვადის დაწესება სავალდებულო არ არის.

3. წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც შემკვიდრეობით გადადის, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას წევრობა საერთო კრებას შეუძლია წევრი გარიცხოს კავშირიდან. გარიცხულ წევრს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

5. თუ წევრობის მსურველთათვის კავშირი ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას საარსებო სოციალური ან სხვა ამოცანების განხორციელებისას, მაშინ ამ პირს აქვს კავშირში გაწევრიანების მოთხოვნის უფლება, თუკი წევრად მისი მიღება არ

ეწინააღმდეგება კავშირის ძირითად პრინციპებს.

კავშირის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. კავშირის წევრობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იურიდიული პირი კერძო სამართლისაა თუ საჯარო სამართლის, კომერციულია თუ არაკომერციული.

კავშირის წევრობა შეიძლება წარმოიშვას კავშირის დაფუძნების ან არსებულ კავშირში წევრად შესვლის შედეგად. კავშირის დაფუძნებისას, თუ კავშირში წევრად შესვლისას ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების გამოვლენასთან, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ამიტომ ასეთი ნების გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას.

კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ. ამისათვის აუცილებელია წევრობის მსურველის წერილობითი განცხადება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გაწევრიანების სხვა პირობებსაც. პრაქტიკულად დაისმება საკითხი, თუ რა პროცედურაა აუცილებელი გაწევრიანებისათვის. კანონი დაწვრილებით ამის შესახებ არაფერს ამბობს. ეს პროცედურა ცალკეული კავშირის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კავშირში წევრობის მსურველი პიროვნების შესწავლა, მისი განცხადების განხილვა გამგეობის სხდომაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევებში გაწევრიანებისათვის საკმარისია ე.წ. კავშირისათვის მიერთების განცხადება, რომლითაც შემსვლელი აღიარებს კავშირის წესდებას და კისრულობს ვალდებულებას, რომ დაიცავს წესდებით გათვალისწინებულ წესებს. არის შემთხვევები, როცა კავშირის წესდება წევრად მიღებას ითვალისწინებს ავტომატურად — ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების შედეგად, მაგალითად, საწევროს შეტანა და ა.შ.

კავშირის წევრობა პირადი ხასიათის უფლებაა. კომერციულ საზოგადოებებში წევრობისაგან განსხვავებით, იგი არ არის ქონებ-

ამიტომ უფრო საყურადღებოა წევრობის დაკარგვის სხვა საფუძვლების განხილვა. როგორც კავშირში გაწევრიანებაა ნებაყოფლობითი, ასევე ნებაყოფლობითია კავშირიდან გასვლაც. ყოველი წევრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კავშირიდან გასვლის შესახებ. ამასთან, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კავშირიდან გასვლის განსაზღვრულ ვადას. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ამ შეზღუდვის მიზანია არარაობად არ იქცეს კავშირიდან გასვლის უფლება და წევრს არ შეექმნას დაუსაბუთებელი წინააღობები ამ უფლების განხორციელების პროცესში. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ გასვლის ვადის დაწესება საკლდებულო არ არის. თუ რა უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, სამოქალაქო კოდექსი ამას არ განსაზღვრავს. ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. წევრობის დაკარგვის ყველაზე მძიმე შემთხვევაა კავშირიდან გარიცხვა. ამ დროს წევრობის დაკარგვა კავშირის წევრის ნების საწინააღმდეგოდ ხდება და რეპრესიული, დასჯითი ღონისძიების ხასიათს ატარებს. სამოქალაქო კოდექსი კავშირიდან წევრის გარიცხვის უფლებას მხოლოდ წევრთა საერთო კრებას აძლევს. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიცხულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად (44-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

კავშირის წევრობა დაკავშირებულია განსაზღვრულ უფლებამოვალეობებთან, რომელთა ერთობლიობა შეადგენს კავშირის წევრობის შინაარსს. ამ უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს კანონი არ ითვალისწინებს. ეს კავშირის წესდების საქმეა. იმავდროულად, წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა წესდების საკლდებულო რეკვიზიტია. კავშირის რეგისტრაციისას წესდება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კავშირის წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს.

კავშირის წევრის მოვალეობათაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საწევრო შესატანის შეტანის მოვალეობა. როგორც წესი, წესდება თანაბრად განსაზღვრავს წევრთა შესატანის ოდენობას. თუმცა, არ არის გამორიცხული შესატანის ღირებულების ცვლილება. პრაქტიკულად ეს ზდება მაშინ, როცა ფიზიკურ პირებთან ერთად კავშირის წევრებად გვევლინებიან იურიდიული პირებიც. მათი შესატანის ოდენობა ოდნავ მეტია. ვიდრე ფიზიკური პირების. მიუხედავად შესატანის ოდენობის განსხვავებულობისა, წევრებს მაინც თანაბარი უფლებები აქვთ. მაგრამ წესდება აქაც შეიძლება ითვალისწინებდეს პრივილეგირებულ უფლებებს.

კავშირის წევრთა უფლებებს ლიტერატურაში ორ ჯგუფად ყოფენ: უფლებები კავშირის ორგანიზაციის სფეროში და ე.წ. სარგებლის მიღების უფლებები. პირველს განეკუთვნება ხმის უფლება, კავშირის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, გამგეობისა და სხვა ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კონტროლის უფლება და ა.შ. მეორე ჯგუფის უფლებებს შეადგენენ კავშირის წევრთათვის გათვალისწინებული ზოგი უპირატესობით სარგებლობის უფლებები. მაგალითად, საფეხბურთო კლუბის წევრებს უფლება აქვთ არაწევრებთან შედარებით უფრო იაფად შეიძინონ საფეხბურთო მატჩებზე ბილეთები, ამა თუ იმ სპორტული კლუბის წევრებს შეუძლიათ სხვებთან შედარებით უპირატესად ისარგებლონ ამ კლუბის სპორტული მოედნებით ან სხვა სპორტული მოწყობილობებით.

თანამედროვე კავშირების საქმიანობის იმანენტურ ნაწილს შეადგენს წევრების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება. ამ ღონისძიებათა ძირითად მიზანს შეადგენს კავშირის წევრების მიერ წესდებით აღიარებული წესების დაცვის უზრუნველყოფა. ვინც თანამედროვე სპორტული კავშირების მოღვაწეობას აღევნებს თვალყურს, აშკარად დარწმუნდება, თუ რა ხში-

რად და რა ეფექტურად იყენებენ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციები, როგორცაა ფიფა, უეფა, ფიდე, ნაციონალური საფეხბურთო ფედერაციები, ცალკეული სპორტული კლუბები და ა.შ. ამ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა სახეები სრულიად განსხვავებულია. სპორტულ სამყაროში მათ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: სპორტსმენთა დისკვალიფიკაცია, თამაშის უფლების ჩამორთმევა და ა.შ. კავშირების საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ამ ღონისძიებათა ფორმები და სახეები სრულიად განსხვავებულია. თანამედროვე სამართალი აღიარებს კავშირის შავნით მოქმედი დისციპლინური ღონისძიებების იურიდიულ ძალას. იმავდროულად კავშირის წევრებს უფლებას აძლევს მიმართონ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად.

მუხლი 45. არარეგისტრირებული კავშირი

1. არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი.
2. წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს კავშირის საერთო ქონებას.
3. არარეგისტრირებული კავშირი შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.
4. კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს კავშირის საერთო ქონებიდან. ამასთან, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ კავშირის სახელით.

კერძოსამართლებრივი არა ყველა გაერთიანება მთავრდება იურიდიული პირის შექმნით. ხშირია შემთხვევები, როცა გაერთიანების მსურველები არ არიან დაინტერესებულნი შექმნან იურიდიული პირი. არის შემთხვევები, როცა შესაქმნელ იურიდიულ პირს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – რეგისტრაცია – აკლია და ამის გამო იგი ვერ მიიღებს იურიდიული პირის სტატუსს. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა გაერთიანების ფორმა, რომელიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, არის *არარეგისტრირებული კავშირი*. მშობელთა კომიტეტები სკოლებში, ქუჩის კომიტეტები, ქალთა საბჭოები და ა.შ. ის ორგანიზაციებია, რომელთათვისაც არ არის სავალდებულო იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.

რეგისტრირებული კავშირისაგან განსხვავებით, რომლის სტრუქტურისა და მართვის ორგანოებს განსაზღვრავს კანონი, არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება ამ კავშირის წევრთა ურთიერთშეთანხმებით (45-ე მუხლის პირველი ნაწილი). ურთიერთშეთანხმების სამართლებრივი დოკუმენტი შეიძლება იყოს წესდება ან ხელშეკრულება.

რეგისტრირებული კავშირის მსგავსად არარეგისტრირებულ კავშირსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი საფირმო სახელწოდება, რომლითაც ის საქმიან ურთიერთობებში გამოდის. ამ სახელწოდებას უნდა ჰქონდეს დამატება „არარეგისტრირებული კავშირი“. ეს აუცილებელია, რათა შეცდომაში არ შევიდნენ ის პირები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ კავშირთან.

არარეგისტრირებული კავშირის მართვის ორგანოების სტრუქტურას კანონი არ განსაზღვრავს. ეს კავშირის წევრთა შეთანხმებაზე დამოკიდებული. მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ არარეგისტრირებული კავშირი წარმოდგენილი იყოს კავშირის წევრებით ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებით (45-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

არარეგისტრირებული კავშირის ქონების ძირითად წყაროს შეადგენს კავშირის წევრთა საწევრო შესატანები. როგორც შესატანები, ისე ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის საერთო ქონებას. კრედიტორების მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირის მიმართ შეიძლება დაკმაყოფილდეს ამ ქონებიდან. პასუხისმგებლობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არარეგისტრირებული კავშირის პასუხისმგებლობასთან ერთად სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კავშირის წევრების სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც. კერძოდ, კავშირის კრედიტორების წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, პერსონალურად აგებენ პასუხს კავშირის ის წევრები, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

პოსტსოციალისტურ სამართლებრივ ცნობიერებაში პრობლემური შეიქნა საკითხი იმ ორგანიზაციებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი მოაწესრიგა. სამოქალაქო კოდექსის 1517-ე მუხლის ა ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულებათა თავისუფალი დადება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ არარეგისტრირებულ კავშირს შეიძლება ბანკში ჰქონდეს ისეთივე ანგარიშები, როგორც აქვთ იურიდიულ პირებს.

თავისი სამართლებრივი ბუნებით არარეგისტრირებული კავშირი ჰგავს ამხანაგობას, რომლის სამართლებრივ საფუძველს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს. ამიტომ პრაქტიკულად იბადება კითხვა: თუ რა განსხვავებაა ამ ორ ფორმას შორის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა იმითაც არის ვანპრობებული, რომ არც ერთი ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი არ წარმო-

ადგენს იურიდიულ პარს. მიუხედავად ამ ძსგავსებისა, განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს, კერძოდ, ეს განსხვავებებია:

ა. არარეგისტრირებული კავშირი იქმნება არასამეწარმეო, ე.წ. იდეალური მიზნებისათვის; ამხანაგობის შექმნისას კი უფრო საერთო სამეურნეო მიზნების მიღწევა დომინირებს (930-ე მუხლი);

ბ. არარეგისტრირებული კავშირის საქმიანობა არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე, მაშინ როცა ამხანაგობის საქმიანობა მიზნად ისახავს ასეთი შემოსავლების მიღებას და კანონიც ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების წესს (935-ე მუხლი);

გ. ამხანაგობის ყველა მონაწილე სოლიდარულად აგებს პასუხს ამხანაგობის კრედიტორების წინაშე (937-ე მუხლი), მაშინ, როცა არარეგისტრირებული კავშირის დროს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

IV. სპეციალური ნორმები ფონდის შესახებ

მუხლი 46. ფონდი დესტინატორებისათვის

30-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარდა, ფონდის მიზანი შეიძლება იყოს აგრეთვე განსაზღვრული პირების ან პირთა კონკრეტულად განსაზღვრული წრეების მხარდაჭერა. ყველა პირს, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ წილი ფონდის ქონებიდან (დესტინატურები), გამგეობის ყველა წევრის თანხმობით შეუძლიათ ფონდის გაუქმება ან ფონდის მიზნის შეცვლა, თუ ამას ეთანხმება იუსტიციის სამინისტრო. ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

დესტინატური ეწოდება პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა სასარგე-

ბლოდაც დაფუძნდა ფონდი და რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ ფონდის სარგებელი. ამ პირობა ვინაობას განსაზღვრავს ფონდის წესდება, ვინაიდან სწორედ ფონდის წესდებაში აისახება, თუ ვის სასარგებლოდ, ვისი მხარდაჭერისათვის იქმნება ფონდი. მაგალითად, ომის ინვალიდთა მხარდაჭერის ფონდი, უსინათლოთა ხელშეწყობის ფონდი და ა.შ.

დესტინატურებს უფლება აქვთ ფონდისაგან მოითხოვონ სარგებლის მიღება. თუმცა, როგორც თანამედროვე ფონდების საქმიანობის გამოცდილება ადასტურებს, დესტინატურებს უფრო მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე მხოლოდ სარგებლის მიღებაა. კერძოდ, განსაზღვრული პირობების არსებობისას მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ფონდის გაუქმებაც კი. 46-ე მუხლის მე-2 წინადადება დესტინატურებს ფონდის გაუქმების ან ფონდის მიზნის შეცვლის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. თუმცა, ამისათვის აუცილებელია როგორც გამგეობის წევრების, ისე იუსტიციის სამინისტროს თანხმობა. მაშასადამე, დესტინატურები დამოუკიდებლად ამ უფლებას ვერ განახორციელებენ. იმავედროულად, ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

მუხლი 47. ფონდში შესატანის უზრუნველყოფის ვალდებულება

1. დამფუძნებელმა (დამფუძნებლებმა) სანოტარო წესით დამოწმებული ფონდის შექმნის დოკუმენტით უნდა იკისროს ფონდში ქონების იმ ოდენობით შეტანის მოვალეობა, რომელიც აუცილებელია ფონდის მიზნის მისაღწევად. თუ ქონება არასაკმარისია, მაშინ მას უარი უნდა ეთქვას ფონდის რეგისტრაციაზე.

2. რეგისტრაციაზე ყოველთვის შეიძლება უარის თქმა ქონების გადაცემაზე. რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში ქონება სრუ-

ლად უნდა იქნეს გადაცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია კარგავს ძალას.

3. ფონდის მიზნები უნდა დაფინანსდეს ქონებიდან მიღებული შემოსავლებით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. თუ გარკვეული დროის მანძილზე ეს შემოსავლები საკმარისი არ არის, მაშინ ფონდის საქმიანობა შესაბამისად უნდა შემცირდეს ან შეჩერდეს, ხოლო შემოსავლები მიემატოს ფონდის ქონებას.

4. ფონდის ქონების მდგომარეობის თაობაზე ყოველწლიურად უნდა შედგეს ანგარიში შესაბამისი ფორმით.

კავშირისაგან განსხვავებით, ფონდის დასაფუძნებლად აუცილებელია განსაზღვრული ქონების არსებობა. ამ ქონების ოდენობას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს. იგი მხოლოდ იმის განსაზღვრით შემოიფარგლება, რომ ფონდის ქონება საკმარისი იყოს ფონდის მიზნების მისაღწევად. არის თუ არა ფონდის ქონება საკმარისი დასახული მიზნების მისაღწევად, განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო. ფონდის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია საკმარისი ქონების არარსებობა (47-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

ფონდში ქონების შეტანის ვალდებულებას ფონდის დამფუძნებლები (ან დამფუძნებელი) კისრულობენ ფონდის წესდებაში, რომელსაც ნოტარიუსი ამოწმებს. თუ ფონდში შესატანი შეიტანება არაფულადი ქონების სახით, მაგალითად, უძრავი ქონება, ნოტარიუსმა უნდა მოითხოვოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი. ასეთ საბუთს წარმოადგენს ტექაღრიცხვის ბიუროს ცნობა ან საჯარო რეესტრის ამონაწერი. ნოტარიუსმა ამ დროს ფონდის დამფუძნებლები უნდა ვააფრთხილოს, რომ ქონება ფონდისათვის გადაცემულად ჩაითვლება, თუკი ფონდი საჯარო რეესტრში ამ ქონების შესაკუთრედ გატარდება რეგისტრაციაში. თუ ფონდში შესა-

ტანის სახით შეიტანება ისეთი ქონება, რომელზეც საკუთრების გადასაცემად აუცილებელია სპეციალური ფორმის დაცვა, მაშინ ეს ფორმა აუცილებლად უნდა იყოს დაცული. მაგალითად, თუ დაძფუძნებელი ფონდს გადასცემს საკუთარ ავტომანქანას, აუცილებელია, რომ ეს მანქანა სახელმწიფო ავტონსპექციაში დადგეს ფონდის სახელზე აღრიცხვაზე.

შესატანის განხორციელების ვადას კანონი ზუსტად განსაზღვრავს. კერძოდ, ქონება ფონდს უნდა გადაეცეს რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში. თუ ამ ვადაში ქონება არ გადაეცა ფონდს, მაშინ რეგისტრაცია უქმდება. პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, აქეთ თუ არა ფონდის დაძფუძნებლებს უფლება უარი თქვან შესატანის განხორციელებაზე მას შემდეგ, რაც წესდებით იკისრეს ეს ვალდებულება და წესდება სანოტარო წესით იქნა დამოწმებული. სამოქალაქო კოდექსი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს: 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რეგისტრაციამდე ყოველთვის შეიძლება უარის თქმა ქონების გადაცემაზე.

ფონდის მიზნები უნდა დაფინანსდეს ფონდის ქონებიდან მიღებული შემოსავლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდი თავის ქონებას იყენებს კომერციული მიზნებისათვის, რის უფლებასაც მას სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება აძლევს. ამ საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან ხდება ფონდის მიზნების დაფინანსება. ეს არის კლასიკური საშუალება ფონდის მიზნების დასაფინანსებლად, თუმცა კანონი ფონდის მიზნების დაფინანსების სხვა შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. თუ შემოსავლები საკმარისი არ არის ფონდის მიზნების დასაფინანსებლად, ეს არ იწვევს ფონდის გაუქმებას. საქმიანობა შესაბამისად უნდა შემცირდეს ან შეჩერდეს იმ მიზნით, რომ შემოსავლები მიემატოს ფონდის ქონებას და მომავალში შესაძლებელი გახდეს ფონდის მიზნების დაფინანსება.

ფონდის ქონების მდგომარეობის თაობაზე ყოველწლიურად უნდა შედგეს ანგარიში გამგეობის მიერ და წარედგინოს იუსტიციის სამინისტროს.

მუხლი 48. სამეთვალყურეო ორგანო

1. გამგეობისა და სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნის, გამოწვევისა და კონტროლის მიზნით წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმის) შექმნას, რომლის წევრებსაც მოიწვევენ ფონდის დამფუძნებლები. დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგ დესტინატერების მიერ ან წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში სამეთვალყურეო ორგანოს შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს ახალი წევრებით (კოოპტაციის წესი).

2. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს, რომ ფონდის მმართველობა ხორციელდებოდეს კანონისა და წესდების შესაბამისად. იუსტიციის სამინისტროს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ და შეამოწმოს მისი დოკუმენტაცია.

3. სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმს) შეუძლია შეაჩეროს გამგეობის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან მოითხოვოს მათი გაუქმება, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს ან წესდებას.

4. სამეთვალყურეო ორგანო უზრუნველყოფს, რომ გამგეობისა და სხვა ორგანოების დანიშვნა შეესაბამებოდეს წესდებას. თუ წესდება საკმარისად ვერ აწესრიგებს ამ ურთიერთობებს, ამ ორგანოს შეუძლია დამატებითი მითითებების მიცემა.

კავშირისაგან განსხვავებით, ფონდს არა ჰყავს წევრები. ამიტომ მისი მართვის ორგანოებიც განსხვავდება კავშირის მართვის ორგა-

ნოებისაგან. მას არა აქვს წევრთა საერთო კრება. იბადება კითხვა: თუ ფონდს საერთო კრება არა აქვს, მაშინ ვინ უნდა აირჩიოს გამგეობა? საყოველთაოდ გავრცელებული წესის მიხედვით ფონდის გამგეობას ირჩევენ ფონდის დამფუძნებლები. ბუნებრივია, რომ ფონდის არსებობა არ შემოიფარგლება დამფუძნებლების სიცოცხლის ხანგრძლივობით. ამიტომ ასევე გასარკვევია, თუ ვინ უნდა გადაწყვიტოს გამგეობის არჩევა-გადარჩევის საკითხი დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგ. ამ კითხვაზე სამოქალაქო კოდექსი რამდენიმე შესაძლო ვარიანტს ითვალისწინებს:

1. გამგეობის და სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის, გამოწვევისა და კონტროლის მიზნით ფონდის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმის) შექმნას, რომლის წევრებსაც მოიწვევენ ფონდის დამფუძნებლები. დამფუძნებლების გარდაცვალების შემთხვევაში კურატორიუმის წევრთა შეცვლა ხდება კოოპტაციის წესით – ახალი წევრების მიღების გზით. წესდება შეიძლება კურატორიუმის წევრთა შეცვლის სხვა წესსაც ითვალისწინებდეს (48-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ფონდში არსებობს ასეთი სამეთვალყურეო ორგანო, მისი ფუნქციები დეტალურად განისაზღვრება ფონდის წესდებით. მთავარი ამ ფუნქციათაგან არის გამგეობის არჩევა ან მისი წევრების შეცვლა და კონტროლის განხორციელება გამგეობის საქმიანობაზე. კურატორიუმი უფლებამოსილია შეაჩეროს გამგეობის გადაწყვეტილებები, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან მოითხოვოს მათი გაუქმება, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს ან წესდებას.

2. გამგეობის დანიშვნისა და გადარჩევის უფლებამოსილება შეიძლება მიეცეთ დესტინატურებს, ე.ი. იმ პირებს, რომელთა ხელშესაწყობად და მხარდასაჭერად იქმნება ფონდი. დესტინატურებს აქვთ ფონდის ქონებიდან წილის მოთხოვნის უფლება. მაგალითად, შეიქმ-

ნა ფონდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდასაჭერად. უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში ჩაითულება დესტინატურად, ვინაიდან იგი ფონდის სახსრების ძირითადი მიმღებია. გამგეობის დანიშვნისა და ახალი წევრებით მისი შევსების უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის რექტორატს. დესტინატურების უფლებამოსილება ფონდის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ გამგეობის დანიშვნა ან არჩევა. მათ შეუძლიათ მოითხოვონ ფონდის გაუქმება ან ფონდის მიზნის შეცვლა. თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება გამგეობის ყველა წევრის თანხმობა და იუსტიციის სამინისტროს ნებართვა. ვინაიდან დესტინატურებისათვის შექმნილი ფონდის მიზანი დესტინატურების ხელშეწყობაა, ასეთი ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში, დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

3. ფონდის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს იმის შესაძლებლობასაც, რომ გამგეობის წევრებმა თვითონ გადაწყვიტონ გამგეობის შემადგენლობის გადახალისების საკითხი კოლექტივის გზით. ამ დროს პრობლემური შეიძლება იყოს საკითხი, თუ ვინ უნდა განახორციელოს კონტროლი გამგეობის მოღვაწეობაზე, იმაზე, თუ რამდენად კორექტულად და მართლზომიერად ახორციელებს იგი თავის ფუნქციებს? თუ ფონდში კურატორიუმი არსებობს, მაშინ ეს ფუნქცია კურატორიუმსა აქვს. ყველა სხვა შემთხვევაში გამგეობის საქმიანობაზე კონტროლს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს.

4. თუ წესდება დეტალურად არ აწესრიგებს გამგეობის დანიშვნისა და ახალი წევრებით მისი შევსების საკითხს, მაშინ ამის უფლებამოსილება აქვს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ის სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ფონდის მმართველობაზე. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინ-

ფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ (48-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ კონტროლის ძირითადი მიზანი ისაა, რომ ფონდის ქონება წესდებით განსაზღვრული მიზნებისათვის იქნეს ზუსტად გამოყენებული. ამას განაპირობებს ფონდის ქონებას მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი ხასიათი.

ფონდის მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობის საკითხი აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა ფონდის დაფუძნება ანდერძის საფუძველზე ხდება და ფონდის დაფუძნებისას მამკვიდრებელი გარდაცვლილია. თუ ანდერძი არ შეიცავს ფონდის მმართველობის ორგანოთა ზუსტ რეგლამენტაციას, მაშინ იმ პირობაში, ვისაც ანდერძით დაკისრებული აქვთ ფონდის დაფუძნება, უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა ფონდის ორგანოების სტრუქტურა მაესადაგებოდეს დასახულ მიზნებს. სხვა შემთხვევებში ასეთი ორგანოების სტრუქტურასა და კომპეტენციას განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 49. ფონდის მიზნის შეცვლა

თუ დესტინატურების გარეშე ფონდში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, ან არსებობს სხვა საფუძველი ფონდის ლიკვიდაციისათვის, იუსტიციის სამინისტროს შეუძლია, თუ წესდებაში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ, ლიკვიდაციის ნაცვლად მოითხოვოს მიზნის შეცვლა ან განახორციელოს სხვა ფონდებთან შერწყმა თავდაპირველ მიზანთან მსგავსების შენარჩუნებით; თუ დამფუძნებელთაგან ცოცხალია ერთი მაინც, საჭიროა მისი თანხმობა.

იმ შემთხვევაში, როცა ფონდს ჰყავს დესტინატურები, ფონდის მიზნის შეცვლის საკითხი უნდა მოწესრიგდეს 46-ე მუხლით, მაგრამ თუ ფონდი დესტინატურების გარეშე დაფუძნებული, მაშინ ლიკვი-

დაციის ან მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ლიკვიდაციის მოთხოვნის უფლება. მას შეუძლია ლიკვიდაციის ნაცვლად პოითხოვოს ფონდის მიზნის შეცვლა ან განახორციელოს სხვა ფონდებთან შერწყმა თავდაპირველ მიზანთან მსგავსების შენარჩუნებით. თუ ფონდის დამფუძნებელთან ცოცხალია ერთი მაინც, საჭიროა მისი თანხმობა.

ბარი მერე

ბარიგებანი

თავი პირველი

ზოგადი ნორმები

წესი 50. ცნება

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

1. ქართული სამართლის ძეგლები თუ სხვა ისტორიული წყაროები „გარიგებას“ გაცილებით ფართო მნიშვნელობით იცნობენ, ვიდრე ეს საბჭოთა, თუ გნებავთ ახლანდელ სამართალშია. „გარიგება“ ძველს დროში არ წარმოადგენდა მარტოოდენ სამოქალაქო-სამართლებრივ მოვლენას. „გარიგების“ ქვეშ იგულისხმებოდა საზოგადოდ მრავალი მნიშვნელობის მოქმედება, მაგალითად, რაიმეს დადგენა, გადაწყვეტილება, მართვა, განსაზღვრა, რიგის მიცემა, დაწესება და ა. შ. მოკლედ, ტერმინი „გარიგება“ გამოიყენებოდა, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალში. XIV საუკუნის ქართულ სახელმწიფო-სამართლებრივ ძეგლს „ხელმწიფის კარის გარიგება“ ჰქვია, რაც გულისხმობს ხელმწიფის კარის წესს, სახელდობრ, დარბაზობის, ვაწირობის წესს, მოხელეთა უფლება-მოვალეობების აღწერას. უმრავლეს შემთხვევაში „გარიგება“ წესის, ნორმის მიხედვით იხმარება. ასევე ხშირად იგი საქმის გადაწყვეტისა, თუ თვით გადაწყვეტილების აზრით მოიხსენიება საბუთებში. თვით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიაც ცოტაა შემთხვევები. როდესაც გარიგებას ცივილურ-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ვახტანგის

სამართლის 255-ე მუხლში გარიგება შეთანხმების აზრითაა ნახმარი; მხითარ-გოშის სამართლის 241-ე მუხლში გარიგება ნასყიდობის ამსახველ ტერმინად გვეკვლინება; სომხური სამართლის მე-80 მუხლში „გარიგება“ ანდერძის მნიშვნელობით გამოიყენება.

მოკლედ, „გარიგების“ ეკონომიკური გზა ასე გამოიყურება: ჯერ ამ ტერმინს ფართო მნიშვნელობა ჰქონია, შემდგომ კი, ძალზე გვიან, უფრო სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს იძენს. თუ დიდხანს გარიგება გულისხმობდა ნების გამოვლენას, რომელშიც იყო როგორც სავალდებულო, ისე ავტონომიური ნების ელემენტები, ბოლოს მან უფრო ეს უკანასკნელი მნიშვნელობა შეიძინა. თუ როდის მოხდა ეს ფაქტი, ამაზე დანამდვილებით ძნელია პასუხის გაცემა.

გარიგება არის ნების გამოვლენა. ამ საკითხის მიმართ ორგვარი მიდგომა არსებობს. ერთი თეორიის თანახმად, გარიგების დეფინიციაში მთავარია ნება, როგორც ასეთი – ეს ნების თეორიაა. ქართული სამოქალაქო კოდექსი კი თვლის, რომ გარიგება ნების გამოვლენაა – ეს ნების გამოვლენის თეორიაა. ბუნებრივია, როდესაც პირს სურს მიაღწიოს რაიმე სამართლებრივ შედეგს, ამ შემთხვევაში ეს შედეგი ნების გამოვლენის გარეშე არც დადგება. სრულიად შესაძლებელია შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას ამ დროს შეიძლება დაისვას საკითხი ნების გამოვლენის ბათილობის შესახებ. მაგრამ ვიდრე მისი ბათილობა მოხდებოდეს, არსებული ნების გამოვლენა გარიგებად უნდა ჩავთვალოთ, მანამდე ხომ უცნობია პირის შინაგანი ნება. ამდენად, შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება ინტერესის საგანი ხდება მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს კონფლიქტი, შეუსაბამობა. მანამდე, ნების გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ იმ სინამდვილედ, რომელსაც ჰქვია გარიგება. შეიძლება ითქვას, რომ უკვე პასუხია გაცემული იმ კითხვაზეც, გარიგება კერძო ნების გამოვლენაა, თუ ობიექტური

ნების. გარიგება უპირატესად კერძო ნების გამოვლენაა. თუმცა, იგი იმავდროულად ობიექტური ნების გამოვლენასაც მოიცავს. ეს დებულება არსებითად ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებებს ეხება. აქ ნება უფრო ავტონომიურია და ამდენად პირთა ურთიერთობაც მეტი დისპოზიციურობით ხასიათდება. სამოქალაქო კოდექსი იმასაც კი აღგენს, რომ შესაძლებელია ისეთი ნების გამოვლენა, იგივე გარიგება, რაც კანონით არაა გათვალისწინებული, მაგრამ არც კანონს ეწინააღმდეგება. სანივთო-სამართლებრივ გარიგებაში უპირატესობა ეძლევა ობიექტურ ნებას, სანივთო უფლებათა რეგლამენტაცია ხომ უფრო მკაცრადაა მოხაზული. ის ფაქტი, რომ სანივთო სამართალში მოქმედებს "Numerus Klausus" პრინციპი, ბევრის მოქმედია ამ აზრით. ყოველ შემთხვევაში, რა ვითარებაც არ უნდა გვჭონდეს, ყველა შემთხვევაში გარიგება უნდა განვიხილოთ როგორც რეზულტატი კერძო (სუბიექტური) და საჯარო (ობიექტური) ნების გამოვლენისა.

გარიგება მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენაა, რომელიც იწვევს იურადიულ შედეგებს. კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას, ან შეწყვეტას. მაგალითად, ვინმეს დაპატიჟება კინოში. ფეხბურთის სანახავად, ანდა წვეულებაზე, ნების გამოვლენაა, მაგრამ ისინი არ უკავშირდებიან სამართლებრივ შედეგებს და არც სამართლებრივი სანქციით არიან უზრუნველყოფილნი. გარიგება ყოველთვის სამართლებრივ სანქციასთანაა დაკავშირებული. ვთქვათ, გამყიდველმა არ გადასცა ხელშეკრულებით შეპირებული ნივთი მყიდველს, ამ დროს ამოქმედდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, რითაც მყიდველს შესაძლებლობა ეძლევა დაიცვას დარღვეული უფლებები. ამდენად, მას შეუძლია დაეყრდნოს სახელმწიფოებრივ იძულებასაც.

ავიღოთ ნების გამოვლენის სანიმუშოდ ანდერძი. იგი მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის, კერძოდ, სამემკვიდრეო-სა-

მართლებივი ურთიერთობის წარმოსაშობად. მოანდერძეს შეუძლია შეცვალოს ანდერძი, აქ უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ ნების გამოვლენა ცვლის სამართლებრივ ურთიერთობას. თუკი მოანდერძე საერთოდ გააუქმებს თავის ანდერძს, ეს იქნებოდა ნების გამოვლენა, რითაც წყდება სამართლებრივი ურთიერთობა. ნების გამოვლენა აქ ყოველთვის უკავშირდება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს.

ნების გამოვლენა მიმართულია ნორმალური სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. ზიანის მიყენებაც ნების გამოვლენაა, მაგრამ სწორედ აღნიშნულის გამო იგი დელიქტია და არა გარიგება. თუმცა, ამდგვარ ნების გამოვლენას შეიძლება შედეგად მოჰყვეს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები, სამოქალაქო-სამართლებრივიცა და სისხლის სამართლებრივიც.

გარიგება, როგორც წესი, მართლზომიერი ნების გამოვლინებაა, მაგრამ არამართლზომიერი ნების გამოვლენაც შეიძლება წარმოადგენდეს გარიგების ფაქტს. თუკი ნების გამოვლენა აკმაყოფილებს მისი ნამდვილობის ყველა პირობას, ცხადია, აქ სახეზე გვაქვს იურიდიული ძალის მქონე გარიგება. დავუშვათ, ერთ შემთხვევაში მოტყუების შედეგად დაიდო გარიგება, სხვა დროს კი, სავალდებულო წერილობითი ფორმის დაუცველად. ორივე შემთხვევაში სახეზეა ბათილი გარიგება, იმ განსხვავებით, რომ პირველი საცილო გარიგებაა, მეორე კი – უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება. ნების გამოვლენის ფაქტი ორივე შემთხვევაში სახეზეა და ამიტომაც ღება საკითხი მისი ბათილობის შესახებ. თავისთავად ბათილი გარიგება არ წარმოშობს იმ იურიდიულ შედეგებს, რისკენაცაა იგი მიმართული. ვერ შეიძენ მიწის ნაკვეთს, თუ სავალდებულო სანოტარო ფორმით არ დაიდო გარიგება, თუმცა გარკვეულ იურიდიულ შედეგებთან კი იქნება ეს დაკავშირებული.

ნების გამოვლენა ფართო მნიშვნელობით მოიაზრება სამოქალაქო

კოდექსში. იგი ყოველთვის არ გულისხმობს პირდაპირ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიზანმიმართულებას. მაგალითად, უფლებამოსილების მიცემა, გაუქმება, თანხმობა გარიგებებში ეს მოქმედებანი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ნების გამოვლენად, ე. ი. გარიგებად. რადგანაც მათ მიმართ გამოიყენება ქმედუნარიანობის, წარმომადგენლობის, საცილოობის და სხვა დებულებანი, რაც გამოიყენება დანარჩენი გარიგებების მიმართ, ანდა ავიღოთ დაკარგული ნივთის პოვნის მაგალითი. თავისთავად შემთხვევით ნივთის პოვნა შორსაა ნებელობითი ფაქტისაგან, მაგრამ მპოვნელის გადაწყვეტილება ეს ნივთი დაუბრუნოს პატრონს, ან ჩააბაროს საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებს – ეს ხომ ნების გამოვლენაა, რომელიც იურიდიულ შედეგებს უკავშირდება. მართალია, ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა უფრო ობიექტური ნების გამოვლენაა – მაოვნელი ვალდებულია ასე მოიქცეს, თუმცა მას შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო.

50-ე მუხლის თანახმად, გარიგება ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა. ასე მაგალითად, ანდერძი, ჯილდოს საჯაროდ შეპირება ცალმხრივი გარიგებაა და მარტოოდენ ერთი პირის ნების გამოვლენაც საკმარისია სამართლებრივი ფაქტის გამოსაწვევად. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი შედეგის მისაღწევად საჭიროა ორი ან რამდენიმე პირის ნების გამოვლენა. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია ხელშეკრულება ან გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრებაზე. ამ შემთხვევაში, ყოველი ნების გამოვლენა ბიძნევა დამოუკიდებელ გარიგებად, ხოლო თვით ხელშეკრულება ანდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, შეთანხმებული საერთო ნების რეზულტატია.

მუხლი 51. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.

3. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან ქმედუნარიანობის დაკარგვამ, თუკი ეს მოვლენები დადგა ნების გამოვლენის შემდეგ.

1. ამ მუხლში საუბარია საერთოდ ნებას გამოვლენაზე და იგი ამდენად ეხება ხელშეკრულებასაც. სხვადასხვაგვარად წყდება ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხი თანამყოფი და არათანამყოფი პირის მიმართ. არათანამყოფი პირის მიმართ ნების გამოვლენის საკითხი განსხვავებულად წყდება დოქტრინაში. ნების გამოვლენის თეორიის თანახმად, ნების გამოვლენა ნამდვილია მისი გამოვლენის მომენტიდან. კოქკათ, წერილის დაწერის მომენტიდან, რომელიც უნდა გაიგზავნოს; ნების გამოვლენის შეტყობინების თეორია კი, ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის საკმარისად მიიჩნევს აღნიშნული წერილის ადრესატისათვის გაგზავნას; ხოლო ნების გამოვლენის მიღების თეორია – ადრესატამდე მის მისვლას; ნების გამოვლენის აღქმის თეორიისათვის საკმარისია ადრესატამდე მისული ნების გამოვლენის აღქმა – ვაცნობიერება. 51-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო კოდექსი ღვას ნების გამოვლენის მიღების თეორიაზე. მოკლედ, ნების გამოვლენა ნამდვილია, როცა იგი მეორე მხარეს „მიუვა“.

ნების გამოვლენის მეორე მხარეზე მისვლა კი გულისხმობს

შემდეგს: ჯერ ერთი, ნების გამოვლენა მისულად ჩაითვლება, როცა გამგზავნის ნებით, დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია ნება, აღმოჩნდება ადრესატის ხელში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი დაუყოვნებლივ გაეცნობა მის შინაარსს. მაგალითად, წერილი, ტელეგრამა ჩაგდებულია ადრესატის საფოსტო ყუთში, ანდა ჩაბარდა მის სახლში მოსამსახურეს. ან კიდევ ადრესატის კანტორას, ანდა იმ სასტუმროს კარისკაცს, რომელშიც იგი იმყოფება; ნების გამოვლენა არ ჩაითვლება მისულად, თუკი წერილი ძალულად ჩაუდეს ადრესატს ჯიბეში, ანდა ისეა საქონლის ამანათში მოთავსებული, ძნელია ვივარაუდოთ, რომ ადრესატი ჩქარა იპოვნის მას; მეორე, ნების გამოვლენა პირს შეიძლება მიუვიდეს იმ დოკუმენტის დაუფლების გარეშეც, რომელშიც გამოხატულია ნება, თუკი ადრესატზე იყო დამოკიდებული უამისოდაც დაუყოვნებლივ გაეცო ნების გამოვლენის შინაარსი და ნორმალურ ვითარებაში შეიძლება მისგან ამას ველოდოთ. მაგალითად, წერილი გადაეცა ადრესატს, მაგრამ მან იგი არ მიიღო, ანდა ადრესატმა მოითხოვა წერილი არ მიეტანათ მისთვის, რადგან თვითონ წაიღებდა ფოსტიდან. ან კიდევ, მოითხოვდა წერილები გამოეგზავნათ მისთვის მოკითხვამდე და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა მისულად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ადრესატის ძხრიდან დაუდევრობასა თუ განზრახვაჭიანურებას აქვს ადგილი; მესამე, თუკი ნების გამოვლენა ზეპირადაა გადაცემული არათანამყოფი პირისათვის, ვთქვათ, ნება გამოხატულია წარმომადგენლის მიერ, ან ოჯახის წევრების, ანდა მოსამსახურის მიმართ, ასეთ შემთხვევებში ნება მისულად ჩაითვლება, თუკი ამ სახით ნების გამოვლენა აღმოჩნდება ადრესატის ძალაუფლებაში. მოკლედ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ეცნობება ამის შესახებ.

თანამყოფი პირის მიმართ მოქმედი წესი განსხვავებულია. აქ აუცილებელია, რომ ნების გამოვლენა აღმოჩნდეს მეორე მხარის (ადრესატის) ხელისუფლებაში. მოკლედ, ნების წერილობითი ფორ-

მით გამოვლენისაგან განსხვავებით, საჭიროა რომ ადრესატმა ნება აღიქვას, გაიგოს, ე. ი. აქ ნების გამოვლენის მიღება და აღქმა ერთდროულად ხდება. თუკი ადრესატს განზრახ არ სურს გაიგოს ნების გამოვლენა, მაგალითად, იგი განზრახ იხშობს ყურებს, როცა მას ზეპირად აცნობეს ნების გამოვლენის შინაარსი, ასეთ შემთხვევაში ნების გამოვლენა, რომელიც არ გაუგონია ადრესატს, მაინც ნამდვილად ჩაითვლება, ისევე როგორც არათანამყოფი პირისათვის გაგზავნილი წერილი მისულად ჩაითვლება, თუკი ადრესატი უარს ამბობს მიიღოს მასზე გადასაცემად მიტანილი წერილი. აქაც ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება.

2. მართალია, ნების გამოვლენის ადრესატამდე მისვლის ფაქტი მას ნამდვილობას ანიჭებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადრესატი ვალდებულია მიიღოს იგი. მეორე მხარეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეუძლია ნების გამოვლენა იურიდიული ძალის არმქონედ აქციოს, თუ იგი წინასწარ, ან -მაშინვე განაცხადებს უარს. ანალოგიური უფლება უნდა ჰქონდეს წინადადების შემთავაზებელსაც. ვთქვათ, ნების გამოვლენის შინაარსი მეორე მხარეს გაეგზავნა ფოსტით წერილის სახით. თუკი იგი ამ წერილის მისვლამდე ტელეგრაფით ან ფაქსით აცნობებს მეორე მხარეს ნების გამოვლენის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ასეთი ნების გამოვლენა აღარ ჩაითვლება ნამდვილად. იგივე შედეგი დადგება, თუკი მეორე მხარეს წერილიცა და მისი გაბათილების ცნობა (ტელეგრაფი, ფაქსი) ერთდროულად მიუვა.

3. 51-ე მუხლის შესამე პუნქტი სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის ინტერესებს ემსახურება. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე ვერ მოახდენს გავლენას პირის გარდაცვალება ან ქმედუნარიანობის დაკარგვა, თუკი ეს მოხდება ნების გამოვლენის შემდეგ. მაგალითად, წერილის გაგზავნის შემდეგ პირი გარდაიცვალა ან ქმედუნარიანობა დაკარგა მან, ვთქვათ, სულით ავადმყოფობის გამო. ნება გამოვლენ-

ნილად ვერ ჩაითვლება თუკი წერილი დაწერილია, მაგრამ ვერ მოესწრო მისი გაგზავნა აღნიშნულ გარემოებათა გამო. მოკლედ, მთავარია ნების გამოვლენის მეორე მხარისათვის გაგზავნა. ეს აუცილებლად ნების გამოვლენის სუბიექტმა უნდა გააკეთოს. თუკი პირის მიერ გამზადებულ წერილს, რომელიც მის საწერ მაგიდაზე დევს, მისგან დამოუკიდებლად მოსამსახურე ან ნაცნობი ჩააბარებს ფოსტას და ამგვარად მიიღებს მას მეორე მხარე, ეს არ ჩაითვლება ნების გამოვლენის ნამდვილობის საფუძვლად.

მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება

ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

ქართული სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის დებულება, რომ „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება გონივრული განსჯის საფუძველზე უნდა დადგინდეს“, გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას. რადგანაც მოცემულ მუხლში საუბარია ნების გამოვლენის განმარტებაზე, ივარაუდება, რომ უნდა დადგინდეს მისი შინაარსი, ე. ი. იმ ნების შინაარსი, რომელიც უკვე გარეთაა გამოხატული.

ნების გამოვლენის განმარტებისას ორივე მხარის ნამდვილი ნება უნდა გამოვარკვიოთ. თუ ურთიერთობა უსასყიდლო ხასიათისაა, აქ მთავარია ერთი მხარის ნების განმარტებაც. მაგალითად, ნაჩუქრობისას მეტწილად ყურადღება ექცევა გამჩუქებლის ნებას, ვიდრე მჩუქებლისა. და მაინც, ყველა შემთხვევაში, ნების გამოვლენის განმარტებისას აუცილებელია ყველა გარემოება შეფასდეს.

ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა აიხსნას არა მარტო გაუგე-

ბარი ან ორაზროვანი სიტყვა-სიტყვიით ტექსტი, არამედ უნდა შეივსოს არასრული, ზოგჯერ კი – შესწორდეს გაუმართავი ტექსტი.

გარიგების მონაწილეთა ნება შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს მისი როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გამოხატვისას. პირველ შემთხვევაში გაუგებრობა არ იწვევს ნების გამოვლენის ბათილობას. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ მეორე მხარემ მიიღოს გაუგებარი ნების სწორი განმარტება. თუ მეორე მხარე ამის შემდეგ არასწორად გაგებულ აზრს დაემყარება, მაშინ ნების გამოვლენა საცილო გახდება. სხვა საქმეა, როდესაც ნების გამოვლენა ზეპირად ხდება. შეიძლება მეორე მხარემ სწორად აღიქვა ნების გამოვლენა, მაგრამ არასწორად განმარტა, ან კიდევ შეიძლება თვით ნების გამოვლენა იყოს არასწორად გაგებული. მაგალითად, გამჭირავებელმა გააფრთხილა დამჭირავებელი, რომ 1 ივნისიდან ხელშეკრულება შეწყდება, ამ უკანასკნელმა კი ეს გაიგო 1 ივლისად. აქ უკვე აღარა გვაქვს ნამდვილი ნების გამოვლენა, რადგანაც მეორე მხარემ მიიღო-აღიქვა სრულიად სხვა ნება.

ხელშეკრულების განმარტებისას, 52-ე მუხლში მოცემული ზოგადი წესის გარდა, გამოიყენება 337-340-ე მუხლებში გათვალისწინებული ნორმები.

როგორც წესი, ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები უნდა ვავიგოთ ისე, როგორც ეს საერთოდ მიღებულია და არა ისე, როგორც ეს მხარეებს, ცალკეულ პირებს ესმით. როცა ლაპარაკია ზიანის ანაზღაურებაზე, აქ მხედველობაშია, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ცხადია, სამოქალაქო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე. თუ რომელიმე მხარე ფიქრობს, რომ ზიანში ყოველთვის მხოლოდ ქონებრივი ზიანი იგულისხმება, ცხადია ეს არ იქნება სწორი.

337-ე მუხლი უშვებს სპეციალურ სიტყვათა ხმარებასაც, როცა განმსაზღვრელია მხარის საცხოვრებელ ადგილას მიღებული სიტყ-

ვათახმარება. ეს მაშინაა, როცა ცალკეული გამონათქვამები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. „უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე, თუ მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილები აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“.

მუხლი 53. პარიზში არარსებობა მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო

გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.

როცა გარეგნულ გამოხატვებზეა საუბარი, აქ მხედველობაშია ნების გამოვლენის ფორმა. რა ფორმითაც არ უნდა დაიღოს გარიგება, ნება უნდა გამოვლინდეს ცხადად, მასში ნათლად უნდა გამოიკვეთოს განზრახული გარიგების შინაარსი. ასე მაგალითად, ვთქვათ ნების გამოვლენის სუბიექტს სურს დადოს ქირავნობის ხელშეკრულება, მაგრამ ნების გარეგნული გამოხატვიდან გაურკვეველი რჩება აქ ქირავნობაა, იჯარაა, თუ სხვა ხელშეკრულება (ვთქვათ, თხოვება). ან კიდევ, პირს სურს იყიდოს ნივთი მოწონების პირობით, მაგრამ მისი ნების გამოვლენიდან ეს არ იკვეთება ნათლად. ასეთ შემთხვევებზე უნდა ითქვას, რომ გარიგება საერთოდ არ არსებობს. ნების გამოვლენა უნდა აკმაყოფილებდეს 50-ე მუხლის მოთხოვნებს. როცა ნების გამოვლენა ბუნდოვანია და გაუგებარია, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსზეა საუბარი, ბუნებრივია, არც ნების გამოვლენა ჩაითვლება 50-ე მუხლით გათვალისწინებულ ნების გამოვლენად. 53-ე მუხლს აქვს დიდი პრევენცი-

ული ფუნქცია. იგი ფაქტობრივად ავალდებულებს გარიგების მონაწილეებს ნება გამოავლინონ კანონით დადგენილი წესების დაცვით. სახეზე იქნება ოფერტა, აქცეპტი, თუ მხარეთა უკვე შეთანხმებული ნება, მათში ნათლად უნდა გამოიკვეთოს გარიგების შინაარსი. სხვანაირად, ნების გამოვლენა ვერ დააკავშირებს გარიგების მონაწილეებს. პრაქტიკაში 53-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია და მისი ერთ-ერთი მიზეზი კანონის უცოდინრობაცაა.

53-ე მუხლით გათვალისწინებულა შემთხვევა განსხვავდება გარიგების ბათილობისაგან. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნების გამოვლენა, 50-ე მუხლის აზრით არსებობს, ოღონდ, როგორც ბათილი ნების გამოვლენა, 53-ე მუხლის ვითარებაში თვით ნების გამოვლენა ითვლება არარსებულად. ამიტომაც, მის ნამდვილობა-ბათილობაზე მსჯელობაც უსაფუძვლოა.

მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური პარიზმ-ბანი

ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

ამ მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს შემდეგი სამი სახის ფასეულობათა დარღვევა: ა) კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები; ბ) საჯარო წესრიგი; გ) ზნეობის ნორმები. მათ შორის მკაცრი მიჯნის გავლება ყოველთვის როდია შესაძლებელი. რიგი ქვეყნების სამოქალაქო სამართალში ცალკეულ შემთხვევებში კანონის დარღვევით დადებული გარიგებანი იმავედროულად საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებადაც განიხილება; ან კიდევ პირიქით,

საჯარო წესრიგის დარღვევა მოიცავს კანონით დადგენილი წესის დამრღვევი მოქმედების შინაარსსაც; დაბოლოს, კანონის დარღვევა ხშირად ხნობის საწინააღმდეგო ნების გამოვლენად აღიქმება ხოლმე.

დებულება – ბათილია კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების დარღვევით დადებული გარიგებანი – ბათილობის საერთო ცნების გამომხატველი დებულებაა. ამდენად, აქ ერთის მხრივ მხედველობაშია, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი (მაგალითად, მოტყუებით, ძალადობით, ცდომილებით და ა.შ. დადებული გარიგებანი), ისე ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები. მართალია, მოტყუება ზოგადად არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს და ამდენად კანონით დადგენილ წესსაც ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი ბათილობის დამოუკიდებელი საფუძველია, როგორც ნების გამოვლენის ნაკლის გამო.

თვით გამოთქმა – „კანონით დადგენილი წესი“ – სამოქალაქო ურთიერთობის პოზიტიური მდგომარეობის გამომხატველია, საპირისპიროდ მისი ნეგატიური ვითარების ამსახველი გამოთქმისა – „კანონით დადგენილი აკრძალვები“. ცალკეული შემთხვევების განხილვაც იმისი მაუწყებელია, რომ სახეზეა კანონის იმპერატიულ დანაწესებთან ნების გამოვლენის შეუსაბამობა.

აღნიშნული საფუძველით შეიძლება გაბათილდეს ნების გამოვლენა, როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით სამართალში. მაგალითად, ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლითაც გირავნობის საგანზე საკუთრება პირდაპირ გადადის მოგირავნეზე, თუ მისი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული ან დროულად ვერ დაკმაყოფილდება (273-ე მუხლი); ქირავნობის დროს ბათილია შეთანხმება, რომლითაც დამქირავებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო (567-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

საიჯარო ურთიერთობისას ძეიჯარის მოთხოვნით ბათილად ჩაითვლება ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომელიც მოიჯარემ მისი თანხმობის გარეშე დადო (587-ე მუხლის პირველი პუნქტი); ასევე ვერ ჩაითვლება ხამდვილად ნების გამოვლენა, როცა ინდივიდუალური საკუთრების გასხვისება, დაგირავება ან სხვაგვარად დატვირთვა - რომ საკუთრების შესაბამისი წილის გაუთვალისწინებლად ხდება (213-ე მუხლის პირველი პუნქტი); ვერ ჩაითვლება ხამდვილად ისეთი წინასწარი შეთანხმება, რითაც უარია ნათქვამი ვალდებულებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (240-ე მუხლი).

საჯარო წესრიგის ცნება პირველად შემოდის ქართულ სამართლებრივ ყოფაში. მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და ქვეიჯარმობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით, საჯარო წესრიგის დარღვევაში ივარაუდება კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევა და პირიქითაც, ზოგჯერ ამ უკანასკნელის დარღვევა საჯარო წესრიგის დარღვევასაც მოიცავს. გარიგების ბათილობის ამ საფუძველთა გამოყენებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით ხელყოფის ობიექტთა ფასუელობას. ასე მაგალითად, თუ მოიჯარე ძეიჯარის თანხმობის გარეშე ვასცემს ქონებას ქვეიჯარით, ამით ის ხელყოფს, პირველ რიგში, კონკრეტული საიჯარო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ პრინციპს და შესაბამისად, დაირღვევა სამოქალაქო ბრუნვის არსებითი პრინციპები და ამდენად საჯარო წესრიგიც.

საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა პრინციპულ სამართლებრივ ფასუელობათა უარყოფაში. ვერ ერთი,

ეს შეიძლება გამოვლინდეს მხარეთა თავისუფლების დარღვევაში თავის მხრივ, ეს შეიძლება გამოიხატოს პირადი თავისუფლების შეზღუდვაში. მაგალითად, როცა ვინმე თანახმაა დადოს ვარიგება, რითაც ილაზება მისი პიროვნული თავისუფლება ისე, რომ ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების თავისუფალი წევრის მდგომარეობას. ვთქვათ, მსესხებელმა სესხის გადახდის უზრუნველსაყოფად გამსესხებელს დაუთმო ხელფასის ძილების უფლება თავის სამუშაოზე და ასევე შეჰპირდა, რომ მისი თანხმობის გარეშე არ შეწყვეტს შრომით ურთიერთობას სამუშაოს მიმცემთან, არ აიღებს სხვის განსესხს, არ ისარგებლებს კრედიტით, არ იკისრებს პასუხისმგებლობას სხვის მიერ აღებული კრედიტისათვის, არ დატვირთავს თავის ქონებას ვალდებულებებით, გამსესხებლის თანხმობის გარეშე არ დათმობს დაკავებულ ბინას. ასეთი ვარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი ადამიანს ფაქტობრივად თიშავს სამოქალაქო ბრუნვიდან და თავისუფალი სუბიექტის მდგომარეობიდან აყენებს მონურ მდგომარეობაში. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) თანახმად, არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მას არ ძალუძს შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება დაქორწინების თავისუფლების შეზღუდვა. ვთქვათ, პირი მიღებულია გარკვეულ სამუშაოზე იმ პირობით, თუკი იგი არ იქორწინებს. ასეთი პირობა შეიძლება დაუდოს მანეკენს ან მსახიობს სამუშაოს მიმცემმა. ეს ვარიგება იმავედროულად შეიძლება ზნეობის საწინააღმდეგოდაც ჩაითვალოს. დაუშვებელია ვარიგებაში დაითქვას ისეთი პირობა, რითაც შეიზღუდება გარკვეული ეროვნების, რწმენის, სოციალური ჯგუფის პირთან ქორწინების თავისუფლება. ეს შეზღუდვები ეწინააღმდეგება კერძო სამართლის აღაარებულ პრინციპს – საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას და შეწარმეობის თავისუფლე-

ბას. მაგალითად, პირი, რომელიც ჰყიდის თავის საწარმოს, ვალდებულია კისრულობს მყიდველის წინაშე, რომ აღარ დააფუძნებს ანალოგიურ საწარმოს. ასეთი პირობა უარყოფს კონკურენციას თავისუფლებასაც.

გარიგება, რითაც უარყოფილი იქნება საკუთრებისა და ხელშეკრულების სოციალური ფუნქცია, ჩაითვლება საჯარო წესრიგის დამრღვევ გარიგებად. ამ შემთხვევაში მხედველობაშია სოციალური და ეკონომიკური საჯარო წესრიგი. მაგალითად, სესხის დროს განსაზღვრულია პროცენტის ზღვრული ოდენობა, რისი მიზანიცაა ორივე მხარის ინტერესების დაცვა სახელშეკრულებო ურთიერთობის გართულების შემთხვევაში. ამიტომაცაა, რომ თუ პროცენტი არ იქნება გონივრულ შესაბამისობაში ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან, მაშინ სესხის ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება (625-ე მუხლი). ეს შეზღუდვა მყარი და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვისათვის ხელშემწყობია და პასუხობს საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

როცა ვამბობთ ბათილია ზნეობის ნორმების ხელმყოფი გარიგება, აქ ძირითადად მხედველობაშია საზოგადოდ აღიარებული ზნეობრივა ნორმები; ამასთან, ანგარიში უნდა გაეწიოს ამა თუ იმ რეგიონში გაბატონებულ ზნეობრივ წარმოდგენებს ისევე, როგორც აუცილებელი იყო გარიგებათა განმარტების დროს. მხედველობაში არ მიიღება მარტოოდენ ნების გამოვლენის სუბიექტის დამოკიდებულება ზნეობისადმი.

ზნეობის ნორმა გარიგების ბათილობის საკითხის გარკვევისას შეფასებითაა მნიშვნელობისაა. ერთ შემთხვევაში გარიგება არღვევს როგორც კანონის მოთხოვნებს. ისე ზნეობის მოთხოვნებს, მაგრამ მისი ბათილად ცნობა არ ხდება გარიგების ზნეობისადმი შეუსაბამობის გამო. მაგალითად, ძალადობით მოტყუებით დადებული გარი-

გება, ან კიდევ, კაბალური გარიგება იმაჯღროულად გულისხმობს ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებასაც, მაგრამ მათი გაბათილება ხდება სპეციალური ნორმების საფუძველზე და არა ზნეობისადმი წინააღმდეგობის საფუძველზე.

საჭიროა, რომ ზნეობის ნორმის დარღვევა მოხდეს თვით გარიგებით, მისი დადების ფაქტით, ან მისი შინაარსით. უზნეო მოტივი ვერ მოახდენს გაკლენას გარიგების ნამდვილობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი სპეციალური შეთანხმების საგანს წარმოადგენს და სწორედ ამ მოტივით იღება გარიგება. მაგალითად, თუ ვინმე ყიდულობს სახლს იმ მიზნით, რომ იქ ბორდელი გახსნას, ან ამავე მიზნისათვის ხესხულობს ფულს, ეს მოქმედება თავისთავად გარიგებას ვერ გახდის უზნეო გარიგებად, თუნდაც რომ ამის შესახებ იცოდეს გამყიდველმა ან გამსესხებელმა. სხვა საქმეა, როცა სახლის გაქირავება ხდება ამავე მიზნებისათვის.

გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობას, როცა იგი ზნეობით აკრძალული მოქმედების შესრულებას ითვალისწინებს, ანდა აბრკოლებს ზნეობის შესატყვისი მოქმედებას განხორციელებას. მაგალითად, უზნეო მოქმედების შესრულების პირობა ნაჩუქრობისას, როცა გამჩუქებელი პირდება ვინმეს (ქალს) ხაჩუქარს იმ პირობით, რომ იგი მასთან დაამყარებს სქესობრივ კავშირს, ან კიდევ, იგივე საჩუქრის დაპირება იმ პირობით, რომ გარკვეულ პირზე გაავრცელებს ჭორს, რითაც შეილახება მისი პატივი და ღირსება.

მუხლი 55. გარიგების გათიღობა კალაშუვლების გორტუტად გამოყენების გამო

1. გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება

დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით).

2. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი შეუსაბამობა გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის, არამედ მხოლოდ აშკარა შეუსაბამობა. მაგრამ, არც თავისთავად აშკარა შეუსაბამობაა საკმარისი ამ ნორმის გამოსაყენებლად. მხარეთა მიერ განხორციელებული შესრულება ყოველთვის ვერ იქნება ერთმანეთს ექვივალენტური და სავსებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი დონის შეუსაბამობას. ეს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელია. გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ აშკარა შეუსაბამობა გამოწვეული იყოს სამი რიგის ფაქტორებით: ჯერ-ერთი, საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით, მეორე, მხარის მძიმე მდგომარეობით და მესამე, მისი გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით). ითხოვნილი ფაქტორი ცალკე საკმარისი საფუძველია გარიგების ბათილად ცნობისათვის.

საბაზრო ძალაუფლების ცნება პირველად შემოდის სამოქალაქო ბრუნვაში. აქ მხედველობაშია ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა. შეიძლება — მონოპოლიურიც. აქ ობიექტურად ისეთი მდგომარეობა იქმნება, როდესაც გამორიცხულია კონტრაქტის არჩევანის თავისუფლება და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე იძულებულია მხოლოდ გარკვეულ პირთან დააამყაროს ურთიერთობა. მაგალითად, შეიქმნა საწარმო, რომელიც ბაზარზე გამოდის ისეთი პროდუქციით,

რომელსაც სხვა საწარმოები არ აწარმოებენ. ბუნებრივია, გარკვეულ ხანს ამ საწარმოს ხელში იქნება საბაზრო ძალაუფლება. ასეთი მდგომარეობით არ უნდა ისარგებლოს მან და არ უნდა შესთავაზოს კონტრაქტებს ამკარად შეუსაბამო პირობები. ვიდრე ჩვენში სრულად ჩამოყალიბდეს თავისუფალი კონკურენცია, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისი სამოქალაქო პრუნვა, ხშირი იქნება საბაზრო ძალაუფლების უარყოფითი გამოვლანებანი. ამ ნორმის გამოყენებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორია მეორე მხარის ეკონომიკური მდგომარეობა. მართოდენ ამკარა შეუსაბამობის ფაქტი საკმარისი საბუთია ვარიგების ბათილად ცნობისათვის.

მხარის მძიმე მდგომარეობის გამოყენების საფუძველზე ვარიგების ბათილად ცნობას საბჭოთა სამართალიც აღიარებდა. თუ რა იგულისხმება მძიმე მდგომარეობის ქვეშ, ეს სასამართლო პრაქტიკის საქმეა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. მძიმე მდგომარეობა ყველა ვითარებაში შეფასებითი ცნებაა. ასეთი შეიძლება იყოს მძიმე ავადმყოფობა. ეკონომიკური ხელშოკლება და ა.შ. იმისათვის, რომ პირმა თავი დააღწიოს შიშშილს ან ავადმყოფობას, იძულებულია პურში ან მედიკამენტებში გადაუხადოს მეორე მხარეს უზომოდ დიდი თანხა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირი იძულებულია დადებითად გამოეხმაუროს იმ პირების წინადადებებს, რომლებიც პირდებნიან მას გარკვეული საგნების შესყიდვას ფაქტობრივად უაღრესად კაბალური პირობებით, თვით პირის მძიმე მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სუბიექტურა, თუ ობიექტური ვარიანტებით, როგორცაა საზოგადოების ეკონომიკური სიღუბნეობა, ომი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ეპიდემია და ა.შ., ასე მაგალითად, ომანობისას საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მრავლად იცნობდა მსგავსი ვარიგების შემთხვევებს. ბოლოდროინდელ ქართულ ყოფაშიაც არცთუ იშვიათად დაფიქსირებულა მოცემული ვარიგების შემთხვევები, თუმცა მისი შეცდობა არავის უცდია.

აღნიშნული საფუძვლით გარიგების ბათილად ცნობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ იმ პირის მოქმედების ხასიათიც, რომელიც სარგებლობს სხვისი მძიმე მდგომარეობით. ასე მაგალითად, იცის რა წამლებით მოვაჭრემ, რომ კლიენტს რაღაც არ უნდა დაუჯდეს, მაინც იყიდის მისგან აუადმყოფის სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტებს, თავაზობს აშკარად შეუსაბამო ფასებს.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში გარიგების ბათილად ცნობისათვის საჭიროა: ჯერ ერთი, გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა და მეორეც, უკიდურესი საჭიროების გავლენით შისი დადება.

მხარის გამოუცდელობის (გულუბრყვილობის) ნიადაგზე გარიგების ბათილად ცნობისათვის საჭიროა დადგინდეს გამოცდილების რა მასშტაბი მოეთხოვება ნების გამოვლენის კონკრეტულ სუბიექტს. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მხარეთა მიერ დადებული გარიგების ხასიათი და ასევე უნდა გამოარკვიოს „დაზარალებული“ მხარის პიროვნული შესაძლებლობანი. შეიძლება სულაც არ იყოს პირის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ გამოუცდელობის გამო მან ჩალის ფასად გაყიდოს ძვირად ღირებული საგნები. ბოლოდროინდელი არასტაბილური სამოქალაქო ბრუნვა აშკარად ადასტურებს მსგავს შემთხვევებს. ასე მაგალითად, ერთ-ერთმა მოქალაქემ იმის გამო, რომ არ იცოდა საცხოვრებელი სახლის ბაზარზე არსებული ფასები, გამოუცდელობის ნიადაგზე 5000 ლარად ღირებული სახლი გაყიდა 500 ლარად. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა. თუ სადამდე შეიძლება გავრცელდეს აშკარა შეუსაბამობის ფარგლები, ეს სასამართლომ უნდა განსაზღვროს. სამოქალაქო ბრუნვა მხარეთაგან მოითხოვს კეთილსინდისიერებას და არ იძლევა იმის უფლებას,

რომ ბოროტად ვისარგებლოთ კონტრაქტის გულუბრყვილობით. კანონი მხოლოდ ზღვარს გადასვლას კრძალავს, თორემ გარიგების მონაწილეს ყოველთვის როდი მოეთხოვება საქმის ყოველგვარი ვითარება აუხსნას თავის კონტრაქტს (81-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მათ შორის ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. თავისთავად გავლენა შეიძლება სავსებით ბუნებრივი იყოს, მაგრამ მხარეთა შორის ურთიერთობისათვის აღმოჩნდეს იგი მიუღებელი. ნდობის ბოროტად გამოყენებით არაკეთილსინდისიერი მხარე სარგებელს ღებულობს გარიგებიდან. ნდობაზე დაფუძნებული ყოველგვარი ურთიერთობა როდი იძლევა გავლენის ბოროტად გამოყენების ვარაუდს. 55-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს მიეკუთვნება ურთიერთობანი მშობლებსა და შვილებს შორის, ექიმსა და პაციენტს შორის, ადვოკატსა და კლიენტს შორის, საკუთრების მიმნდობსა და მიმნდობილ მესაკუთრეს შორის, სულიერ მოძღვარსა და ნებისმიერ პირს შორის და ა. შ. ამ ურთიერთობათა ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია. იმისათვის, რომ გაირკვეს, აქვს თუ არა მას ადგილი, საჭიროა გაირკვეს ყველა გარემოება. უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: უნივერსიტეტის სტუდენტმა საუნივერსიტეტო ვალის დასაფარავად რჩევისათვის მიმართა მოპასუხეს. მათ შორის საუბრის დროს სტუდენტმა გამოთქვა სურვილი გაეყიდა თავისი ქონების ნაწილი, რომლის შვიდი ათას ფუნტ სტერლინგად ყიდვის სურვილი გამოთქვა მოპასუხემ. ნასყიდობის დასრულებამდე, მოპასუხემ მიიღო ქონების შემფასებლის დასკვნა, რითაც აღნიშნული ქონება შეფასებული იყო ოცი ათას ფუნტ სტერლინგად. მოპასუხეს ეს არ გაუმხელია სტუდენტისათვის და ნასყიდობაც საბოლოოდ შედგა. სასამართლომ შემდგომ ეს გარიგება ბათილად ჩათვალა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე,

იძლეოდა რა რჩევებს, ნდობის ურთიერთობაში იმყოფებოდა სტუ-
დენტთან და ის არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ქონების მყიდვე-
ლი, თუკი სრულად არ მიაწოდებდა ინფორმაციას ქონების ღირე-
ბულების შესახებ, რაც მისთვის გახდა ცნობილი.

მუხლი 56. მოჩვენებითი და მხალმთაქმური გარიგებანი

1. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსახ-
ვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული
შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

2. თუ მოსახვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ
სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების
მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

1. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მ-
ხოლოდ მოსახვენებლად დადებული არც ერთ შემთხვევაში არ
სურთ მხარეებს იმ შედეგის დაღვომა, რაც პირდაპირ ამ გარიგება-
თა დანიშნულებიდან გამომდინარეობს. ფაქტობრივად ორივე შემთხ-
ვევაში მხარეები მიმართავენ სიმულაციას. მათ შორის განსხვავება
ამ სიმულაციის ძეგობაშია.

მოჩვენებითი გარიგება, რომელიც დადებულია „იმ განზრახვის
გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს“. მ-
ხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწი-
ნააღმდეგო მიზნების მისაღწევად და დასაფარავად გამოიყენება. იმ
მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაექცეს, მოვალე
ვითომ ყიდის ან ვინმეს ჩუქნის ქონებას, ან კიდევ, ამავე მიზნების
მისაღწევად პირი საჯაროდ ჰპირდება ჯილდოს იმათ, ვინც იპოვის
მის მიერ ვითომდაც დაკარგულ ნივთს. სინამდვილეში აქ არავითარი
ჩუქება ან ნასყიდობა, ანდა ჯილდოს საჯაროდ შეპირება არა არის.

მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისვას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი. ასე მაგალითად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მხარემ, რომელსაც ვითომდაც აჩუქეს ან მიჰყიდა ქონება, მესამე პირზე გაასხვისოს ეს ქონება. ამ მოქმედების შედეგი იქნება ის, რომ კეთილსინდისიერი მესამე პირი მასზე მოიპოვებს საკუთრების უფლებას.

ამრიგად, მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი. შეიძლება ეს იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.

2. თვალთმაქცური გარიგებისას, მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენა სხვა გარიგების სამოსელშია გახვეული. ამიტომაცაა, რომ გარიგება, რომლითაც სხვა გარიგება იფარება, თვალთმაქცური გარიგებაა. ასე მაგალითად, მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ ერთი მეორეს აჩუქებს საცხოვრებელ სახლს, თუკი დასაჩუქრებული იკისრებს ვალდებულებას სამისდღეშიოდ არჩინოს გააჩუქებელი მხარეებმა იცინ რა ამგვარი შეთანხმების ბათილობა, მის დასაფარავად იყენებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ იყო ცნობილი საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თვალთმაქცური გარიგებანი, როცა სინამდვილეში ხდებოდა მიწის ნასყიდობა, რაც დაუშვებელი იყო სამოქალაქო კანონმდებლობით.

თუ მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი წყდება მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებით, თვალთმაქცური გარიგებისას, გარიგების ბათილობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რადგანაც ამ დროს გამოიყენება მის „მიმართ მოქმედი წესები“. დაფარული გარიგება შეიძლება იყოს ბათილი და შეიძლება არც იყოს ასეთი. უმრავლეს შემთხვევაში იგი ბათილია და სწორედ ამიტომ დებენ მხარეები თვალთმაქცურ გარიგებას. შეიძლება მხა-

რეები ვერ ერკვევიან საქმის ნამდვილ ვითარებაში და სხვა გარიგებით სიმულაციას იმიტომ მიმართავენ, რომ ბათილი ჰგონიათ დაფარული გარიგება, რომელიც სულაც არაა ასეთი. ასე მაგალითად, მხარეებს ჰგონიათ, რომ დაუშვებელია მიწის ნასყიდობა და ამ მიზნის მისაღწევად დებენ სახლის ნასყიდობის გარიგებას. ამისდა მიხედვით, თვალთმაქცური გარიგების ბათილობის შედეგები შეიძლება იყოს შემდეგი: ა) რა სახისაც არ უნდა იყოს დაფარული გარიგება – ნამდვილი თუ ბათილი, თვალთმაქცური გარიგება მაინც ბათილად ჩაითვლება; ბ) თუ დაფარული გარიგება ნამდვილი აღმოჩნდება, მაშინ იგი დაიკავებს თვალთმაქცური გარიგების ადგილს.

მუხლი 57. პარიზის ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო

1. ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა.

2. ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ.

1. არასერიოზული ნების გამოვლენა (ხუმრობა) ბათილია, თუკი შეიძლებოდა გამოცნობილიყო მისი არასერიოზულობა. შესაძლებელია არსებობდეს ბოროტი და კეთილსინდისიერი ხუმრობა. ხუმრობა ბოროტია, როცა იგი გამიზნულია კონტრაქტისათვის ზიანის მისაყენებლად და იმ წარმოდგენის შესაქმნელად, აქაოდა სერიოზული ნების გამოვლენას აქვს ადგილი. ასეთი ხუმრობით შეიძლება მოტყუდეს სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივი მონაწილე. კეთილს-

ინდისიერ ხუმრობაში თავიდანვეა ჩადებული იმის შესაძლებლობა, რომ იგი აღრესატიხათვის გამოსაცნობი იქნებოდა. ხუმარა ამის შესაძლებლობას რომ არ უშვებდეს, არც იხუმრებდა.

ბოროტი ხუმრობა არ იწვევს გარიგების ბათილობას. სამაგიეროდ კეთილსინდისიერი ხუმრობაა ბათილი.

2. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც ხუმრობის აღრესატმა განიცადა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას და არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ. აქ სწორედ ის ვითარება გვაქვს, როცა ხუმრობა კეთილსინდისიერია, მაგრამ მხარე ვერ აცნობიერებს მის არასერიოზულობას.

როგორც ბოროტი, ისე კეთილსინდისიერი ხუმარა გარკვეული რისკის მატარებელია. პირველის რისკი გამოიხატება იმაში, რომ ხუმრობის საფუძველზე გარიგება არ გაბათილდება და ხუმარა იქნება ყველა იმ ტვირთის მატარებელი, რაც გარიგების ნამდვილობას მოჰყვება კონტრაქტის წინაშე შესასრულებელი ვალდებულების სახით; კეთილსინდისიერი ხუმრობის რისკი მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოვალეობაა.

თუ რამდენად არასერიოზულია ნების გამოვლენა, რამდენად შესაძლებელია მისი გაცნობიერება ამ საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ კარგად უნდა გამოარკვიოს ხუმრობით დადებული გარიგების ხასიათი, კონტრაქტის პიროვნება, კონკრეტული გარემოებანი, რა ვითარებაშიაც დაიდო გარიგება და სხვა ყურადსაღები ფაქტორები, რაც გავლენას ახდენენ ნების გამოვლენაზე.

*მუხლი 58. გარიგების გამოღობა ქმედუნარიანობის ან ფსიქო-
კური მოუღიღობის გამო*

1. ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა.

2. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს.

3. ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული.

1. მცირეწლოვნებად ითვებიან შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანები. ისინი მოკლებულნი არიან ქმედუნარიანობას. მათ უფლებებს ახორციელებენ კანონიერი წარმომადგენლები (მე-12 მუხლის მე-4-5 ნაწილები). აქ სახეზეა აბსოლუტური არაქმედუნარიანობა, რაც საერთოდ გამორიცხავს დამოუკიდებლად ნების გამოვლენას. ის შემთხვევაც იშვიათი გამონაკლისი იქნება, როცა კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით მოხდება ნების გამოვლენა. ვთქვათ, ექვსი წლის პირს მშობელმა დართო ნება სახლის გვერდით არსებულ ჯიხურში ეყიდა სალევჯი რეზინა, სათამაშო ან სხვა წვრილმანი რამ. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ხშირია ასეთი შემთხვევები, ეს მაინც არ ჩაითვლება ნების გამოვლენის იმ მდგომარეობად, რომ მცირეწლოვანი შეიძლება ვადიაროთ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად. აქ გვაქვს ერთგვარი გარდამავალი მდგომარეობა არაქმედუნარიანობიდან ქმედუნარიანობამდე. ის, რომ ქმედუნარიანობის წარმოშობის ასაკად მიღებულია შვიდი წელი, ეს ფაქტი მართალია სინამდვილეს ემყარება, მაგრამ იმავდროულად გარკვეულწილად შემცველია უარყოფითი სამართლებრივი ფიქციის ელემენტებისაც. ამიტომაც, საერთო მდგომარეობიდან ცალკეული

გადახრები ვერ ცვლიან იმ ღებულებას, რომ ბათილია მცირეწლოვანის ნების გამოვლენა.

ბათილია ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. აქ ის ვითარება გვაქვს, როცა ქმედუუნარიანი პირი ნების გამოვლენის ცალკეულ ხელშეშლელ გარემოებათა გამო სასამართლოს მიერ შეიძლება აღიარებულ იქნას ქმედუუნაროდ. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ბათილად ჩაითვალოს იმ პირის ნების გამოვლენაც, რომელიც ფაქტობრივად ქმედუუნაროა, მაგრამ სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არაა ასეთად აღიარებული. ქმედუუნარობის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ჭკუასუსტობა ან სულით ავადმყოფობა (მე-12 მუხლის მე-5 ნაწილი).

ქმედუუნაროდ აღიარებას იწვევს ფსიქიკური მდგომარეობის ავადმყოფური მოშლილობა, კერძოდ, ჭკუასუსტობა, ან სულით ავადმყოფობა. ჭკუასუსტობისა თუ სულით ავადმყოფობის შეფასებისას უნდა გაირკვეს, თუ როგორია ავადმყოფობის ხარისხი და ის, თუ რა საერთო გონებრივი შესაძლებლობანი დარჩა ავადმყოფს. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არის კი ავადმყოფობის ის ხარისხი, რაც საკმარისი საფუძველი იქნება როგორც ავადმყოფის, ისე სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, პირის ქმედუუნაროდ აღიარებისათვის და მისი მცირეწლოვანიან გატოლებისათვის. თავისთავად, ავადმყოფის „საზოგადოდ საშიში“ ბუნება არაა საკმარისი საფუძველი მისი ქმედუუნაროდ აღიარებისათვის. საჭიროა ასევე პირის უუნარობა გაუძღვეს თავის საქმეებს. შეიძლება ზოგიერთი საქმის გაძღოლა ხელეწიფებოდეს, მაგრამ მაინც ქმედუუნაროდ ჩაითვალოს იგი.

ფიზიკური ხასიათის ნაკლოვანებანი (მაგალითად, სიყრუე, სიმუნჯე, რომლებიც, ხელს უშლიან პირს ნების გამოვლენის პროცესში) ვერ იქნება საფუძველი მისი ქმედუუნაროდ აღიარებისათვის.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის საფუძველზე ქმედუ-
უნაროდ შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც სრულწლოვანი პირი,
ისე არასრულწლოვანი შეიძლება თვრამეტ წლამდე.

2. ცნობიერების დაკარგვა ან დროებითი ფსიქიკური მოშლი-
ლობა, მართალია, არ იწვევს პირის ქმედუუნარობას, მაგრამ საკ-
მარისი საფუძველი კია ამ მდგომარეობაში ნების გამოვლენის
ბათილობისათვის. აქ სახეზეა სულიერი მდგომარეობის დროებითი
მოშლილობა, რაც დროებით გამორიცხავს ნების თავისუფლად
გამოვლენას. თვით ფაქტორები, რაშაც შეიძლება გამოიწვიოს ასე-
თი მდგომარეობა, შეიძლება იყოს ძლიერი ნერვიულობა, ფიზი-
კური ტრავმა, ძლიერი სიმთვრალე და ა.შ., ამ საფუძველით ხშირ-
ია საანდერძო განკარგულებათა ბათილობა (1403-ე მუხლის მე-3
ნაწილი).

3. სულით ავადმყოფის მიერ დადებული გარიგება არა მხოლოდ
მაშინაა ბათილი, როცა იგი სასამართლოს მიერაა ცნობილი ქმედუ-
უნაროდ, არამედ მაშინაც, როცა იგი ასეთად არაა აღიარებული,
მაგრამ მისი ნების გამოვლენა არ შეესაბამება რეალური ვითარების
სწორად აღქმას. მის მიერ დადებული გარიგება ნამდვილად ჩაითუ-
ლება, თუკი პირის ავადმყოფობას არ მოუხდენია ზემოქმედება ნებ-
ის გამოვლენაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ეს ხდება „ნათელ
შუალედებში“.

მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

1. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული
აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნე-
ბართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭი-
როა ნებართვა.

2. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ-

კი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ.

3. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.

1. მოცემული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების ბათილობას იწვევს როგორც მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა, ისე რთული წერილობითი ფორმის დაუცველობა.

მოცემული ნორმა იმპერატიულია და გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. თუმცა, როგორც გამონაკლისი, შეიძლება ფორმის დაუცველობამ არცკი გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. ეს მაშინაა, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. კოდექსის 560-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს და ისე შეწყვიტეს ხელშეკრულება, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, ვინაიდან ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ფორმის ხარვეზი. ფაქტობრივი შესრულებით ფორმის ხარვეზის გამოსწორება გამონაკლისი შემთხვევაა და გამოიყენება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მაშინ, როცა ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე იგი საფრთხეს არ შეუქმნის სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს.

ამ მუხლის პირველი პუნქტით ბათილად ცხადდება მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგებაც. თუმცა, ამ შეთანხმების დაუცველობას შეიძლება ყოველთვის არ მოჰყვეს გარიგების ბათილობა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით შეარჩიეს მხარეებმა გარიგების ეს ფორმა: გარიგების ნამდვილობის წინაპირობად, თუ გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად ან მათ მტკიცებულებად. ამ უკა-

ნასკნელი საფუძვლით ფორმის შეთანხმება პრაქტიკაში ხშირია, ასე მაგალითად, ფულის სესხება ზეპირადაც შეიძლება, მაგრამ მხარეები თანხმდებიან, რომ მას სანოტარო წესით დაამოწმებენ. ამ წესის დაუცველობას შეიძლება მოჰყვეს გარიგების ბათილობა. სხვა საქმეა, ვთქვათ, მომსახურეობის ხელშეკრულება, რომელსაც მხარეები წერილობით აფორმებენ და იქვე პირობას თქვავენ, რომ ხელშეკრულების ყოველი შეცვლა მაშინ იქნება ნამდვილი, თუკი ეს წერილობით იქნება შეთანხმებული. ამ შემთხვევაში ფორმის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.

მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა ზოგჯერ იწვევს გარიგების ბათილობას, ზოგჯერ კი – არა. ასე მაგალითად, ანდერძისათვის წერილობითი ფორმა, აუცილებელი ფორმაა, ეს იქნება სანოტარო ფორმით, თუ მის გარეშე (1357-ე მუხლის პირველი ნაწილი). ზეპირი ანდერძი ყველა შემთხვევაში ბათილია, ან კიდევ, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ აუცილებლად წერილობით ფორმას მოითხოვს (418-ე მუხლის მე-2 ნაწილი); ხშირ შემთხვევებში მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილობას, თუმცა დავის შემთხვევაში მხარეებს აყენებს მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკის წინაშე. მოთხოვნის დასასაბუთებლად მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სხვადასხვა მტკიცებულებებს, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებს, თუმცა, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებითი მტკიცებულება და არა ერთადერთი. ასე მაგალითად, სესხის დროს ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით (624-ე მუხლი); მოწმის ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესანახად ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად. მაგალითად, შეძნახველ საკანში ან გარდერობში ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად, საგანგებო ვითარებაში შესანახად

ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად და ა.შ. შეიძლება გამოყენებულ იქნას წერილობითი მტკიცებულობანი, როგორცაა, დოკუმენტები, წერილები, ტელეგრამა, ტელექსი და ა.შ., რომლებიც შეიცავენ ცნობებს გარიგების შესახებ. ასე მაგალითად, ნასყიდობის ფაქტი შეიძლება დამტკიცდეს სალაროს მიერ გაცემული საქონლის ქვითარის ან საქონლის პასპორტის წარდგენით, რომელშიც აღბეჭდილია მალაზიის შტამპი, შესყიდვის დრო და გამყიდველის ხელის მოწერა და ა.შ. სანივთო მტკიცებულებებად გამოდგება საგნები, რომლებიც თავიანთი ნიშნებით, თვისებებით, ხარისხით, არსებობის ფაქტით ან აღვილმდებარეობით შეიძლება გამოდგეს იმ გარემოებათა დასადგენად, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მაგალითად, თუკი ქონება გარიგების საფუძველზე უკვე გადაცემულია, ეს შეიძლება გამოდგეს მისი დაღების ფაქტის მტკიცებულებად; სასამართლომ ყველა მტკიცებულება უნდა შეაგროვოს და განაზოგადოს იმის საჩვენებლად ნამდვილად ჰქონდა თუ არა აღვილი გარიგებას.

რთული წერილობითი ფორმა როცა კანონითაა გათვალისწინებული, ივარაუდება, რომ იგი აუცილებელი ფორმაა და შესაბამისად, მისი დაუცველობა ყოველთვის გამოიწვევს გარიგების ბათილობას.

ბათილია ნებართვის გარეშე დაღებული გარიგებანი. ეს გამონაკლისი შემთხვევებია საერთო წესებიდან. ასე, მაგალითად, ბათილად ჩათვლება ლიცენზიის გარეშე დაღებული ცალკეული გარიგებანი. ლიცენზია უფლებას აძლევს პირს აწარმოოს ესა თუ ის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე. ნებართვაში სწორედ რომ შესაძვე პირის ნებართვა იგულისხმება, რაც დამოუკიდებელი ნების გამოვლენაა.

2. საცილო გარიგება მანამ არ იქნება ბათილი, ვიდრე სასამართლო არ ცნობს მას ბათილად. თუ ანულირების ფაქტამდე იგი ნამდვილად ითვლება, ანულირების შემდეგ კი, ბათილად ჩათვლება

მისი დადების მომენტიდან. სასამართლო გადაწყვეტილებამდე საცილო გარიგების ნამდვილობა განპირობებულია იმ საფუძველთა თავისებურებებით, რის გამოც ხდება მისი ბათილობა. ნების გამოვლენის ფაქტში ბათილობის საფუძველი ობიექტურად შეუმჩნეველია. ვთქვათ, მოტყუებით დაიდო გარიგება. მოტყუების ფაქტი ობიექტურად არ ვლინდება, ფორმის დაუცველობა კი ობიექტურ, გარეგნულ გამოხატულებას ჰპოულობს. ამ უკანასკნელის არსებობის მტკიცება თვით ამ ფაქტშია. ამიტომაც, რომ ვიდრე არ დამტკიცებულა მოტყუების, ცდომილების მდგომარეობა, მანამდე ვერ ვიტყვით, რომ გარიგება ბათილია. სასამართლო აქ ბათილობის დადასტურება-კონსტატაციას კი არ ახდენს, არამედ ადგენს მას.

საცილო გარიგებისას ირღვევა გარიგების ნამდვილობის ის პირობები, რომლებიც დადგენილია მხარეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

საცილო გარიგება ბათილად რომ ჩაითვალოს, საჭიროა შეცილება მოხდეს მეორე მხარის წინაშე.

3. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ასეთ პირებად ყველა „ცნობისმოყვარე“ კი არ ჩაითვლება, არამედ გარიგებას მონაწილეები და ის შესამე პირები, რომელთა ინტერესებიც შეიძლება შეილახოს ამ გარიგებით.

მუსლი ნთ. გარიგების კონვერსია

თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

გარიგების კონვერსია გულისხმობს ბათილი გარიგების ჩვეულებ-

ისაგან განსხვავებით, სხვაგვარ განმარტებას. არსებითად ესაა ბათილი გარიგების „ნამდვილ გარიგებად განმარტება“.

კონვერსიის დროს სახეზეა მხარეთა მიერ თავდაპირველად შეთანხმებული გარიგება და შემდგომ შეთანხმებული გარიგება. ბათილია სწორედ თავდაპირველი გარიგება. ამიტომაც, თუ გარიგების მხოლოდ ერთი ნაწილია ბათილი, მაშინ ეს მუხლი მხედველობაში არ მიიღება.

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ჯერ კიდევ შეთანხმების დადების პროცესში მყოფი გარიგების მიმართ. ბათილი გარიგების სპეციალური განმარტება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც იგი მოიცავს სხვა ნამდვილ გარიგებას და როცა ამ უკანასკნელის სამართლებრივი შედეგები ბათილი გარიგების უკან რჩება.

სხვა გარიგება მხოლოდ მაშინაა ძალის მქონე, თუკი თავდაპირველი გარიგების ბათილობის შეტყობისას, მხარეები მოისურვებენ მის ნამდვილობას. ამიტომაც, სასამართლომ კარგად უნდა დაადგინოს და შეაფასოს მხარეთა ინტერესები გარიგების დადების მომენტში და გაარკვიოს, ისურვებდნენ თუ არა ისინი სხვა გარიგებას, რომ სცოდნოდათ თავდაპირველი გარიგების ბათილობა.

მუხლი 61. ადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას

1. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.

2. თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.

3. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.

4. თუ უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საეჭვოობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

5. დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

1. უცილოდ ბათილად, სხვანაირად არარად ითვლება ყოველგვარი გარიგება, რომელიც არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის. არარა ვარიგება მაშინაა სახეზე, როცა მისი იურიდიული შედეგუუნარობა გამოძინარეობს ამა თუ იმ ზუსტად განსაზღვრული საფუძვლებიდან, როგორცაა ქმედუუნარობა, ფორმის დაუცველობა, უზნეობა და ა.შ.

არარა გარიგება მისი დადების მომენტიდანვეა ბათილი და ამდენად მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ. არარა გარიგების შემთხვევაში ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს.

მოუხედავად იმისა რომ არარა გარიგება, მხარეთა მიერ გამიზნულ შედეგებს არ იწვევს, ის არ შეიძლება განვიხილოთ ე.წ. „ნულად“, „განუხორციელებელ მოქმედებად“. მართალია, გარიგება არარაა, მაგრამ იგი რეალურად განხორციელებული მოქმედებაა, რაც გარკვეულ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ანდა გარიგებით მიღებულის უკან დაბრუნება.

2. დადასტურებით არარა გარიგება არ შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად. დადასტურების ფაქტი სინამდვილეში განიხილება

როგორც გარიგების ხელახლა დადება. დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია. ვთქვათ, მხარეებმა მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება სანოტარო წესით არ დაამოწმეს და არც საჯარო რეესტრში გაატარეს. ასეთი გარიგება თავიდანვე ბათილი იქნება. მაგრამ თუ მხარეები თანახმანი აღიან ძალაში დატოვონ თავიანთი ნების გამოვლენა (დადონ ხელშეკრულება) და დადასტურებენ მას, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ეს ხელშეკრულება უნდა დაამოწმონ სანოტარო წესით და გაატარონ რეესტრაციაში. ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ, გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თავდაპირველი გარიგების დადების მომენტიდან, არამედ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ ფორმაში მისი მოქცევის დროიდან. ეს ფაქტი განიხილება, როგორც გარიგების ხელშეორედ დადება.

3. შეიძლება დადასტურდეს საცილო გარიგებაც. თუ არარა გარიგების შემთხვევაში დადასტურება გარიგების ხელშეორედ დადებას უდრიდა, აქ შეცვლებაზე უფლების მქონე პირი ნამდვილად მიიჩნევს იმ გარიგებას, რომელსაც გააჩნია ბათილობის საფუძველი. დადასტურება ხდება ცალმხრივი ნების გამოვლენით, კერძოდ, იმის გაცხადებით რომ უფლებამოსილ პირს სურს საცილო გარიგების ძალაში დატოვება და უარს ამბობს მისი შეცვლების უფლებაზე. ეს განცხადება ნამდვილი რომ იყოს, საჭიროა უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი იყოს შეცვლების საფუძველი, რადგანაც დადასტურებით არ იდება ახალი გარიგება, არც იმ ფორმის დაცვაა აუცილებელი, რაც თვით გარიგებისათვისაა განსაზღვრული. დაშვებულია დადასტურება დუმილის გზითაც. ასე მაგალითად, პირმა იცის რა გარიგების საცილობლობის თაობაზე, არაფერს ამბობს მის შესახებ და კიდევ ასრულებს გარიგებით გათვალისწინებულ მოქმედებებს. თუმცა, კარგად გასარკვევია პირის დუმილის მიზეზები, იგი შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს დადასტურებას. თუ მოტყუებისას დუმილი

დადასტურების მაუწყებელია, იძულებისას – ძნელია ამისი თქმა.

დადასტურება ყოველთვის არ ნიშნავს ზიანის ანაზღაურების უფლებაზე ხელის აღებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეცილების საფუძვლებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს ანაზღაურდება, თუ არა გარიგების საცილობლობით გამოწვეული ზიანი.

4. დადასტურება მართალია არ აქცევს ბათილ გარიგებას ნამდვილად, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი უფლება-მოვალეობანი მისი დადების მომენტს დაუკავშირონ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გარიგების ნამდვილობის მომენტი აქედან არ აითვლება, აქ იმისი ვარაუდია, გარიგება თითქოს თავიდანვე ნამდვილი ყოფილიყოს. ასეთ შეთანხმებას მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობაში აქვს სავალდებულო ძალა. თუკი მხარეები, რომლებიც ადასტურებენ გარიგებას, ამაზე არ შეთანხმებულან და საეჭვოა ურთიერთობა, მაშინ კოდექსი ავალდებულებს „ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო“. აქაც თავიდანვე ნამდვილობის ვარაუდია. თუ ერთ შემთხვევაში მხარეთა ნებაზეა მისი არსებობა დამოკიდებული, ამ შემთხვევაში – მათი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა ეს ვალდებულება. ასე, მაგალითად, ა-მ 10 იანვარს მიჰყიდა ბ-ს საკუთარი ბინა. ხელშეკრულება ჩაითვალია ბათილად ფორმის დაუცველობის საფუძველზე. მხარეებმა იგი დაადასტურეს სავალდებულო ფორმის მიცემით მხოლოდ 10 თვის შემდეგ. ამ ხნის მანძილზე ბინის დამქირავებელი გქირას უხდიდა ბ-ს, რომელიც ბინის მესაკუთრედ შეიქმნა მხოლოდ გარიგების დადასტურების შემდეგ. ისარგებლა რა ამ მდგომარეობით, ა-მ მოსთხოვა გ-ს ბ-სათვის გადახდილი მთელი ქირის მისთვის გადაცემა, როგორც მესაკუთრისათვის. აქ სწორედაც რომ საეჭვო მდგომარეობაა სახეზე და ამიტომაც კანონის მე-4 პუნქტის საფუძველზე მხარეთა მიერ დადასტურებული ნასყიდობა უნდა განვიხ-

ილთ ისეთ ურთიერთობად, თითქოს იგი თავიდანვე ნამდვილი ყოფილიყო. ამ წესის ძალით, ა-ს ესპობა გზა გ-ს მოსთხოვოს 10 თვის ბინის ქირა, ვინაიდან იგი ერგება ბ-ს.

5. გარიგების დადასტურება ყველა შემთხვევაში როდია ნამდვილი. ყველაფერი დამოკიდებულია თავად ბათილობის საფუძველზე. თუ ასეთი საფუძველი ფორმის ნაკლია, დადასტურებით შეიძლება მისი გამოსწორება. მაგრამ თუ აქ ფორმა კი არაა ნაკლოვანი, არამედ გარიგების შინაარსი, გარიგება კანონსაწინააღმდეგო ან ზნეობის საწინააღმდეგოა, მაშინ დადასტურებას კვლავ მისი ბათილობა მოჰყვება შედეგად. დადასტურებას იქა აქვს ადგილი, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ურთიერთობის შენარჩუნება. აქ კი, ბათილი გარიგების ნიადაგზე ახალი გარიგების დადების მცდელობა გამორიცხებულია. ამიტომაცაა, რომ კოდექსის ძალით, დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგს.

მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა

გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

გარიგების ნაწილის ბათილობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მთლიანი გარიგების ბათილობა, ანდა მხოლოდ მისი ამ ნაწილის ბათილობა. საეჭვოობისას ბათილად ჩაითვლება მთელი გარიგება. კანონისმიერი წესია, რომ გარიგების ნაწილის ბათილობა იწვევს მთლიანი გარიგების ბათილობას. აქედან გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ის შემთხვევა, როცა გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას. თუ რა შედეგებს გამოი-

წვევს გარიგების ნაწილის ბათილობა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კავშირი არსებობს გარიგების ამ ნაწილსა და მის სხვა ნაწილებს შორის. თუ დადგინდება, რომ გარიგების ბათილი ნაწილის გარეშე შეუძლებელია მისი სხვა ნაწილების არსებობა, მაშინ მთლიანი გარიგება ჩაითვლება ბათილად. ხოლო თუ დადგინდება, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც, მაშინ გარიგების სხვა ნაწილების ბათილობა გამორიცხულია. ასე მაგალითად, როცა მომავალი პარტნიორები შპს-ის წესდებას ადგენენ და მას ხელს აწერენ, ამით ისინი ღებენ გარიგებას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ერთ-ერთ ნაწილად ითვლება ის ნაწილი, რომელშიც განსაზღვრულია საწესდებო კაპიტალის ოდენობა. თუკი პარტნიორები წესდებაში ჩაწერენ, რომ შპს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 500 ლარს, ეს იქნება გარიგების ისეთი ბათილი ნაწილი, რომელიც მთლიანი გარიგების ბათილობას გამოიწვევს. საქმე იმაშია, რომ შპს-ს არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე ნაკლები საწესდებო კაპიტალი, რაც კანონითაა დადგენილი. სხვაგვარად გადაწყდებოდა მთლიანი გარიგების ბედ-იღბალი, თუ წესდებაში ჩაიწერებოდა, რომ პარტნიორს არა აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება. გარიგების ნაწილის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანი გარიგების ბათილობას. ვინაიდანაც კანონის ძალით, პარტნიორს აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება, გარიგების მხოლოდ ეს ნაწილი ჩაითვლება ბათილად, თუმცა ის ვერ მოახდენს გავლენას მთლიანი გარიგების ბათილობაზე. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ძალის მქონე იქნება არა წესდებით განსაზღვრული წესი, არამედ კანონით განსაზღვრული. ხოლო, როცა საწესდებო კაპიტალი არაა შეტანილი იმ ოდენობით, რაც შპს-ს დაფუძნებისათვისაა საჭირო, ივარაუდება, რომ შპს არ შექმნილა და მთელი გარიგებაა ბათილი მისი ყველა, თუნდაც, ნამდვილი ნაწილების ჩათვლით.

გარიგების ნაწილის ბათილობის ობიექტური შედეგები კანონის

ნორმატიული ნების გამოვლენით წყდება და არა მხარეთა გადაწყვეტილებით. მხარეებს შეუძლიათ თავიანთი გადაწყვეტილებით ან გამოასწორონ ნების გამოვლენის ნაკლი, ანდა დაემორჩილონ კანონის ნებას. ზემოთმოტანილ შემთხვევებში მათ შეუძლიათ, ან შეცვალონ გარიგების ბათილი ნაწილი და მთლიანი გარიგება დატოვონ ძალაში, ანდა უარი თქვან მთლიან გარიგებაზე.

თავი მეორე

ქმედუნარიანობა, როგორც ბარიზმის ნამდვილობის კირობა

მუხლი ნვ. არასრულწლოვანის მიერ დაღუპული ბარიზმის

1. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს.

2. თუ არასრულწლოვანი ქმედუნარიანი გახდება, მაშინ იგი თვითონ წყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ.

1. არასრულწლოვანი შვიდიდან თერამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა (მე-14 მუხლის პირველი ნაწილი) მისი ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გარიგებით იღებს სარგებელს (მე-15 მუხლი). ასევე დამოუკიდებლად შეიძლება დადოს არასრულწლოვანმა გარიგებანი 15-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი წინასწარი თანხმობის (ნებართვის) გარეშე არასრულწლოვანის მიერ დაღუპული გარიგება მერყევად ბათილია. ვინაიდან არსებობს იმისი შესაძლებლობა, რომ შეიძლება ეს გარიგება მოიწონოს კანონიერმა წარმომადგენელმა. თუ ეს მოხდება, არასრულწლოვანის ნების გამოვლენაც ნამდვილად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში გამოიყენება 101-ე მუხლის წესები. ამასთან, თუკი გარიგებით არასრულწლოვანი დებულობს სარგებელს,

მისი ნების გამოვლენა მაინც ნამდვილი იქნება. კანონიერი წარმო-
მადგენელის თანხმობით არასრულწლოვანის ქმედუნარიანობა იზღუდე-
ბა სწორედ იმ მიზნით, რომ გარიგება არ აღმოჩნდეს მისთვის
ზიანის მომტანი.

რას უნდა ნიშნავდეს არასრულწლოვანისათვის სარგებლის
მომტანი გარიგება? მართალია, კანონში პირდაპირ არაა მინიშნებუ-
ლი, მაგრამ სარგებლის ცნებაში უნდა იგულისხმებოდეს არა იმდე-
ნად მისი მატერიალურ-ეკონომიკური მხარე, რამდენადაც მისი სა-
ძმართლებრივი მხარე, ვ.ი. სამართლებრივი სარგებელი. არასრულ-
წლოვანის მიერ დადებული ყოველი გარიგება სამართლებრივი სარგე-
ბლით უნდა შეფასდეს. სამართლებრივი სარგებლის შემცველი იქნება
ყველა შესრულება, რომელიც კი არასრულწლოვანის სასარგებლოდ
ხორციელდება, ასევე ნებისმიერი განკარგვა, რის საფუძველზეც ეს
პირი იძენს რაიმე უფლებას, მაგალითად, უფლებისა და მოთხოვნის
დათმობა (198-ე მუხლი). არასრულწლოვანის საკუთრებაში გადა-
ცემული ქონება თუნდაც რომ დატვირთული იყოს სანივთო უფლე-
ბებით, სამართლებრივი სარგებელი მაინც სახეზეა, ვინაიდან აღნიშ-
ნული დატვირთვები არ იწვევს მის პირად პასუხისმგებლობას.

სამართლებრივი სარგებლის შემცველია ყველა ვალდებულებით-
სამართლებრივი გარიგება, რომელიც არასრულწლოვანს მხოლოდ
მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ასეთი შეიძლება იყოს საჩუქრის
დაპირება (525-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ყველა ორმხრივ გარიგებას, მაგალითად, როგორცაა ნასყიდო-
ბა, ქირავნობა, ნარდობა და სხვა, მარტო სამართლებრივი სარგებე-
ლი კი არ მოაქვს არასრულწლოვანისათვის, არამედ ვალდებულე-
ბებსაც აკისრებს მას. სესხებისას სამართლებრივი სარგებლის მიძ-
ლები არასრულწლოვანი, ასევე ვალდებულია დააბრუნოს ნივთი.

2. თუკი არასრულწლოვანი ქმედუნარიანი განდგება, მაშინ იგი
თვითონ წყვეტს თავისი ნების გამოვლენა ნამდვილი იქნება, თუ

ბათილი. ქმედუნარიანობის მოპოვებით იგი კანონიერ წარმომადგენელთა უფლებამოსილებას იძენს და ამით თავისი ადრინდელი ნების გამოვლენის ვაშკითხავიც თავადვე ხდება. საამისოდ საჭიროა, რომ მისი ნების გამოვლენა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჯერ კიდევ არ იყოს ბათილად ცნობილი.

მუხლი 64. შარი არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებებზე

1. არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

2. თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვანობის შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.

1. არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის გარეშე დადებული გარიგება პერყევად ბათილია. ბათილობის მდგომარეობა უქმდება და გარიგება ნამდვილად იქცევა, თუკი მას კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს. მაგრამ, ვიდრე მოწონება მოხდებოდეს, გარიგების პერყევად ბათილი ხასიათი უფლებას აძლევს მეორე მხარეს უარი თქვას მასზე. უარი შეიძლება გამოითქვას არამარტო კანონიერი წარმომადგენლის. არამედ თვით არასრულწლოვანის მიმართაც.

2. მეორე მხარეს გარიგებაზე უარის თქმის უფლება აქვს მაშინაც, როდესაც, მართალია, მან იცოდა პირის არასრულწლოვანების შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი იქცეოდა არაკეთილსინდისიერად და ატყუებდა მას, რომ კანონიერი წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.

ამ ნორმის ძირითადი აზრი ისაა, რომ მეორე მხარე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არასრულწლოვანთან გარიგებით დაკავშირებულად, როდესაც ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა, რომ მისი ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე.

მუხლი 65. არასრულწლოვანის მქანსიპაცია

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტით მოწესრიგებულია არასრულწლოვანის მიერ „ჯიბის ფულის“ განკარგვის უფლებამოსილება. „ჯიბის ფულს“ კი მიეკუთვნება ის საშუალებანი, რომელიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენელმა, ან ამ უკანასკნელის თანხმობით, მეს-

ამე პირებმა ამა თუ იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების შესასრულებლად, ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით, საშუალებაში უპირატესად ივარაუდება ფულადი საშუალება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა წინასწარი თანხმობის სპეციალური შემთხვევა (63-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნულ საშუალებათა გადაცემაში გამოიხატება კანონიერი წარმომადგენლის კონკლუდენტური თანხმობა არასრულწლოვანის გარიგებათა მიმართ. ამიტომაც, ვერ ვიტყვით, რომ აქ არაა თანხმობა. თანხმობა კია, ოღონდ ზოგადი ხასიათის შეზღუდული თანხმობაა და მკვეთრად არაა გამოხატული.

კანონიერი წარმომადგენლის კონკლუდენტური თანხმობა ივარაუდება არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მიმართ, როცა ეს უკანასკნელი ხელშეკრულებას ასრულებს მასზე გადაცემულ საშუალებათა ფარგლებში. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება თავიდანვე ნამდვილია. ასე მაგალითად, თუკი არასრულწლოვანი იმ ფულით, რომელიც მას თავისუფალი განკარგვის მიზნით მისცეს, იქირავებს ბინას და ნახევარი წლის ჭირას წინასწარვე გადაიხდის, ამ ხნის მანძილზე ხელშეკრულება ნამდვილი იქნება, თუნდაც, რომ შემდგომ მისი მეურვე უკმაყოფილო დარჩეს ამ გარიგებით.

აღნიშნულ საშუალებათა თავისუფალი განკარგვის უფლება არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენების შედეგად მიღებული ყოველი ფასეულობა არასრულწლოვანს შეუძლია თავისუფლად განკარგოს. განკარგვის პირველადი თავისუფლება. როგორც წესი, არ შობს განკარგვის მომდევნო თავისუფლებას. ასე მაგალითად, არასრულწლოვანი ჯიბის ფულით ყიდულობს საოჯახო ლოტოს და იგებს 1000 ლარს, შემდეგ კი, ამ ფულით ყიდულობს ავტომობილს. ეს უკანასკნელი გარიგება 65-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ვერ იქნება ნამდვილი, ვინაიდან არასრულწლოვანს უფლება აქვს თავისუფლად გამოიყენოს ჯიბის ფული და იყიდოს საოჯახო ლოტო.

თვით აქედან მონაგების თავისუფლად განკარგვის უფლება მას არა აქვს. ამას აღასტურებს უცხოური სასამართლო პრაქტიკა, ამგვარადვე წყვეტდა საკითხს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც.

2. ამ ნორმის ძალით, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი უფლებამოსილი ხდება დამოუკიდებლად გაუძღვეს საწარმოს. ამ უფლებამოსილებას იგი იძენს კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით, რასაც თავის მხრივ სჭირდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასტური.

თექვსმეტ წელს მიღწეული პირი მინიჭებული უფლებამოსილების წყალობით შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება ყველა იმ გარიგების მიმართ, რაც ჩვეულებრივ დაკავშირებულია მის საწარმოსთან. აქ უკვე მას აღარ სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონიერმა წარმომადგენელმა საწარმოს დამოუკიდებლად გაძლილაზე ნებართვის მიცემით, ზოგადად გამოხატა თავისი თანხმობა არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგებების მიმართაც. აქ სახეზეა ერთგვარი კონკლუდენტური თანხმობა.

ეს სორმა სპეციალური ნორმაა და მის საფუძველზე არასრულწლოვანის ემანსიპაცია ხდება მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებში. ამ ურთიერთობების გარეთ, იგი ჩვეულებრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ რჩება. საწარმო საქმიანობად იგულისხმება ნებისმიერი დამოუკიდებელი სამეწარმეო, სავაჭრო თუ თავისუფალი პროფესიული საქმიანობა, რაც მოგებისკენაა მიმართული.

მართალია, კანონში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმომადგენელს შეუძლია გააუქმოს არასრულწლოვანზე მინიჭებული უფლებამოსილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

3. კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის მიზანია, შემოწმდეს.

რამდენად საფუძვლიანია არასრულწლოვანისათვის საწარმოს გაძღოლის უფლებამოსილების მინიჭება. ეს აუცილებელია. იმიტომაც, რომ საწარმოო საქმიანობის უკან კერძო ინტერესების გარდა, დგას სოციალური ინტერესებიც. ამდენად, არასრულწლოვანის მიერ საწარმოს გაძღოლისუნარიანობა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომაც უნდა დაადასტუროს. ამასვე იტყობინება 1294-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს მზრუნველისაგან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარ თანხმობას სამზრუნველო პირის სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლასთან დაკავშირებით. თუ არასრულწლოვანისათვის უფლებამოსილების მინიჭებისას მთავარია საწარმოს ინტერესები, ამ უფლებამოსილების შეწყვეტისას იკვეთება თვით არასრულწლოვანის, როგორც დამოუკიდებელი მეწარმის ინტერესებიც. ამიტომაც, თუ რამდენად საფუძვლიანად ითხოვს მშობელი არასრულწლოვანზე მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტას, ეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა განსაჯოს.

მუხლი 129. წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული ბარიერების ბათილობა

ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.

თუკი არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება პერყევად ბათილია და შეიძლება კანონიერი წარმომადგენლის მიერ მისი შემდგომი მოწონება (63-ე მუხლის პირველი ნაწილი), იგივეს ვერ ვიტყვიტ ცალმხრივი გარიგების მიმართ (66-ე მუხლის პირველი ნაწილი). ცალმხრივი გარიგება საბოლოოდ ბათილია და კანონიერი წარმომადგენლის მოწონება მას ნამდვილად ვერ აქცევს. ყოველივე ეს გამოწვეულია იმ მხარის ინტერესების დაცვით, რომლისკენაც მიმართულია ცალმხრივი ნების გამოვლენა. კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შემდგომი თანხმობის დაშვების შემთხვევაში, მეორე მხარე ამ თანხმობის განხორციელებამდე აღმოჩნდებოდა სამართლებრივად გაურკვეველ მდგომარეობაში. როცა სახეზეა არასრულწლოვანის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, მაგალითად, როგორიცაა: ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ა. შ., ამ შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მიზანშეწონილია წერილობით გამოითქვას. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაც რომ იყოს, თუ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამისი დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, გარიგება არარად ჩაითვლება, თუკი მეორე მხარე დაუყოვნებლივ იტყვის მასზე უარს. უარის თქმა დაუყოვნებლივ თუ არ მოხდება, მეორე მხარე ჩაითვლება არასრულწლოვანის ნების გამოვლენასთან დაკავშირებულად. ასევე დაუშვებელია მეორე მხარის უარი, თუკი იგი, მიუხედავად აღნიშნული წერილობითი საბუთის არარსებობისა, ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ. ივარაუდება, რომ ასეთი ინფორმირება მოხდა თვით კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან.

მუხლი 67. ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე

გარიგება, რომელიც დაიდო ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე, მოითხოვს ნებართვას, თუ დადგინდება, რომ ის საფუძველი, რის გამოც მოხდა ქმედუნარიანობის შეზღუდვა, აშკარად არსებობდა გარიგების დადების დროსაც.

ამ მუხლის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობა გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ახდენს არამართო მაშინ, როდესაც პირი ასეთადაა ცნობილი სასამართლოს მიერ, არამედ მაშინაც, როდესაც გარიგების დადების დროს მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი უკვე აშკარად არსებობდა. ამასვე იტყობინება 58-ე მუხლის შესამე პუნქტიც. ამ გარემოებათა გამო ნებართვას მოითხოვს არამართო ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემდეგ დადებული გარიგებანი, არამედ მის შეზღუდვამდე დადებული გარიგებანიც.

თავი მესამე გარიგების ფორმა

მუხლი 68. ფორმის ნამდვილობა გარიგების ნამდვილობისათვის

გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა. სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ფორმის არჩევის თავისუფლებას. თვითონ მხარეები თანხმდებიან გარიგების ფორმაზე, თუ კანონით არაა იგი განსაზღვრული. ესა თუ ის ფორმა ყველა შემთხვევაშია აუცილებელი, თუმცა ზოგჯერ კანონითა თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული კონკრეტული ფორმა წარმოადგენს გარიგების აუცილებელ ელემენტს, როგორც იტყვიან გარიგების corpus-ს, ურომლისოდაც ეს გარიგება არ არსებობს. სწორედ აქაა გარიგების სავალდებულო ფორმა. სხვა დროს კი, როცა ნების გამოხატვა შეიძლება ნებისმიერი ფორმით, მაშინ ნებისმიერი მათგანია საკმარისი საფუძველი გარიგების ნამდვილობისათვის. ამ შემთხვევაში კი სახეზეა გარიგების არასავალდებულო ფორმა. ამრიგად, ერთ შემთხვევაში ფორმა იმპერატიულია, სხვა დროს კი – დისპოზიციური. ასე მაგალითად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183-ე მუხლის პირველი ნაწილი), სამაგიეროდ სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც და წერილობითაც (624-ე მუხლი). იმპერატიული ფორმა ყოველთვის წერილობითია, დისპოზიციური ფორმა უპირატესად ვლინდება სიტყვიერ ან სხვაგვარ

მოქმედებაში, როგორცაა დუმილი და კონკლუდენტური მოქმედებანი.

ნების გამოვლენის ფართოდ გავრცელებული საშუალებაა ზეპირი გარიგება. ზეპირად ნების გამოვლენა გულისხმობს სიტყვიერად მის გამოვლენას „კონტრაქტთან პირისპირ მოლაპარაკებით თუ სატელეფონო საუბრით“. ზეპირად შეიძლება დაიდოს ყველა ის გარიგება, რომელთათვისაც არაა აუცილებელი წერილობითი ფორმა. ამასთან, ნებისძიერი ზეპირი გარიგება მზარეთა შეთანხმებით შეიძლება მოექცეს წერილობით ფორმაში (როგორც მარტივი, ისე სანოტარო ფორმით).

ზეპირი ფორმა მიღებული იმ გარიგებებისათვის, რომელთა შესრულებაც მათი დადებისთანავე ხდება, ვინაიდან გარიგების დადებისა და მისი შესრულების მომენტები ერთმანეთს ემთხვევა, წერილობითი ფორმა ზედმეტი ხდება. რა თანხისაც არ უნდა იყოს გარიგება და ვინც არ უნდა იყოს ნების გამოვლენის სუბიექტი, ამ შემთხვევაში სიტყვიერად ნების გამოვლენა საკმარისია მისი ნამდვილობისათვის.

კონკლუდენტური მოქმედებისას ნების გამოვლენა თვით გარემოებათაგან ივარაუდება. აქ ისეთი მოქმედებაა პირისა, რომელშიც მუდავნდება გარიგების დადების სურვილი. შეიძლება ეს მოქმედება შესრულდეს მხოლოდ ფიზიკურ-ეესტური მოქმედების ფორმით, ანდა შეიძლება მას თან ახლდეს ცალკეული სიტყვებისა და რეპლიკების გამოყენება. ასე მაგალითად, ავღივართ რა ქუჩაში მიმავალ ავტობუსში, ამით ჩვენ გადამყვანთან ვდებთ გადაყვანის ხელშეკრულებას; ან კიდევ ავიღოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ერთ-ერთ დაწესებულებაში ერთმა თანამშრომელმა მეორეს შესთავაზა ლატარიის გათამაშებაში ერთად მონაწილეობის მიღება ერთი სიტყვით: „ვითამაშოთ“, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა პასუხი: „ვითამაშოთ“. ამის შემდეგ, ყოველგვარი სიტყვათხმარების გარეშე საერთო თანხით ერთ-ერთი ყიდულობს ლატარიის ბილეთს, რომელსაც წილად

ხვდება დიდი მოგება. დავის განხილვისას ერთ-ერთი მხარის მტკიცება, რომ აქ საერთოდ არა აქვს აღვილი გარიგებას, რადგანაც მხარეთა შორის არ ყოფილა მოლაპარაკება, სასამართლომ არ გააზიარა და მათი მოქმედება ჩათვალა კონკლუდენტურ მოქმედებად, რაც საკმარისი იყო გარიგების დასადავად. ზოგჯერ ნების გამოვლენის ფაქტი ლოგიკურად ივარაუდება კონკლუდენტური მოქმედებიდან. თუ მე თანახმა ვარ მომავალ წელს პროცენტი მივიღო იმ კაპიტალიდან, რომელიც სხვას გადავეცი, ლოგიკურად ივარაუდება, რომ მე ასევე თანახმა ვარ გადაუვადო მოვალეს კაპიტალის დაბრუნების ვალდებულება მომავალი წლისათვის.

დუმილი ჩაითვლება გარიგების დადების სურვილის გამოხატულებად, თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ჩვეულებით ან მხარეთა შეთანხმებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ნიშნავს დუმილი თანხმობას. ივარაუდება, რომ ვინც დუმს, მას შეუძლია და კიდევ ვალდებულია ილაპარაკოს. სწორედაც რომ კუთილსინდისიერება და ჯანსაღი აზრი გვაფიქრებინებს, რომ დუმილი თანხმობას მოასწავებს. ასე მაგალითად, თუკი ვინმე ჩემი მოთხოვნის გარეშე გამომიგზავნის რაიმე ნივთს და მე დროზე ვერ ვუბრუნებ უკან მას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე თანახმა ვარ დავდო მასთან ხელშეკრულება. მაგრამ თუკი ნივთის გამოგზავნიან მე მაქვს მუდმივი საქმიანი ურთიერთობანი და სხვა დროს ბევრჯერ მიმიღია მსგავსი წინადადებანი ყოველგვარი პროტესტის გარეშე, ამ შემთხვევაში კუთილსინდისიერება მოითხოვს ჩემი დუმილი ჩაითვალოს თანხმობად. ამ მდგომარეობის ამსახველია კოდექსის ნორმა, რომელიც იუწყება: „თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთან საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად (335-ე მუხლის პირველი ნაწილი).

1. მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

2. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, სახელდობრ, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება.

3. თუ გარიგების ფორმა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას, მაშინ დამოწმება უნდა განახორციელოს ნოტარიუსმა, მოსამართლემ ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

1. წერილობითი გარიგებისას ნების გამოვლენის გამოხატვის ფორმაა წერილობითი დოკუმენტი. სულერთია სახეზეა მარტივი წერილობითი ფორმა, თუ რთული წერილობითი ფორმა. დოკუმენტში აუცილებელია ჩანდეს გარიგების შინაარსი (პირობები), ნების გამოვლენის სუბიექტთა ხელმოწერა. ცალმხრივი გარიგებისას საკმარისია ერთი პირის ხელმოწერა, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებისას კი — ორი ან მეტი პირის ხელმოწერაა საჭირო. თუკი გარიგება იდება წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ საჭიროა მისი ხელმოწერა. ხელმოწერისას არაა აუცილებელი იმის მითითება, რომ იგი წარმომადგენლის სახით მოქმედებს. დოკუმენტის შინაარსიდან უნდა ჩანდეს, რომ ესა თუ ის პირი სხვისი დავალებით მოქმედებს. ამ წესების დაუცველობა ნიშნავს იმას, რომ არაა დაცული გარიგების წერილობითი ფორმა, რაც მისი ბათილობის მომასწავებელია.

2. ამ მუხლში მოცემული ხელის მოწერა უნდა გავიგოთ, როგორც საკუთარი ხელის მოწერა. დასაშვებია სტენოგრაფიული ხელის მოწერა, მაგრამ არა მექანიკური (საბეჭდი მანქანას, ან ბეჭდის

გამოყენებით). სხვა საქმეა ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა. კოდექსი გამონაკლისის სახით ამ შემთხვევაში მექანიკური საშუალებების გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს: „იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, სახელდობრ, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება“ (69-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასე მაგალითად, სავალო დოკუმენტზე, რომლითაც ეპიტენტი დოკუმენტის წარღვენისას გადახდას ჰპირდება დასახელებულ პირს და რომელიც გაცემულია საორდერო ფასიანი ქაღალდის სახით, ხელმოწერა შეიძლება ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით (922-ე მუხლის 1 და 2 ნაწილები). ტექნიკური საშუალების გამოყენებითვე შეიძლება დოკუმენტში მოცემული უფლების ინდოსირება (923-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ხელმოწერა ნამდვილია დოკუმენტის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მოცემულია ხელმოწერის ზემოთ ან ხელმოწერამდე. ხელმოწერელი დამატებები ხელმოწერის ქვემოთ ან დოკუმენტის შორე მხარეზე ბათილია; დოკუმენტის შეუვსებელ ადგილზე დასმული ხელმოწერა ითვლება ხელისმომწერის ნების (და არა მისი შემვსებლის) გამოვლინებად მისი შევსების მომენტიდან. ასეთი დოკუმენტი ფორმის თვალსაზრისით ნამდვილია, მაგრამ თუ ის შინაარსი, რითაც შევსილია ფურცელი, არ შეესაბამება ხელის მოწერის ნებას, შეიძლება იგი საცილო გახდეს ცდომილების ან მოტყუების საფუძველზე (72-84 მუხლები).

კანონში არსად არაა მითითებული, რომ ხელმოწერა უნდა მოხდეს პირის ნამდვილი სახელით. ამიტომაც, დასაშვებია დოკუმენტზე ხელმოწერა გაკეთდეს იმ ფაქტობრივი სახელით (მეტსახელი), რომლის მატარებელიცაა პირი, ანდა ფსევდონიმით. მთავარია პირი საკმარისად ნათლად იყოს გამოკვეთილი.

3. თუ სანოტარო ფორმა კანონით ეხება ცალმხრივი ნების გამოვლენას, ან მხოლოდ ერთი მხარის ნების გამოვლენას სახ-

ელშეკრულებო ურთიერთობებში, ასეთ შემთხვევაში საკმარისია დამოწმდეს ნების გამოვლენის შინაარსი. მაგალითად, ანდერძის დამოწმება გულისხმობს ერთი მხარის ნების გამოვლენის დამოწმებას; სხვა დროს კი, როცა სანოტარო ფორმა ეხება ურთიერთმხრივი ნების გამოვლენას, ამ შემთხვევაში დამოწმების საგანია არამარტო ნების გამოვლენის შინაარსი, არამედ ყოველი მათგანის ნების გამოვლენა მეორე მხარის მიმართ.

გარიგების სანოტარო წესით დამოწმება ერთ შემთხვევაში გულისხმობს გარიგების შინაარსის დადასტურებას, სხვა დროს კი – ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებას. გარიგების შინაარსის დადასტურება ნიშნავს მისი მოქმედ სამართალთან შესაბამისობის დადასტურებას. ვთქვათ, ვინმემ გადაწყვიტა მიწის ნაკვეთის გაყიდვა. ვიდრე მოხდებოდეს ხელშეკრულების დამოწმება, ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს რამდენად უფლებამოსილი არიან მხარეები დადონ მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება, ხომ არ ირღვევა უპირატესი შესყიდვის უფლება, ხომ არაა კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულების პირობები და ა.შ. ნოტარიუსმა დოკუმენტის ტექსტი მხარეებს უნდა გააცნოს (წაუკითხოს). გარიგების მხარეები შემდგომ ხელს აწერენ დოკუმენტს, რასაც ამოწმებს ნოტარიუსი. მოკლედ, თუ ყველაფერი რიგზე იქნება, ნოტარიუსი ადასტურებს მას. ხელის მოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ადასტურებს ამა თუ იმ პირის მიერ ხელის მოწერის ფაქტის ნამდვილობას. ამ შემთხვევაში შეფასების საგანს არ წარმოადგენს გარიგების შინაარსი. სამაგიეროდ აუცილებელია ხელმოწერი პირი იმყოფებოდეს ნოტარიუსთან და ხელმოწერა მის თვალწინ მოხდეს. თუ გარიგების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას ნოტარიუსი არ დაესწრება, ხელმოწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

სანოტარო წესით დამოწმება საჯარო წესით დამოწმებაა და მას ახორციელებს ნოტარიუსი, მოსამართლე ან კანონით გათვალისწინებ-

ული სხვა პირი (69-ე მუხლის მე-32 ნაწილი). საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი ნაკლებად ითვალისწინებდა მოსამართლის მხრიდან გარიგების დამოწმების ფაქტს.

მოსამართლის მიერ გარიგების დამოწმება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს შეუძლიათ გარიგების დასამოწმებლად ისევე მიმართონ სასამართლოს, როგორც ნოტარიუსს. სასამართლოში შეიძლება გადაწყდეს იმ გარიგების დამოწმების (ნამდვილობის) საკითხი, რომელიც ნების გამოვლენის სუბიექტმა სადაო გახადა.

ნოტარიუსის ფუნქციები შეიძლება შეასრულოს სხვა ორგანოებმაც. ნოტარიუსის შესახებ კანონით ესენია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (42-ე მუხლი), საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირები (43-ე მუხლი), სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირები (1359-ე მუხლი) და ა.შ.

მუხლი 70. ხელის მოწერის მინდობა სხვა პირისათვის

იმ პირს, ვინც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერაკითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.

სხვა პირზე ხელის მოწერის მინდობა ზღვება წერაკითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო. ნოტარიუსის შესახებ კანონის თანახმად, იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს დოკუმენტს, მისი დავალებით ხელს აწერს სხვა პირი სანოტარო მოქმედების შემ-

სრულელებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით. აუცილებელია აღინიშნოს ის მიზეზი, რის გამოც გარიგების მონაწილემ დოკუმენტზე ხელის მოწერა სხვას მიანდო (ნოტარიატის შესახებ კანონის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ასე მაგალითად, მოქალაქემ სანოტარო კანტორაში განაცხადა, რომ ის გაუნათლებელია (წერა-კითხვის უცოდინარია), ნოტარიუსმა გააფორმა მისი ანდერძი იმ წესით, რაც გათვალისწინებული იყო პირის წერა-კითხვის უცოდინარობის შემთხვევაში. სამკვიდროს განსწავლეს გაირკვა, რომ მოანდერძეს მართოდ ნანდაზმული ასაკის გამო არ შეძლებია წერა. შეილმა ისარგებლა ამ გარემოებით და იმ საფუძველზე, რომ დედამისს ანდერძის შედგენისას დაკარგული ჰქონდა უნარი სწორად გამოვლინა ნება, მოითხოვა ანდერძის ბათილობა. ნოტარიუსს რომ სწორად გაერკვია წერა-კითხვის მდგომარეობა, ანდერძის ბათილობის საკითხი არ დაისმებოდა.

ნოტარიატის შესახებ კანონის თანახმად, თუკი გარიგების სანოტარო დამოწმებისას ნების გამოვლენის სუბიექტი მუნჯი, ყრუ ან ყრუ-მუნჯია, მაშინ საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსმა ამ პირისათვის სანოტარო მოქმედების შინაარსისა და შედეგების ასახსნელად უნდა ისარგებლოს შესაბამისი სპეციალისტის დახმარებით. სპეციალისტმა თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ მოქმედების შინაარსი პირს განუმარტა და მის ნებას შეესაბამება (51-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

თუკი ნების გამოვლენის სუბიექტი წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ნოტარიუსი ვალდებულია წაუკითხოს მას ტექსტი და ეს აღნიშნოს დოკუმენტში (51-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

გარიგების მონაწილესა და სხვა პირს შორის ურთიერთობა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს. ამ შემთხვევაში დავალებაში იგულისხმება ფაქტობრივი მოქმედების განხორციელება – გარიგებაზე ხელის მოწერა. ამდენად, ხელის

მომწერი პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა ნებისმიერი ფორმით შეიძლება განხორციელდეს.

ხელის მოწერის ოფიციალურ დამოწმებაში ივარაუდება მისი დამოწმება ნოტარიუსის, მოსამართლისა ან სხვა კანონით გათვალისწინებული პირის მიერ.

მუხლი 71. გარიგების დადება რამდენიმე დოკუმენტის შედგენით

თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.

ხელშეკრულების დადებისას მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ერთსა და იმავე დოკუმენტზე; ხოლო თუ უნდა შედგეს ერთი და იმავე შინაარსის მქონე რამდენიმე დოკუმენტი, რომლებშიაც მხარეთა ნება გადმოცემული იქნება სრულად და ერთნაირად, მაშინ საკმარისია, თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის. ტექსტში არსებული წერილმანი შეცდომები არ იძლევა შეცდომების უფლებას (78-ე მუხლი); თითოეულის მიერ ხელმოწერილი წერილი წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას. ამ წერილების გაცვლა არაა საკმარისი ისეთი ხელშეკრულების დასადასტურად, რისთვისაც კანონი წერილობით ფორმას ითხოვს. მაგალითად, ერთი პირი წინადადებას სთავაზობს მეორეს მიწის ნაკვეთის გარკვეული ვადით გაქირავების თაობაზე, რაზედაც მეორისაგან იღებს წერილობით პასუხს. მოკლედ, მხარეები ახდენენ წერილების გაცვლას. გარიგე-

ბის წერილობითი ფორმა ჯერ კიდევ არა გვაქვს. ერთი პირის მიერ თავის წინადადებაზე, ხოლო მეორის მიერ კი – თავის პასუხზე ხელის მოწერა აკმაყოფილებს შესაბამისად წინადადებისა (ოფერტისა) და პასუხის (აქცეპტის) მოთხოვნებს და არა მათ შორის შეთანხმების მოთხოვნებს. ამიტომაც, ერთიც და მეორეც ვალდებულია ხელშეკრულების ტექსტზე ერთად მოაწერონ ხელი. ასევე საკმარისია, რომ ერთმა მეორისათვის განკუთვნილ დოკუმენტს მოაწეროს ხელი, ხოლო მეორემ – პირველისათვის განკუთვნილ დოკუმენტს.

თავი მეოთხე

საცილო გარიგებანი

I. შეცდომით დაღებული გარიგებანი

მუხლი 72. ცნება

გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა შეცდომის რაიმე ლეგალურ დეფინიციას. უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში შეცდომა განმარტებულია, როგორც ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმის ვითარებაზე წარმოდგენები არ შეესაბამება მის ნამდვილ მდგომარეობას. შეცდომა უარყოფით გავლენას ახდენს ნების ფორმირებაზე და ყალბ წარმოდგენებს უქმნის პირს იმაზე, რაც მას ნამდვილად სურს. ნების ფორმირება მაშინაა უშეცდომო, როდესაც იგი ემყარება სინამდვილის შესაბამის წარმოდგენებს.

ამრიგად, შეცდომა გულისხმობს კერძო ნების გადახვევას საერთონორმატიული ნებისაგან. ცდომილებაში მყოფი ფიქრობს სხვას, ვიდრე ეს საერთო-ნორმატიული სახელშეკრულებო ნებით გამოიხატება. შეცდომა კერძო ნებასა და საერთო-ნორმატიულ ნებას შორის დივერგენციაა.

შეცდომისაგან განსხვავდება უცოდინარობა. თუ შეცდომა სინამდვილის ყალბი წარმოდგენაა, უცოდინარობა საქმის ნამდვილი მდგომარეობის არცოდნაა. მათ ერთი და იგივე შედეგები მოსდევს და შესაბამისად, ერთი მნიშვნელობითაც გამოიყენებიან.

გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ არსებითი შეცდომა. არსებითი შეცდომა ხეროზული შეცდომაა. მისი შეფასებისას მხედ-

ველობაში მიიღება სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტური კრიტერიუმები, ასე მაგალითად, უნდა დადგინდეს, მსგავს ვითარებაში რა ზომებს მიიღებდა გონივრული ადამიანი, ასევე ცდობილებაში მყოფი პირი, ხელშეკრულების დადებისას მათ რომ სცოდნოდათ საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ. თუკი პირი ასეთ სიტუაციაში საერთოდ არ დადებდა გარიგებას, ან დადებდა მას სრულიად განსხვავებული პირობებით, შეცდომა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სერიოზულად და არსებით შეცდომად.

მუხლი 73. არსებითი შეცდომის ხასჷვა

არსებით შეცდომად ითვლება, როცა:

ა. პირს სურდა დაედო სხვა ვარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა;

ბ. პირი ცდება იმ ვარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა;

გ. არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ ვარიგების საფუძვლად.

73.ა. ვარიგების სამართლებრივ ხასიათში (ტიპში) შეცდომა მაშინაა, როდესაც „პირს სურდა დაედო სხვა ვარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა“. ასე მაგალითად, ა-მ დროებითი სარგებლობის მიზნით ბ-ს გადასცა რაიმე ნივთი. ბ ამას აღიქვამს როგორც ჩუქებას და აღარ უბრუნებს ა-ს ნივთს. მოკლედ, სინამდვილეში აქ ნივთის თხოვნის ვარიგებაა, რასაც მეორე მხარე შეცდომით ღებულობს, როგორც ნაჩუქრობას. შეცდომა სწორედაც რომ ვარიგების ტიპშია. ამ მაგალითში მხოლოდ ერთი მხარე ცდება, მისი ნების გამოვლენა შეესაბამება არასწორად ჩამოყალიბებულ ნებას. ამ ფაქტისაგან უნდა განგასხვავოთ ის ვითარება, როდესაც

ორივე მხარის ნებაცა და მისი გამოვლინებაც ერთი გარიგებისაკენაა მიმართული, მაგრამ შეცდომით დებენ (აფორმებენ) სხვა გარიგებას, ვთქვათ, ქირავნობის ნაცვლად იჯარას. ამ ვითარებას ჰქვია *falsa demonstratio*.

გარიგების ტიპში შეიძლება ცდებოდეს როგორც მხოლოდ ერთი მხარე, ისე ორივე. თვით შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი გარემოება, მაგალითად, სიჩქარე, შუამავლად გამოყენებული პირის მხრიდან დაშვებული უზუსტობა, სუძრობა და ა.შ.

73.ბ. ამ ქვეპუნქტის მიხედვით არსებითია გარიგების შინაარსში შეცდომა. აქ ისეთი მდგომარეობაა, როცა „პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურს.“ ამდაგვარი შეცდომისას პირის ნება ემთხვევა მის მიერ გამოვლენილ ნებას, მას ნამდვილად სურს არსებული გარიგება, ოღონდ არა იმ შინაარსით, რა სახითაც იგი არსებობს. შინაარსში შეცდომა გვაქვს, ჯერ ერთი, მაშინ, როცა მხარე ან მხარეები გარიგებაში არსებულ სიტყვებს თუ ნიშნებს, რომლებიც გამოიყენება ნების გამოსახატავად, უცხო ენის ან იურიდიული ტერმინების უცოდინრობის გამო სხვა აზრით იყენებენ და არა ისე, როგორც ეს მას ფაქტობრივად გააჩნია. ასე მაგალითად, ავსტრალიელი კანადაში კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს 1000 დოლარი. გარემოებათაგან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე ეხება კანადურ დოლარს, მაშინ როცა გადამხდელს მხედველობაში ჰქონდა ავსტრალიური დოლარი. მეორეც, შეიძლება სიტყვისა და ნიშნის ხმარებაში არ იყოს შეცდომა, მაგრამ ნების გარეგნული გამოვლენა არ ემთხვეოდეს პირის მიერ განზრახულს, ასევე მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. გარიგების შინაარსში შეცდომა იქნება მაშინაც, როცა პირი სამართალში აღიარებულ ცნებას სულ სხვა შინაარსს აქსოვს. მაგალითად, სურს რა სამკვიდრო დაუტოვოს მხოლოდ ღვიძლ დასა და ძმას, ანდერძის ტექსტში მოიხსენიებს მხოლოდ კანონისმიერ მემკვიდრეებს იმ მცდარი

ვარაუდით, რომ მასში არაღვიძლი დები და ძმები არ იგულისხმება.

73.გ. საფუძველში შეცდომა გულისხმობს, ერთის მხრივ, მოტივში შეცდომას და მეორეს მხრივ, ნების გამოვლენაში შეცდომას. საფუძველში შეცდომა ეხება ისეთ გარემოებებს, რომელიც ხელშეკრულების აუცილებელ საფუძველად მიიჩნევა არამართო მხარეთა სუბიექტური აზრით, არამედ ობიექტური აზრითაც, ბრუნვის კეთილსინდისიერების პოზიციებიდან გამომდინარე. ამდენად, მხედველობაში მიიღება არამართო ცდომილებაში მყოფის სუბიექტური წარმოდგენები, არამედ საქმის ობიექტური მდგომარეობაც.

საფუძველში შეცდომისაგან განსხვავდება ნების გამოვლენაში შეცდომა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხარის შინაგანი ნება არ შეესაბამება გარეთ გამოხატულს. ვინც ნების გამოვლენაში ცდება, ივარაუდება, რომ მას არ სურს ის, რასაც გამოხატავს, ხოლო ვინც ხელშეკრულების საფუძველში ცდება, მართალია, იგი თავისი ნების გამოვლენის პოზიციასზეა, მაგრამ სურს არა ის, რასაც გამოხატავს, რადგანაც მის მიერ ჩაფიქრებული ხელშეკრულების საფუძველს არ შეესაბამება.

ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში მიღებული დებულებებია: ა) საფუძველში შეცდომა გულისხმობს განსაზღვრულ გარემოებებში შეცდომას; ბ) ეს გარემოებანი წარმოადგენს სუბიექტურად აუცილებელ ელემენტს და მას ხელშეკრულების საფუძველად მიიჩნევს ცდომილებაში მყოფი პირი; გ) სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერების პოზიციებიდან გამომდინარე, ობიექტური აზრითაც, ეს გარემოებანი ხელშეკრულების საფუძველად მიიჩნევა; დ) საჭიროა ხელშეკრულების მეორე მხარე აცნობიერებდეს გარემოების იმ მნიშვნელობას, რასაც ანიჭებს მას ცდომილებაში მყოფი პირი.

1. შეცდომა კონტრაქტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაქტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.

2. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.

1. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებათა იგივეობაში მაშინაა, როდესაც ერთი მხარის ნების აღრესატი შეცდომით აღმოჩნდება არა ის პირი, რომელთანაც მას აქვს განზრახული დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ სხვა. ამ შემთხვევაში თვით აღრესატის პიროვნებაში შეცდომა საკმარისია გარიგების ბათილად ცნობისათვის. მაგალითად, ა ჩუქნის ავტომობილს ბ-ს, რომელსაც იგი თავის უახლოეს ნათესავად მიიჩნევს, სინამდვილეში კი ბ აღმოჩნდება სრულიად სხვა პიროვნება. ეს რომ ა-ს სცოდნოდა, ჩუქების ხელშეკრულება არ შედგებოდა, ან კიდევ, სულერთი რომ ყოფილიყო ა-სათვის, ვინ იქნებოდა დასაჩუქრებულის პიროვნება, მაშინ ბათილობის საფუძველიც აღარ იქნებოდა. ასე მაგალითად, აუქციონზე საჯარო ვაჭრობის გზით ნივთის გაყიდვისას გამყიდველს არა აქვს უფლება ამტკიცოს, რომ მისთვის მთავარია მყიდველის პიროვნება. მოკლედ, აღნიშნული საფუძველით გარიგების ბათილობისათვის მეორე მხარის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გარიგების დადების მომენტისათვის. ოფერტის აქცეპტირება უნდა მოახდინოს იმ პირმა, რომლისკენაცაა იგი მიმართული. საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ცნობილი ერთ-ერთი მაგალითის თანახმად, ა-მ შეიძინა ბ-საგან საწარ-

მთ, რომელთანაც მოპასუხე გ-ს ჰქონდა საქმიანი კავშირები. გ თავის პარტნიორთან ბ-სთან აწარმოებდა მიმდინარე ანგარიშებს და ჰქონდა იმისი უფლებაც, მოეხდინა იმ თანხების ჩათვლა, რაც მას ბ-სგან ერგებოდა. გ-მ შეუკვეთა ბ-ს საქონელი, რომელიც მას ა-მ მიაწოდა იმის შეუტყობინებლად, რომ ბ-ს საწარმო მან შეიძინა. გაიგო რა გ-მ, რომ საქონელი მიღებული აქვს არა ბ-სგან, უარი განაცხადა მის განაღდებაზე, ა-მ კი, თავის მხრივ, სარჩელი შეიტანა მის წინააღმდეგ ფასის გადახდაზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გ არაა ვალდებული გაანაღლოს საქონლის ღირებულება, ვინაიდან არსებული ნორმის თანახმად, თუკი პირს განზრახული აქვს დადოს ვარიგება ამა თუ იმ კონკრეტულ პიროვნებასთან, სხვა პიროვნებას არ შეუძლია ამ ვარიგებით შეიძინოს რაიმე უფლებები. ამ შემთხვევაში, წერილობითი შეკვეთა მიმართული იყო ბ-სკენ, ამიტომ მოპასუხეს ისღა დარჩენია, ამტკიცოს, რომ მათ შორის არავითარი ხელშეკრულება არ არსებობს.

ოუძცა, ამ და სხვა შემთხვევებშიც, როგორც ოფერტა, ასევე აქცეპტიც, ობიექტური აზრით უნდა გავიგოთ. შეფასების კრიტერიუმები ძდგომარეობს არა მარტო იმაში, „სურდა თუ არა ოფერენტს დაეკლო ხელშეკრულება იმ პირთან, რომლის მიმართაც გააკეთა მან ოფერტა“. არამედ იმაშიც, თუ როგორ მოიტყუოდა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, თუკი იგი აღმოჩნდებოდა ამ ოფერტის ადრესატი. ამიტომაც, რომ თუ ოფერტის ადრესატი, რომელიც შეცდომით სხვა პიროვნება აღმოჩნდება. გონივრულად ივარაუდებს, რომ იგი მისცეხაა მიმართული და მოახდენს მის აქცეპტირებას, მაშინ იგი ოფერენტთან ვალდებულებით ურთიერთობაში აღმოჩნდება, თუნდაც, რომ ამ უკანასკნელის შეცდომით მომხდარიყო ეს. ასე მაგალითად, მოპასუხემ შეცდომით ერთი სახანძრო რაზმის მაგივრად გამოიძახა სხვა სახანძრო რაზმი. გამოძახება კეთილსინდისიერად იქნა მიღებული და გადაწყდა, რომ მოპასუხესა და მას შორის წარმოიშვა

სახელშეკრულებო ურთიერთობა. მიუხედავად მოპას-უხის შეცდომისა და ამდენად იგი ვალდებულია გადაუხადოს მას სამსახურის სამაგ-იერო საზღაური.

კონტრაქტის პირად თვისებებში შეცდომა მაშინაა, როდესაც ერთ-ერთი მხარის შეცდომა ეხება არა მეორე მხარის იგივეობას, არაქედ მის ამა თუ იმ პირად თვისებას. მხარე არ დადებდა გარი-გებას, რომ არ შექმნოდა მცდარი წარმოდგენები კონტრაქტის პირად თვისებებზე. ასეთ თვისებებს შეიძლება წარმოადგენდეს პირის ტალანტი, პირადი უნარი, ნდობა, რომელსაც იგი იმსახურებს (მა-გალითად, სურათის შეკვეთა მხატვრისათვის, ქონების მართვის მინ-დობა და ა.შ.).

პირადი თვისებები უნდა ახასიათებდეს პირს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგალითად, უცოდინრობა პირის სრული კრედიტ-უუნარობის შესახებ, როცა მოცემული კატეგორიის გარიგებებში გადახდისუნარიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც წესი, ადგილი აქვს კრედიტით ნივთის ყიდვისას და არა ნაღდი ანგარიშსწორებისას.

ან კიდევ, ფირმას სურს დაავალოს ძველი ავეჯის რესტავრაცია ამ საქმის ცნობილ სპეციალისტს, მაგრამ შეცდომით გარიგებას დებს არა მასთან, არაქედ მის თანამოგვარესთან, რომელიც არ სარგებლობს მაღალი რეპუტაციით.

74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეცდომა შეიძლება ერთ-ერთი მხარის მიერ მოტყუების ნიადაგზე დაუშვას მეორე მხარემ. ასე მაგალითად, ვინმე თაღლითი არარსებული პირის სახელს ითვისებს და მეორე მხარესთან წარსდგება, როგორც შე-ძლებული კონტრაქტი. ამ დროს გარიგება უნდა გაბათილდეს მოტყუების საფუძველზე.

2. ამ პუნქტის თანახმად, საგნის ძირითად თვისებებში შეცდომა მნიშვნელოვანი უნდა იყოს საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.

საგნის დარღვევებზე უხდა ჩაითვალოს დანიშნულებისამებრ მასი ფასულობა-ვარგისიანობა

საგნის ძირითად თვისებათა შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები. ძირითად თვისებებს მიეკუთვნება საგნის არამარტო ფიზიკური თვისებები, არამედ ის ფაქტორები და იურიდიული ურთიერთობანიც, რომლებიც გავლენას ახდენს მის გამოყენებით ვარგისიანობაზე, ღირებულებაზე, მაგალითად, ნაკვეთის ვარგისიანობა განაშენიანებისათვის. ძირითად თვისებებში შეცდომა იქნება, როცა პირი ბრილიანტის თვლიანი სამკაულის ნაცვლად ყიდულობს საფირის თვლიან სამკაულს, ან კიდევ, ორიგინალის ნაცვლად-ნივთის ასლს. ავიღოთ ასეთი შემთხვევა: მეცნიერ-მუშაკი, რომელიც ძირითადად მუშაობს სახლში, ყიდულობს სახლის ნახევარს, რომლის დანარჩენი ნახევარი უკავია სახელოსნოს. ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში სახელოსნო არ მუშაობდა. მას შემდეგ, რაც მყიდველმა დაიკავა სახლის ნაწილი, აღმოჩნდა, რომ სახელოსნოდან მომდინარე ხმაური შეუძლებელს ხდიდა მის მიერ ნაყიდი ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებას. გამყიდველს სახლის გაყიდვისას სახელოსნოს უარყოფით შემოქმედებებზე არც კი უფიქრია, ვინაიდან იგი მუშაობდა სახლიდან მოშორებით და სახელოსნოს მეზობლობას მისთვის ხელი არ შეუშლია. ამ შემთხვევაში, გარიგება შეიძლება გაბათილდეს, ვინაიდან შეცდომა ეხება საგნის ძირითად თვისებებს.

აქ, როგორც ვხედავთ, საგნის ძირითადი თვისება სუბიექტური შეფასების საგანია, გამყიდველისათვის ზომ სახელოსნოს მეზობლობას ხელი არ შეუშლია თავისი საკუთრების გამოყენებაში; მაგრამ ის, რომ ნაყიდი ნივთი ოქროს ნაცვლად სპილენძი აღმოჩნდა, აქ შეფასების კრიტერიუმი ობიექტურია და სუბიექტური კრიტერიუმი ვერ გამოიღვება, ვინაიდან ოქრო ყველასათვის ოქროა და სპილენძი — კიდევ სპილენძი. აქედან კიდევ ერთი წესი იკვეთება ის, რომ

ყოველთვის არაა აუცილებელი ძირითადი თვისება ძირითადი იყოს მთელი სამოქალაქო ბრუნვისათვის. ის, რაც არსებითია ნასყიდობისათვის, შეიძლება არაარსებითი იყოს ჩუქებისათვის, გირავნობისათვის და ა.შ.

მუხლი 75. შეცდომა უფლებაში

შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო.

უფლებაში შეცდომა მაშინაა, როცა პირს ექმნება არასწორი წარმოდგენა მის მიერ დადებული გარიგების საქართვებრივ შედეგებზე. ასე მაგალითად, სახლის მეპატრონე სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში წერს, რომ იგი „სახლს ყიდის მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“ და არ იცის, რომ ამით იგი მთელ მიწის ნაკვეთსაც ყიდის, რომელიც სახლის ნაკვეთადაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ასეთი შეცდომა უნდა ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძვლად, ვინაიდან მესაკუთრემ არ იცოდა, რომ „უძრავ-მოძრავ ქონებაში“ იგულისხმებოდა მთელი მიწის ნაკვეთიც. ეს რომ სცოდნოდა, იგი გარიგებას არც კი დადებდა.

უფლებაში შეცდომა ძირითადად კანონის უცოდინრობითა და მისი არასწორი განმარტებითაა გამოწვეული. უფლებაში შეცდომად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი გარიგებაში დებს კანონის საწინააღმდეგო შინაარსს, მაგალითად, ყიდის რა ნივთს, ხელშეკრულებაში წერს, რომ იგი პასუხს არ აგებს ნივთის იმ ნაკლზე, რომელიც ცნობილი იყო მისთვის ხელშეკრულების დადებისას.

თუ პირველ მაგალითში ნება არ შეესაბამება ნების გამოვლენას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნებასა და ნების გამოვლენას

შორის თანხმობაა, ოღონდ ორივე შეუსაბამობაშია კანონის ნებასთან.

უფლებაში შეცდომა ძალიან ჰგავს გარიგების შინაარსში შეცდომას. თუმცა არაა მისი იდენტური. პირველი შემთხვევისათვის მთავარია შეცდომა სამართლებრივ შედეგებში.

მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში

შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა.

მოტივში შეცდომა მაშინაა, როდესაც პირს უყალიბდება არასწორი წარმოდგენები იმ გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობასაც დაუკავშირა მან გარიგების დადება და რამაც ვანაპირობა მისი ნების გამოვლენა, ანდა რომლის გარეშე არც კი მოხდებოდა ნების გამოვლენა, ხოლო თუ მოხდებოდა – მაშინ სხვა სახით. მოტივში შეცდომისას სახეზეა არა შეცდომა ნების გამოვლენაში, არამედ ნების ფორმირებაში.

მოტივში შეცდომა, როგორც წესი, არ იწვევს გარიგების ბათილობას. გარიგების დადებისას ყოველ მხარეს აქვს თავისი წარმოდგენები და ზრახვები. ისინი არ გამომდინარეობენ მოპირდაპირე მხარისაგან და მის მიერ არც მხედველობაში მიიღება. მხარის ეს ზრახვები და წარმოდგენები მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებული მოვლენებია. მისი ეს თვისება არ იცვლება იმით, რომ გარიგების დადებისას ერთმა მხარემ მეორეს გაუმხილა ამ გარიგებით დასახული მიზნები. ასე მაგალითად, ვინმე თავისი ქალიშვილის სამწითვოდ ყიდულობს ავეჯს და ქორწინება არ შედგება. ავეჯის ნასყიდობა ვერ გაბათილდება იმის გამო, რომ მყიდველმა გამყიდველს გაუმხილა ყიდვის მიზანი. მო-

ტივში შეცდომა რომ გარიგების ბათილობას იწვევდეს, მაშინ ეს გამოიწვევდა სამოქალაქო ბრუნვის წესრიგისა და სიმყარის მოშლას, თვით ამ ბრუნვის შეფერხებას. სამეურნეო რეალობის მცდარი შეფასების რისკს ყველა დამოუკიდებლად ატარებს. ვისაც არ სურს ამ რისკის ტარება, მას შეუძლია თავისი სამომავლო ზრახვები გარიგების პირობად აქციოს.

მოტივში შეცდომა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს გარიგების ბათილობას, როცა თვით მოტივი წარმოადგენს შეთანხმების საგანს. აქ უკვე მოტივი არსებითი მნიშვნელობის გარემოებაა, ვინაიდან სწორედ მის არსებობას დაუკავშირა პირმა გარიგების ნამდვილობა. ამ შემთხვევაში, მოტივი გამოდის არსებითი პირობის როლში და ეს ორივე მხარისათვისაა გაცნობიერებული. სულ სხვა შედეგი დადგებოდა ზემოთ მოტანილ მაგალითში, ქორწინება გარიგების პირობად რომ ყოფილიყო დათქმული. თუ არ მოხდებოდა ქორწინება, მოიშლებოდა ავეჯის ნასყიდობაც. ამ შემთხვევაში, მოტივი გადადების პირობის როლში გვევლინება.

მუხლი 77. კონტრაქტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში

შეცდომით ნების გამოვლენა არ შეიძლება საცილო გახდეს, თუკი მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის თანახმად, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება.

ამ მუხლის განმარტებისას უნდა გამოვიყენოთ მერვე მუხლის მესამე პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.“ მართალია, შეცდომა გარიგების საცილობის საფუძველია. მაგრამ დაუშვებელია

არაკეთილსინდისიერად მასზე მითითება და ამ საფუძველით გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა.

ამ მუხლიდან ჩანს, რომ გარიგების ერთი მხარე ცდომილებაში იმყოფება, მეორე კი – არა. თუკი ეს უკანასკნელი თანახმაა, გარიგება შეასრულოს ისე, როგორც ეს სინამდვილეში სურდა ცდომილებაში მყოფ პირს, მაშინ ეს უკანასკნელი კარგავს შეცდომების უფლებას და ვალდებული ხდება მეორე მხარის წინაშე. მეორე მხარის ამ თანხმობით ხდება შეცდომის ძღვომარეობის გამოსწორება და ცდომილებაში მყოფის ნებისა და ნების გამოვლენის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა. ცდომილების ვითარების გაბათილებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ გარემოებებს. თუ ერთ შემთხვევაში შესაძლებელია მეორე მხარემ შეასრულოს შემცირებელი მხარის სურვილი, სხვა დროს ეს შეუძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, თუ ვინმე თავის ავტომობილს შეცდომით 5000 ლარის ნაცვლად 1000 ლარად ყიდის, ამ შეცდომის საფუძველზე ის ვეღარ მოითხოვს გარიგების ბათილობას, თუკი მყიდველი თანახმა იქნება გადაიხადოს დანაკლისი-4000 ლარი და ამით ცდომილებაში მყოფის სურვილი დააკმაყოფილოს. აქ სუბიექტურადაც და ობიექტურადაც შესაძლებელია ცდომილების მოხსნა. სიძნელე იქმნება მაშინ, როდესაც პირის პირად თვისებებშია შეცდომა. საქმე იმაშია, რომ მეორე მხარემ როგორც არ უნდა მოინდომოს და გამოთქვას თანხმობა, ცდომილებაში მყოფის სურვილის თანახმად შეასრულებს გარიგებას, ხშირად ეს შეუძლებელი აღმოჩნდება: შეუძლებელია ცნობილი ხელოვანის ფუნქცია იკისროს ნაკლებად ცნობილმა ხელოვანმა და ა.შ. ასე რომ, მეორე მხარის მზაობა, შეასრულოს ვალდებულება, საფუძველიანი უნდა იყოს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური აზრით. ვინ უნდა შეაფასოს ეს? ცხადია, ცდომილებაში მყოფმა, იგი ვალდებულია კეთილსინდისიერების საფუძველზე იმოქმედოს. სხვა

შემთხვევაში მისი მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდება.

მუხლი 78. წვრილმანი შეცდომები

წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.

ამ მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი შეცდომები მიეკუთვნება გარიგების შინაარსში დაშვებულ შეცდომებს. გამოანგარიშებებში შეცდომა მაშინაა, როდესაც ცდომილებაში მყოფი ცდება გარიგებით გათვალისწინებული საგნის შეფასების ფაქტორებში. მაგალითად, აქციების ნასყიდობისას ფასის განსაზღვრა მოხდა მისი საბირჟო კურსის ყალბი გაანგარიშებით. თუ გამოანგარიშებაში შეცდომა წვრილმანი აღმოჩნდება, მაშინ გარიგება კი არ გაბათილდება, არამედ მოხდება მისი შინაარსის ჩასწორება. ან კიდევ ავიღოთ შემთხვევა, როცა სამოქალაქო კოდექსის გამყიდველი შეცდომით მას ჰყიდის არა 10 ლარად, არამედ 11 ლარად. მყიდველს, ამ შემთხვევაში, შეუძლია გამყიდველისაგან მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი 1 ლარის უკან დაბრუნება და არა გარიგების გაბათილება. თუ რა უნდა ჩაითვალოს წვრილმან შეცდომად გამოანგარიშებაში, მისი შეფასებისას უნდა ამოვიღოთ სამოქალაქო ბრუნვის ჩვევებიდან, იურიდიული პრაქტიკიდან, ე.ი. ობიექტური ფაქტორებიდან უფრო, ვიდრე სუბიექტურიდან.

ამავე მუხლის მიხედვით, წვრილმან შეცდომას შეიძლება აღვიღოთ ჰქონდეს „წერილობით განხორციელებულ ნებას გამოვლენაშიც.“

მუხლი 79. შეცდომების ნამდვილობა

1. შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

2. თუ გარიგება ხაცილო გახდა და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენებისას ცდომილებაში მყოფმა პირმა შეცილება უნდა მოახდინოს მეორე მხარის წინაშე ნების გამოვლენით-განცხადების გაკეთებით. შეცილება რომ იყოს ნამდვილი, საჭიროა იგი მოხდეს მისი საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. თვით შეცილების უფლება ისპობა, თუკი ნების გამოვლენიდან გავა საერთო ხანდაზმულობით გათვალისწინებული ათ წლიანი ვადა. შეცილების შესახებ ვანცხადება უნდა აკმაყოფილებდეს ნების გამოვლენის საერთო წესებს. ვანცხადებაში გარკვევით უნდა ძიეთითოს შეცილების საფუძველზე.

2. ამ მუხლის მეორე პუნქტის თავისებურება ისაა, რომ შეცილების უფლების მქონე პირი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს გარიგების ბათილობით გამოწვეული ზიანი. ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ პრაქტიკული მოქმედების – დაუდევრობის შემთხვევაში და არა ზოგადად იმისათვის, რომ ვინც ავლენს ნებას, მას მეორე მხარე ენდობა და ამდგვარად მის წინაშე პასუხისმგებელიცაა გარიგების ნამდვილობაზე სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის ინტერესებიდან გამომდინარე. მოცემული მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადებას მიხედვით, დაზარალებულის ბრალი გამორ-

იცხავს შემცილებლის პასუხისმგებლობას როგორც ჩანს, „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.“

თუკი ნების გამოვლენა საჭიროებს მის მიღებას, მაგალითად, როგორცაა ხელშეკრულებები, ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმას, ვისკენაცაა მიმართული ნების გამოვლენა. ეს უფლება გვაქვს მაშინაც, როდესაც არაა სავალდებულო ნების გამოვლენის შეტყობინება ხელშეკრულების დასადავად (335-ე მუხლი); თუკი სახეზეა ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი (მოწვევა ოფერტზე), მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე უფლება აქვს ნებისმიერ დაზარალებულს.

ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი ზიანი, მაგალითად, როგორცაა შესრულების ინტერესი – ის სარგებელი, რომელსაც მხარე ნახავდა, გარიგება ნამდვილი რომ ყოფილიყო, არამედ ე.წ. „უარყოფითი ინტერესი“, უფრო სწორედ, „ნდობის ინტერესი“, რაც ტოლია იმ ზიანისა, რომელიც მხარემ განიცადა იმის გამო, რომ გარიგება ჩათვალა ნამდვილად და რომელსაც იგი არ განიცდიდა, რომ სცოდნოდა გარიგების ბათილობის შესახებ.

დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ უარყოფითი ინტერესის ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც არ იქნება იმ ინტერესზე მეტი, რასაც ადგილი ექნებოდა გარიგების შესრულების შემთხვევაში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მხარისათვის გარიგების ბათილად ცნობა შეიძლება უფრო სარგებელიანი აღმოჩენილიყო, ვიდრე მისი შესრულება.

ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული შუამავლად გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, რაც 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დაღებული გარიგება.

შუამავალს მოცემულ შემთხვევაში მიეკუთვნება ის პირი, რომელიც ერთი პირის ნების გამოვლენას ატყობინებს მეორე პირს. ამ აზრით, შუამავალია როგორც კერძო პირები, ასევე საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება წერილებისა და ტელეგრაფების გაგზავნა. შუამავლის მიერ დაშვებული შეცდომა გარიგების შეცილების საფუძველია, თუკი სახეზეა არსებითი მნიშვნელობის შეცდომა. ასე მაგალითად, თუ ტელეგრამის ბლანკზე შე ვწერ: „გაყიდეთ“, მაგრამ სინამდვილეში ტელეგრაფისტა გადასცემს: „იყიდეთ“, ასეთ შემთხვევაში ჩემი ნება და ნების გამოვლენა არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც გარიგების საცილობის საფუძველია. თუკი შუამავალი განზრახ ამახინჯებს ნების გამოვლენას, მაშინ მე-80 მუხლი არ გამოიყენება, ვინაიდან ნების გამოვლენა ამ შემთხვევაში არ არსებობს და არც შეიძლება მას რაიმე კავშირი ჰქონდეს მეორე მხარის ნების გამოვლენასთან. ეს შედეგი ღება არა მარტო მაშინ, როდესაც შუამავალი განზრახ მოქმედებს, არამედ მაშინაც, როდესაც უნებლიეთ აღმოჩნდება არასწორი ნების გადაცემის რილში, ვთქვათ, მას შეუცვალეს წერილი, ანდა ერთმანეთში აერია რამდენიმე ნების გამოვლენის აღრესატი.

მე-80 მუხლის წესები არ გამოიყენება, როცა სახეზეა წარმომადგენელი. საქმე იმაშია, რომ წარმომადგენელი ახდენს არა სხვისი ნების გამოვლენის შეტყობინებას, არამედ საკუთარი ნების გამოვლენის შეტყობინებას. ამიტომაცაა, რომ 106-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, „ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწვევებია წარმომადგენლის ნება.“ წარმომადგენელი თვითონ, თავისი გადაწყვეტილებით ღებს გარიგებას, შუამავალი კი გადასცემს სხვისი ნების გამოვლენას. თუ წარმომადგენელი იტყოდა: „მე ვყიდულობ თქვენგან ბ-ს სახელზე ავტომობილს“, შუამავალს შეუძლია თქვას: „ბ-მ დამავალა გადმოძეცა, რომ ის თქვენგან ყიდულობს ავტომობილს“.

მე-80 მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილობის უარყოფითი შედეგების მიმართ გამოიყენება 79-ე მუხლის მეორე პუნქტის წესები.

II. მოტყუებით დადებული გარიგებანი

მუხლი 81. ცნება

1. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.

2. თუ ერთი მხარე ღუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტით არ არის განსაზღვრული, თუ რა ჩაითვლება მოტყუებად. მოტყუება ცდომილებაში განზრახ შეყვანაა. როგორც შეცდომის შემთხვევაშია, მოტყუების დროსაც სახეზეა ნების გამოვლენის ნაკლი. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ შეცდომისას ეს ნაკლი თვით ნების გამოვლენის პიროვნება-

შია, მის მიერ არასწორად განხორციელებულ ქმედობაში ან გარემოებათა არასწორ შეფასებაშია. მოტყუებისას კი ყოველთვის სახეზეა პირის სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედება. მოტყუებისას მნიშვნელობა არა აქვს მეორე მხარეს არასწორი წარმოდგენები მოგონილი და გაყალბებული ფაქტებით ექმნება, თუ არსებული ფაქტების არასრული შეტყობინებითა თუ დაძალვით. სამართლებრივად ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ სახის-ხარისხის მოტყუება, რაც გარიგების დადების საფუძველი გახდა, „როცა ამკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“.

თუ მოტყუების გარეშეც დაიდებოდა გარიგება, მაშინ ტყუილი ვერ გამოდგება გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად, თუმცა, სამართლებრივად იგი არც ნულის ტოლი იქნება. მოტყუებულ მხარეს ამ შემთხვევაში შეუძლია ძოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება. ამრიგად, ბათილობას იწვევს მოტყუება, რომელიც წარმოშობს ხელშეკრულებას (*dolus dans contractui*) და არა მოტყუება, რომელიც თვით ხელშეკრულებაშია (*dolus incidens in contractum*). არ შეიძლება მოტყუებად ჩაითვალოს ზოგიერთი ფაქტების შელამაზება-გაზვიადება, რაც სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით დაშვებულია. ასეა ხშირად სავაჭრო გარიგებებში, როცა ვაჭარი აქებს თავის საქონელს და ცდილობს, ამით ფასი გაზარდოს. ამგვარი ზომიერი რეკლამა, რომელსაც საფუძველად არ უდევს ბოროტი განზრახვა, ვერ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მოქმედებად.

2. ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუ ერთ-ერთი მხარის მხრიდან სახეზეა წაყრუება-დუმილი იმ გარემოებათა მიმართ, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას. მაშინ მოტყუებულს შეუძლია ძოითხოვოს გარიგების ბათილობა. პირის მოქმედება უნდა იყოს სამართლებრივად გასაკიცხი, ვინაიდან ყოველგვარი წაყრუება-დუმილი ვერ ჩაითვლება გარიგების ბათილობის საფუძველად. მხარის მოქმედება სამართლებრივად გასაკიცხი

შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები.

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია გულისხმობს კავშირისა და ფონდის, როგორც იურიდიული პირების ამოშლას რეესტრიდან და არსებობის შეწყვეტას. ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი. იგი პროცესია და გრძელდება მანამ, სანამ ამ იურიდიული პირების კრედიტორები არ დაკმაყოფილდებიან და არ დასრულდება მიმდინარე საქმეები.

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის მრავალი საფუძველი არსებობს. ზოგ მათგანზე სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს. კერძოდ, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევას შუღევად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას. კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება ლიკვიდაციის შესახებ. კავშირის შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია კავშირის წევრთა საერთო კრებას. კანონში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ ხმათა რა რაოდენობაა საჭირო ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამას წესდება განსაზღვრავს. მაგრამ 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის ანალიზის შუღევად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა რაოდენობა არ უნდა იყოს ორ მესამედზე ნაკლები. ფონდის შემთხვევაშიც ლიკვიდაციაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს წესდება. მაგრამ სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაშიც მიუთითებს ამგვარ პირებზე. ერთ შემთხვევაში ესაა დესტინატურები, ხოლო მეორე შემთხვევაში – იუსტიციის სამინისტრო (46-ე მუხლი).

კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის პროცედურას ხელმძღვანელობს გამგეობა. მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევების არსე-

ზობისას შეიძლება სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ასეთ დანიშვნას კავშირის ლიკვიდაციისას ახდენს სასამართლო, ხოლო ფონდის ლიკვიდაციისას – იუსტიციის სამინისტრო. ლიკვიდატორების უფლებამოსილება იგივეა, რაც გაბგეობის წევრების. ასევე იდენტურია მათი პასუხისმგებლობაც კავშირის ან ფონდის წინაშე.

სალიკვიდაციო პროცესის ბოლო ეტაპი კავშირის ან ფონდის დარჩენილი ქონების განაწილებაა. თუ ვის უნდა გადაეცეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება, წესდების გადასაწყვეტია. თუ წესდება ასეთ უფლებამოსილ პირებს არ განსაზღვრავს, მაშინ ქონება ავტომატურად არ ნაწილდება კავშირის წევრებს ან ფონდის დამფუძნებლებს შორის. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებს შორის. ამ უკანასკნელთა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. კავშირის ან ფონდის შემთხვევაში სასამართლო ან იუსტიციის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას, რომ დარჩენილი ქონება გადაეცეს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე კავშირს ან ფონდს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული კავშირი ან ფონდი. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ფონდების ლიკვიდაციის შემთხვევაში, დარჩენილი ქონება შეიძლება გადაეცეთ ფონდის დესტინატურებს.

ინფორმაცია კავშირის ან ფონდის ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონების განაწილება კი შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 40. გამგეობა

1. გამგეობას ირჩევს წევრთა კრება ოთხი წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე. წესდება განსაზღვრავს ასევე გამგეობის წევრთა საქმიანობის ანაზღაურების საკითხს.

2. გადაწყვეტილება გამგეობის არჩევის შესახებ შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს. გაუქმების საკითხი წესდებით შეიძლება დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობასთან.

3. თუ გამგეობის წევრთა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას, სასამართლოს შეუძლია გარდამავალი დროისათვის დანიშნოს წევრები იმავე კავშირიდან. ასეთ შემთხვევაში გამგეობის წევრებმა უნდა მოიწვიონ წევრთა საერთო კრება, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ოთხი წლის ვადით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვადით არჩევასაც. გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც კავშირის წევრები, ისე გარეშე პირებიც.

იმ ზოგადი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გარდა, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, წესდება დაწვრილებით უნდა აწესრიგებდეს გამგეობის კომპეტენციას, უნდა ჩამოთვლიდეს იმ შეზღუდვებს, რომლებიც სავალდებულო იქნება გამგეობისათვის. მაგალითად, თუ საკითხი ეხება კავშირის უძრავი ქონების დაგირავებას ან მის გასხვისებას, აუცილებელია კავშირის წევრთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში გარიგება ჩაითვლება ბათილად.

კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელია გამგეობის არჩევა. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირის დაფუძნებლები კავშირის დაფუძნებისას ირჩევენ გამგეობას. წესდებით უნდა განისაზღვროს ასევე გამგეობის წევრობა რაოდენობა. თუ გამგეობის წევრობა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით დადგენილ მინიმალურ ოდენობას, მაშინ გამგეობის დანარჩენ წევრებს სასამართლო ნიშნავს გარდამავალი დროისათვის, ვიდრე არ იქნება საერთო კრება მოწვეული.

გამგეობის წევრობა დაძვარებულია ნდობაზე, რომელიც კავშირის წევრებს გამგეობის წევრების მიმართ აქვთ ამიტომ შრომის ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება კავშირსა და გამგეობის წევრებს შორის არ ფორმდება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება გამგეობის არჩევის შესახებ შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს (მე-40 მუხლის მე-7 ნაწილი). ეს პრაქტიკულად გამგეობის წევრების გამოწვევას ნიშნავს. გამგეობის წევრების გამოწვევა შეიძლება დამოკიდებული იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე. მნიშვნელოვანი საფუძვლის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების დროს უნდა გადაწყდეს.

მუხლი 41. კავშირის წევრობა საერთო კრება

1. კავშირის წევრობა საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც, ან როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს წევრობა მეათედის წერილობითი მოთხოვნით და კრების დღის წესრიგის მითითებით.

2. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან კავშირის ბუკდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

3. წევროთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კავშირის ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში. გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

4. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევროთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე – ორი მესამედის უმრავლესობით. კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.

იმის გამო, რომ კავშირი წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია, ეს წევრები განსაზღვრავენ კავშირის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს. ამიტომაც კავშირის წევროთა საერთო კრება წარმოადგენს კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოს. კავშირის წევრები კავშირისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კრების მეშვეობით იღებენ. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კრების მოწვევის პროცედურას და მასზე გადაწყვეტილებების მიღების წესს.

კავშირის წევროთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით. როგორც წესი, კავშირი მრავალი წევრისაგან შედგება. ყველა წევრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგაზავნა პრაქტიკულად რთულია. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კრება მოწვეულ იქნეს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით. თუ კონკრეტულად რომელ ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს განცხადება კრების მოწვევის შესახებ, ამას კავშირის წესდება განსაზღვრავს. განცხადება კრების

3. წევროთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კავშირის ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში. გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

4. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევროთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე – ორი მესამედის უმრავლესობით. კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.

იმის გამო, რომ კავშირი წევრობაზე დაფუძნებული თურიდიული პირია, ეს წევრები განსაზღვრავენ კავშირის საქმიანობის ყველა ძირითად საკითხს. ამიტომაც კავშირის წევროთა საერთო კრება წარმოადგენს კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოს. კავშირის წევრები კავშირისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კრების მეშვეობით იღებენ. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კრების მოწვევის პროცედურას და მასზე გადაწყვეტილებების მიღების წესს.

კავშირის წევროთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით. როგორც წესი, კავშირი მრავალი წევრისაგან შედგება. ყველა წევრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგაზავნა პრაქტიკულად რთულია. ამიტომ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კრება მოწვეულ იქნეს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით. თუ კონკრეტულად რომელ ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს ვანცხადება კრების მოწვევის შესახებ, ამას კავშირის წესდება განსაზღვრავს. ვანცხადება კრების

მოწვევის შესახებ უნდა გაკეთდეს კრების ჩატარების დღემდე ორი კვირით ადრე მაინც (41-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საერთო კრების მოწვევის პერიოდულობა კავშირის წესდებაზეა დამოკიდებული. მაგრამ მინიმალურ ნორმებს კანონი აქაც განსაზღვრავს – კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იქნეს მოწვეული. კრების მოწვევის სხვა პერიოდულობა დამოკიდებულია კავშირის ინტერესებზე. საერთო კრების მოწვევა შეუძლია ასევე წევრთა ერთ შეათედს (41-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მიუხედავად იმისა, თუ ვინ იწვევს კრებას – გამგეობა თუ კავშირის წევრები – კრების მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს კრების დღის წესრიგი. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და მას მნიშვნელოვანი სამართლებრივ შედეგი უკავშირდება. კერძოდ, ისეთ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დღის წესრიგში წინასწარ არ იყო შეტანილი, ბათილია (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ ნორმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კავშირის წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ განსახილველ საკითხს და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით არ შეიღაზოს როგორც კავშირის წევრთა, ისე მთლიანად კავშირის ინტერესები.

მართალია, საერთო კრება კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა, მაგრამ მისი კომპეტენცია არ არის შეუზღუდავი. საერთო კრების კომპეტენციას განსაზღვრავს კავშირის წესდება, თუმცა კანონი მინიმალურ მოთხოვნებს აქაც აწესებს: გამგეობის კომპეტენციაში შემავალი საკითხები არ შეიძლება გადაწყვიტოს საერთო კრებამ (41-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ რა შედის გამგეობის კომპეტენციაში, ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს კანონი (მაგალითად, კავშირის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში), ხოლო მეორე შემთხვევაში – თვითონ წესდება. კანონით განსაზღვრული კომპეტენციის შეცვლა წესდებით დაუშვებელია, ე.ი. წესდება ვერ დააკისრებს საერთო კრებას, რომ ამ უკანასკნელმა წარმოად-

გინოს კავშირი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეს გაშვების პრეროგატივაა.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი და პროცედურა. 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. იმავდროულად, კანონი განსაზღვრავს საკითხთა წრეს, რომელთა გადასაწყვეტად ხმათა უბრალო უმრავლესობა საკმარისი არ არის. წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია ხმათა ორი მესამედი, ე.ი. 75%-ზე მეტი, ხოლო კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება ყველა წევრის ხმათა ოთხი მეხუთედი, ე.ი. 80%-ზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას იგულისხმება კავშირის წევრების მონაწილეობა კრების მუშაობაში. მაგრამ კანონი იმის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, რომ კავშირის წევრებმა კრებაზე დაუსწრებლად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში, ამისათვის კი საჭიროა წერილობითი შეტყობინება.

ზემოაღნიშნულ პროცედურულ საკითხებს, როგორც დაეინახეთ, კანონი საკმაოდ დაწვრილებით არეგულირებს. ეს არაა შემთხვევითი. ყველა გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას, რომლის შედეგებიც კავშირის წევრებს ეხება უშუალოდ. კანონმა უნდა დაიცვას მათი ინტერესები. მით უფრო, რომ საერთო კრების კომპეტენცია კავშირის შიდა საკითხების დარეგულირებაა: კავშირისა და კავშირის წევრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება. კავშირის აღმასრულებელი ორგანოების არჩევა და მათზე კონტროლის განხორციელება და ა.შ.

კომისიებისაგან განსხვავებული ფუნქციები ეკისრებათ საკონსულტაციო საბჭოებს, რომლებიც ასევე კავშირის წევრობა საერთო კრების ძიერ იქმნება. მათი საქმიანობა ცალკეულ საკითხებზე რჩევების მიცემით შემოიფარგლება და სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლება მათ არა აქვთ. ამიტომაც უშვებს სამოქალაქო კოდექსი იმის შესაძლებლობას, რომ საკონსულტაციო საბჭოების წევრები იყვნენ კავშირის არაწევრებაც (43-ე მუხლის მე-2 წინადადება).

მუხლი 44. კავშირის წევრობა

1. კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე ან წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს კავშირიდან. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გასვლის განსაზღვრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ გასვლის ვადის დაწესება სავალდებულო არ არის.

3. წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც შემკვიდრეობით გადადის, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას წევრობა საერთო კრებას შეუძლია წევრი გარიცხოს კავშირიდან. გარიცხულ წევრს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

5. თუ წევრობის მსურველთათვის კავშირი ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას საარსებო სოციალური ან სხვა ამოცანების განხორციელებისას, მაშინ ამ პირს აქვს კავშირში გაწევრიანების მოთხოვნის უფლება, თუკი წევრად მისი მიღება არ

ეწინააღმდეგება კავშირის ძირითად პრინციპებს.

კავშირის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. კავშირის წევრობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იურიდიული პირი კერძო სამართლისაა თუ საჯარო სამართლის, კომერციულია თუ არაკომერციული.

კავშირის წევრობა შეიძლება წარმოიშვას კავშირის დაფუძნების ან არსებულ კავშირში წევრად შესვლის შედეგად. კავშირის დაფუძნებისას, თუ კავშირში წევრად შესვლისას ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების გამოვლენასთან, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ამიტომ ასეთი ნების გამოვლენა წარმოადგენს გარიგებას.

კავშირში წევრად მიღება ხდება გამგეობის მიერ. ამისათვის აუცილებელია წევრობის მსურველის წერილობითი განცხადება. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გაწევრიანების სხვა პირობებსაც. პრაქტიკულად დაისმება საკითხი, თუ რა პროცედურაა აუცილებელი გაწევრიანებისათვის. კანონი დაწვრილებით ამის შესახებ არაფერს ამბობს. ეს პროცედურა ცალკეული კავშირის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კავშირში წევრობის მსურველი პიროვნების შესწავლა, მისი განცხადების განხილვა გამგეობის სხდომაზე და ა.შ. ხშირ შემთხვევებში გაწევრიანებისათვის საკმარისია ე.წ. კავშირისათვის მიერთების განცხადება, რომლითაც შემსვლელი აღიარებს კავშირის წესდებას და კისრულობს ვალდებულებას, რომ დაიცავს წესდებით გათვალისწინებულ წესებს. არის შემთხვევები, როცა კავშირის წესდება წევრად მიღებას ითვალისწინებს ავტომატურად — ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების შედეგად, მაგალითად, საწევროს შეტანა და ა.შ.

კავშირის წევრობა პირადი ხასიათის უფლებაა. კომერციულ საზოგადოებებში წევრობისაგან განსხვავებით, იგი არ არის ქონებ-

ამიტომ უფრო საყურადღებოა წევრობის დაკარგვის სხვა საფუძვლების განხილვა. როგორც კავშირში გაწევრიანებაა ნებაყოფლობითი, ასევე ნებაყოფლობითია კავშირიდან გასვლაც. ყოველი წევრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კავშირიდან გასვლის შესახებ. ამასთან, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კავშირიდან გასვლის განსაზღვრულ ვადას. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ამ შეზღუდვის მიზანია არარაობად არ იქცეს კავშირიდან გასვლის უფლება და წევრს არ შეექმნას დაუსაბუთებელი წინააღობები ამ უფლების განხორციელების პროცესში. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ გასვლის ვადის დაწესება საკლდებულო არ არის. თუ რა უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, სამოქალაქო კოდექსი ამას არ განსაზღვრავს. ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. წევრობის დაკარგვის ყველაზე მძიმე შემთხვევაა კავშირიდან გარიცხვა. ამ დროს წევრობის დაკარგვა კავშირის წევრის ნების საწინააღმდეგოდ ხდება და რეპრესიული, დასჯითი ღონისძიების ხასიათს ატარებს. სამოქალაქო კოდექსი კავშირიდან წევრის გარიცხვის უფლებას მხოლოდ წევრთა საერთო კრებას აძლევს. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიცხულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად (44-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

კავშირის წევრობა დაკავშირებულია განსაზღვრულ უფლებამოვალეობებთან, რომელთა ერთობლიობა შეადგენს კავშირის წევრობის შინაარსს. ამ უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს კანონი არ ითვალისწინებს. ეს კავშირის წესდების საქმეა. იმავდროულად, წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა წესდების საკლდებულო რეკვიზიტია. კავშირის რეგისტრაციისას წესდება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კავშირის წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს.

კავშირის წევრის მოვალეობათაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საწევრო შესატანის შეტანის მოვალეობა. როგორც წესი, წესდება თანაბრად განსაზღვრავს წევრთა შესატანის ოდენობას. თუმცა, არ არის გამორიცხული შესატანის ღიფერენცირება. პრაქტიკულად ეს ზდება მაშინ, როცა ფიზიკურ პირებთან ერთად კავშირის წევრებად გვევლინებიან იურიდიული პირებიც. მათი შესატანის ოდენობა ოდნავ მეტია. ვიდრე ფიზიკური პირების. მიუხედავად შესატანის ოდენობის ვანსხვაებულობისა, წევრებს მაინც თანაბარი უფლებები აქვთ. მაგრამ წესდება აქაც შეიძლება ითვალისწინებდეს პრივილეგირებულ უფლებებს.

კავშირის წევრთა უფლებებს ლიტერატურაში ორ ჯგუფად ყოფენ: უფლებები კავშირის ორგანიზაციის სფეროში და ე.წ. სარგებლის მიღების უფლებები. პირველს განეკუთვნება ხმის უფლება, კავშირის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, გამგეობისა და სხვა ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კონტროლის უფლება და ა.შ. მეორე ჯგუფის უფლებებს შეადგენენ კავშირის წევრთათვის გათვალისწინებული ზოგი უპირატესობით სარგებლობის უფლებები. მაგალითად, საფეხბურთო კლუბის წევრებს უფლება აქვთ არაწევრებთან შედარებით უფრო იაფად შეიძინონ საფეხბურთო მატჩებზე ბილეთები, ამა თუ იმ სპორტული კლუბის წევრებს შეუძლიათ სხვებთან შედარებით უპირატესად ისარგებლონ ამ კლუბის სპორტული მოედნებით ან სხვა სპორტული მოწყობილობებით.

თანამედროვე კავშირების საქმიანობის იმანენტურ ნაწილს შეადგენს წევრების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება. ამ ღონისძიებათა ძირითად მიზანს შეადგენს კავშირის წევრების მიერ წესდებით აღიარებული წესების დაცვის უზრუნველყოფა. ვინც თანამედროვე სპორტული კავშირების მოღვაწეობას აღევნებს თვალყურს, აშკარად დარწმუნდება, თუ რა ხში-

რად და რა ეფექტურად იყენებენ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციები, როგორცაა ფიფა, უეფა, ფიდე, ნაციონალური საფეხბურთო ფედერაციები, ცალკეული სპორტული კლუბები და ა.შ. ამ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა სახეები სრულიად განსხვავებულია. სპორტულ სამყაროში მათ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: სპორტსმენთა დისკვალიფიკაცია, თამაშის უფლების ჩამორთმევა და ა.შ. კავშირების საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ამ ღონისძიებათა ფორმები და სახეები სრულიად განსხვავებულია. თანამედროვე სამართალი აღიარებს კავშირის შავნით მოქმედი დისციპლინური ღონისძიებების იურიდიულ ძალას. იმავდროულად კავშირის წევრებს უფლებას აძლევს მიმართონ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად.

მუხლი 45. არარეგისტრირებული კავშირი

1. არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი.
2. წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს კავშირის საერთო ქონებას.
3. არარეგისტრირებული კავშირი შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.
4. კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს კავშირის საერთო ქონებიდან. ამასთან, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ კავშირის სახელით.

კერძოსამართლებრივი არა ყველა გაერთიანება მთავრდება იურიდიული პირის შექმნით. ხშირია შემთხვევები, როცა გაერთიანების მსურველები არ არიან დაინტერესებულნი შექმნან იურიდიული პირი. არის შემთხვევები, როცა შესაქმნელ იურიდიულ პირს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – რეგისტრაცია – აკლია და ამის გამო იგი ვერ მიიღებს იურიდიული პირის სტატუსს. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა გაერთიანების ფორმა, რომელიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, არის *არარეგისტრირებული კავშირი*. მშობელთა კომიტეტები სკოლებში, ქუჩის კომიტეტები, ქალთა საბჭოები და ა.შ. ის ორგანიზაციებია, რომელთათვისაც არ არის სავალდებულო იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.

რეგისტრირებული კავშირისაგან განსხვავებით, რომლის სტრუქტურისა და მართვის ორგანოებს განსაზღვრავს კანონი, არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება ამ კავშირის წევრთა ურთიერთშეთანხმებით (45-ე მუხლის პირველი ნაწილი). ურთიერთშეთანხმების სამართლებრივი დოკუმენტი შეიძლება იყოს წესდება ან ხელშეკრულება.

რეგისტრირებული კავშირის მსგავსად არარეგისტრირებულ კავშირსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი საფირმო სახელწოდება, რომლითაც ის საქმიან ურთიერთობებში გამოდის. ამ სახელწოდებას უნდა ჰქონდეს დამატება „არარეგისტრირებული კავშირი“. ეს აუცილებელია, რათა შეცდომაში არ შევიდნენ ის პირები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ კავშირთან.

არარეგისტრირებული კავშირის მართვის ორგანოების სტრუქტურას კანონი არ განსაზღვრავს. ეს კავშირის წევრთა შეთანხმებაზე დამოკიდებული. მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ არარეგისტრირებული კავშირი წარმოდგენილი იყოს კავშირის წევრებით ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებით (45-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

არარეგისტრირებული კავშირის ქონების ძირითად წყაროს შეადგენს კავშირის წევრთა საწევრო შესატანები. როგორც შესატანები, ისე ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის საერთო ქონებას. კრედიტორების მოთხოვნები არარეგისტრირებული კავშირის მიმართ შეიძლება დაკმაყოფილდეს ამ ქონებიდან. პასუხისმგებლობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არარეგისტრირებული კავშირის პასუხისმგებლობასთან ერთად სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კავშირის წევრების სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც. კერძოდ, კავშირის კრედიტორების წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, პერსონალურად აგებენ პასუხს კავშირის ის წევრები, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

პოსტსოციალისტურ სამართლებრივ ცნობიერებაში პრობლემური შეიქნა საკითხი იმ ორგანიზაციებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი მოაწესრიგა. სამოქალაქო კოდექსის 1517-ე მუხლის ა ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულებათა თავისუფალი დადება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ არარეგისტრირებულ კავშირს შეიძლება ბანკში ჰქონდეს ისეთივე ანგარიშები, როგორიც აქვთ იურიდიულ პირებს.

თავისი სამართლებრივი ბუნებით არარეგისტრირებული კავშირი ჰგავს ამხანაგობას, რომლის სამართლებრივ საფუძველს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს. ამიტომ პრაქტიკულად იბადება კითხვა: თუ რა განსხვავებაა ამ ორ ფორმას შორის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა იმითაც არის ვანპირობებული, რომ არც ერთი ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი არ წარმო-

ადგენს იურიდიულ პარს. მიუხედავად ამ ძსგავსებისა, განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს, კერძოდ, ეს განსხვავებებია:

ა. არარეგისტრირებული კავშირი იქმნება არასამეწარმეო, ე.წ. იდეალური მიზნებისათვის; ამხანაგობის შექმნისას კი უფრო საერთო სამეურნეო მიზნების მიღწევა დომინირებს (930-ე მუხლი);

ბ. არარეგისტრირებული კავშირის საქმიანობა არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე, მაშინ როცა ამხანაგობის საქმიანობა მიზნად ისახავს ასეთი შემოსავლების მიღებას და კანონიც ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების წესს (935-ე მუხლი);

გ. ამხანაგობის ყველა მონაწილე სოლიდარულად აგებს პასუხს ამხანაგობის კრედიტორების წინაშე (937-ე მუხლი), მაშინ, როცა არარეგისტრირებული კავშირის დროს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც კავშირის სახელით მოქმედებდნენ.

IV. სპეციალური ნორმები ფონდის შესახებ

მუხლი 46. ფონდი დესტინატორებისათვის

30-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარდა, ფონდის მიზანი შეიძლება იყოს აგრეთვე განსაზღვრული პირების ან პირთა კონკრეტულად განსაზღვრული წრეების მხარდაჭერა. ყველა პირს, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ წილი ფონდის ქონებიდან (დესტინატურები), გამგეობის ყველა წევრის თანხმობით შეუძლიათ ფონდის გაუქმება ან ფონდის მიზნის შეცვლა, თუ ამას ეთანხმება იუსტიციის სამინისტრო. ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

დესტინატური ეწოდება პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა სასარგე-

ბლოდაც დაფუძნდა ფონდი და რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ ფონდის სარგებელი. ამ პირობა ვინაობას განსაზღვრავს ფონდის წესდება, ვინაიდან სწორედ ფონდის წესდებაში აისახება, თუ ვის სასარგებლოდ, ვისი მხარდაჭერისათვის იქმნება ფონდი. მაგალითად, ომის ინვალიდთა მხარდაჭერის ფონდი, უსინათლოთა ხელშეწყობის ფონდი და ა.შ.

დესტინატურებს უფლება აქვთ ფონდისაგან მოითხოვონ სარგებლის მიღება. თუმცა, როგორც თანამედროვე ფონდების საქმიანობის გამოცდილება ადასტურებს, დესტინატურებს უფრო მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე მხოლოდ სარგებლის მიღებაა. კერძოდ, განსაზღვრული პირობების არსებობისას მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ფონდის გაუქმებაც კი. 46-ე მუხლის მე-2 წინადადება დესტინატურებს ფონდის გაუქმების ან ფონდის მიზნის შეცვლის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. თუმცა, ამისათვის აუცილებელია როგორც გამგეობის წევრების, ისე იუსტიციის სამინისტროს თანხმობა. მაშასადამე, დესტინატურები დამოუკიდებლად ამ უფლებას ვერ განახორციელებენ. იმავედროულად, ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

მუხლი 47. ფონდში შესატანის უზრუნველყოფის ვალდებულება

1. დამფუძნებელმა (დამფუძნებლებმა) სანოტარო წესით დამოწმებული ფონდის შექმნის დოკუმენტით უნდა იკისროს ფონდში ქონების იმ ოდენობით შეტანის მოვალეობა, რომელიც აუცილებელია ფონდის მიზნის მისაღწევად. თუ ქონება არასაკმარისია, მაშინ მას უარი უნდა ეთქვას ფონდის რეგისტრაციაზე.

2. რეგისტრაციაზე ყოველთვის შეიძლება უარის თქმა ქონების გადაცემაზე. რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში ქონება სრუ-

ლად უნდა იქნეს გადაცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია კარგავს ძალას.

3. ფონდის მიზნები უნდა დაფინანსდეს ქონებიდან მიღებული შემოსავლებით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. თუ გარკვეული დროის მანძილზე ეს შემოსავლები საკმარისი არ არის, მაშინ ფონდის საქმიანობა შესაბამისად უნდა შემცირდეს ან შეჩერდეს, ხოლო შემოსავლები მიემატოს ფონდის ქონებას.

4. ფონდის ქონების მდგომარეობის თაობაზე ყოველწლიურად უნდა შედგეს ანგარიში შესაბამისი ფორმით.

კავშირისაგან განსხვავებით, ფონდის დასაფუძნებლად აუცილებელია განსაზღვრული ქონების არსებობა. ამ ქონების ოდენობას სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს. იგი მხოლოდ იმის განსაზღვრით შემოიფარგლება, რომ ფონდის ქონება საკმარისი იყოს ფონდის მიზნების მისაღწევად. არის თუ არა ფონდის ქონება საკმარისი დასახული მიზნების მისაღწევად, განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო. ფონდის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია საკმარისი ქონების არარსებობა (47-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

ფონდში ქონების შეტანის ვალდებულებას ფონდის დამფუძნებლები (ან დამფუძნებელი) კისრულობენ ფონდის წესდებაში, რომელსაც ნოტარიუსი ამოწმებს. თუ ფონდში შესატანი შეიტანება არაფულადი ქონების სახით, მაგალითად, უძრავი ქონება, ნოტარიუსმა უნდა მოითხოვოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი. ასეთ საბუთს წარმოადგენს ტექაღრიცხვის ბიუროს ცნობა ან საჯარო რეესტრის ამონაწერი. ნოტარიუსმა ამ დროს ფონდის დამფუძნებლები უნდა ვააფრთხილოს, რომ ქონება ფონდისათვის გადაცემულად ჩაითვლება, თუკი ფონდი საჯარო რეესტრში ამ ქონების შესაკუთრედ გატარდება რეგისტრაციაში. თუ ფონდში შესა-

ტანის სახით შეიტანება ისეთი ქონება, რომელზეც საკუთრების გადასაცემად აუცილებელია სპეციალური ფორმის დაცვა, მაშინ ეს ფორმა აუცილებლად უნდა იყოს დაცული. მაგალითად, თუ დაძფუძნებელი ფონდს გადასცემს საკუთარ ავტომანქანას, აუცილებელია, რომ ეს მანქანა სახელმწიფო ავტონსპექციაში დადგეს ფონდის სახელზე აღრიცხვაზე.

შესატანის განხორციელების ვადას კანონი ზუსტად განსაზღვრავს. კერძოდ, ქონება ფონდს უნდა გადაეცეს რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში. თუ ამ ვადაში ქონება არ გადაეცა ფონდს, მაშინ რეგისტრაცია უქმდება. პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, აქეთ თუ არა ფონდის დაძფუძნებლებს უფლება უარი თქვან შესატანის განხორციელებაზე მას შემდეგ, რაც წესდებით იკისრეს ეს ვალდებულება და წესდება სანოტარო წესით იქნა დამოწმებული. სამოქალაქო კოდექსი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს: 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რეგისტრაციამდე ყოველთვის შეიძლება უარის თქმა ქონების გადაცემაზე.

ფონდის მიზნები უნდა დაფინანსდეს ფონდის ქონებიდან მიღებული შემოსავლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდი თავის ქონებას იყენებს კომერციული მიზნებისათვის, რის უფლებასაც მას სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება აძლევს. ამ საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან ხდება ფონდის მიზნების დაფინანსება. ეს არის კლასიკური საშუალება ფონდის მიზნების დასაფინანსებლად, თუმცა კანონი ფონდის მიზნების დაფინანსების სხვა შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. თუ შემოსავლები საკმარისი არ არის ფონდის მიზნების დასაფინანსებლად, ეს არ იწვევს ფონდის გაუქმებას. საქმიანობა შესაბამისად უნდა შემცირდეს ან შეჩერდეს იმ მიზნით, რომ შემოსავლები მიემატოს ფონდის ქონებას და მომავალში შესაძლებელი გახდეს ფონდის მიზნების დაფინანსება.

ფონდის ქონების მდგომარეობის თაობაზე ყოველწლიურად უნდა შედგეს ანგარიში გამგეობის მიერ და წარედგინოს იუსტიციის სამინისტროს.

მუხლი 48. სამეთვალყურეო ორგანო

1. გამგეობისა და სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნის, გამოწვევისა და კონტროლის მიზნით წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმის) შექმნას, რომლის წევრებსაც მოიწვევენ ფონდის დამფუძნებლები. დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგ დესტინატერების მიერ ან წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში სამეთვალყურეო ორგანოს შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს ახალი წევრებით (კოოპტაციის წესი).

2. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს, რომ ფონდის მმართველობა ხორციელდებოდეს კანონისა და წესდების შესაბამისად. იუსტიციის სამინისტროს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ და შეამოწმოს მისი დოკუმენტაცია.

3. სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმს) შეუძლია შეაჩეროს გამგეობის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან მოითხოვოს მათი გაუქმება, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს ან წესდებას.

4. სამეთვალყურეო ორგანო უზრუნველყოფს, რომ გამგეობისა და სხვა ორგანოების დანიშვნა შეესაბამებოდეს წესდებას. თუ წესდება საკმარისად ვერ აწესრიგებს ამ ურთიერთობებს, ამ ორგანოს შეუძლია დამატებითი მითითებების მიცემა.

კავშირისაგან განსხვავებით, ფონდს არა ჰყავს წევრები. ამიტომ მისი მართვის ორგანოებიც განსხვავდება კავშირის მართვის ორგა-

ნოებისაგან. მას არა აქვს წევრთა საერთო კრება. იბადება კითხვა: თუ ფონდს საერთო კრება არა აქვს, მაშინ ვინ უნდა აირჩიოს გამგეობა? საყოველთაოდ გავრცელებული წესის მიხედვით ფონდის გამგეობას ირჩევენ ფონდის დამფუძნებლები. ბუნებრივია, რომ ფონდის არსებობა არ შემოიფარგლება დამფუძნებლების სიცოცხლის ხანგრძლივობით. ამიტომ ასევე გასარკვევია, თუ ვინ უნდა გადაწყვიტოს გამგეობის არჩევა-გადარჩევის საკითხი დამფუძნებლების გარდაცვალების შემდეგ. ამ კითხვაზე სამოქალაქო კოდექსი რამდენიმე შესაძლო ვარიანტს ითვალისწინებს:

1. გამგეობის და სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის, გამოწვევისა და კონტროლის მიზნით ფონდის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმის) შექმნას, რომლის წევრებსაც მოიწვევენ ფონდის დამფუძნებლები. დამფუძნებლების გარდაცვალების შემთხვევაში კურატორიუმის წევრთა შეცვლა ხდება კოოპტაციის წესით – ახალი წევრების მიღების გზით. წესდება შეიძლება კურატორიუმის წევრთა შეცვლის სხვა წესსაც ითვალისწინებდეს (48-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ფონდში არსებობს ასეთი სამეთვალყურეო ორგანო, მისი ფუნქციები დეტალურად განისაზღვრება ფონდის წესდებით. მთავარი ამ ფუნქციათაგან არის გამგეობის არჩევა ან მისი წევრების შეცვლა და კონტროლის განხორციელება გამგეობის საქმიანობაზე. კურატორიუმი უფლებამოსილია შეაჩეროს გამგეობის გადაწყვეტილებები, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან მოითხოვოს მათი გაუქმება, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს ან წესდებას.

2. გამგეობის დანიშვნისა და გადარჩევის უფლებამოსილება შეიძლება მიეცეთ დესტინატურებს, ე.ი. იმ პირებს, რომელთა ხელშესაწყობად და მხარდასაჭერად იქმნება ფონდი. დესტინატურებს აქვთ ფონდის ქონებიდან წილის მოთხოვნის უფლება. მაგალითად, შეიქმ-

ნა ფონდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდასაჭერად. უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში ჩაითვლება დესტინატურად, ვინაიდან იგი ფონდის სახსრების ძირითადი მიმღებია. გამგეობის დანიშვნისა და ახალი წევრებით მისი შევსების უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის რექტორატს. დესტინატურების უფლებამოსილება ფონდის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ გამგეობის დანიშვნა ან არჩევა. მათ შეუძლიათ მოითხოვონ ფონდის გაუქმება ან ფონდის მიზნის შეცვლა. თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება გამგეობის ყველა წევრის თანხმობა და იუსტიციის სამინისტროს ნებართვა. ვინაიდან დესტინატურებისათვის შექმნილი ფონდის მიზანი დესტინატურების ხელშეწყობაა, ასეთი ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში, დარჩენილი ქონება ნაწილდება დესტინატურებს შორის.

3. ფონდის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს იმის შესაძლებლობასაც, რომ გამგეობის წევრებმა თვითონ გადაწყვიტონ გამგეობის შემადგენლობის გადახალისების საკითხი კოლექტივის გზით. ამ დროს პრობლემური შეიძლება იყოს საკითხი, თუ ვინ უნდა განახორციელოს კონტროლი გამგეობის მოღვაწეობაზე, იმაზე, თუ რამდენად კორექტულად და მართლზომიერად ახორციელებს იგი თავის ფუნქციებს? თუ ფონდში კურატორიუმი არსებობს, მაშინ ეს ფუნქცია კურატორიუმსა აქვს. ყველა სხვა შემთხვევაში გამგეობის საქმიანობაზე კონტროლს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს.

4. თუ წესდება დეტალურად არ აწესრიგებს გამგეობის დანიშვნისა და ახალი წევრებით მისი შევსების საკითხს, მაშინ ამის უფლებამოსილება აქვს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ის სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ფონდის მმართველობაზე. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინ-

ფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ (48-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ კონტროლის ძირითადი მიზანი ისაა, რომ ფონდის ქონება წესდებით განსაზღვრული მიზნებისათვის იქნეს ზუსტად გამოყენებული. ამას განაპირობებს ფონდის ქონებას მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი ხასიათი.

ფონდის მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობის საკითხი აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა ფონდის დაფუძნება ანდერძის საფუძველზე ხდება და ფონდის დაფუძნებისას მამკვიდრებელი გარდაცვლილია. თუ ანდერძი არ შეიცავს ფონდის მმართველობის ორგანოთა ზუსტ რეგლამენტაციას, მაშინ იმ პირობაში, ვისაც ანდერძით დაკისრებული აქვთ ფონდის დაფუძნება, უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა ფონდის ორგანოების სტრუქტურა მაესადაგებოდეს დასახულ მიზნებს. სხვა შემთხვევებში ასეთი ორგანოების სტრუქტურასა და კომპეტენციას განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 49. მონდის მიზნის შეცვლა

თუ დესტინატურების გარეშე ფონდში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, ან არსებობს სხვა საფუძველი ფონდის ლიკვიდაციისათვის, იუსტიციის სამინისტროს შეუძლია, თუ წესდებაში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ, ლიკვიდაციის ნაცვლად მოითხოვოს მიზნის შეცვლა ან განახორციელოს სხვა ფონდებთან შერწყმა თავდაპირველ მიზანთან მსგავსების შენარჩუნებით; თუ დამფუძნებელთაგან ცოცხალია ერთი მაინც, საჭიროა მისი თანხმობა.

იმ შემთხვევაში, როცა ფონდს ჰყავს დესტინატურები, ფონდის მიზნის შეცვლის საკითხი უნდა მოწესრიგდეს 46-ე მუხლით, მაგრამ თუ ფონდი დესტინატურების გარეშეა დაფუძნებული, მაშინ ლიკვი-

დაციის ან მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ლიკვიდაციის მოთხოვნის უფლება. მას შეუძლია ლიკვიდაციის ნაცვლად პოითხოვოს ფონდის მიზნის შეცვლა ან განახორციელოს სხვა ფონდებთან შერწყმა თავდაპირველ მიზანთან მსგავსების შენარჩუნებით. თუ ფონდის დამფუძნებელთან ცოცხალია ერთი მაინც, საჭიროა მისი თანხმობა.

ბარი მებრე

ბარიგებანი

თავი პირველი

ზოგადი ნორმები

წესი 50. ცნება

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

1. ქართული სამართლის ძეგლები თუ სხვა ისტორიული წყაროები „გარიგებას“ გაცილებით ფართო მნიშვნელობით იცნობენ, ვიდრე ეს საბჭოთა, თუ გნებავთ ახლანდელ სამართალშია. „გარიგება“ ძველს დროში არ წარმოადგენდა მარტოოდენ სამოქალაქო-სამართლებრივ მოვლენას. „გარიგების“ ქვეშ იგულისხმებოდა საზოგადოდ მრავალი მნიშვნელობის მოქმედება, მაგალითად, რაიმეს დადგენა, გადაწყვეტილება, მართვა, განსაზღვრა, რიგის მიცემა, დაწესება და ა. შ. მოკლედ, ტერმინი „გარიგება“ გამოიყენებოდა, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალში. XIV საუკუნის ქართულ სახელმწიფო-სამართლებრივ ძეგლს „ხელმწიფის კარის გარიგება“ ჰქვია, რაც გულისხმობს ხელმწიფის კარის წესს, სახელდობრ, დარბაზობის, ვაწირობის წესს, მოხელეთა უფლება-მოვალეობების აღწერას. უმრავლეს შემთხვევაში „გარიგება“ წესის, ნორმის მიხედვით იხმარება. ასევე ხშირად იგი საქმის გადაწყვეტისა, თუ თვით გადაწყვეტილების აზრით მოიხსენიება საბუთებში. თვით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიაც ცოტაა შემთხვევები. როდესაც გარიგებას ცივილურ-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ვახტანგის

სამართლის 255-ე მუხლში გარიგება შეთანხმების აზრითაა ნახ-
მარი; მხითარ-გოშის სამართლის 241-ე მუხლში გარიგება ნასყი-
დობის ამსახველ ტერმინად გვეკვლინება; სომხური სამართლის
მე-80 მუხლში „გარიგება“ ანდერძის მნიშვნელობით გამოიყენება.

მოკლედ, „გარიგების“ ევოლუციური გზა ასე გამოიყურება:
ჯერ ამ ტერმინს ფართო მნიშვნელობა ჰქონია, შემდგომ კი, ძალზე
გვიან, უფრო სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს იძენს. თუ დიდხანს
გარიგება გულისხმობდა ნების გამოვლენას, რომელშიც იყო როგორც
სავალდებულო, ისე ავტონომიური ნების ელემენტები, ბოლოს მან
უფრო ეს უკანასკნელი მნიშვნელობა შეიძინა. თუ როდის მოხდა ეს
ფაქტი, ამაზე დანამდვილებით ძნელია პასუხის გაცემა.

გარიგება არის ნების გამოვლენა. ამ საკითხის მიმართ ორგვარი
მიდგომა არსებობს. ერთი თეორიის თანახმად, გარიგების დეფინი-
ციაში მთავარია ნება, როგორც ასეთი – ეს ნების თეორიაა. ქართუ-
ლი სამოქალაქო კოდექსი კი თვლის, რომ გარიგება ნების გამოვ-
ლენაა – ეს ნების გამოვლენის თეორიაა. ბუნებრივია, როდესაც
პირს სურს მიაღწიოს რაიმე სამართლებრივ შედეგს, ამ შემთხვევა-
ში ეს შედეგი ნების გამოვლენის გარეშე არც დადგება. სრულიად
შესაძლებელია შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვეო-
დეს ერთმანეთს. სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობი-
სას ამ დროს შეიძლება დაისვას საკითხი ნების გამოვლენის ბათი-
ლობის შესახებ. მაგრამ ვიდრე მისი ბათილობა მოხდებოდეს, არსე-
ბული ნების გამოვლენა გარიგებად უნდა ჩავთვალოთ, მანამდე ხომ
უცნობია პირის შინაგანი ნება. ამდენად, შინაგანი და გარეთ გამოვ-
ლენილი ნების ურთიერთმიმართება ინტერესის საგანი ხდება მაშინ,
როდესაც მათ შორის არსებობს კონფლიქტი, შეუსაბამობა. მანამდე,
ნების გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ იმ სინამდვილედ, რომელსაც
ჰქვია გარიგება. შეიძლება ითქვას, რომ უკვე პასუხია გაცემული იმ
კითხვაზეც, გარიგება კერძო ნების გამოვლენაა, თუ ობიექტური

ნების. გარიგება უპირატესად კერძო ნების გამოვლენაა. თუმცა, იგი იმაკდროულად ობიექტური ნების გამოვლენასაც მოიცავს. ეს დებულება არსებითად ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებებს ეხება. აქ ნება უფრო ავტონომიურია და ამდენად პირთა ურთიერთობაც მეტი დისპოზიციურობით ხასიათდება. სამოქალაქო კოდექსი იმასაც კი აღგენს, რომ შესაძლებელია ისეთი ნების გამოვლენა, იგივე გარიგება, რაც კანონით არაა გათვალისწინებული, მაგრამ არც კანონს ეწინააღმდეგება. სანივთო-სამართლებრივ გარიგებაში უპირატესობა ეძლევა ობიექტურ ნებას, სანივთო უფლებათა რეგლამენტაცია ხომ უფრო მკაცრადაა მოხაზული. ის ფაქტი, რომ სანივთო სამართალში მოქმედებს "Numerus Klausus" პრინციპი, ბევრის მოქმედია ამ აზრით. ყოველ შემთხვევაში, რა ვითარებაც არ უნდა გვჭონდეს, ყველა შემთხვევაში გარიგება უნდა განვიხილოთ როგორც რეზულტატი კერძო (სუბიექტური) და საჯარო (ობიექტური) ნების გამოვლენისა.

გარიგება მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენაა, რომელიც იწვევს იურადიულ შედეგებს. კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას, ან შეწყვეტას. მაგალითად, ვინმეს დაპატიჟება კინოში. ფეხბურთის სანახავად, ანდა წვეულებაზე, ნების გამოვლენაა, მაგრამ ისინი არ უკავშირდებიან სამართლებრივ შედეგებს და არც სამართლებრივი სანქციით არიან უზრუნველყოფილნი. გარიგება ყოველთვის სამართლებრივ სანქციასთანაა დაკავშირებული. ვთქვათ, გამყიდველმა არ გადასცა ხელშეკრულებით შეპირებული ნივთი მყიდველს, ამ დროს ამოქმედდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, რითაც მყიდველს შესაძლებლობა ეძლევა დაიცვას დარღვეული უფლებები. ამდენად, მას შეუძლია დაეყრდნოს სახელმწიფოებრივ იძულებასაც.

ავიღოთ ნების გამოვლენის სანიმუშოდ ანდერძი. იგი მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის, კერძოდ, სამემკვიდრეო-სა-

მართლებივი ურთიერთობის წარმოსაშობად. მოანდერძეს შეუძლია შეცვალოს ანდერძი, აქ უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ ნების გამოვლენა ცვლის სამართლებრივ ურთიერთობას. თუკი მოანდერძე საერთოდ გააუქმებს თავის ანდერძს, ეს იქნებოდა ნების გამოვლენა, რითაც წყდება სამართლებრივი ურთიერთობა. ნების გამოვლენა აქ ყოველთვის უკავშირდება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს.

ნების გამოვლენა მიძართულია ნორმალური სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. ზიანის მიყენებაც ნების გამოვლენაა, მაგრამ სწორედ აღნიშნულის გამო იგი დელიქტია და არა გარიგება. თუმცა, ამდაგვარ ნების გამოვლენას შეიძლება შედეგად მოჰყვეს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები, სამოქალაქო-სამართლებრივიცა და სისხლის სამართლებრივიც.

გარიგება, როგორც წესი, მართლზომიერი ნების გამოვლინებაა, მაგრამ არამართლზომიერი ნების გამოვლენაც შეიძლება წარმოადგენდეს გარიგების ფაქტს. თუკი ნების გამოვლენა აკმაყოფილებს მისი ნამდვილობის ყველა პირობას, ცხადია, აქ სახეზე გვაქვს იურიდიული ძალის მქონე გარიგება. დავუშვათ, ერთ შემთხვევაში მოტყუების შედეგად დაიდო გარიგება, სხვა დროს კი, სავალდებულო წერილობითი ფორმის დაუცველად. ორივე შემთხვევაში სახეზეა ბათილი გარიგება, იმ განსხვავებით, რომ პირველი საცილო გარიგებაა, მეორე კი – უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება. ნების გამოვლენის ფაქტი ორივე შემთხვევაში სახეზეა და ამიტომაც ღება საკითხი მისი ბათილობის შესახებ. თავისთავად ბათილი გარიგება არ წარმოშობს იმ იურიდიულ შედეგებს, რისკენაცაა იგი მიძართული. ვერ შეიძენ მიწის ნაკვეთს, თუ სავალდებულო სანოტარო ფორმით არ დაიდო გარიგება, თუმცა გარკვეულ იურიდიულ შედეგებთან კი იქნება ეს დაკავშირებული.

ნების გამოვლენა ფართო მნიშვნელობით მოიაზრება სამოქალაქო

კოდექსში. იგი ყოველთვის არ გულისხმობს პირდაპირ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიზანმიმართულებას. მაგალითად, უფლებამოსილების მიცემა, გაუქმება, თანხმობა გარიგებებში ეს მოქმედებანი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ნების გამოვლენად, ე. ი. გარიგებად. რადგანაც მათ მიმართ გამოიყენება ქმედუნარიანობის, წარმომადგენლობის, საცილოობის და სხვა დებულებანი, რაც გამოიყენება დანარჩენი გარიგებების მიმართ, ანდა ავიღოთ დაკარგული ნივთის პოვნის მაგალითი. თავისთავად შემთხვევით ნივთის პოვნა შორსაა ნებელობითი ფაქტისაგან, მაგრამ მპოვნელის გადაწყვეტილება ეს ნივთი დაუბრუნოს პატრონს, ან ჩააბაროს საამისოდ უფლებამოსილ ორვანობს – ეს ხომ ნების გამოვლენაა, რომელიც იურიდიულ შედეგებს უკავშირდება. მართალია, ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა უფრო ობიექტური ნების გამოვლენაა – მაოვნელი ვალდებულია ასე მოიქცეს, თუმცა მას შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო.

50-ე მუხლის თანახმად, გარიგება ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა. ასე მაგალითად, ანდერძი, ჯილდოს საჯაროდ შეპირება ცალმხრივი გარიგებაა და მარტოოდენ ერთი პირის ნების გამოვლენაც საკმარისია სამართლებრივი ფაქტის გამოსაწვევად. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი შედეგის მისაღწევად საჭიროა ორი ან რამდენიმე პირის ნების გამოვლენა. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია ხელშეკრულება ან გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრებაზე. ამ შემთხვევაში, ყოველი ნების გამოვლენა ბიძნევა დამოუკიდებელ გარიგებად, ხოლო თვით ხელშეკრულება ანდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, შეთანხმებული საერთო ნების რეზულტატია.

მუხლი 51. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.

3. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ვარიეტების დამდები პირის გარდაცვალებამ ან ქმედუნარიანობის დაკარგვამ, თუკი ეს მოვლენები დადგა ნების გამოვლენის შემდეგ.

1. ამ მუხლში საუბარია საერთოდ ნებას გამოვლენაზე და იგი ამდენად ეხება ხელშეკრულებასაც. სხვადასხვაგვარად წყდება ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხი თანამყოფი და არათანამყოფი პირის მიმართ. არათანამყოფი პირის მიმართ ნების გამოვლენის საკითხი განსხვავებულად წყდება დოქტრინაში. ნების გამოვლენის თეორიის თანახმად, ნების გამოვლენა ნამდვილია მისი გამოვლენის მომენტიდან. კოქკათ, წერილის დაწერის მომენტიდან, რომელიც უნდა გაიგზავნოს; ნების გამოვლენის შეტყობინების თეორია კი, ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის საკმარისად მიიჩნევს აღნიშნული წერილის ადრესატისათვის გაგზავნას; ხოლო ნების გამოვლენის მიღების თეორია – ადრესატამდე მის მისვლას; ნების გამოვლენის აღქმის თეორიისათვის საკმარისია ადრესატამდე მისული ნების გამოვლენის აღქმა – ვაცნობიერება. 51-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო კოდექსი ღვას ნების გამოვლენის მიღების თეორიაზე. მოკლედ, ნების გამოვლენა ნამდვილია, როცა იგი მეორე მხარეს „მიუვა“.

ნების გამოვლენის მეორე მხარეზე მისვლა კი გულისხმობს

შემდეგს: ჯერ ერთი, ნების გამოვლენა მისულად ჩაითვლება, როცა გამგზავნის ნებით, დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია ნება, აღმოჩნდება ადრესატის ხელში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი დაუყოვნებლივ გაეცნობა მის შინაარსს. მაგალითად, წერილი, ტელეგრამა ჩაგდებულია ადრესატის საფოსტო ყუთში, ანდა ჩაბარდა მის სახლში მოსამსახურეს. ან კიდევ ადრესატის კანტორას, ანდა იმ სასტუმროს კარისკაცს, რომელშიც იგი იმყოფება; ნების გამოვლენა არ ჩაითვლება მისულად, თუკი წერილი ძალუღდად ჩაუდეს ადრესატს ჯიბეში, ანდა ისეა საქონლის ამანათში მოთავსებული, ძნელია ვივარაუდოთ, რომ ადრესატი ჩქარა იპოვნის მას; მეორე, ნების გამოვლენა პირს შეიძლება მიუვიდეს იმ დოკუმენტის დაუფლების გარეშეც, რომელშიც გამოხატულია ნება, თუკი ადრესატზე იყო დამოკიდებული უამისოდაც დაუყოვნებლივ გაეცო ნების გამოვლენის შინაარსი და ნორმალურ ვითარებაში შეიძლება მისგან ამას ველოდოთ. მაგალითად, წერილი გადაეცა ადრესატს, მაგრამ მან იგი არ მიიღო, ანდა ადრესატმა მოითხოვა წერილი არ მიეტანათ მისთვის, რადგან თვითონ წაიღებდა ფოსტიდან. ან კიდევ, მოითხოვდა წერილები გამოეგზავნათ მისთვის მოკითხვამდე და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა მისულად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ადრესატის ძხრიდან დაუდევრობასა თუ განზრახ ვაჭიანურებას აქვს ადგილი; მესამე, თუკი ნების გამოვლენა ზეპირადაა გადაცემული არათანამყოფი პირისათვის, ვთქვათ, ნება გამოხატულია წარმომადგენლის მიერ, ან ოჯახის წევრების, ანდა მოსამსახურის მიმართ, ასეთ შემთხვევებში ნება მისულად ჩაითვლება, თუკი ამ სახით ნების გამოვლენა აღმოჩნდება ადრესატის ძალაუფლებაში. მოკლედ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ეცნობება ამის შესახებ.

თანამყოფი პირის მიმართ მოქმედი წესი განსხვავებულია. აქ აუცილებელია, რომ ნების გამოვლენა აღმოჩნდეს მეორე მხარის (ადრესატის) ხელისუფლებაში. მოკლედ, ნების წერილობითი ფორ-

მით გამოვლენისაგან განსხვავებით, საჭიროა რომ ადრესატმა ნება აღიქვას, გაიგოს, ე. ი. აქ ნების გამოვლენის მიღება და აღქმა ერთდროულად ხდება. თუკი ადრესატს განზრახ არ სურს გაიგოს ნების გამოვლენა, მაგალითად, იგი განზრახ იხშობს ყურებს, როცა მას ზეპირად აცნობეს ნების გამოვლენის შინაარსი, ასეთ შემთხვევაში ნების გამოვლენა, რომელიც არ გაუგონია ადრესატს, მაინც ნამდვილად ჩაითვლება, ისევე როგორც არათანამყოფი პირისათვის გაგზავნილი წერილი მისულად ჩაითვლება, თუკი ადრესატი უარს ამბობს მიიღოს მასზე გადასაცემად მიტანილი წერილი. აქაც ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება.

2. მართალია, ნების გამოვლენის ადრესატამდე მისვლის ფაქტი მას ნამდვილობას ანიჭებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადრესატი ვალდებულია მიიღოს იგი. მეორე მხარეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეუძლია ნების გამოვლენა იურიდიული ძალის არმქონედ აქციოს, თუ იგი წინასწარ, ან -მაშინვე განაცხადებს უარს. ანალოგიური უფლება უნდა ჰქონდეს წინადადების შემთავაზებელსაც. ვთქვათ, ნების გამოვლენის შინაარსი მეორე მხარეს გაეგზავნა ფოსტით წერილის სახით. თუკი იგი ამ წერილის მისვლამდე ტელეგრაფით ან ფაქსით აცნობებს მეორე მხარეს ნების გამოვლენის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ასეთი ნების გამოვლენა აღარ ჩაითვლება ნამდვილად. იგივე შედეგი დადგება, თუკი მეორე მხარეს წერილიცა და მისი გაბათილების ცნობა (ტელეგრაფი, ფაქსი) ერთდროულად მიუვა.

3. 51-ე მუხლის შესამე პუნქტი სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის ინტერესებს ემსახურება. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე ვერ მოახდენს გავლენას პირის გარდაცვალება ან ქმედუნარიანობის დაკარგვა, თუკი ეს მოხდება ნების გამოვლენის შემდეგ. მაგალითად, წერილის გაგზავნის შემდეგ პირი გარდაიცვალა ან ქმედუნარიანობა დაკარგა მან, ვთქვათ, სულით ავადმყოფობის გამო. ნება გამოვლენ-

ნილად ვერ ჩაითვლება თუკი წერილი დაწერილია, მაგრამ ვერ მოესწრო მისი გაგზავნა აღნიშნულ გარემოებათა გამო. მოკლედ, მთავარია ნების გამოვლენის მეორე მხარისათვის გაგზავნა. ეს აუცილებლად ნების გამოვლენის სუბიექტმა უნდა გააკეთოს. თუკი პირის მიერ გამზადებულ წერილს, რომელიც მის საწერ მაგიდაზე დევს, მისგან დამოუკიდებლად მოსამსახურე ან ნაცნობი ჩააბარებს ფოსტას და ამგვარად მიიღებს მას მეორე მხარე, ეს არ ჩაითვლება ნების გამოვლენის ნამდვილობის საფუძვლად.

მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება

ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

ქართული სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის დებულება, რომ „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება გონივრული განსჯის საფუძველზე უნდა დადგინდეს“, გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას. რადგანაც მოცემულ მუხლში საუბარია ნების გამოვლენის განმარტებაზე, ივარაუდება, რომ უნდა დადგინდეს მისი შინაარსი, ე. ი. იმ ნების შინაარსი, რომელიც უკვე გარეთაა გამოხატული.

ნების გამოვლენის განმარტებისას ორივე მხარის ნამდვილი ნება უნდა გამოვარკვიოთ. თუ ურთიერთობა უსასყიდლო ხასიათისაა, აქ მთავარია ერთი მხარის ნების განმარტებაც. მაგალითად, ნაჩუქრობისას მეტწილად ყურადღება ექცევა გამჩუქებლის ნებას, ვიდრე მჩუქებლისა. და მაინც, ყველა შემთხვევაში, ნების გამოვლენის განმარტებისას აუცილებელია ყველა გარემოება შეფასდეს.

ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა აიხსნას არა მარტო გაუგე-

ბარი ან ორაზროვანი სიტყვა-სიტყვიით ტექსტი, არამედ უნდა შეივსოს არასრული, ზოგჯერ კი – შესწორდეს გაუმართავი ტექსტი.

გარიგების მონაწილეთა ნება შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს მისი როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გამოხატვისას. პირველ შემთხვევაში გაუგებრობა არ იწვევს ნების გამოვლენის ბათილობას. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ მეორე მხარემ მიიღოს გაუგებარი ნების სწორი განმარტება. თუ მეორე მხარე ამის შემდეგ არასწორად გაგებულ აზრს დაემყარება, მაშინ ნების გამოვლენა საცილო გახდება. სხვა საქმეა, როდესაც ნების გამოვლენა ზეპირად ხდება. შეიძლება მეორე მხარემ სწორად აღიქვა ნების გამოვლენა, მაგრამ არასწორად განმარტა, ან კიდევ შეიძლება თვით ნების გამოვლენა იყოს არასწორად გაგებული. მაგალითად, გამჭირავებელმა გააფრთხილა დამჭირავებელი, რომ 1 ივნისიდან ხელშეკრულება შეწყდება, ამ უკანასკნელმა კი ეს გაიგო 1 ივლისად. აქ უკვე აღარა გვაქვს ნამდვილი ნების გამოვლენა, რადგანაც მეორე მხარემ მიიღო-აღიქვა სრულიად სხვა ნება.

ხელშეკრულების განმარტებისას, 52-ე მუხლში მოცემული ზოგადი წესის გარდა, გამოიყენება 337-340-ე მუხლებში გათვალისწინებული ნორმები.

როგორც წესი, ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები უნდა ვავიგოთ ისე, როგორც ეს საერთოდ მიღებულია და არა ისე, როგორც ეს მხარეებს, ცალკეულ პირებს ესმით. როცა ლაპარაკია ზიანის ანაზღაურებაზე, აქ მხედველობაშია, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ცხადია, სამოქალაქო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე. თუ რომელიმე მხარე ფიქრობს, რომ ზიანში ყოველთვის მხოლოდ ქონებრივი ზიანი იგულისხმება, ცხადია ეს არ იქნება სწორი.

337-ე მუხლი უშვებს სპეციალურ სიტყვათა ხმარებასაც, როცა განმსაზღვრელია მხარის საცხოვრებელ ადგილას მიღებული სიტყ-

ვათახმარება. ეს მაშინაა, როცა ცალკეული გამონათქვამები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. „უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე, თუ მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილები აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“.

მუხლი 53. პარიზში არარსებობა მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო

გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.

როცა გარეგნულ გამოხატვებზეა საუბარი, აქ მხედველობაშია ნების გამოვლენის ფორმა. რა ფორმითაც არ უნდა დაიღოს გარიგება, ნება უნდა გამოვლინდეს ცხადად, მასში ნათლად უნდა გამოიკვეთოს განზრახული გარიგების შინაარსი. ასე მაგალითად, ვთქვათ ნების გამოვლენის სუბიექტს სურს დადოს ქირავნობის ხელშეკრულება, მაგრამ ნების გარეგნული გამოხატვიდან გაურკვეველი რჩება აქ ქირავნობაა, იჯარაა, თუ სხვა ხელშეკრულება (ვთქვათ, თხოვება). ან კიდევ, პირს სურს იყიდოს ნივთი მოწონების პირობით, მაგრამ მისი ნების გამოვლენიდან ეს არ იკვეთება ნათლად. ასეთ შემთხვევებზე უნდა ითქვას, რომ გარიგება საერთოდ არ არსებობს. ნების გამოვლენა უნდა აკმაყოფილებდეს 50-ე მუხლის მოთხოვნებს. როცა ნების გამოვლენა ბუნდოვანია და გაუგებარია, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსზეა საუბარი, ბუნებრივია, არც ნების გამოვლენა ჩაითვლება 50-ე მუხლით გათვალისწინებულ ნების გამოვლენად. 53-ე მუხლს აქვს დიდი პრევენცი-

ული ფუნქცია. იგი ფაქტობრივად ავალდებულებს გარიგების მონაწილეებს ნება გამოავლინონ კანონით დადგენილი წესების დაცვით. სახეზე იქნება ოფერტა, აქცეპტი, თუ მხარეთა უკვე შეთანხმებული ნება, მათში ნათლად უნდა გამოიკვეთოს გარიგების შინაარსი. სხვანაირად, ნების გამოვლენა ვერ დააკავშირებს გარიგების მონაწილეებს. პრაქტიკაში 53-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია და მისი ერთ-ერთი მიზეზი კანონის უცოდინრობაცაა.

53-ე მუხლით გათვალისწინებულა შემთხვევა განსხვავდება გარიგების ბათილობისაგან. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნების გამოვლენა, 50-ე მუხლის აზრით არსებობს, ოღონდ, როგორც ბათილი ნების გამოვლენა, 53-ე მუხლის ვითარებაში თვით ნების გამოვლენა ითვლება არარსებულად. ამიტომაც, მის ნამდვილობა-ბათილობაზე მსჯელობაც უსაფუძვლოა.

მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური პარიზმ-ბანო

ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

ამ მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს შემდეგი სამი სახის ფასეულობათა დარღვევა: ა) კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები; ბ) საჯარო წესრიგი; გ) ზნეობის ნორმები. მათ შორის მკაცრი მიჯნის გავლება ყოველთვის როდია შესაძლებელი. რიგი ქვეყნების სამოქალაქო სამართალში ცალკეულ შემთხვევებში კანონის დარღვევით დადებული გარიგებანი იმავედროულად საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებადაც განიხილება; ან კიდევ პირიქით,

საჯარო წესრიგის დარღვევა მოიცავს კანონით დადგენილი წესის დამრღვევი მოქმედების შინაარსსაც; დაბოლოს, კანონის დარღვევა ხშირად ხნობის საწინააღმდეგო ნების გამოვლენად აღიქმება ხოლმე.

დებულება – ბათილია კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების დარღვევით დადებული გარიგებანი – ბათილობის საერთო ცნების გამომხატველი დებულებაა. ამდენად, აქ ერთის მხრივ მხედველობაშია, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი (მაგალითად, მოტყუებით, ძალადობით, ცდომილებით და ა.შ. დადებული გარიგებანი), ისე ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები. მართალია, მოტყუება ზოგადად არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს და ამდენად კანონით დადგენილ წესსაც ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი ბათილობის დამოუკიდებელი საფუძველია, როგორც ნების გამოვლენის ნაკლის გამო.

თვით გამოთქმა – „კანონით დადგენილი წესი“ – სამოქალაქო ურთიერთობის პოზიტიური მდგომარეობის გამომხატველია, საპირისპიროდ მისი ნეგატიური ვითარების ამსახველი გამოთქმისა – „კანონით დადგენილი აკრძალვები“. ცალკეული შემთხვევების განხილვაც იმისი მაუწყებელია, რომ სახეზეა კანონის იმპერატიულ დანაწესებთან ნების გამოვლენის შეუსაბამობა.

აღნიშნული საფუძველით შეიძლება გაბათილდეს ნების გამოვლენა, როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით სამართალში. მაგალითად, ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლითაც გირავნობის საგანზე საკუთრება პირდაპირ გადადის მოგირავნეზე, თუ მისი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული ან დროულად ვერ დაკმაყოფილდება (273-ე მუხლი); ქირავნობის დროს ბათილია შეთანხმება, რომლითაც დამქირავებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო (567-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

საიჯარო ურთიერთობისას ძეიჯარის მოთხოვნით ბათილად ჩაითვლება ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომელიც მოიჯარემ მისი თანხმობის გარეშე დადო (587-ე მუხლის პირველი პუნქტი); ასევე ვერ ჩაითვლება ხამდვილად ნების გამოვლენა, როცა ინდივიდუალური საკუთრების გასხვისება, დაგირავება ან სხვაგვარად დატვირთვა - რომ საკუთრების შესაბამისი წილის გაუთვალისწინებლად ხდება (213-ე მუხლის პირველი პუნქტი); ვერ ჩაითვლება ხამდვილად ისეთი წინასწარი შეთანხმება, რითაც უარია ნათქვამი ვალდებულებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (240-ე მუხლი).

საჯარო წესრიგის ცნება პირველად შემოდის ქართულ სამართლებრივ ყოფაში. მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და ქვეიჯარმობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით, საჯარო წესრიგის დარღვევაში ივარაუდება კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების დარღვევა და პირიქითაც, ზოგჯერ ამ უკანასკნელის დარღვევა საჯარო წესრიგის დარღვევასაც მოიცავს. გარიგების ბათილობის ამ საფუძველთა გამიჯვნაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით ხელყოფის ობიექტთა ფასუელობას. ასე მაგალითად, თუ მოიჯარე ძეიჯარის თანხმობის გარეშე ვასცემს ქონებას ქვეიჯარით, ამით ის ხელყოფს, პირველ რიგში, კონკრეტული საიჯარო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ პრინციპს და შესაბამისად, დაირღვევა სამოქალაქო ბრუნვის არსებითი პრინციპები და ამდენად საჯარო წესრიგიც.

საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა პრინციპულ სამართლებრივ ფასუელობათა უარყოფაში. ვერ ერთი,

ეს შეიძლება გამოვლინდეს მხარეთა თავისუფლების დარღვევაში თავის მხრივ, ეს შეიძლება გამოიხატოს პირადი თავისუფლების შეზღუდვაში. მაგალითად, როცა ვინმე თანახმაა დადოს ვარიგება, რითაც ილაზება მისი პიროვნული თავისუფლება ისე, რომ ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების თავისუფალი წევრის მდგომარეობას. ვთქვათ, მსესხებელმა სესხის გადახდის უზრუნველსაყოფად გამსესხებელს დაუთმო ხელფასის ძილების უფლება თავის სამუშაოზე და ასევე შეჰპირდა, რომ მისი თანხმობის გარეშე არ შეწყვეტს შრომით ურთიერთობას სამუშაოს მიმცემთან, არ აიღებს სხვის განსესხს, არ ისარგებლებს კრედიტით, არ იკისრებს პასუხისმგებლობას სხვის მიერ აღებული კრედიტისათვის, არ დატკირთავს თავის ქონებას ვალდებულებებით, გამსესხებლის თანხმობის გარეშე არ დათმობს დაკავებულ ბინას. ასეთი ვარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი ადამიანს ფაქტობრივად თიშავს სამოქალაქო ბრუნვიდან და თავისუფალი სუბიექტის მდგომარეობიდან აყენებს მონურ მდგომარეობაში. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) თანახმად, არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მას არ ძალუძს შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება დაქორწინების თავისუფლების შეზღუდვა. ვთქვათ, პირი მიღებულია გარკვეულ სამუშაოზე იმ პირობით, თუკი იგი არ იქორწინებს. ასეთი პირობა შეიძლება დაუდოს მანეკენს ან მსახიობს სამუშაოს მიმცემმა. ეს ვარიგება იმაჯდროულად შეიძლება ზნეობის საწინააღმდეგოდაც ჩაითვალოს. დაუშვებელია ვარიგებაში დაითქვას ისეთი პირობა, რითაც შეიზღუდება გარკვეული ეროვნების, რწმენის, სოციალური ჯგუფის პირთან ქორწინების თავისუფლება. ეს შეზღუდვები ეწინააღმდეგება კერძო სამართლის აღაარებულ პრინციპს – საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას და შეწარმეობის თავისუფლე-

ბას. მაგალითად, პირი, რომელიც ჰყიდის თავის საწარმოს, ვალდებულია კისრულობს მყიდველის წინაშე, რომ აღარ დააფუძნებს ანალოგიურ საწარმოს. ასეთი პირობა უარყოფს კონკურენციას თავისუფლებასაც.

გარიგება, რითაც უარყოფილი იქნება საკუთრებისა და ხელშეკრულების სოციალური ფუნქცია, ჩაითვლება საჯარო წესრიგის დამრღვევ გარიგებად. ამ შემთხვევაში მხედველობაშია სოციალური და ეკონომიკური საჯარო წესრიგი. მაგალითად, სესხის დროს განსაზღვრულია პროცენტის ზღვრული ოდენობა, რისი მიზანიცაა ორივე მხარის ინტერესების დაცვა სახელშეკრულებო ურთიერთობის გართულების შემთხვევაში. ამიტომაცაა, რომ თუ პროცენტი არ იქნება გონივრულ შესაბამისობაში ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან, მაშინ სესხის ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება (625-ე მუხლი). ეს შეზღუდვა მყარი და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვისათვის ხელშემწყობია და პასუხობს საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

როცა ვაშობთ ბათილია ზნეობის ნორმების ხელმყოფი გარიგება, აქ ძირითადად მხედველობაშია საზოგადოდ აღიარებული ზნეობრივა ნორმები; ამასთან, ანგარიში უნდა გაეწიოს ამა თუ იმ რეგიონში გაბატონებულ ზნეობრავე წარმოდგენებს ისევე, როგორც აუცილებელი იყო გარიგებათა განმარტების დროს. მხედველობაში არ მიიღება მარტოოდენ ნების გამოვლენის სუბიექტის დამოკიდებულება ზნეობისადმი.

ზნეობის ნორმა გარიგების ბათილობის საკითხის გარკვევისას შეფასებითა მნიშვნელობისაა. ერთ შემთხვევაში გარიგება არღვევს როგორც კანონის მოთხოვნებს. ისე ზნეობის მოთხოვნებს, მაგრამ მისი ბათილად ცნობა არ ხდება გარიგების ზნეობისადმი შეუსაბამობის გამო. მაგალითად, ძალადობით მოტყუებით დადებული გარი-

გება, ან კიდევ, კაბალური გარიგება იმაღლოულად გულისხმობს ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებასაც, მაგრამ მათი გაბათილება ხდება სპეციალური ნორმების საფუძველზე და არა ზნეობისადმი წინააღმდეგობის საფუძველზე.

საჭიროა, რომ ზნეობის ნორმის დარღვევა მოხდეს თვით გარიგებით, მისი დადების ფაქტით, ან მისი შინაარსით. უზნეო მოტივი ვერ მოახდენს გაკლენას გარიგების ნამდვილობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი სპეციალური შეთანხმების საგანს წარმოადგენს და სწორედ ამ მოტივით იღება გარიგება. მაგალითად, თუ ვინმე ყიდულობს სახლს იმ მიზნით, რომ იქ ბორდელი გახსნას, ან ამავე მიზნისათვის ხესხულობს ფულს, ეს მოქმედება თავისთავად გარიგებას ვერ გახდის უზნეო გარიგებად, თუნდაც რომ ამის შესახებ იცოდეს გამყიდველმა ან გამსესხებელმა. სხვა საქმეა, როცა სახლის გაქირავება ხდება ამავე მიზნებისათვის.

გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობას, როცა იგი ზნეობით აკრძალული მოქმედების შესრულებას ითვალისწინებს, ანდა აბრკოლებს ზნეობის შესატყვისი მოქმედებას განხორციელებას. მაგალითად, უზნეო მოქმედების შესრულების პირობა ნაჩუქრობისას, როცა გამჩუქებელი პირდება ვინმეს (ქალს) ხაჩუქარს იმ პირობით, რომ იგი მასთან დაამყარებს სქესობრივ კავშირს, ან კიდევ, იგივე საჩუქრის დაპირება იმ პირობით, რომ გარკვეულ პირზე გაავრცელებს ჭორს, რითაც შეილახება მისი პატივი და ღირსება.

მუხლი 55. გარიგების გათიღობა კალაშუვლების გორტუტად გამოყენების გამო

1. გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება

დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით).

2. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი შეუსაბამობა გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის, არამედ მხოლოდ აშკარა შეუსაბამობა. მაგრამ, არც თავისთავად აშკარა შეუსაბამობაა საკმარისი ამ ნორმის გამოსაყენებლად. მხარეთა მიერ განხორციელებული შესრულება ყოველთვის ვერ იქნება ერთმანეთს ექვივალენტური და სავსებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი დონის შეუსაბამობას. ეს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელია. გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ აშკარა შეუსაბამობა გამოწვეული იყოს სამი რიგის ფაქტორებით: ჯერ-ერთი, საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით, მეორე, მხარის მძიმე მდგომარეობით და მესამე, მისი გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით). ითხოვნილი ფაქტორი ცალკე საკმარისი საფუძველია გარიგების ბათილად ცნობისათვის.

საბაზრო ძალაუფლების ცნება პირველად შემოდის სამოქალაქო ბრუნვაში. აქ მხედველობაშია ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა. შეიძლება — მონოპოლიურიც. აქ ობიექტურად ისეთი მდგომარეობა იქმნება, როდესაც გამორიცხულია კონტრაქტის არჩევანის თავისუფლება და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე იძულებულია მხოლოდ გარკვეულ პირთან დაამყაროს ურთიერთობა. მაგალითად, შეიქმნა საწარმო, რომელიც ბაზარზე გამოდის ისეთი პროდუქციით,

რომელსაც სხვა საწარმოები არ აწარმოებენ. ბუნებრივია, გარკვეულ ხანს ამ საწარმოს ხელში იქნება საბაზრო ძალაუფლება. ასეთი მდგომარეობით არ უნდა ისარგებლოს მან და არ უნდა შესთავაზოს კონტრაქტებს ამკარად შეუსაბამო პირობები. ვიდრე ჩვენში სრულად ჩამოყალიბდებოდეს თავისუფალი კონკურენცია, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისი სამოქალაქო პრუნვა, ხშირი იქნება საბაზრო ძალაუფლების უარყოფითი გამოვლანებანი. ამ ნორმის გამოყენებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორია მეორე მხარის ეკონომიკური მდგომარეობა. მართოდენ ამკარა შეუსაბამობის ფაქტი საკმარისი საბუთია ვარიგების ბათილად ცნობისათვის.

მხარის მძიმე მდგომარეობის გამოყენების საფუძველზე ვარიგების ბათილად ცნობას საბჭოთა სამართალიც აღიარებდა. თუ რა იგულისხმება მძიმე მდგომარეობის ქვეშ, ეს სასამართლო პრაქტიკის საქმეა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. მძიმე მდგომარეობა ყველა ვითარებაში შეფასებითი ცნებაა. ასეთი შეიძლება იყოს მძიმე ავადმყოფობა. ეკონომიკური ხელშოკლეობა და ა.შ. იმისათვის, რომ პირმა თავი დააღწიოს შიშშილს ან ავადმყოფობას, იძულებულია პურში ან მედიკამენტებში გადაუხადოს მეორე მხარეს უზომოდ დიდი თანხა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირი იძულებულია დადებითად გამოეხმაუროს იმ პირების წინადადებებს, რომლებიც პირდებნიან მას გარკვეული საგნების შესყიდვას ფაქტობრივად უაღრესად კაბალური პირობებით, თვით პირის მძიმე მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სუბიექტურა, თუ ობიექტური გარემოებებით, როგორცაა საზოგადოების ეკონომიკური სიღუბნეობა, ომი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ეპიდემია და ა.შ., ასე მაგალითად, ომანობისას საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მრავლად იცნობდა მსგავსი ვარიგების შემთხვევებს. ბოლოდროინდელ ქართულ ყოფაშიაც არცთუ იშვიათად დაფიქსირებულა მოცემული ვარიგების შემთხვევები, თუმცა მისი შეცდობა არავის უცდია.

აღნიშნული საფუძვლით გარიგების ბათილად ცნობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ იმ პირის მოქმედების ხასიათიც, რომელიც სარგებლობს სხვისი მძიმე მდგომარეობით. ასე მაგალითად, იცის რა წამლებით მოვაჭრემ, რომ კლიენტს რაღაც არ უნდა დაუჯდეს, მაინც იყიდის მისგან აუადმყოფის სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტებს, თავაზობს აშკარად შეუსაბამო ფასებს.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში გარიგების ბათილად ცნობისათვის საჭიროა: ჯერ ერთი, გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა და მეორეც, უკიდურესი საჭიროების გავლენით შისი დადება.

მხარის გამოუცდელობის (გულუბრყვილობის) ნიადაგზე გარიგების ბათილად ცნობისათვის საჭიროა დადგინდეს გამოცდილების რა მასშტაბი მოეთხოვება ნების გამოვლენის კონკრეტულ სუბიექტს. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მხარეთა მიერ დადებული გარიგების ხასიათი და ასევე უნდა გამოარკვიოს „დაზარალებული“ მხარის პიროვნული შესაძლებლობანი. შეიძლება სულაც არ იყოს პირის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ გამოუცდელობის გამო მან ჩალის ფასად გაყიდოს ძვირად ღირებული საგნები. ბოლოდროინდელი არასტაბილური სამოქალაქო ბრუნვა აშკარად ადასტურებს მსგავს შემთხვევებს. ასე მაგალითად, ერთ-ერთმა მოქალაქემ იმის გამო, რომ არ იცოდა საცხოვრებელი სახლის ბაზარზე არსებული ფასები, გამოუცდელობის ნიადაგზე 5000 ლარად ღირებული სახლი გაყიდა 500 ლარად. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა. თუ სადამდე შეიძლება გავრცელდეს აშკარა შეუსაბამობის ფარგლები, ეს სასამართლომ უნდა განსაზღვროს. სამოქალაქო ბრუნვა მხარეთაგან მითითებს კეთილსინდისიერებას და არ იძლევა იმის უფლებას,

რომ ბოროტად ვისარგებლოთ კონტრაქტის გულუბრყვილობით. კანონი მხოლოდ ზღვარს გადასვლას კრძალავს, თორემ გარიგების მონაწილეს ყოველთვის როდი მოეთხოვება საქმის ყოველგვარი ვითარება აუხსნას თავის კონტრაქტს (81-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მათ შორის ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. თავისთავად გავლენა შეიძლება სავსებით ბუნებრივი იყოს, მაგრამ მხარეთა შორის ურთიერთობისათვის აღმოჩნდეს იგი მიუღებელი. ნდობის ბოროტად გამოყენებით არაკეთილსინდისიერი მხარე სარგებელს ღებულობს გარიგებიდან. ნდობაზე დაფუძნებული ყოველგვარი ურთიერთობა როდი იძლევა გავლენის ბოროტად გამოყენების ვარაუდს. 55-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს მიეკუთვნება ურთიერთობანი მშობლებსა და შვილებს შორის, ექიმსა და პაციენტს შორის, ადვოკატსა და კლიენტს შორის, საკუთრების მიმნდობსა და მიმნდობილ მესაკუთრეს შორის, სულიერ მოძღვარსა და ნებისმიერ პირს შორის და ა. შ. ამ ურთიერთობათა ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია. იმისათვის, რომ გაირკვეს, აქვს თუ არა მას ადგილი, საჭიროა გაირკვეს ყველა გარემოება. უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: უნივერსიტეტის სტუდენტმა საუნივერსიტეტო ვალის დასაფარავად რჩევისათვის მიმართა მოპასუხეს. მათ შორის საუბრის დროს სტუდენტმა გამოთქვა სურვილი გაეყიდა თავისი ქონების ნაწილი, რომლის შვიდი ათას ფუნტ სტერლინგად ყიდვის სურვილი გამოთქვა მოპასუხემ. ნასყიდობის დასრულებამდე, მოპასუხემ მიიღო ქონების შემფასებლის დასკვნა, რითაც აღნიშნული ქონება შეფასებული იყო ოცი ათას ფუნტ სტერლინგად. მოპასუხეს ეს არ გაუმხელია სტუდენტისათვის და ნასყიდობაც საბოლოოდ შედგა. სასამართლომ შემდგომ ეს გარიგება ბათილად ჩათვალა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე,

იძლეოდა რა რჩევებს, ნდობის ურთიერთობაში იმყოფებოდა სტუ-
დენტთან და ის არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ქონების მყიდვე-
ლი, თუკი სრულად არ მიაწოდებდა ინფორმაციას ქონების ღირე-
ბულების შესახებ, რაც მისთვის გახდა ცნობილი.

მუხლი 56. მოჩვენებითი და მხალმთაქმური გარიგებანი

1. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩ-
ვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული
შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

2. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ
სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების
მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

1. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მხ-
ოლოდ მოსაჩვენებლად დადებული არც ერთ შემთხვევაში არ
სურთ მხარეებს იმ შედეგის დაღვომა, რაც პირდაპირ ამ გარიგება-
თა დანიშნულებიდან გამომდინარეობს. ფაქტობრივად ორივე შემთხ-
ვევაში მხარეები მიმართავენ სიმულაციას. მათ შორის განსხვავება
ამ სიმულაციის ძეოდეგშია.

მოჩვენებითი გარიგება, რომელიც დადებულია „იმ განზრახვის
გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს“. მხ-
არეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწი-
ნააღმდეგო მიზნების მისაღწევად და დასაფარავად გამოიყენება. იმ
მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაექცეს, მოვალე
ვითომ ყიდის ან ვინმეს ჩუქნის ქონებას, ან კიდევ, ამავე მიზნების
მისაღწევად პირი საჯაროდ ჰპირდება ჯილდოს იმათ, ვინც იპოვის
მის მიერ ვითომდაც დაკარგულ ნივთს. სინამდვილეში აქ არავითარი
ჩუქება ან ნასყიდობა, ანდა ჯილდოს საჯაროდ შეპირება არა არის.

მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისვას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი. ასე მაგალითად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მხარემ, რომელსაც ვითომდაც აჩუქეს ან მიჰყოიღეს ქონება, მესამე პირზე გაასხვისოს ეს ქონება. ამ მოქმედების შედეგი იქნება ის, რომ კეთილსინდისიერი მესამე პირი მასზე მოიპოვებს საკუთრების უფლებას.

ამრიგად, მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი. შეიძლება ეს იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა.

2. თვალთმაქცური გარიგებისას, მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენა სხვა გარიგების სამოსელშია გახვეული. ამიტომაცაა, რომ გარიგება, რომლითაც სხვა გარიგება იფარება, თვალთმაქცური გარიგებაა. ასე მაგალითად, მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ ერთი მეორეს აჩუქებს საცხოვრებელ სახლს, თუკი დასაჩუქრებული იკისრებს ვალდებულებას სამისდღეშიოდ არჩინოს გააჩუქებელი მხარეებმა იციან რა ამგვარი შეთანხმების ბათილობა, მის დასაფარავად იყენებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ იყო ცნობილი საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თვალთმაქცური გარიგებანი, როცა სინამდვილეში ხდებოდა მიწის ნასყიდობა, რაც დაუშვებელი იყო სამოქალაქო კანონმდებლობით.

თუ მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი წყდება მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებით, თვალთმაქცური გარიგებისას, გარიგების ბათილობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რადგანაც ამ დროს გამოიყენება მის „მიმართ მოქმედი წესები“. დაფარული გარიგება შეიძლება იყოს ბათილი და შეიძლება არც იყოს ასეთი. უმრავლეს შემთხვევაში იგი ბათილია და სწორედ ამიტომ დებენ მხარეები თვალთმაქცურ გარიგებას. შეიძლება მხა-

რეები ვერ ერკვევიან საქმის ნამდვილ ვითარებაში და სხვა გარიგებით სიმულაციას იმიტომ მიმართავენ, რომ ბათილი ჰგონიათ დაფარული გარიგება, რომელიც სულაც არაა ასეთი. ასე მაგალითად, მხარეებს ჰგონიათ, რომ დაუშვებელია მიწის ნასყიდობა და ამ მიზნის მისაღწევად დებენ სახლის ნასყიდობის გარიგებას. ამისდა მიხედვით, თვალთმაქცური გარიგების ბათილობის შედეგები შეიძლება იყოს შემდეგი: ა) რა სახისაც არ უნდა იყოს დაფარული გარიგება – ნამდვილი თუ ბათილი, თვალთმაქცური გარიგება მაინც ბათილად ჩაითვლება; ბ) თუ დაფარული გარიგება ნამდვილი აღმოჩნდება, მაშინ იგი დაიკავებს თვალთმაქცური გარიგების ადგილს.

მუხლი 57. პარიზის ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო

1. ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა.

2. ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ.

1. არასერიოზული ნების გამოვლენა (ხუმრობა) ბათილია, თუკი შეიძლებოდა გამოცნობილიყო მისი არასერიოზულობა. შესაძლებელია არსებობდეს ბოროტი და კეთილსინდისიერი ხუმრობა. ხუმრობა ბოროტია, როცა იგი გამიზნულია კონტრაქტისათვის ზიანის მისაყენებლად და იმ წარმოდგენის შესაქმნელად, აქაოდა სერიოზული ნების გამოვლენას აქვს ადგილი. ასეთი ხუმრობით შეიძლება მოტყუდეს სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივი მონაწილე. კეთილს-

ინდისიერ ხუმრობაში თავიდანვეა ჩადებული იმის შესაძლებლობა, რომ იგი აღრესატიხათვის გამოსაცნობი იქნებოდა. ხუმარა ამის შესაძლებლობას რომ არ უშვებდეს, არც იხუმრებდა.

ბოროტი ხუმრობა არ იწვევს გარიგების ბათილობას. სამაგიეროდ კეთილსინდისიერი ხუმრობაა ბათილი.

2. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც ხუმრობის აღრესატმა განიცადა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას და არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ. აქ სწორედ ის ვითარება გვაქვს, როცა ხუმრობა კეთილსინდისიერია, მაგრამ მხარე ვერ აცნობიერებს მის არასერიოზულობას.

როგორც ბოროტი, ისე კეთილსინდისიერი ხუმარა გარკვეული რისკის მატარებელია. პირველის რისკი გამოიხატება იმაში, რომ ხუმრობის საფუძველზე გარიგება არ გაბათილდება და ხუმარა იქნება ყველა იმ ტვირთის მატარებელი, რაც გარიგების ნამდვილობას მოჰყვება კონტრაქტის წინაშე შესასრულებელი ვალდებულების სახით; კეთილსინდისიერი ხუმრობის რისკი მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოვალეობაა.

თუ რამდენად არასერიოზულია ნების გამოვლენა, რამდენად შესაძლებელია მისი გაცნობიერება ამ საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ კარგად უნდა გამოარკვიოს ხუმრობით დადებული გარიგების ხასიათი, კონტრაქტის პიროვნება, კონკრეტული გარემოებანი, რა ვითარებაშიაც დაიდო გარიგება და სხვა ყურადსაღები ფაქტორები, რაც გავლენას ახდენენ ნების გამოვლენაზე.

*მუხლი 58. გარიგების გამოღობა ქმედუნარიანობის ან ფსიქო-
კური მოუღიღობის გამო*

1. ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა.

2. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს.

3. ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული.

1. მცირეწლოვნებად ითვებიან შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანები. ისინი მოკლებულნი არიან ქმედუნარიანობას. მათ უფლებებს ახორციელებენ კანონიერი წარმომადგენლები (მე-12 მუხლის მე-4-5 ნაწილები). აქ სახეზეა აბსოლუტური არაქმედუნარიანობა, რაც საერთოდ გამორიცხავს დამოუკიდებლად ნების გამოვლენას. ის შემთხვევაც იშვიათი გამონაკლისი იქნება, როცა კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით მოხდება ნების გამოვლენა. ვთქვათ, ექვსი წლის პირს მშობელმა დართო ნება სახლის გვერდით არსებულ ჯიხურში ეყიდა სალევჯი რეზინა, სათამაშო ან სხვა წვრილმანი რამ. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ხშირია ასეთი შემთხვევები, ეს მაინც არ ჩაითვლება ნების გამოვლენის იმ მდგომარეობად, რომ მცირეწლოვანი შეიძლება ვადიაროთ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად. აქ გვაქვს ერთგვარი გარდამავალი მდგომარეობა არაქმედუნარიანობიდან ქმედუნარიანობამდე. ის, რომ ქმედუნარიანობის წარმოშობის ასაკად მიღებულია შვიდი წელი, ეს ფაქტი მართალია სინამდვილეს ემყარება, მაგრამ იმავდროულად გარკვეულწილად შემცველია უარყოფითი სამართლებრივი ფიქციის ელემენტებისაც. ამიტომაც, საერთო მდგომარეობიდან ცალკეული

გადახრები ვერ ცვლიან იმ ღებულებას, რომ ბათილია მცირეწლოვანის ნების გამოვლენა.

ბათილია ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. აქ ის ვითარება გვაქვს, როცა ქმედუუნარიანი პირი ნების გამოვლენის ცალკეულ ხელშეშლელ გარემოებათა გამო სასამართლოს მიერ შეიძლება აღიარებულ იქნას ქმედუუნაროდ. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ბათილად ჩაითვალოს იმ პირის ნების გამოვლენაც, რომელიც ფაქტობრივად ქმედუუნაროა, მაგრამ სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არაა ასეთად აღიარებული. ქმედუუნარობის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ჭკუასუსტობა ან სულით ავადმყოფობა (მე-12 მუხლის მე-5 ნაწილი).

ქმედუუნაროდ აღიარებას იწვევს ფსიქიკური მდგომარეობის ავადმყოფური მოშლილობა, კერძოდ, ჭკუასუსტობა, ან სულით ავადმყოფობა. ჭკუასუსტობისა თუ სულით ავადმყოფობის შეფასებისას უნდა გაირკვეს, თუ როგორია ავადმყოფობის ხარისხი და ის, თუ რა საერთო გონებრივი შესაძლებლობანი დარჩა ავადმყოფს. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არის კი ავადმყოფობის ის ხარისხი, რაც საკმარისი საფუძველი იქნება როგორც ავადმყოფის, ისე სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, პირის ქმედუუნაროდ აღიარებისათვის და მისი მცირეწლოვანიან გატოლებისათვის. თავისთავად, ავადმყოფის „საზოგადოდ საშიში“ ბუნება არაა საკმარისი საფუძველი მისი ქმედუუნაროდ აღიარებისათვის. საჭიროა ასევე პირის უუნარობა გაუძღვეს თავის საქმებს. შეიძლება ზოგიერთი საქმის გაძღოლა ხელეწიფებოდეს, მაგრამ მაინც ქმედუუნაროდ ჩაითვალოს იგი.

ფიზიკური ხასიათის ნაკლოვანებანი (მაგალითად, სიყრუე, სიმუნჯე, რომლებიც, ხელს უშლიან პირს ნების გამოვლენის პროცესში) ვერ იქნება საფუძველი მისი ქმედუუნაროდ აღიარებისათვის.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის საფუძველზე ქმედუ-
უნაროდ შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც სრულწლოვანი პირი,
ისე არასრულწლოვანი შეიძლება თვრამეტ წლამდე.

2. ცნობიერების დაკარგვა ან დროებითი ფსიქიკური მოშლი-
ლობა, მართალია, არ იწვევს პირის ქმედუუნარობას, მაგრამ საკ-
მარისი საფუძველი კია ამ მდგომარეობაში ნების გამოვლენის
ბათილობისათვის. აქ სახეზეა სულიერი მდგომარეობის დროებითი
მოშლილობა, რაც დროებით გამორიცხავს ნების თავისუფლად
გამოვლენას. თვით ფაქტორები, რაშაც შეიძლება გამოიწვიოს ასე-
თი მდგომარეობა, შეიძლება იყოს ძლიერი ნერვიულობა, ფიზი-
კური ტრავმა, ძლიერი სიმთვრალე და ა.შ., ამ საფუძველით ხშირ-
ია საანდერძო განკარგულებათა ბათილობა (1403-ე მუხლის მე-3
ნაწილი).

3. სულით ავადმყოფის მიერ დადებული გარიგება არა მხოლოდ
მაშინაა ბათილი, როცა იგი სასამართლოს მიერაა ცნობილი ქმედუ-
უნაროდ, არამედ მაშინაც, როცა იგი ასეთად არაა აღიარებული,
მაგრამ მისი ნების გამოვლენა არ შეესაბამება რეალური ვითარების
სწორად აღქმას. მის მიერ დადებული გარიგება ნამდვილად ჩაითუ-
ლება, თუკი პირის ავადმყოფობას არ მოუხდენია ზემოქმედება ნებ-
ის გამოვლენაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ეს ხდება „ნათელ
შუალედებში“.

მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

1. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული
აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნე-
ბართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭი-
როა ნებართვა.

2. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ-

კი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ.

3. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.

1. მოცემული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების ბათილობას იწვევს როგორც მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა, ისე რთული წერილობითი ფორმის დაუცველობა.

მოცემული ნორმა იმპერატიულია და გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. თუმცა, როგორც გამონაკლისი, შეიძლება ფორმის დაუცველობამ არცკი გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. ეს მაშინაა, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. კოდექსის 560-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს და ისე შეწყვიტეს ხელშეკრულება, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, ვინაიდან ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ფორმის ხარვეზი. ფაქტობრივი შესრულებით ფორმის ხარვეზის გამოსწორება გამონაკლისი შემთხვევაა და გამოიყენება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მაშინ, როცა ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე იგი საფრთხეს არ შეუქმნის სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს.

ამ მუხლის პირველი პუნქტით ბათილად ცხადდება მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგებაც. თუმცა, ამ შეთანხმების დაუცველობას შეიძლება ყოველთვის არ მოჰყვეს გარიგების ბათილობა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით შეარჩიეს მხარეებმა გარიგების ეს ფორმა: გარიგების ნამდვილობის წინაპირობად, თუ გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად ან მათ მტკიცებულებად. ამ უკა-

ნასკნელი საფუძვლით ფორმის შეთანხმება პრაქტიკაში ხშირია, ასე მაგალითად, ფულის სესხება ზეპირადაც შეიძლება, მაგრამ მხარეები თანხმდებიან, რომ მას სანოტარო წესით დაამოწმებენ. ამ წესის დაუცველობას შეიძლება მოჰყვეს გარიგების ბათილობა. სხვა საქმეა, ვთქვათ, მომსახურეობის ხელშეკრულება, რომელსაც მხარეები წერილობით აფორმებენ და იქვე პირობას თქვამენ, რომ ხელშეკრულების ყოველი შეცვლა მაშინ იქნება ნამდვილი, თუკი ეს წერილობით იქნება შეთანხმებული. ამ შემთხვევაში ფორმის დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.

მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა ზოგჯერ იწვევს გარიგების ბათილობას, ზოგჯერ კი – არა. ასე მაგალითად, ანდერძისათვის წერილობითი ფორმა, აუცილებელი ფორმაა, ეს იქნება სანოტარო ფორმით, თუ მის გარეშე (1357-ე მუხლის პირველი ნაწილი). ზეპირი ანდერძი ყველა შემთხვევაში ბათილია, ან კიდევ, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ აუცილებლად წერილობით ფორმას მოითხოვს (418-ე მუხლის მე-2 ნაწილი); ხშირ შემთხვევებში მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილობას, თუმცა დავის შემთხვევაში მხარეებს აყენებს მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკის წინაშე. მოთხოვნის დასასაბუთებლად მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სხვადასხვა მტკიცებულებებს, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებს, თუმცა, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებითი მტკიცებულება და არა ერთადერთი. ასე მაგალითად, სესხის დროს ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით (624-ე მუხლი); მოწმის ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაძლებლად ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად. მაგალითად, შეძნახველ საკანში ან გარდერობში ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად, საგანგებო ვითარებაში შესაძლებლად

ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად და ა.შ. შეიძლება გამოყენებულ იქნას წერილობითი მტკიცებულობანი, როგორცაა, დოკუმენტები, წერილები, ტელეგრამა, ტელექსი და ა.შ., რომლებიც შეიცავენ ცნობებს გარიგების შესახებ. ასე მაგალითად, ნასყიდობის ფაქტი შეიძლება დამტკიცდეს სალაროს მიერ გაცემული საქონლის ქვითარის ან საქონლის პასპორტის წარდგენით, რომელშიც აღბეჭდილია მალაზიის შტამპი, შესყიდვის დრო და გამყიდველის ხელის მოწერა და ა.შ. სანივთო მტკიცებულებებად გამოდგება საგნები, რომლებიც თავიანთი ნიშნებით, თვისებებით, ხარისხით, არსებობის ფაქტით ან აღვილმდებარეობით შეიძლება გამოდგეს იმ გარემოებათა დასადგენად, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მაგალითად, თუკი ქონება გარიგების საფუძველზე უკვე გადაცემულია, ეს შეიძლება გამოდგეს მისი დაღების ფაქტის მტკიცებულებად; სასამართლომ ყველა მტკიცებულება უნდა შეაგროვოს და განაზოგადოს იმის საჩვენებლად ნამდვილად ჰქონდა თუ არა აღვილი გარიგებას.

რთული წერილობითი ფორმა როცა კანონითაა გათვალისწინებული, ივარაუდება, რომ იგი აუცილებელი ფორმაა და შესაბამისად, მისი დაუცველობა ყოველთვის გამოიწვევს გარიგების ბათილობას.

ბათილია ნებართვის გარეშე დაღებული გარიგებანი. ეს გამონაკლისი შემთხვევებია საერთო წესებიდან. ასე, მაგალითად, ბათილად ჩაითვლება ლიცენზიის გარეშე დაღებული ცალკეული გარიგებანი. ლიცენზია უფლებას აძლევს პირს აწარმოოს ესა თუ ის საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე. ნებართვაში სწორედ რომ შესაძვე პირის ნებართვა იგულისხმება, რაც დამოუკიდებელი ნების გამოვლენაა.

2. საცილო გარიგება მანამ არ იქნება ბათილი, ვიდრე სასამართლო არ ცნობს მას ბათილად. თუ ანულირების ფაქტამდე იგი ნამდვილად ითვლება, ანულირების შემდეგ კი, ბათილად ჩაითვლება

მისი დადების მომენტიდან. სასამართლო გადაწყვეტილებამდე საცილო გარიგების ნამდვილობა განპირობებულია იმ საფუძველთა თავისებურებებით, რის გამოც ხდება მისი ბათილობა. ნების გამოვლენის ფაქტში ბათილობის საფუძველი ობიექტურად შეუმჩნეველია. ვთქვათ, მოტყუებით დაიდო გარიგება. მოტყუების ფაქტი ობიექტურად არ ვლინდება, ფორმის დაუცველობა კი ობიექტურ, გარეგნულ გამოხატულებას ჰპოულობს. ამ უკანასკნელის არსებობის მტკიცება თვით ამ ფაქტშია. ამიტომაც, რომ ვიდრე არ დამტკიცებულა მოტყუების, ცდომილების მდგომარეობა, მანამდე ვერ ვიტყვით, რომ გარიგება ბათილია. სასამართლო აქ ბათილობის დადასტურება-კონსტატაციას კი არ ახდენს, არამედ ადგენს მას.

საცილო გარიგებისას ირღვევა გარიგების ნამდვილობის ის პირობები, რომლებიც დადგენილია მხარეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

საცილო გარიგება ბათილად რომ ჩაითვალოს, საჭიროა შეცილება მოხდეს მეორე მხარის წინაშე.

3. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ასეთ პირებად ყველა „ცნობისმოყვარე“ კი არ ჩაითვლება, არამედ გარიგებას მონაწილეები და ის შესამე პირები, რომელთა ინტერესებიც შეიძლება შეილახოს ამ გარიგებით.

მუსლი ნი. გარიგების კონვერსია

თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

გარიგების კონვერსია გულისხმობს ბათილი გარიგების ჩვეულებ-

ისაგან განსხვავებით, სხვაგვარ განმარტებას. არსებითად ესაა ბათილი გარიგების „ნამდვილ გარიგებად განმარტება“.

კონვერსიის დროს სახეზეა მხარეთა მიერ თავდაპირველად შეთანხმებული გარიგება და შემდგომ შეთანხმებული გარიგება. ბათილია სწორედ თავდაპირველი გარიგება. ამიტომაც, თუ გარიგების მხოლოდ ერთი ნაწილია ბათილი, მაშინ ეს მუხლი მხედველობაში არ მიიღება.

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ჯერ კიდევ შეთანხმების დადების პროცესში მყოფი გარიგების მიმართ. ბათილი გარიგების სპეციალური განმარტება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც იგი მოიცავს სხვა ნამდვილ გარიგებას და როცა ამ უკანასკნელის სამართლებრივი შედეგები ბათილი გარიგების უკან რჩება.

სხვა გარიგება მხოლოდ მაშინაა ძალის მქონე, თუკი თავდაპირველი გარიგების ბათილობის შეტყობისას, მხარეები მოისურვებენ მის ნამდვილობას. ამიტომაც, სასამართლომ კარგად უნდა დაადგინოს და შეაფასოს მხარეთა ინტერესები გარიგების დადების მომენტში და გაარკვიოს, ისურვებდნენ თუ არა ისინი სხვა გარიგებას, რომ სცოდნოდათ თავდაპირველი გარიგების ბათილობა.

მუხლი 61. ადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას

1. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.

2. თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.

3. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.

4. თუ უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საეჭვოობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

5. დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

1. უცილოდ ბათილად, სხვანაირად არარად ითვლება ყოველგვარი გარიგება, რომელიც არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის. არარა ვარიგება მაშინაა სახეზე, როცა მისი იურიდიული შედეგუუნარობა გამოძინარეობს ამა თუ იმ ზუსტად განსაზღვრული საფუძვლებიდან, როგორცაა ქმედუუნარობა, ფორმის დაუცველობა, უზნეობა და ა.შ.

არარა გარიგება მისი დადების მომენტიდანვეა ბათილი და ამდენად მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ. არარა გარიგების შემთხვევაში ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს.

მოუხედავად იმისა რომ არარა გარიგება, მხარეთა მიერ გამიზნულ შედეგებს არ იწვევს, ის არ შეიძლება განვიხილოთ ე.წ. „ნულად“, „განუხორციელებელ მოქმედებად“. მართალია, გარიგება არარაა, მაგრამ იგი რეალურად განხორციელებული მოქმედებაა, რაც გარკვეულ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ანდა გარიგებით მიღებულის უკან დაბრუნება.

2. დადასტურებით არარა გარიგება არ შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად. დადასტურების ფაქტი სინამდვილეში განიხილება

როგორც გარიგების ხელახლა დადება. დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია. ვთქვათ, მხარეებმა მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება სანოტარო წესით არ დაამოწმეს და არც საჯარო რეესტრში გაატარეს. ასეთი გარიგება თავიდანვე ბათილი იქნება. მაგრამ თუ მხარეები თანახმანი აღიან ძალაში დატოვონ თავიანთი ნების გამოვლენა (დადონ ხელშეკრულება) და დასტურებენ მას, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ეს ხელშეკრულება უნდა დაამოწმონ სანოტარო წესით და გაატარონ რეგისტრაციაში. ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ, გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თავდაპირველი გარიგების დადების მომენტიდან, არამედ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ ფორმაში მისი მოქცევის დროიდან. ეს ფაქტი განიხილება, როგორც გარიგების ხელშეორედ დადება.

3. შეიძლება დადასტურდეს საცილო გარიგებაც. თუ არარა გარიგების შემთხვევაში დადასტურება გარიგების ხელშეორედ დადებას უდრიდა, აქ შეცვლებაზე უფლების მქონე პირი ნამდვილად მიიჩნევს იმ გარიგებას, რომელსაც გააჩნია ბათილობის საფუძველი. დადასტურება ხდება ცალმხრივი ნების გამოვლენით, კერძოდ, იმის გაცხადებით რომ უფლებამოსილ პირს სურს საცილო გარიგების ძალაში დატოვება და უარს ამბობს მისი შეცვლების უფლებაზე. ეს განცხადება ნამდვილი რომ იყოს, საჭიროა უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი იყოს შეცვლების საფუძველი, რადგანაც დადასტურებით არ იდება ახალი გარიგება, არც იმ ფორმის დაცვაა აუცილებელი, რაც თვით გარიგებისათვისაა განსაზღვრული. დაშვებულია დადასტურება დუმილის გზითაც. ასე მაგალითად, პირმა იცის რა გარიგების საცილობლობის თაობაზე, არაფერს ამბობს მის შესახებ და კიდევ ასრულებს გარიგებით გათვალისწინებულ მოქმედებებს. თუმცა, კარგად გასარკვევია პირის დუმილის მიზეზები, იგი შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს დადასტურებას. თუ მოტყუებისას დუმილი

დადასტურების მაუწყებელია, იძულებისას – ძნელია ამისი თქმა.

დადასტურება ყოველთვის არ ნიშნავს ზიანის ანაზღაურების უფლებაზე ხელის აღებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეცილების საფუძვლებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს ანაზღაურდება, თუ არა გარიგების საცილობლობით გამოწვეული ზიანი.

4. დადასტურება მართალია არ აქცევს ბათილ გარიგებას ნამდვილად, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი უფლება-მოვალეობანი მისი დადების მომენტს დაუკავშირონ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გარიგების ნამდვილობის მომენტი აქედან არ აითვლება, აქ იმისი ვარაუდია, გარიგება თითქოს თავიდანვე ნამდვილი ყოფილიყოს. ასეთ შეთანხმებას მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობაში აქვს სავალდებულო ძალა. თუკი მხარეები, რომლებიც ადასტურებენ გარიგებას, ამაზე არ შეთანხმებულან და საეჭვოა ურთიერთობა, მაშინ კოდექსი ავალდებულებს „ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო“. აქაც თავიდანვე ნამდვილობის ვარაუდია. თუ ერთ შემთხვევაში მხარეთა ნებაზეა მისი არსებობა დამოკიდებული, ამ შემთხვევაში – მათი ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა ეს ვალდებულება. ასე, მაგალითად, ა-მ 10 იანვარს მიჰყიდა ბ-ს საკუთარი ბინა. ხელშეკრულება ჩაითვალია ბათილად ფორმის დაუცველობის საფუძველზე. მხარეებმა იგი დაადასტურეს სავალდებულო ფორმის მიცემით მხოლოდ 10 თვის შემდეგ. ამ ხნის მანძილზე ბინის დამქირავებელი გქირას უხდიდა ბ-ს, რომელიც ბინის მესაკუთრედ შეიქმნა მხოლოდ გარიგების დადასტურების შემდეგ. ისარგებლა რა ამ მდგომარეობით, ა-მ მოსთხოვა გ-ს ბ-სათვის გადახდილი მთელი ქირის მისთვის გადაცემა, როგორც მესაკუთრისათვის. აქ სწორედაც რომ საეჭვო მდგომარეობაა სახეზე და ამიტომაც კანონის მე-4 პუნქტის საფუძველზე მხარეთა მიერ დადასტურებული ნასყიდობა უნდა განვიხ-

ილთ ისეთ ურთიერთობად, თითქოს იგი თავიდანვე ნამდვილი ყოფილიყო. ამ წესის ძალით, ა-ს ესპობა გზა გ-ს მოსთხოვოს 10 თვის ბინის ქირა, ვინაიდან იგი ერგება ბ-ს.

5. გარიგების დადასტურება ყველა შემთხვევაში როდია ნამდვილი. ყველაფერი დამოკიდებულია თავად ბათილობის საფუძველზე. თუ ასეთი საფუძველი ფორმის ნაკლია, დადასტურებით შეიძლება მისი გამოსწორება. მაგრამ თუ აქ ფორმა კი არაა ნაკლოვანი, არამედ გარიგების შინაარსი, გარიგება კანონსაწინააღმდეგო ან ზნეობის საწინააღმდეგოა, მაშინ დადასტურებას კვლავ მისი ბათილობა მოჰყვება შედეგად. დადასტურებას იქა აქვს ადგილი, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ურთიერთობის შენარჩუნება. აქ კი, ბათილი გარიგების ნიადაგზე ახალი გარიგების დადების მცდელობა გამორიცხებულია. ამიტომაცაა, რომ კოდექსის ძალით, დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგს.

მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა

გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

გარიგების ნაწილის ბათილობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მთლიანი გარიგების ბათილობა, ანდა მხოლოდ მისი ამ ნაწილის ბათილობა. საეჭვოობისას ბათილად ჩაითვლება მთელი გარიგება. კანონისმიერი წესია, რომ გარიგების ნაწილის ბათილობა იწვევს მთლიანი გარიგების ბათილობას. აქედან გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ის შემთხვევა, როცა გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას. თუ რა შედეგებს გამოი-

წვევს გარიგების ნაწილის ბათილობა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კავშირი არსებობს გარიგების ამ ნაწილსა და მის სხვა ნაწილებს შორის. თუ დადგინდება, რომ გარიგების ბათილი ნაწილის გარეშე შეუძლებელია მისი სხვა ნაწილების არსებობა, მაშინ მთლიანი გარიგება ჩაითვლება ბათილად. ხოლო თუ დადგინდება, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც, მაშინ გარიგების სხვა ნაწილების ბათილობა გამორიცხულია. ასე მაგალითად, როცა მომავალი პარტნიორები შპს-ის წესდებას ადგენენ და მას ხელს აწერენ, ამით ისინი ღებენ გარიგებას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ერთ-ერთ ნაწილად ითვლება ის ნაწილი, რომელშიც განსაზღვრულია საწესდებო კაპიტალის ოდენობა. თუკი პარტნიორები წესდებაში ჩაწერენ, რომ შპს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 500 ლარს, ეს იქნება გარიგების ისეთი ბათილი ნაწილი, რომელიც მთლიანი გარიგების ბათილობას გამოიწვევს. საქმე იმაშია, რომ შპს-ს არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე ნაკლები საწესდებო კაპიტალი, რაც კანონითაა დადგენილი. სხვაგვარად გადაწყდებოდა მთლიანი გარიგების ბედ-იღბალი, თუ წესდებაში ჩაიწერებოდა, რომ პარტნიორს არა აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება. გარიგების ნაწილის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანი გარიგების ბათილობას. ვინაიდანაც კანონის ძალით, პარტნიორს აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება, გარიგების მხოლოდ ეს ნაწილი ჩაითვლება ბათილად, თუმცა ის ვერ მოახდენს გავლენას მთლიანი გარიგების ბათილობაზე. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ძალის მქონე იქნება არა წესდებით განსაზღვრული წესი, არამედ კანონით განსაზღვრული. ხოლო, როცა საწესდებო კაპიტალი არაა შეტანილი იმ ოდენობით, რაც შპს-ს დაფუძნებისათვისაა საჭირო, ივარაუდება, რომ შპს არ შექმნილა და მთელი გარიგებაა ბათილი მისი ყველა, თუნდაც, ნამდვილი ნაწილების ჩათვლით.

გარიგების ნაწილის ბათილობის ობიექტური შედეგები კანონის

ნორმატიული ნების გამოვლენით წყდება და არა მხარეთა გადაწყვეტილებით. მხარეებს შეუძლიათ თავიანთი გადაწყვეტილებით ან გამოასწორონ ნების გამოვლენის ნაკლი, ანდა დაემორჩილონ კანონის ნებას. ზემოთმოტანილ შემთხვევებში მათ შეუძლიათ, ან შეცვალონ გარიგების ბათილი ნაწილი და მთლიანი გარიგება დატოვონ ძალაში, ანდა უარი თქვან მთლიან გარიგებაზე.

თავი მეორე

ქმედუნარიანობა, როგორც ბარიზმის ნამდვილობის კირობა

მუხლი ნვ. არასრულწლოვანის მიერ დაღმბული ბარიზმობა

1. თუ არასრულწლოვანი ღებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს.

2. თუ არასრულწლოვანი ქმედუნარიანი გახდება, მაშინ იგი თვითონ წყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ.

1. არასრულწლოვანი შვიდიდან თერამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა (მე-14 მუხლის პირველი ნაწილი) მისი ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გარიგებით იღებს სარგებელს (მე-15 მუხლი). ასევე დამოუკიდებლად შეიძლება დადოს არასრულწლოვანმა გარიგებანი 15-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი წინასწარი თანხმობის (ნებართვის) გარეშე არასრულწლოვანის მიერ დაღმბული გარიგება მერყევად ბათილია. ვინაიდან არსებობს იმისი შესაძლებლობა, რომ შეიძლება ეს გარიგება მოიწონოს კანონიერმა წარმომადგენელმა. თუ ეს მოხდება, არასრულწლოვანის ნების გამოვლენაც ნამდვილად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში გამოიყენება 101-ე მუხლის წესები. ამასთან, თუკი გარიგებით არასრულწლოვანი ღებულობს სარგებელს,

მისი ნების გამოვლენა მაინც ნამდვილი იქნება. კანონიერი წარმო-
მადგენელის თანხმობით არასრულწლოვანის ქმედუნარიანობა იზღუდე-
ბა სწორედ იმ მიზნით, რომ გარიგება არ აღმოჩნდეს მისთვის
ზიანის მომტანი.

რას უნდა ნიშნავდეს არასრულწლოვანისათვის სარგებლის
მომტანი გარიგება? მართალია, კანონში პირდაპირ არაა მინიშნებუ-
ლი, მაგრამ სარგებლის ცნებაში უნდა იგულისხმებოდეს არა იმდე-
ნად მისი მატერიალურ-ეკონომიკური მხარე, რამდენადაც მისი სა-
ძმართლებრივი მხარე, ვ.ი. სამართლებრივი სარგებელი. არასრულ-
წლოვანის მიერ დადებული ყოველი გარიგება სამართლებრივი სარგე-
ბლით უნდა შეფასდეს. სამართლებრივი სარგებლის შემცველი იქნება
ყველა შესრულება, რომელიც კი არასრულწლოვანის სასარგებლოდ
ხორციელდება, ასევე ნებისმიერი განკარგვა, რის საფუძველზეც ეს
პირი იძენს რაიმე უფლებას, მაგალითად, უფლებისა და მოთხოვნის
დათმობა (198-ე მუხლი). არასრულწლოვანის საკუთრებაში გადა-
ცემული ქონება თუნდაც რომ დატვირთული იყოს სანივთო უფლე-
ბებით, სამართლებრივი სარგებელი მაინც სახეზეა, ვინაიდან აღნიშ-
ნული დატვირთვები არ იწვევს მის პირად პასუხისმგებლობას.

სამართლებრივი სარგებლის შემცველია ყველა ვალდებულებით-
სამართლებრივი გარიგება, რომელიც არასრულწლოვანს მხოლოდ
მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ასეთი შეიძლება იყოს საჩუქრის
დაპირება (525-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ყველა ორმხრივ გარიგებას, მაგალითად, როგორცაა ნასყიდო-
ბა, ქირავნობა, ნარდობა და სხვა, მარტო სამართლებრივი სარგებე-
ლი კი არ მოაქვს არასრულწლოვანისათვის, არამედ ვალდებულე-
ბებსაც აკისრებს მას. სესხებისას სამართლებრივი სარგებლის მიძ-
ლები არასრულწლოვანი, ასევე ვალდებულია დააბრუნოს ნივთი.

2. თუკი არასრულწლოვანი ქმედუნარიანი განდგება, მაშინ იგი
თვითონ წყვეტს თავისი ნების გამოვლენა ნამდვილი იქნება, თუ

ბათილი. ქმედუნარიანობის მოპოვებით იგი კანონიერ წარმომადგენელთა უფლებამოსილებას იძენს და ამით თავისი ადრინდელი ნების გამოვლენის ვაშკითხავიც თავადვე ხდება. საამისოდ საჭიროა, რომ მისი ნების გამოვლენა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჯერ კიდევ არ იყოს ბათილად ცნობილი.

მუხლი 64. შარი არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებებზე

1. არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

2. თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვანობის შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.

1. არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის გარეშე დადებული გარიგება პერყევად ბათილია. ბათილობის მდგომარეობა უქმდება და გარიგება ნამდვილად იქცევა, თუკი მას კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს. მაგრამ, ვიდრე მოწონება მოხდებოდეს, გარიგების პერყევად ბათილი ხასიათი უფლებას აძლევს მეორე მხარეს უარი თქვას მასზე. უარი შეიძლება გამოითქვას არამარტო კანონიერი წარმომადგენლის. არამედ თვით არასრულწლოვანის მიმართაც.

2. მეორე მხარეს გარიგებაზე უარის თქმის უფლება აქვს მაშინაც, როდესაც, მართალია, მან იცოდა პირის არასრულწლოვანობის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი იქცეოდა არაკეთილსინდისიერად და ატყუებდა მას, რომ კანონიერი წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.

ამ ნორმის ძირითადი აზრი ისაა, რომ მეორე მხარე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არასრულწლოვანთან გარიგებით დაკავშირებულად, როდესაც ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა, რომ მისი ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე.

მუხლი 65. არასრულწლოვანის მქანსიპაცია

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტით მოწესრიგებულია არასრულწლოვანის მიერ „ჯიბის ფულის“ განკარგვის უფლებამოსილება. „ჯიბის ფულს“ კი მიეკუთვნება ის საშუალებანი, რომელიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენელმა, ან ამ უკანასკნელის თანხმობით, მეს-

ამე პირებმა ამა თუ იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების შესასრულებლად, ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით, საშუალებაში უპირატესად ივარაუდება ფულადი საშუალება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა წინასწარი თანხმობის სპეციალური შემთხვევა (63-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნულ საშუალებათა გადაცემაში გამოიხატება კანონიერი წარმომადგენლის კონკლუდენტური თანხმობა არასრულწლოვანის გარიგებათა მიმართ. ამიტომაც, ვერ ვიტყვით, რომ აქ არაა თანხმობა. თანხმობა კია, ოღონდ ზოგადი ხასიათის შეზღუდული თანხმობაა და მკვეთრად არაა გამოხატული.

კანონიერი წარმომადგენლის კონკლუდენტური თანხმობა ივარაუდება არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მიმართ, როცა ეს უკანასკნელი ხელშეკრულებას ასრულებს მასზე გადაცემულ საშუალებათა ფარგლებში. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება თავიდანვე ნამდვილია. ასე მაგალითად, თუკი არასრულწლოვანი იმ ფულით, რომელიც მას თავისუფალი განკარგვის მიზნით მისცეს, იქირავებს ბინას და ნახევარი წლის ჭირას წინასწარვე გადაიხდის, ამ ხნის მანძილზე ხელშეკრულება ნამდვილი იქნება, თუნდაც, რომ შემდგომ მისი მეურვე უკმაყოფილო დარჩეს ამ გარიგებით.

აღნიშნულ საშუალებათა თავისუფალი განკარგვის უფლება არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენების შედეგად მიღებული ყოველი ფასეულობა არასრულწლოვანს შეუძლია თავისუფლად განკარგოს. განკარგვის პირველადი თავისუფლება. როგორც წესი, არ შობს განკარგვის მომდევნო თავისუფლებას. ასე მაგალითად, არასრულწლოვანი ჯიბის ფულით ყიდულობს საოჯახო ლოტოს და იგებს 1000 ლარს, შემდეგ კი, ამ ფულით ყიდულობს ავტომობილს. ეს უკანასკნელი გარიგება 65-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ვერ იქნება ნამდვილი, ვინაიდან არასრულწლოვანს უფლება აქვს თავისუფლად გამოიყენოს ჯიბის ფული და იყიდოს საოჯახო ლოტო.

თვით აქედან მონაგების თავისუფლად განკარგვის უფლება მას არა აქვს. ამას ადასტურებს უცხოური სასამართლო პრაქტიკა, ამგვარადვე წყვეტდა საკითხს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც.

2. ამ ნორმის ძალით, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი უფლებამოსილი ხდება დამოუკიდებლად გაუძღვეს საწარმოს. ამ უფლებამოსილებას იგი იძენს კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით, რასაც თავის მხრივ სჭირდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასტური.

თექვსმეტ წელს მიღწეული პირი მინიჭებული უფლებამოსილების წყალობით შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება ყველა იმ გარიგების მიმართ, რაც ჩვეულებრივ დაკავშირებულია მის საწარმოსთან. აქ უკვე მას აღარ სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონიერმა წარმომადგენელმა საწარმოს დამოუკიდებლად გაძლილაზე ნებართვის მიცემით, ზოგადად გამოხატა თავისი თანხმობა არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგებების მიმართაც. აქ სახეზეა ერთგვარი კონკლუდენტური თანხმობა.

ეს სორმა სპეციალური ნორმაა და მის საფუძველზე არასრულწლოვანის ემანსიპაცია ხდება მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებში. ამ ურთიერთობების გარეთ, იგი ჩვეულებრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ რჩება. საწარმო საქმიანობად იგულისხმება ნებისმიერი დამოუკიდებელი სამეწარმეო, სავაჭრო თუ თავისუფალი პროფესიული საქმიანობა, რაც მოგებისკენაა მიმართული.

მართალია, კანონში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმომადგენელს შეუძლია გააუქმოს არასრულწლოვანზე მინიჭებული უფლებამოსილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

3. კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის მიზანია, შემოწმდეს.

რამდენად საფუძვლიანია არასრულწლოვანისათვის საწარმოს გაძღოლის უფლებამოსილების მინიჭება. ეს აუცილებელია. იმიტომაც, რომ საწარმოო საქმიანობის უკან კერძო ინტერესების გარდა, დგას სოციალური ინტერესებიც. ამდენად, არასრულწლოვანის მიერ საწარმოს გაძღოლისუნარიანობა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომაც უნდა დაადასტუროს. ამასვე იტყობინება 1294-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს მზრუნველისაგან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარ თანხმობას სამზრუნველო პირის სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლასთან დაკავშირებით. თუ არასრულწლოვანისათვის უფლებამოსილების მინიჭებისას მთავარია საწარმოს ინტერესები, ამ უფლებამოსილების შეწყვეტისას იკვეთება თვით არასრულწლოვანის, როგორც დამოუკიდებელი მეწარმის ინტერესებიც. ამიტომაც, თუ რამდენად საფუძვლიანად ითხოვს მშობელი არასრულწლოვანზე მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტას, ეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა განსაჯოს.

მუხლი 66. წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული ბარიზმების ბათილობა

ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.

თუკი არასრულწლოვანის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება პერყევად ბათილია და შეიძლება კანონიერი წარმომადგენლის მიერ მისი შემდგომი მოწონება (63-ე მუხლის პირველი ნაწილი), იგივეს ვერ ვიტყვიტ ცალმხრივი გარიგების მიმართ (66-ე მუხლის პირველი ნაწილი). ცალმხრივი გარიგება საბოლოოდ ბათილია და კანონიერი წარმომადგენლის მოწონება მას ნამდვილად ვერ აქცევს. ყოველივე ეს გამოწვეულია იმ მხარის ინტერესების დაცვით, რომლისკენაც მიმართულია ცალმხრივი ნების გამოვლენა. კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შემდგომი თანხმობის დაშვების შემთხვევაში, მეორე მხარე ამ თანხმობის განხორციელებამდე აღმოჩნდებოდა სამართლებრივად გაურკვეველ მდგომარეობაში. როცა სახეზეა არასრულწლოვანის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, მაგალითად, როგორიცაა: ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ა. შ., ამ შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მიზანშეწონილია წერილობით გამოითქვას. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაც რომ იყოს, თუ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამისი დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, გარიგება არარად ჩაითვლება, თუკი მეორე მხარე დაუყოვნებლივ იტყვის მასზე უარს. უარის თქმა დაუყოვნებლივ თუ არ მოხდება, მეორე მხარე ჩაითვლება არასრულწლოვანის ნების გამოვლენასთან დაკავშირებულად. ასევე დაუშვებელია მეორე მხარის უარი, თუკი იგი, მიუხედავად აღნიშნული წერილობითი საბუთის არარსებობისა, ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ. ივარაუდება, რომ ასეთი ინფორმირება მოხდა თვით კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან.

მუხლი 67. ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე

გარიგება, რომელიც დაიდო ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე, მოითხოვს ნებართვას, თუ დადგინდება, რომ ის საფუძველი, რის გამოც მოხდა ქმედუნარიანობის შეზღუდვა, აშკარად არსებობდა გარიგების დადების დროსაც.

ამ მუხლის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობა გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ახდენს არამართო მაშინ, როდესაც პირი ასეთადაა ცნობილი სასამართლოს მიერ, არამედ მაშინაც, როდესაც გარიგების დადების დროს მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი უკვე აშკარად არსებობდა. ამასვე იტყობინება 58-ე მუხლის შესამე პუნქტიც. ამ გარემოებათა გამო ნებართვას მოითხოვს არამართო ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემდეგ დადებული გარიგებანი, არამედ მის შეზღუდვამდე დადებული გარიგებანიც.

თავი მესამე ბარიგების ფორმა

მუხლი 68. ფორმის ნამდვილობა ბარიგების ნამდვილობისათვის

გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა. სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ფორმის არჩევის თავისუფლებას. თვითონ მხარეები თანხმდებიან გარიგების ფორმაზე, თუ კანონით არაა იგი განსაზღვრული. ესა თუ ის ფორმა ყველა შემთხვევაშია აუცილებელი, თუმცა ზოგჯერ კანონითა თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული კონკრეტული ფორმა წარმოადგენს გარიგების აუცილებელ ელემენტს, როგორც იტყვიან გარიგების corpus-ს, ურომლისოდაც ეს გარიგება არ არსებობს. სწორედ აქაა გარიგების სავალდებულო ფორმა. სხვა დროს კი, როცა ნების გამოხატვა შეიძლება ნებისმიერი ფორმით, მაშინ ნებისმიერი მათგანია საკმარისი საფუძველი გარიგების ნამდვილობისათვის. ამ შემთხვევაში კი სახეზეა გარიგების არასავალდებულო ფორმა. ამრიგად, ერთ შემთხვევაში ფორმა იმპერატიულია, სხვა დროს კი – დისპოზიციური. ასე მაგალითად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183-ე მუხლის პირველი ნაწილი), სამაგიეროდ სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც და წერილობითაც (624-ე მუხლი). იმპერატიული ფორმა ყოველთვის წერილობითია, დისპოზიციური ფორმა უპირატესად ვლინდება სიტყვიერ ან სხვაგვარ

მოქმედებაში, როგორცაა დუმილი და კონკლუდენტური მოქმედებანი.

ნების გამოვლენის ფართოდ გავრცელებული საშუალებაა ზეპირი გარიგება. ზეპირად ნების გამოვლენა გულისხმობს სიტყვიერად მის გამოვლენას „კონტრაქტთან პირისპირ მოლაპარაკებით თუ სატელეფონო საუბრით“. ზეპირად შეიძლება დაიდოს ყველა ის გარიგება, რომელთათვისაც არაა აუცილებელი წერილობითი ფორმა. ამასთან, ნებისძიერი ზეპირი გარიგება მზარეთა შეთანხმებით შეიძლება მოექცეს წერილობით ფორმაში (როგორც მარტივი, ისე სანოტარო ფორმით).

ზეპირი ფორმა მიღებული იმ გარიგებებისათვის, რომელთა შესრულებაც მათი დადებისთანავე ხდება, ვინაიდან გარიგების დადებისა და მისი შესრულების მომენტები ერთმანეთს ემთხვევა, წერილობითი ფორმა ზედმეტი ხდება. რა თანხისაც არ უნდა იყოს გარიგება და ვინც არ უნდა იყოს ნების გამოვლენის სუბიექტი, ამ შემთხვევაში სიტყვიერად ნების გამოვლენა საკმარისია მისი ნამდვილობისათვის.

კონკლუდენტური მოქმედებისას ნების გამოვლენა თვით გარემოებათაგან ივარაუდება. აქ ისეთი მოქმედებაა პირისა, რომელშიც მუდავნდება გარიგების დადების სურვილი. შეიძლება ეს მოქმედება შესრულდეს მხოლოდ ფიზიკურ-ეესტური მოქმედების ფორმით, ანდა შეიძლება მას თან ახლდეს ცალკეული სიტყვებისა და რეპლიკების გამოყენება. ასე მაგალითად, ავღივართ რა ქუჩაში მიმავალ ავტობუსში, ამით ჩვენ გადამყვანთან ვდებთ გადაყვანის ხელშეკრულებას; ან კიდევ ავიღოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ერთ-ერთ დაწესებულებაში ერთმა თანამშრომელმა მეორეს შესთავაზა ლატარიის გათამაშებაში ერთად მონაწილეობის მიღება ერთი სიტყვით: „ვითამაშოთ“, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა პასუხი: „ვითამაშოთ“. ამის შემდეგ, ყოველგვარი სიტყვათხმარების გარეშე საერთო თანხით ერთ-ერთი ყიდულობს ლატარიის ბილეთს, რომელსაც წილად

ხვდება დიდი მოგება. დავის განხილვისას ერთ-ერთი მხარის მტკიცება, რომ აქ საერთოდ არა აქვს აღვილი გარიგებას, რადგანაც მხარეთა შორის არ ყოფილა მოლაპარაკება, სასამართლომ არ გააზიარა და მათი მოქმედება ჩათვალა კონკლუდენტურ მოქმედებად, რაც საკმარისი იყო გარიგების დასადავად. ზოგჯერ ნების გამოვლენის ფაქტი ლოგიკურად ივარაუდება კონკლუდენტური მოქმედებიდან. თუ მე თანახმა ვარ მომავალ წელს პროცენტი მივიღო იმ კაპიტალიდან, რომელიც სხვას გადავეცი, ლოგიკურად ივარაუდება, რომ მე ასევე თანახმა ვარ გადაუვადო მოვალეს კაპიტალის დაბრუნების ვალდებულება მომავალი წლისათვის.

დუმილი ჩაითვლება გარიგების დადების სურვილის გამოხატულებად, თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ჩვეულებით ან მხარეთა შეთანხმებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ნიშნავს დუმილი თანხმობას. ივარაუდება, რომ ვინც დუმს, მას შეუძლია და კიდევ ვალდებულია ილაპარაკოს. სწორედაც რომ კუთილსინდისიერება და ჯანსაღი აზრი გვაფიქრებინებს, რომ დუმილი თანხმობას მოასწავებს. ასე მაგალითად, თუკი ვინმე ჩემი მოთხოვნის გარეშე გამომიგზავნის რაიმე ნივთს და მე დროზე ვერ ვუბრუნებ უკან მას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე თანახმა ვარ დავდო მასთან ხელშეკრულება. მაგრამ თუკი ნივთის გამოგზავნიან მე მაქვს მუდმივი საქმიანი ურთიერთობანი და სხვა დროს ბევრჯერ მიმიღია მსგავსი წინადადებანი ყოველგვარი პროტესტის გარეშე, ამ შემთხვევაში კუთილსინდისიერება მოითხოვს ჩემი დუმილი ჩაითვალოს თანხმობად. ამ მდგომარეობის ამსახველია კოდექსის ნორმა, რომელიც იუწყება: „თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთან საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად (335-ე მუხლის პირველი ნაწილი).

1. მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

2. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, სახელდობრ, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება.

3. თუ გარიგების ფორმა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას, მაშინ დამოწმება უნდა განახორციელოს ნოტარიუსმა, მოსამართლემ ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

1. წერილობითი გარიგებისას ნების გამოვლენის გამოხატვის ფორმაა წერილობითი დოკუმენტი. სულერთია სახეზეა მარტივი წერილობითი ფორმა, თუ რთული წერილობითი ფორმა. დოკუმენტში აუცილებელია ჩანდეს გარიგების შინაარსი (პირობები), ნების გამოვლენის სუბიექტთა ხელმოწერა. ცალმხრივი გარიგებისას საკმარისია ერთი პირის ხელმოწერა, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებისას კი — ორი ან მეტი პირის ხელმოწერაა საჭირო. თუკი გარიგება იდება წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ საჭიროა მისი ხელმოწერა. ხელმოწერისას არაა აუცილებელი იმის მითითება, რომ იგი წარმომადგენლის სახით მოქმედებს. დოკუმენტის შინაარსიდან უნდა ჩანდეს, რომ ესა თუ ის პირი სხვისი დავალებით მოქმედებს. ამ წესების დაუცველობა ნიშნავს იმას, რომ არაა დაცული გარიგების წერილობითი ფორმა, რაც მისი ბათილობის მომასწავებელია.

2. ამ მუხლში მოცემული ხელის მოწერა უნდა გავიგოთ, როგორც საკუთარი ხელის მოწერა. დასაშვებია სტენოგრაფიული ხელის მოწერა, მაგრამ არა მექანიკური (საბეჭდი მანქანას, ან ბეჭდის

გამოყენებით). სხვა საქმეა ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა. კოდექსი გამონაკლისის სახით ამ შემთხვევაში მექანიკური საშუალებების გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს: „იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, სახელდობრ, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება“ (69-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასე მაგალითად, სავალო დოკუმენტზე, რომლითაც ეპიტენტი დოკუმენტის წარღვენისას გადახდას ჰპირდება დასახელებულ პირს და რომელიც გაცემულია საორდერო ფასიანი ქაღალდის სახით, ხელმოწერა შეიძლება ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით (922-ე მუხლის 1 და 2 ნაწილები). ტექნიკური საშუალების გამოყენებითვე შეიძლება დოკუმენტში მოცემული უფლების ინდოსირება (923-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ხელმოწერა ნამდვილია დოკუმენტის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მოცემულია ხელმოწერის ზემოთ ან ხელმოწერამდე. ხელმოწერელი დამატებები ხელმოწერის ქვემოთ ან დოკუმენტის შორე მხარეზე ბათილია; დოკუმენტის შეუვსებელ ადგილზე დასმული ხელმოწერა ითვლება ხელისმომწერის ნების (და არა მისი შემვსებლის) გამოვლინებად მისი შევსების მომენტიდან. ასეთი დოკუმენტი ფორმის თვალსაზრისით ნამდვილია, მაგრამ თუ ის შინაარსი, რითაც შევსილია ფურცელი, არ შეესაბამება ხელის მოწერის ნებას, შეიძლება იგი საცილო გახდეს ცდომილების ან მოტყუების საფუძველზე (72-84 მუხლები).

კანონში არსად არაა მითითებული, რომ ხელმოწერა უნდა მოხდეს პირის ნამდვილი სახელით. ამიტომაც, დასაშვებია დოკუმენტზე ხელმოწერა გაკეთდეს იმ ფაქტობრივი სახელით (მეტსახელი), რომლის მატარებელიცაა პირი, ანდა ფსევდონიმით. მთავარია პირი საკმარისად ნათლად იყოს გამოკვეთილი.

3. თუ სანოტარო ფორმა კანონით ეხება ცალმხრივი ნების გამოვლენას, ან მხოლოდ ერთი მხარის ნების გამოვლენას სახ-

ელშეკრულებო ურთიერთობებში, ასეთ შემთხვევაში საკმარისია დამოწმდეს ნების გამოვლენის შინაარსი. მაგალითად, ანდერძის დამოწმება გულისხმობს ერთი მხარის ნების გამოვლენის დამოწმებას; სხვა დროს კი, როცა სანოტარო ფორმა ეხება ურთიერთმხრივი ნების გამოვლენას, ამ შემთხვევაში დამოწმების საგანია არამარტო ნების გამოვლენის შინაარსი, არამედ ყოველი მათგანის ნების გამოვლენა მეორე მხარის მიმართ.

გარიგების სანოტარო წესით დამოწმება ერთ შემთხვევაში გულისხმობს გარიგების შინაარსის დადასტურებას, სხვა დროს კი – ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებას. გარიგების შინაარსის დადასტურება ნიშნავს მისი მოქმედ სამართალთან შესაბამისობის დადასტურებას. ვთქვათ, ვინმემ გადაწყვიტა მიწის ნაკვეთის გაყიდვა. ვიდრე მოხდებოდეს ხელშეკრულების დამოწმება, ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს რამდენად უფლებამოსილი არიან მხარეები დაღონ მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება, ხომ არ ირღვევა უპირატესი შესყიდვის უფლება, ხომ არაა კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულების პირობები და ა.შ. ნოტარიუსმა დოკუმენტის ტექსტი მხარეებს უნდა გააცნოს (წაუკითხოს). გარიგების მხარეები შემდგომ ხელს აწერენ დოკუმენტს, რასაც ამოწმებს ნოტარიუსი. მოკლედ, თუ ყველაფერი რიგზე იქნება, ნოტარიუსი ადასტურებს მას. ხელის მოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ადასტურებს ამა თუ იმ პირის მიერ ხელის მოწერის ფაქტის ნამდვილობას. ამ შემთხვევაში შეფასების საგანს არ წარმოადგენს გარიგების შინაარსი. სამაგიეროდ აუცილებელია ხელმოწერი პირი იმყოფებოდეს ნოტარიუსთან და ხელმოწერა მის თვალწინ მოხდეს. თუ გარიგების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას ნოტარიუსი არ დაესწრება, ხელმოწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

სანოტარო წესით დამოწმება საჯარო წესით დამოწმებაა და მას ახორციელებს ნოტარიუსი, მოსამართლე ან კანონით გათვალისწინებ-

ული სხვა პირი (69-ე მუხლის მე-32 ნაწილი). საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი ნაკლებად ითვალისწინებდა მოსამართლის მხრიდან გარიგების დამოწმების ფაქტს.

მოსამართლის მიერ გარიგების დამოწმება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს შეუძლიათ გარიგების დასამოწმებლად ისევე მიმართონ სასამართლოს, როგორც ნოტარიუსს. სასამართლოში შეიძლება გადაწყდეს იმ გარიგების დამოწმების (ნამდვილობის) საკითხი, რომელიც ნების გამოვლენის სუბიექტმა სადაო გახადა.

ნოტარიუსის ფუნქციები შეიძლება შეასრულოს სხვა ორგანოებმაც. ნოტარიუსის შესახებ კანონით ესენია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (42-ე მუხლი), საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირები (43-ე მუხლი), სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირები (1359-ე მუხლი) და ა.შ.

მუხლი 70. ხელის მოწერის მინდობა სხვა პირისათვის

იმ პირს, ვინც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერაკითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.

სხვა პირზე ხელის მოწერის მინდობა ზღვება წერაკითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო. ნოტარიუსის შესახებ კანონის თანახმად, იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს დოკუმენტს, მისი დავალებით ხელს აწერს სხვა პირი სანოტარო მოქმედების შემ-

სრულელებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით. აუცილებელია აღინიშნოს ის მიზეზი, რის გამოც გარიგების მონაწილემ დოკუმენტზე ხელის მოწერა სხვას მიანდო (ნოტარიატის შესახებ კანონის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ასე მაგალითად, მოქალაქემ სანოტარო კანტორაში განაცხადა, რომ ის გაუნათლებელია (წერა-კითხვის უცოდინარია), ნოტარიუსმა გააფორმა მისი ანდერძი იმ წესით, რაც გათვალისწინებული იყო პირის წერა-კითხვის უცოდინარობის შემთხვევაში. სამკვიდროს განსწავლას გაირკვა, რომ მოანდერძეს მართოდ ნანდაზმული ასაკის გამო არ შეძლება წერა. შეიღმა ისარგებლა ამ გარემოებით და იმ საფუძველზე, რომ დედამისს ანდერძის შედგენისას დაკარგული ჰქონდა უნარი სწორად გამოვლინა ნება, მოითხოვა ანდერძის ბათილობა. ნოტარიუსს რომ სწორად გაერკვია წერა-კითხვის მდგომარეობა, ანდერძის ბათილობის საკითხი არ დაისმებოდა.

ნოტარიატის შესახებ კანონის თანახმად, თუკი გარიგების სანოტარო დამოწმებისას ნების გამოვლენის სუბიექტი მუნჯი, ყრუ ან ყრუ-მუნჯია, მაშინ საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსმა ამ პირისათვის სანოტარო მოქმედების შინაარსისა და შედეგების ასახსნელად უნდა ისარგებლოს შესაბამისი სპეციალისტის დახმარებით. სპეციალისტმა თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ მოქმედების შინაარსი პირს განუმარტა და მის ნებას შეესაბამება (51-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

თუკი ნების გამოვლენის სუბიექტი წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ნოტარიუსი ვალდებულია წაუკითხოს მას ტექსტი და ეს აღნიშნოს დოკუმენტში (51-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

გარიგების მონაწილესა და სხვა პირს შორის ურთიერთობა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს. ამ შემთხვევაში დავალებაში იგულისხმება ფაქტობრივი მოქმედების განხორციელება – გარიგებაზე ხელის მოწერა. ამდენად, ხელის

მომწერი პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა ნებისმიერი ფორმით შეიძლება განხორციელდეს.

ხელის მოწერის ოფიციალურ დამოწმებაში ივარაუდება მისი დამოწმება ნოტარიუსის, მოსამართლისა ან სხვა კანონით გათვალისწინებული პირის მიერ.

მუხლი 71. გარიგების დადება რამდენიმე დოკუმენტის შედგენით

თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.

ხელშეკრულების დადებისას მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ერთსა და იმავე დოკუმენტზე; ხოლო თუ უნდა შედგეს ერთი და იმავე შინაარსის მქონე რამდენიმე დოკუმენტი, რომლებშიაც მხარეთა ნება გადმოცემული იქნება სრულად და ერთნაირად, მაშინ საკმარისია, თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის. ტექსტში არსებული წერილმანი შეცდომები არ იძლევა შეცდომების უფლებას (78-ე მუხლი); თითოეულის მიერ ხელმოწერილი წერილი წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას. ამ წერილების გაცვლა არაა საკმარისი ისეთი ხელშეკრულების დასადებად, რისთვისაც კანონი წერილობით ფორმას ითხოვს. მაგალითად, ერთი პირი წინადადებას სთავაზობს მეორეს მიწის ნაკვეთის გარკვეული ვადით გაქირავების თაობაზე, რაზედაც მეორისაგან იღებს წერილობით პასუხს. მოკლედ, მხარეები ახდენენ წერილების გაცვლას. გარიგე-

ბის წერილობითი ფორმა ჯერ კიდევ არა გვაქვს. ერთი პირის მიერ თავის წინადადებაზე, ხოლო მეორის მიერ კი – თავის პასუხზე ხელის მოწერა აკმაყოფილებს შესაბამისად წინადადებისა (ოფერტისა) და პასუხის (აქცეპტის) მოთხოვნებს და არა მათ შორის შეთანხმების მოთხოვნებს. ამიტომაც, ერთიც და მეორეც ვალდებულია ხელშეკრულების ტექსტზე ერთად მოაწერონ ხელი. ასევე საკმარისია, რომ ერთმა მეორისათვის განკუთვნილ დოკუმენტს მოაწეროს ხელი, ხოლო მეორემ – პირველისათვის განკუთვნილ დოკუმენტს.

თავი მეოთხე

საცილო გარიგებანი

I. შეცდომით დაღებული გარიგებანი

მუხლი 72. ცნება

გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა შეცდომის რაიმე ლეგალურ დეფინიციას. უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში შეცდომა განმარტებულია, როგორც ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმის ვითარებაზე წარმოდგენები არ შეესაბამება მის ნამდვილ მდგომარეობას. შეცდომა უარყოფით გავლენას ახდენს ნების ფორმირებაზე და ყალბ წარმოდგენებს უქმნის პირს იმაზე, რაც მას ნამდვილად სურს. ნების ფორმირება მაშინაა უშეცდომო, როდესაც იგი ემყარება სინამდვილის შესაბამის წარმოდგენებს.

ამრიგად, შეცდომა გულისხმობს კერძო ნების გადახვევას საერთონორმატიული ნებისაგან. ცდომილებაში მყოფი ფიქრობს სხვას, ვიდრე ეს საერთო-ნორმატიული სახელშეკრულებო ნებით გამოიხატება. შეცდომა კერძო ნებასა და საერთო-ნორმატიულ ნებას შორის დივერგენციაა.

შეცდომისაგან განსხვავდება უცოდინარობა. თუ შეცდომა სინამდვილის ყალბი წარმოდგენაა, უცოდინარობა საქმის ნამდვილი მდგომარეობის არცოდნაა. მათ ერთი და იგივე შედეგები მოსდევს და შესაბამისად, ერთი მნიშვნელობითაც გამოიყენებიან.

გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ არსებითი შეცდომა. არსებითი შეცდომა ხეროზული შეცდომაა. მისი შეფასებისას მხედ-

ველობაში მიიღება სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტური კრიტერიუმები, ასე მაგალითად, უნდა დადგინდეს, მსგავს ვითარებაში რა ზომებს მიიღებდა გონივრული ადამიანი, ასევე ცდობილებაში მყოფი პირი, ხელშეკრულების დადებისას მათ რომ სცოდნოდათ საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ. თუკი პირი ასეთ სიტუაციაში საერთოდ არ დადებდა გარიგებას, ან დადებდა მას სრულიად განსხვავებული პირობებით, შეცდომა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სერიოზულად და არსებით შეცდომად.

მუხლი 73. არსებითი შეცდომის ხასჷვა

არსებით შეცდომად ითვლება, როცა:

ა. პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა;

ბ. პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა;

გ. არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძველად.

73.ა. გარიგების სამართლებრივ ხასიათში (ტიპში) შეცდომა მაშინაა, როდესაც „პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა“. ასე მაგალითად, ა-მ დროებითი სარგებლობის მიზნით ბ-ს გადასცა რაიმე ნივთი. ბ ამას აღიქვამს როგორც ჩუქებას და აღარ უბრუნებს ა-ს ნივთს. მოკლედ, სინამდვილეში აქ ნივთის თხოვნის გარიგებაა, რასაც მეორე მხარე შეცდომით ღებულობს, როგორც ნაჩუქრობას. შეცდომა სწორედაც რომ გარიგების ტიპშია. ამ მაგალითში მხოლოდ ერთი მხარე ცდება, მისი ნების გამოვლენა შეესაბამება არასწორად ჩამოყალიბებულ ნებას. ამ ფაქტისაგან უნდა განგასხვავოთ ის ვითარება, როდესაც

ორივე მხარის ნებაცა და მისი გამოვლინებაც ერთი გარიგებისაკენაა მიმართული, მაგრამ შეცდომით დებენ (აფორმებენ) სხვა გარიგებას, ვთქვათ, ქირავნობის ნაცვლად იჯარას. ამ ვითარებას ჰქვია *falsa demonstratio*.

გარიგების ტიპში შეიძლება ცდებოდეს როგორც მხოლოდ ერთი მხარე, ისე ორივე. თვით შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი გარემოება, მაგალითად, სიჩქარე, შუამავლად გამოყენებული პირის მხრიდან დაშვებული უზუსტობა, სუძრობა და ა.შ.

73.ბ. ამ ქვეპუნქტის მიხედვით არსებითია გარიგების შინაარსში შეცდომა. აქ ისეთი მდგომარეობაა, როცა „პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურს.“ ამდაგვარი შეცდომისას პირის ნება ემთხვევა მის მიერ გამოვლენილ ნებას, მას ნამდვილად სურს არსებული გარიგება, ოღონდ არა იმ შინაარსით, რა სახითაც იგი არსებობს. შინაარსში შეცდომა გვაქვს, ჯერ ერთი, მაშინ, როცა მხარე ან მხარეები გარიგებაში არსებულ სიტყვებს თუ ნიშნებს, რომლებიც გამოიყენება ნების გამოსახატავად, უცხო ენის ან იურიდიული ტერმინების უცოდინრობის გამო სხვა აზრით იყენებენ და არა ისე, როგორც ეს მას ფაქტობრივად გააჩნია. ასე მაგალითად, ავსტრალიელი კანადაში კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს 1000 დოლარი. გარემოებათაგან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე ეხება კანადურ დოლარს, მაშინ როცა გადამხდელს მხედველობაში ჰქონდა ავსტრალიური დოლარი. მეორეც, შეიძლება სიტყვისა და ნიშნის ხმარებაში არ იყოს შეცდომა, მაგრამ ნების გარეგნული გამოვლენა არ ემთხვეოდეს პირის მიერ განზრახულს, ასევე მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. გარიგების შინაარსში შეცდომა იქნება მაშინაც, როცა პირი სამართალში აღიარებულ ცნებას სულ სხვა შინაარსს აქსოვს. მაგალითად, სურს რა სამკვიდრო დაუტოვოს მხოლოდ ღვიძლ დასა და ძმას, ანდერძის ტექსტში მოიხსენიებს მხოლოდ კანონისმიერ მემკვიდრეებს იმ მცდარი

ვარაუდით, რომ მასში არაღვიძლი დები და ძმები არ იგულისხმება.

73.გ. საფუძველში შეცდომა გულისხმობს, ერთის მხრივ, მოტივში შეცდომას და მეორეს მხრივ, ნების გამოვლენაში შეცდომას. საფუძველში შეცდომა ეხება ისეთ გარემოებებს, რომელიც ხელშეკრულების აუცილებელ საფუძველად მიიჩნევა არამართო მხარეთა სუბიექტური აზრით, არამედ ობიექტური აზრითაც, ბრუნვის კეთილსინდისიერების პოზიციებიდან გამომდინარე. ამდენად, მხედველობაში მიიღება არამართო ცდომილებაში მყოფის სუბიექტური წარმოდგენები, არამედ საქმის ობიექტური მდგომარეობაც.

საფუძველში შეცდომისაგან განსხვავდება ნების გამოვლენაში შეცდომა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხარის შინაგანი ნება არ შეესაბამება გარეთ გამოხატულს. ვინც ნების გამოვლენაში ცდება, ივარაუდება, რომ მას არ სურს ის, რასაც გამოხატავს, ხოლო ვინც ხელშეკრულების საფუძველში ცდება, მართალია, იგი თავისი ნების გამოვლენის პოზიციასზეა, მაგრამ სურს არა ის, რასაც გამოხატავს, რადგანაც მის მიერ ჩაფიქრებული ხელშეკრულების საფუძველს არ შეესაბამება.

ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში მიღებული დებულებებია: ა) საფუძველში შეცდომა გულისხმობს განსაზღვრულ გარემოებებში შეცდომას; ბ) ეს გარემოებანი წარმოადგენს სუბიექტურად აუცილებელ ელემენტს და მას ხელშეკრულების საფუძველად მიიჩნევს ცდომილებაში მყოფი პირი; გ) სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერების პოზიციებიდან გამომდინარე, ობიექტური აზრითაც, ეს გარემოებანი ხელშეკრულების საფუძველად მიიჩნევა; დ) საჭიროა ხელშეკრულების მეორე მხარე აცნობიერებდეს გარემოების იმ მნიშვნელობას, რასაც ანიჭებს მას ცდომილებაში მყოფი პირი.

1. შეცდომა კონტრაქტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაქტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.

2. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.

1. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებათა იგივეობაში მაშინაა, როდესაც ერთი მხარის ნების აღრესატი შეცდომით აღმოჩნდება არა ის პირი, რომელთანაც მას აქვს განზრახული დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ სხვა. ამ შემთხვევაში თვით აღრესატის პიროვნებაში შეცდომა საკმარისია გარიგების ბათილად ცნობისათვის. მაგალითად, ა ჩუქნის ავტომობილს ბ-ს, რომელსაც იგი თავის უახლოეს ნათესავად მიიჩნევს, სინამდვილეში კი ბ აღმოჩნდება სრულიად სხვა პიროვნება. ეს რომ ა-ს სცოდნოდა, ჩუქების ხელშეკრულება არ შედგებოდა, ან კიდევ, სულერთი რომ ყოფილიყო ა-სათვის, ვინ იქნებოდა დასაჩუქრებულის პიროვნება, მაშინ ბათილობის საფუძველიც აღარ იქნებოდა. ასე მაგალითად, აუქციონზე საჯარო ვაჭრობის გზით ნივთის გაყიდვისას გამყიდველს არა აქვს უფლება ამტკიცოს, რომ მისთვის მთავარია მყიდველის პიროვნება. მოკლედ, აღნიშნული საფუძველით გარიგების ბათილობისათვის მეორე მხარის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გარიგების დადების მომენტისათვის. ოფერტის აქცეპტირება უნდა მოახდინოს იმ პირმა, რომლისკენაცაა იგი მიმართული. საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ცნობილი ერთ-ერთი მაგალითის თანახმად, ა-მ შეიძინა ბ-საგან საწარ-

მთ, რომელთანაც მოპასუხე გ-ს ჰქონდა საქმიანი კავშირები. გ თავის პარტნიორთან ბ-სთან აწარმოებდა მიმდინარე ანგარიშებს და ჰქონდა იმისი უფლებაც, მოეხდინა იმ თანხების ჩათვლა, რაც მას ბ-სგან ერგებოდა. გ-მ შეუკვეთა ბ-ს საქონელი, რომელიც მას ა-მ მიაწოდა იმის შეუტყობინებლად, რომ ბ-ს საწარმო მან შეიძინა. გაიგო რა გ-მ, რომ საქონელი მიღებული აქვს არა ბ-სგან, უარი განაცხადა მის განაღდებაზე, ა-მ კი, თავის მხრივ, სარჩელი შეიტანა მის წინააღმდეგ ფასის გადახდაზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გ არაა ვალდებული გაანაღდოს საქონლის ღირებულება, ვინაიდან არსებული ნორმის თანახმად, თუკი პირს განზრახული აქვს დადოს ვარიგება ამა თუ იმ კონკრეტულ პიროვნებასთან, სხვა პიროვნებას არ შეუძლია ამ ვარიგებით შეიძინოს რაიმე უფლებები. ამ შემთხვევაში, წერილობითი შეკვეთა მიმართული იყო ბ-სკენ, ამიტომ მოპასუხეს ისღა დარჩენია, ამტკიცოს, რომ მათ შორის არავითარი ხელშეკრულება არ არსებობს.

ოქცა, ამ და სხვა შემთხვევებშიც, როგორც ოფერტა, ასევე აქცეპტიც, ობიექტური აზრით უნდა გავიგოთ. შეფასების კრიტერიუმები ძდგომარეობს არა მარტო იმაში, „სურდა თუ არა ოფერენტს დაეკლო ხელშეკრულება იმ პირთან, რომლის მიმართაც გააკეთა მან ოფერტა“. არამედ იმაშიც, თუ როგორ მოიტყეოდა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, თუკი იგი აღმოჩნდებოდა ამ ოფერტის ადრესატი. ამიტომაც, რომ თუ ოფერტის ადრესატი, რომელიც შეცდომით სხვა პიროვნება აღმოჩნდება. გონივრულად ივარაუდებს, რომ იგი მის-კებაა მიმართული და მოახდენს მის აქცეპტირებას, მაშინ იგი ოფერენტთან ვალდებულებით ურთიერთობაში აღმოჩნდება, თუნდაც, რომ ამ უკანასკნელის შეცდომით მომხდარიყო ეს. ასე მაგალითად, მოპასუხემ შეცდომით ერთი სახანძრო რაზმის მაგივრად გამოიძახა სხვა სახანძრო რაზმი. გამოძახება კეთილსინდისიერად იქნა მიღებული და გადაწყდა, რომ მოპასუხესა და მას შორის წარმოიშვა

სახელშეკრულებო ურთიერთობა. მიუხედავად მოპასუხის შეცდომისა და ამდენად იგი ვალდებულია გადაუხადოს მას სამსახურის სამაგ-
იერო საზღაური.

კონტრაქტის პირად თვისებებში შეცდომა მაშინაა, როდესაც ერთ-ერთი მხარის შეცდომა ეხება არა მეორე მხარის იგივეობას, არაქედ მის ამა თუ იმ პირად თვისებას. მხარე არ დადებდა გარიგებას, რომ არ შექმნოდა მცდარი წარმოდგენები კონტრაქტის პირად თვისებებზე. ასეთ თვისებებს შეიძლება წარმოადგენდეს პირის ტალანტი, პირადი უნარი, ნდობა, რომელსაც იგი იმსახურებს (მაგალითად, სურათის შეკვეთა მხატვრისათვის, ქონების მართვის მინ-
დობა და ა.შ.).

პირადი თვისებები უნდა ახასიათებდეს პირს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგალითად, უცოდინრობა პირის სრული კრედიტ-
უუნარობის შესახებ, როცა მოცემული კატეგორიის გარიგებებში გადახდისუნარიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც წესი, ადგილი აქვს კრედიტით ნივთის ყიდვისას და არა ნაღდი ანგარიშსწორებისას.

ან კიდევ, ფირმას სურს დაავალოს ძველი ავეჯის რესტავრაცია ამ საქმის ცნობილ სპეციალისტს, მაგრამ შეცდომით გარიგებას დებს არა მასთან, არაქედ მის თანამოგვარესთან, რომელიც არ სარგებლობს მაღალი რეპუტაციით.

74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეცდომა შეიძლება ერთ-ერთი მხარის მიერ მოტყუების ნიადაგზე დაუშვას მეორე მხარემ. ასე მაგალითად, ვინმე თაღლითი არარსებული პირის სახელს ითვისებს და მეორე მხარესთან წარსდგება, როგორც შე-
ძლებული კონტრაქტი. ამ დროს გარიგება უნდა გაბათილდეს მოტყუების საფუძველზე.

2. ამ პუნქტის თანახმად, საგნის ძირითად თვისებებში შეცდომა მნიშვნელოვანი უნდა იყოს საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.

საგნის დარღვევებზე უხდა ჩაითვალოს დანიშნულებისამებრ მასი ფასულობა-ვარგისიანობა

საგნის ძირითად თვისებათა შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები. ძირითად თვისებებს მიეკუთვნება საგნის არამარტო ფიზიკური თვისებები, არამედ ის ფაქტორები და იურიდიული ურთიერთობანიც, რომლებიც გავლენას ახდენს მის გამოყენებით ვარგისიანობაზე, ღირებულებაზე, მაგალითად, ნაკვეთის ვარგისიანობა განაშენიანებისათვის. ძირითად თვისებებში შეცდომა იქნება, როცა პირი ბრილიანტის თვლიანი სამკაულის ნაცვლად ყიდულობს საფირის თვლიან სამკაულს, ან კიდევ, ორიგინალის ნაცვლად-ნივთის ასლს. ავიღოთ ასეთი შემთხვევა: მეცნიერ-მუშაკი, რომელიც ძირითადად მუშაობს სახლში, ყიდულობს სახლის ნახევარს, რომლის დანარჩენი ნახევარი უკავია სახელოსნოს. ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში სახელოსნო არ მუშაობდა. მას შემდეგ, რაც მყიდველმა დაიკავა სახლის ნაწილი, აღმოჩნდა, რომ სახელოსნოდან მომდინარე ხმაური შეუძლებელს ხდიდა მის მიერ ნაყიდი ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებას. გამყიდველს სახლის გაყიდვისას სახელოსნოს უარყოფით შემოქმედებებზე არც კი უფიქრია, ვინაიდან იგი მუშაობდა სახლიდან მოშორებით და სახელოსნოს მეზობლობას მისთვის ხელი არ შეუშლია. ამ შემთხვევაში, გარიგება შეიძლება გაბათილდეს, ვინაიდან შეცდომა ეხება საგნის ძირითად თვისებებს.

აქ, როგორც ვხედავთ, საგნის ძირითადი თვისება სუბიექტური შეფასების საგანია, გამყიდველისათვის ზომ სახელოსნოს მეზობლობას ხელი არ შეუშლია თავისი საკუთრების გამოყენებაში; მაგრამ ის, რომ ნაყიდი ნივთი ოქროს ნაცვლად სპილენძი აღმოჩნდა, აქ შეფასების კრიტერიუმში ობიექტურია და სუბიექტური კრიტერიუმში ვერ გამოიღვება, ვინაიდან ოქრო ყველასათვის ოქროა და სპილენძი — კიდევ სპილენძი. აქედან კიდევ ერთი წესი იკვეთება ის, რომ

ყოველთვის არაა აუცილებელი ძირითადი თვისება ძირითადი იყოს მთელი სამოქალაქო ბრუნვისათვის. ის, რაც არსებითია ნასყიდობისათვის, შეიძლება არაარსებითი იყოს ჩუქებისათვის, გირავნობისათვის და ა.შ.

მუხლი 75. შეცდომა უფლებაში

შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო.

უფლებაში შეცდომა მაშინაა, როცა პირს ექმნება არასწორი წარმოდგენა მის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებზე. ასე მაგალითად, სახლის მეპატრონე სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში წერს, რომ იგი „სახლს ყიდის მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“ და არ იცის, რომ ამით იგი მთელ მიწის ნაკვეთსაც ყიდის, რომელიც სახლის ნაკვეთადაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ასეთი შეცდომა უნდა ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძველად, ვინაიდან მესაკუთრემ არ იცოდა, რომ „უძრავ-მოძრავ ქონებაში“ იგულისხმებოდა მთელი მიწის ნაკვეთიც. ეს რომ სცოდნოდა, იგი გარიგებას არც კი დადებდა.

უფლებაში შეცდომა ძირითადად კანონის უცოდინრობითა და მისი არასწორი განმარტებითაა გამოწვეული. უფლებაში შეცდომად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი გარიგებაში დებს კანონის საწინააღმდეგო შინაარსს, მაგალითად, ყიდის რა ნივთს, ხელშეკრულებაში წერს, რომ იგი პასუხს არ აგებს ნივთის იმ ნაკლზე, რომელიც ცნობილი იყო მისთვის ხელშეკრულების დადებისას.

თუ პირველ მაგალითში ნება არ შეესაბამება ნების გამოვლენას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნებასა და ნების გამოვლენას

შორის თანხმობაა, ოღონდ ორივე შეუსაბამობაშია კანონის ნებასთან.

უფლებაში შეცდომა ძალიან ჰგავს გარიგების შინაარსში შეცდომას. თუმცა არაა მისი იდენტური. პირველი შემთხვევისათვის მთავარია შეცდომა სამართლებრივ შედეგებში.

მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში

შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა.

მოტივში შეცდომა მაშინაა, როდესაც პირს უყალიბდება არასწორი წარმოდგენები იმ გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობასაც დაუკავშირა მან გარიგების დადება და რამაც ვანაპირობა მისი ნების გამოვლენა, ანდა რომლის გარეშე არც კი მოხდებოდა ნების გამოვლენა, ხოლო თუ მოხდებოდა – მაშინ სხვა სახით. მოტივში შეცდომისას სახეზეა არა შეცდომა ნების გამოვლენაში, არამედ ნების ფორმირებაში.

მოტივში შეცდომა, როგორც წესი, არ იწვევს გარიგების ბათილობას. გარიგების დადებისას ყოველ მხარეს აქვს თავისი წარმოდგენები და ზრახვები. ისინი არ გამომდინარეობენ მოპირდაპირე მხარისაგან და მის მიერ არც მხედველობაში მიიღება. მხარის ეს ზრახვები და წარმოდგენები მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ არსებული მოვლენებია. მისი ეს თვისება არ იცვლება იმით, რომ გარიგების დადებისას ერთმა მხარემ მეორეს გაუმხილა ამ გარიგებით დასახული მიზნები. ასე მაგალითად, ვინმე თავისი ქალიშვილის სამწითვოდ ყიდულობს ავეჯს და ქორწინება არ შედგება. ავეჯის ნასყიდობა ვერ გაბათილდება იმის გამო, რომ მყიდველმა გამყიდველს გაუმხილა ყიდვის მიზანი. მო-

ტივში შეცდომა რომ გარიგების ბათილობას იწვევდეს, მაშინ ეს გამოიწვევდა სამოქალაქო ბრუნვის წესრიგისა და სიმყარის მოშლას, თვით ამ ბრუნვის შეფერხებას. სამეურნეო რეალობის მცდარი შეფასების რისკს ყველა დამოუკიდებლად ატარებს. ვისაც არ სურს ამ რისკის ტარება, მას შეუძლია თავისი სამომავლო ზრახვები გარიგების პირობად აქციოს.

მოტივში შეცდომა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს გარიგების ბათილობას, როცა თვით მოტივი წარმოადგენს შეთანხმების საგანს. აქ უკვე მოტივი არსებითი მნიშვნელობის გარემოებაა, ვინაიდან სწორედ მის არსებობას დაუკავშირა პირმა გარიგების ნამდვილობა. ამ შემთხვევაში, მოტივი გამოდის არსებითი პირობის როლში და ეს ორივე მხარისათვისაა გაცნობიერებული. სულ სხვა შედეგი დადგებოდა ზემოთ მოტანილ მაგალითში, ქორწინება გარიგების პირობად რომ ყოფილიყო დათქმული. თუ არ მოხდებოდა ქორწინება, მოიშლებოდა ავეჯის ნასყიდობაც. ამ შემთხვევაში, მოტივი გადადების პირობის როლში გვევლინება.

მუხლი 77. კონტრაქტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში

შეცდომით ნების გამოვლენა არ შეიძლება საცილო გახდეს, თუკი მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის თანახმად, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება.

ამ მუხლის განმარტებისას უნდა გამოვიყენოთ მერვე მუხლის მესამე პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.“ მართალია, შეცდომა გარიგების საცილობის საფუძველია. მაგრამ დაუშვებელია

არაკეთილსინდისიერად მასზე მითითება და ამ საფუძველით გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა.

ამ მუხლიდან ჩანს, რომ გარიგების ერთი მხარე ცდომილებაში იმყოფება, მეორე კი – არა. თუკი ეს უკანასკნელი თანახმაა, გარიგება შეასრულოს ისე, როგორც ეს სინამდვილეში სურდა ცდომილებაში მყოფ პირს, მაშინ ეს უკანასკნელი კარგავს შეცდომების უფლებას და ვალდებული ხდება მეორე მხარის წინაშე. მეორე მხარის ამ თანხმობით ხდება შეცდომის ძღვომარეობის გამოსწორება და ცდომილებაში მყოფის ნებისა და ნების გამოვლენის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა. ცდომილების ვითარების გაბათილებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ გარემოებებს. თუ ერთ შემთხვევაში შესაძლებელია მეორე მხარემ შეასრულოს შემცირებელი მხარის სურვილი, სხვა დროს ეს შეუძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, თუ ვინმე თავის ავტომობილს შეცდომით 5000 ლარის ნაცვლად 1000 ლარად ყიდის, ამ შეცდომის საფუძველზე ის ვეღარ მოითხოვს გარიგების ბათილობას, თუკი მყიდველი თანახმა იქნება გადაიხადოს დანაკლისი-4000 ლარი და ამით ცდომილებაში მყოფის სურვილი დააკმაყოფილოს. აქ სუბიექტურადაც და ობიექტურადაც შესაძლებელია ცდომილების მოხსნა. სიძნელე იქმნება მაშინ, როდესაც პირის პირად თვისებებშია შეცდომა. საქმე იმაშია, რომ მეორე მხარემ როგორც არ უნდა მოინდომოს და გამოთქვას თანხმობა, ცდომილებაში მყოფის სურვილის თანახმად შეასრულებს გარიგებას, ხშირად ეს შეუძლებელი აღმოჩნდება: შეუძლებელია ცნობილი ხელოვანის ფუნქცია იკისროს ნაკლებად ცნობილმა ხელოვანმა და ა.შ. ასე რომ, მეორე მხარის მზაობა, შეასრულოს ვალდებულება, საფუძველიანი უნდა იყოს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური აზრით. ვინ უნდა შეაფასოს ეს? ცხადია, ცდომილებაში მყოფმა, იგი ვალდებულია კეთილსინდისიერების საფუძველზე იმოქმედოს. სხვა

შემთხვევაში მისი მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდება.

მუხლი 78. წვრილმანი შეცდომები

წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.

ამ მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი შეცდომები მიეკუთვნება გარიგების შინაარსში დაშვებულ შეცდომებს. გამოანგარიშებებში შეცდომა მაშინაა, როდესაც ცდომილებაში მყოფი ცდება გარიგებით გათვალისწინებული საგნის შეფასების ფაქტორებში. მაგალითად, აქციების ნასყიდობისას ფასის განსაზღვრა მოხდა მისი საბირჟო კურსის ყალბი გაანგარიშებით. თუ გამოანგარიშებაში შეცდომა წვრილმანი აღმოჩნდება, მაშინ გარიგება კი არ გაბათილდება, არამედ მოხდება მისი შინაარსის ჩასწორება. ან კიდევ ავიღოთ შემთხვევა, როცა სამოქალაქო კოდექსის გამყიდველი შეცდომით მას ჰყიდის არა 10 ლარად, არამედ 11 ლარად. მყიდველს, ამ შემთხვევაში, შეუძლია გამყიდველისაგან მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი 1 ლარის უკან დაბრუნება და არა გარიგების გაბათილება. თუ რა უნდა ჩაითვალოს წვრილმან შეცდომად გამოანგარიშებაში, მისი შეფასებისას უნდა ამოვიღოთ სამოქალაქო ბრუნვის ჩვევებიდან, იურიდიული პრაქტიკიდან, ე.ი. ობიექტური ფაქტორებიდან უფრო, ვიდრე სუბიექტურიდან.

ამავე მუხლის მიხედვით, წვრილმან შეცდომას შეიძლება აღვიღოთ ჰქონდეს „წერილობით განხორციელებულ ნებას გამოვლენაშიც.“

მუხლი 79. შეცდომების ნამდვილობა

1. შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

2. თუ გარიგება ხაცილო გახდა და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენებისას ცდომილებაში მყოფმა პირმა შეცილება უნდა მოახდინოს მეორე მხარის წინაშე ნების გამოვლენით-განცხადების გაკეთებით. შეცილება რომ იყოს ნამდვილი, საჭიროა იგი მოხდეს მისი საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. თვით შეცილების უფლება ისპობა, თუკი ნების გამოვლენიდან გავა საერთო ხანდაზმულობით გათვალისწინებული ათ წლიანი ვადა. შეცილების შესახებ ვანცხადება უნდა აკმაყოფილებდეს ნების გამოვლენის საერთო წესებს. ვანცხადებაში გარკვევით უნდა ძიეთითოს შეცილების საფუძველზე.

2. ამ მუხლის მეორე პუნქტის თავისებურება ისაა, რომ შეცილების უფლების მქონე პირი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს გარიგების ბათილობით გამოწვეული ზიანი. ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ პრაქტიკული მოქმედების – დაუდევრობის შემთხვევაში და არა ზოგადად იმისათვის, რომ ვინც ავლენს ნებას, მას მეორე მხარე ენდობა და ამდგვარად მის წინაშე პასუხისმგებელიცაა გარიგების ნამდვილობაზე სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის ინტერესებიდან გამომდინარე. მოცემული მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადებას მიხედვით, დაზარალებულის ბრალი გამორ-

იცხავს შემცილებლის პასუხისმგებლობას როგორც ჩანს, „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.“

თუკი ნების გამოვლენა საჭიროებს მის მიღებას, მაგალითად, როგორიცაა ხელშეკრულებები, ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმას, ვისკენაცაა მიმართული ნების გამოვლენა. ეს უფლება გვაქვს მაშინაც, როდესაც არაა სავალდებულო ნების გამოვლენის შეტყობინება ხელშეკრულების დასადავად (335-ე მუხლი); თუკი სახეზეა ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი (მოწვევა ოფერტზე), მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე უფლება აქვს ნებისმიერ დაზარალებულს.

ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი ზიანი, მაგალითად, როგორიცაა შესრულების ინტერესი – ის სარგებელი, რომელსაც მხარე ნახავდა, გარიგება ნამდვილი რომ ყოფილიყო, არამედ ე.წ. „უარყოფითი ინტერესი“, უფრო სწორედ, „ნდობის ინტერესი“, რაც ტოლია იმ ზიანისა, რომელიც მხარემ განიცადა იმის გამო, რომ გარიგება ჩათვალა ნამდვილად და რომელსაც იგი არ განიცდიდა, რომ სცოდნოდა გარიგების ბათილობის შესახებ.

დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ უარყოფითი ინტერესის ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც არ იქნება იმ ინტერესზე მეტი, რასაც ადგილი ექნებოდა გარიგების შესრულების შემთხვევაში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მხარისათვის გარიგების ბათილად ცნობა შეიძლება უფრო სარგებელიანი აღმოჩენილიყო, ვიდრე მისი შესრულება.

ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული შუამავლად გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, რაც 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება.

შუამავალს მოცემულ შემთხვევაში მიეკუთვნება ის პირი, რომელიც ერთი პირის ნების გამოვლენას ატყობინებს მეორე პირს. ამ აზრით, შუამავალია როგორც კერძო პირები, ასევე საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება წერილებისა და ტელეგრაფების გაგზავნა. შუამავლის მიერ დაშვებული შეცდომა გარიგების შეცილების საფუძველია, თუკი სახეზეა არსებითი მნიშვნელობის შეცდომა. ასე მაგალითად, თუ ტელეგრამის ბლანკზე შე ვწერ: „გაყიდეთ“, მაგრამ სინამდვილეში ტელეგრაფისტს გადასცემს: „იყიდეთ“, ასეთ შემთხვევაში ჩემი ნება და ნების გამოვლენა არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც გარიგების საცილობის საფუძველია. თუკი შუამავალი განზრახ ამახინჯებს ნების გამოვლენას, მაშინ მე-80 მუხლი არ გამოიყენება, ვინაიდან ნების გამოვლენა ამ შემთხვევაში არ არსებობს და არც შეიძლება მას რაიმე კავშირი ჰქონდეს მეორე მხარის ნების გამოვლენასთან. ეს შედეგი დგება არა მარტო მაშინ, როდესაც შუამავალი განზრახ მოქმედებს, არამედ მაშინაც, როდესაც უნებლიეთ აღმოჩნდება არასწორი ნების გადაცემის რილში, ვთქვათ, მას შეუცვალეს წერილი, ანდა ერთმანეთში აერია რამდენიმე ნების გამოვლენის ადრესატი.

მე-80 მუხლის წესები არ გამოიყენება, როცა სახეზეა წარმომადგენელი. საქმე იმაშია, რომ წარმომადგენელი ახდენს არა სხვისი ნების გამოვლენის შეტყობინებას, არამედ საკუთარი ნების გამოვლენის შეტყობინებას. ამიტომაცაა, რომ 106-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, „ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება.“ წარმომადგენელი თვითონ, თავისი გადაწყვეტილებით ღებს გარიგებას, შუამავალი კი გადასცემს სხვისი ნების გამოვლენას. თუ წარმომადგენელი იტყოდა: „მე ვყიდულობ თქვენგან ბ-ს სახელზე ავტომობილს“, შუამავალს შეუძლია თქვას: „ბ-მ დამავალა გადმოძეცა, რომ ის თქვენგან ყიდულობს ავტომობილს“.

მე-80 მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილობის უარყოფითი შედეგების მიმართ გამოიყენება 79-ე მუხლის მეორე პუნქტის წესები.

II. მოტყუებით დადებული გარიგებანი

მუხლი 81. ცნება

1. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.

2. თუ ერთი მხარე ღუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტით არ არის განსაზღვრული, თუ რა ჩაითვლება მოტყუებად. მოტყუება ცდომილებაში განზრახ შეყვანაა. როგორც შეცდომის შემთხვევაშია, მოტყუების დროსაც სახეზეა ნების გამოვლენის ნაკლი. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ შეცდომისას ეს ნაკლი თვით ნების გამოვლენის პიროვნება-

შია, მის მიერ არასწორად განხორციელებულ ქმედობაში ან გარემოებათა არასწორ შეფასებაშია. მოტყუებისას კი ყოველთვის სახეზეა პირის სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედება. მოტყუებისას მნიშვნელობა არა აქვს მეორე მხარეს არასწორი წარმოდგენები მოგონილი და გაყალბებული ფაქტებით ექმნება, თუ არსებული ფაქტების არასრული შეტყობინებითა თუ დაძალვით. სამართლებრივად ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ სახის-ხარისხის მოტყუება, რაც გარიგების დადების საფუძველი გახდა, „როცა ამკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“.

თუ მოტყუების გარეშეც დაიდებოდა გარიგება, მაშინ ტყუილი ვერ გამოდგება გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად, თუმცა, სამართლებრივად იგი არც ნულის ტოლი იქნება. მოტყუებულ მხარეს ამ შემთხვევაში შეუძლია ძოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება. ამრიგად, ბათილობას იწვევს მოტყუება, რომელიც წარმოშობს ხელშეკრულებას (*dolus dans contractui*) და არა მოტყუება, რომელიც თვით ხელშეკრულებაშია (*dolus incidens in contractum*). არ შეიძლება მოტყუებად ჩაითვალოს ზოგიერთი ფაქტების შელამაზება-გაზვიადება, რაც სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით დაშვებულია. ასეა ხშირად სავაჭრო გარიგებებში, როცა ვაჭარი აქებს თავის საქონელს და ცდილობს, ამით ფასი გაზარდოს. ამგვარი ზომიერი რეკლამა, რომელსაც საფუძველად არ უდევს ბოროტი განზრახვა, ვერ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მოქმედებად.

2. ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუ ერთ-ერთი მხარის მხრიდან სახეზეა წაყრუება-დუმილი იმ გარემოებათა მიმართ, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას. მაშინ მოტყუებულს შეუძლია ძოითხოვოს გარიგების ბათილობა. პირის მოქმედება უნდა იყოს სამართლებრივად გასაკიცხი, ვინაიდან ყოველგვარი წაყრუება-დუმილი ვერ ჩაითვლება გარიგების ბათილობის საფუძველად. მხარის მოქმედება სამართლებრივად გასაკიცხი

მხოლოდ მაშინაა, როდესაც მას სპეციალურად ვვალდებოდა სიმართლე ეცნობებინა მოტყუებული მხარისათვის, ანდა ასეთი ვალდებულება გამოძინარეობდა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვევებიდან ან კეთილსინდისიერების პრინციპიდან. ამიტომაც, რომ გამყიდველი ტყუის, როცა იგი მყიდველს არ მიაწოდებს ინფორმაციას ნივთის არსებითი თვისებების შესახებ. მაგრამ გამყიდველზე ვერ ვიტყვით ტყუისო. თუკი იგი არ შეატყობინებს მყიდველს მის მიერ მიღებულ ისეთ ცნობებს, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქონლის ფასზე. მაგალითად, ნავთობით მოვაჭრე არ არის ვალდებული, მყიდველს აცნობოს თავისი კონკურენტებისა, თუ პარტნიორების შესახებ მიღებული ცნობები, რამაც შეიძლება მოცემულ მყიდველთან ურთიერთობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. მხარის გულღიასობის ხარისხი დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული ურთიერთობის ხასიათზე. ასე მაგალითად, იგი მეტია წარმომადგენლობის, ამხანაგობისა და დაზღვევის ურთიერთობებში, ვიდრე ნასყიდობის ურთიერთობაში. ამდენად, გარემოებათა გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდება კეთილსინდისიერად.

ბაზარში პროდუქციის საყიდლად შესული პირი, რომელმაც კარგად იცის იქ არსებული საქონლის ფასები, არაა ვალდებული აუხსნას ეს მდგომარეობა სოფლიდან ახლად ჩამოსულ გამყიდველს, რომელმაც ფასების უცოდინრობის გამო გაცილებით იაფად მიჰყიდა მას საქონელი. ამდენად, მოტყუებად ვერ ჩაითვლება ერთ-ერთი მხარის მიერ საქმის ნამდვილი ვითარების ცოდნის შემთხვევაში მისი მხრიდან წაყრუება-დუმილი, თუკი ცდომილების მდგომარეობაში მხარე მხარე თავისსავე ბრალით ვარდება. მაგრამ თუ კონტრაქტის თვისი აქტიური მოქმედებით შეუცდება განუმტკიცოს თავის პარტნიორს ცდომილების მდგომარეობა, რომელიც მისგან არ მოძინარეობს, მაშინ ასეთი მოქმედება უნდა განვიხილოთ როგორც

მოტყუება, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვაში არსებულ კეთილსინდისიერების პრინციპს.

მუხლი 82. გარიგების მიზნება ბათილად მოტყუების გამო

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ – მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას.

ამ მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობისათვის საკმარისია მარტოდენ მოტყუების ობიექტური ფაქტი, რის შედეგაც წარმოიშობა გარიგება. თვით მატყუარა მხარის მიზანი მიიღოს სარგებელი, ან მეორე მხარეს მიაყენოს ზიანი, გარიგების ბათილად ცნობისათვის არ წარმოადგენს აუცილებელ ნიშანს. პრაქტიკულად, ცხადია ძნელად წარმოსადგენია მხარე იტყუებოდეს და სახეზე არ იყოს აღნიშნული მიზანი, ანდა თავს ვინმე მოტყუებულად თვლიდეს, იუ ასევე რეალურად არ განხორციელებულა დასახელებული მიზანი. 82-ე მუხლის აზრით უნდა შეფასდეს იძულებით დადებული გარიგების საცილობის საკითხი. აქაც სამართალი გმობს ნების გამოვლენაზე უკანონო ზემოქმედებას. როგორც მოტყუება, ისე იძულება ეწინააღმდეგება ნების თავისუფლების პრინციპს. თუკი მოტყუების მიზანს შეადგენს კონტრაქტისათვის ზიანის მიყენება და ეს კიდევ განხორციელდება, ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია დაისვას სახელშეკრულებო და დელიქტურ სარჩელთა კონკურენციის საკითხი. მეტიც, თუკი მოტყუებას თან მოჰყვება ზიანი, შეიძლება დაისვას სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მოტყუება, სამოქალაქო-სამართლებრივი აზრით, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სისხლის სამართალში, ვინაიდან სამო-

ქალაქო სამართალში წაყრუება-დუმილიც კი სამართლებრივ შედეგებს იწვევს, თუკი იგი ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპებს, სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებს

მუხლი 33. მოტყუება მესამე პირის მხრიდან

1. მესამე პირის მხრიდან მოტყუებისას შეიძლება გარიგების ბათილობის მოთხოვნა, თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან.
2. თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება.

1. გარიგების ბათილობას იწვევს არამართო კონტრაქტის მხრიდან მოტყუება, არამედ მესამე პირის მხრიდან მოტყუებაც. ფართო გაგებით მესამე პირია ყველა ის პირი, რომელიც არ წარმოადგენს არც ნების გამოვლენის და არც ამ ნების გამოვლენის მიძღვებ პირს-მხარეს. სამოქალაქო კოდექსის აზრით, მესამე პირთა ცნება ვიწროდ უნდა განიმარტოს. ასეთ პირებად უნდა ჩავთვალოთ ის პირები, რომელთაც მხარეთა შორის დადებული გარიგების მიმართ დაპოუკიდებული ინტერესი გააჩნიათ და თავიანთი ნების გამოვლენით ორივე მხარეს ემსახურებიან. ასე მაგალითად, მესამე პირად ჩაითვლება მაკლერი, რომელიც თავისი საშუაშაგლო საქმიანობით ხელს უწყობს მხარეთა დაკავშირებასა და გარიგების დადებას. მაკლერს, ამ შემთხვევაში, დაპოუკიდებული ინტერესი გააჩნია და მისთვის ამდენადაა საინტერესო მხარეთა ინტერესები.

მესამე პირებად არ ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც მხოლოდ გარიგების ერთ-ერთი მხარის ინტერესებს ემსახურებიან, სუღერითა, დავალების საფუძველზე მოქმედებენ ისინი თუ მის გარეშე. ასე

მაგალითად, მესამე პირად ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი. ნების ნაკლზე იგი დამოუკიდებლად პასუხისმგებელი. ასევე ვერ ჩაითვლება მესამე პირად დავალების ვარეშე მოქმედი პირი, თუნდაც, რომ მისი მოქმედება მხარის მიერ მოწონებულ იქნეს.

მესამე პირის მხრიდან მოტყუება თავისთავად ვერ გამოიწვევს გარიგების ბათილობას. ამ შემთხვევაში მთავარია, თუ მას როგორ აღიქვამდა მხარე, რომელიც სარგებელს იღებდა ამ გარიგებიდან, კეთილსინდისიერი იყო იგი თუ არაკეთილსინდისიერი. თუკი მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ მესამე პირი ტყუის, ასეთ შემთხვევაში ვერ გაბათილდება გარიგება, ვინაიდან მხარეთა კეთილსინდისიერება აბათილებს ამასთან დაკავშირებულ ურთიერთპრეტენზიებსაც. სხვა საქმეა, სარგებლის მიძღები მხარის არაკეთილსინდისიერება. „თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მას“, მაშინ შეცილებაც დაშვებულია, ვინაიდან სარგებლის მიძღები მხარე ამ შემთხვევაში მესამე პირთან ერთად გამოიყურება, როგორც მოტყუებაში თანამონაწილე. ამიტომაც, როგორც წესი, შეცილება ხდება არა მესამე პირის მიმართ, არამედ არაკეთილსინდისიერი მხარის მიმართ. სხვა საქმეა, როდესაც მესამე პირი სარგებელს ღებულობს მხარეთა შორის დადებული გარიგებიდან, ე.ი. როცა მესამე პირის სასარგებლოდ იდება გარიგება. თუ ეს მესამე პირი თვითონ იტყუება ან იცოდა მოტყუების შესახებ, მაშინ შეცილებაც მის მიმართ ხდება.

2. ამ მუხლიდან ჩანს, რომ გარიგების ბათილობის საფუძველი მაშინაა, როცა მოტყუებით მოქმედებს გარიგების ერთ-ერთი მხარე. თუკი ორივე მხარე მოქმედებს მოტყუებით, ასეთ შემთხვევაში მათი ურთიერთპრეტენზიები ბათილდება. მეორე პუნქტის თანახმად, არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება. ურთიერთმოთხოვნების საფუძველად არც ის გამოდგება, თუ

რომელი მხარე მოტყუების რა ხერხებს მიმართავდა და საერთოდ, რა დონით ტყუოდა. როცა ორივე მხარე ტყუის, ეს ვითარება არსებითად ტოლფასია იგივე მდგომარეობისა, როცა არცერთი მხარე არ ტყუის.

მუხლი 84. შიშობის გაღა

მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ.

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობა ხდება მატყუარა მხარისადმი განცხადებას გაკეთებით. მესამე პირის მიმართ პრეტენზიის გაცხადება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გარიგება დადებულია მის სასარგებლოდ და მოტყუებაც მისგან მოდის.

იუ შეცდომით დადებული გარიგების შეცილების ვადა უდრიდა ერთ თვეს, მოტყუებისას იგი შეაღგენს ერთ წელს. ვადა აითვლება არა მოტყუების დროიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. ვადის დენის მიმართ, მართალია, ამ მუხლში მითითებული არ არის, მაგრამ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის ბ ქვეპუნქტისა და 134-ე მუხლის წესები.

შეცილების უფლება შეიძლება განხორციელდეს ხანდაზმულობის საერთო ათ წლიანი ვადის განმავლობაში ისევე, როგორც ეს ხდება შეცდომის შეწიხვევაში.

შეცილებული გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. იგი ბათილად ჩაითვლება არამართო მხარეთა და მათ უფლებამონაცვლეთა მიმართ, არამედ მესამე პირთა მიმართაც, სუ-

ლერთია, შესაბამე პირი კეთილსინდისიერი იქნება თუ არაკეთილსინდისიერი. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ გარიგება ნების ნაკლითაა დადებული. ასე მაგალითად, თუ ვინმე მოტყუებით ჩემგან იაფად იყიდის ჩემს ქონებას და შემდეგ ეს მყიდველი თავის ძხრივ მიჰყიდის კეთილსინდისიერ შესაბამე პირს-ახალ მყიდველს, პირველი გარიგების ნამდვილობაზე იქნება დამოკიდებული მეორის ბედი. მოტყუების ნიადაგზე პირველის ბათილობა მეორის ბათილობასაც გამოიწვევს და კეთილსინდისიერი მყიდველი ვალდებული იქნება ქონება დაუბრუნოს მოტყუებულ მხარეს.

III. იძულებით დადებული გარიგებანი

მუხლი 85. ცნობა

გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის ბოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს შესაბამე პირისაგან.

გარიგების ბათილობას იწვევს არამართო შეცდომა და მოტყუება, არამედ იძულებაც. იძულების დროს ადგილი აქვს აშკარა ჩარევას ნების გამოვლენის პროცესში. იძულების მიზანს გარიგების დადება წარმოადგენს. კოდექსი იძულების მიმართ პირდაპირ არ ითვალისწინებს 81-ე მუხლის პირველი პუნქტის მხარე წინადადებით გათვალისწინებულ წესს. იძულება მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გარიგების ბათილობის საფუძვლად, როდესაც მისი ზეგავლენით მოხდა გარიგების დადება. იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს.

იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში ან მუქარაში. ძალადობა ფიზიკურ იძულებას გულისხმობს, ასე მაგალითად, კონტრაპენტს ძალით აწერებინებენ ხელს ხელშეკრულებაზე მის ხელზე ხელის მოკიდებით, ან მძიმე ფიზიკური ტანჯვის მიყენებით, ანდა ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში მყოფს არწმუნებენ იკისროს ვალდებულება, ასეთ ვითარებაში პირი ფაქტობრივად იქცევა სხვისი ნების ინსტრუმენტად, რაც საერთოდ გამორიცხავს რაიმე შეთანხმების არსებობას. სხვა მდგომარეობა გვაქვს მუქარის შემთხვევაში. ამ დროს მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიში აიძულებს პირს მოახდინოს სხვისი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა. სწორედ მაიძულებელი პირისათვის სასურველი ნების გამოვლენა წარმოადგენს მუქარის მიზანს.

იძულება, როგორც წესი, გარიგების მხარისაგან მომდინარეობს. მაგრამ გარიგების ბათილობას იწვევს მესამე პირისაგან მომდინარე იძულებაც.

სავსებით შესაძლებელია, რომ მესამე პირი და გარიგების კონტრაპენტი ერთად ახორციელებდნენ იძულებას. ამ შემთხვევაშიც დაზარალებულ მხარეს კონტრაპენტთან ექნება საქმე. თუკი იძულება მარტოოდენ მესამე პირიდან მომდინარეობს და დაზარალებულმა არაფერი იცის ამის შესახებ, ეს მაინც ვერ იქნება ის საფუძველი, რაც გარიგებას ძალას შეუნარჩუნებდა. იძულების ქვეშ მყოფ მხარეს ყოველთვის შეუძლია გარიგების ბათილობა მოითხოვოს.

მუხლი მნ. იძულების ხასიათი

1. გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.

2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება

პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.

1. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი იძულება, არამედ ისეთი, „რომელსაც თავისი სასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე“. პირზე გავლენას კი ახდენს ისეთი იძულება, რომელიც აფიქრებინებს მას, რომ „მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება“. ამიტომაც, ვერ ჩაითვლება გარიგების ბათილობის საფუძვლად, თუ პირი იმუქრება იმით, რომ გაწყვეტს საქმიან კავშირებს ჩვენთან და სხვასთან დაამყარებს მას, მიატოვებს ჩვენთან სამსახურს და გადავა სხვა საწარმოში სამუშაოდ, გახსნის ჩვენთვის კონკურენტუნარიან საწარმოს და სხვ.

თუ ვინ იგულისხმება პირის ქვეშ, აქ როგორც წესი, შეფასების საზომს წარმოადგენს ობიექტური კრიტერიუმი, მხედველობაშია, ჩვეულებრივი, გონივრული, ნორმალური ადამიანი და არა განსაკუთრებული ნებისყოფით დაჯილდოებული, ანდა დაბალი ნებისყოფის მქონე პირი. ყველას არ მოეთხოვება იყოს ალუდა ქეთელაური ან ქეთევან წამებული.

იძულება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიან იძულებად, თუკი იგი რეალური საფრთხის მაუწყებელია. თუ საფრთხე მოჩვენებითია, მაშასადამე, იძულებაც ამ აზრით არარსებულია.

2. ამ მუხლის მეორე პუნქტით იძულების შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გამოცდილებანი. ბუნებრივია, არასრულწლოვანის იძულებისათვის შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს შედარებით დაბალი ხარისხის იძულება. იგივე უნდა ითქვას ქალის მიმართაც. თუ მხედველობაში მივიღებთ იძულებისადმი მამაკაცთან შედარებით ქალის ადვილად დამორჩილების მდგომარეობას, აქაც შეიძლება შედარებით ნაკლები

იძულება აღმოჩნდეს ზემოქმედებაუნარიანი. ცხოვრებისეული გამოცდილებითაც შეიძლება იძულების დიფერენცირება. ამ აზრით, ვერ შევხედავთ ერთიანი საზომით ქალს, რომელიც დიასახლისია და ქალს, რომელიც პოლიციოს თანამშრომელია ანდა სპორტსმენია კარატეში. ცხადია, მნიშვნელოვანია, ძალადობას აქვს ადგილი, თუ მუქარას, ანდა ვისკენაა იგი მიმართული.

მუხლი 87. იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ

იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

იძულება გარიგების ბათილობას იწვევს არა მარტო მაშინ, როცა ამ იძულების უშუალო აღრესატი გარიგების მხარეა, არამედ მაშინაც, როცა იგი მიმართულია კონტრაქტენტის ახლობელთა წინააღმდეგ. ესენია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლე, ოჯახის სხვა წევრები და ახლო ნათესავები. ახლო ნათესავებად უნდა ჩავთვალოთ 1336-ე მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებიც კანონისმიერ შემკვიდრეთა წრეში ირიცხებიან.

კონტრაქტენტის მხრიდან იძულების შეფასებისას გამოიყენება ობიექტური კრიტერიუმი. იგულისხმება, რომ 87-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა მიმართ იძულება კონტრაქტენტზე მოახდენს იმ დონის გავლენას, რაც სამართლებრივად მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება გარიგების ბათილად ცნობისათვის. მართალია, სასამართლომ წესად უნდა მიიღოს ეს ობიექტური ხასიათის საზომი, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მან სუბიექტურ გარემოებებსაც უნდა მიაქციოს ყურადღება. შეიძლება კონტრაქტენტისა და ახლო ნათესავის ურთიერთობა არ იძლევა საფუძველს, იძულება გარიგების ბათილ-

ობის საკმარის საფუძველად ჩავთვალოთ. მაგალითად, თუ კონტრაქტსა და მის ახლო ნათესავს შორის ნათესაური ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, სინამდვილეში კი მათ შორის მტრული ურთიერთობაა, ბუნებრივია, ამ გარემოების შეფასებაც უნდა მოახდინოს სასამართლომ.

მთავარია არა თავისთავად ნათესაური კავშირები, არამედ მასთან დაკავშირებული ინტერესები და განცდები.

მუხლი 88. იძულება მართლწოდებით საშუალებებით

85–87-ე მუხლების მიხედვით იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებია.

იძულების შეფასებისას უნდა ამოვიღეთ იქიდან, მართლწოდებით მიზნით და საშუალებებით ხორციელდება იძულება, თუ მართლსაწინააღმდეგო მიზნითა და საშუალებებით. ვარიეტების ბათილობისათვის საკმარის იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებანი, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, ე.ი. მიზანი და საშუალება თუ მართლწოდებია, მაშინ არ არსებობს ვარიეტის საცილობის საფუძველი. ასე მაგალითად, თუ ვინმე მე მაიძულებს მასთან დავდო ვარიეტა იმ მუქარით, რომ სასამართლოში განაცხადებს ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში მე ვერ მოვითხოვ ვარიეტის ბათილობას, ვინაიდან, არც ვარიეტის დადების განზრახვაშია რაიმე კანონსაწინააღმდეგო და არც იძულების საშუალებაა ასეთი. ჩემი დანაშაულის გამხელით პირი მართლსაწინააღმ-

დევოდ კი არ იქცევა, არამედ მართლზომიერად, სხვა საქმეა, როდესაც იძულების საშუალება და იძულების მიზანი არ შეესაბამებიან ერთმანეთს. ამ დროს შეიძლება გარიგება ცნობილ იქნეს ბათილად. შეიძლება საშუალება იყოს მართლსაწინააღმდეგო, მიზანი კი — მართლზომიერი. ასე მაგალითად, კრედიტორი, რომელთანაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვიმყოფები, დამემუქრა სიცოცხლის ხელყოფით, თუკი მე მას ნაკისრ ვალდებულებას არ შევუსრულებ, ვთქვათ, არ გადავუხდი ფულად ვალს, არ დავუბრუნებ ნივთს და ა.შ. მოუხედავად იმისა, რომ მე იძულების გარეშეც ვალდებული ვიყავი შემესრულებინა კრედიტორის ეს ბოთხოვნა, მას მაინც არა აქვს უფლება ამ მიზნით მიმართოს მართლსაწინააღმდეგო იძულებას. არ შეიძლება სამოქალაქო ბრუნვაში მკვიდრდებოდეს პრინციპი, რომ უფლება შეიძლება განხორციელდეს უკანონო საშუალებითაც, თვითნებობა იკრძალება. სხვა შედეგი დადგებოდა, თუკი იგივე იძულება-თვითნებობა გამოყენებული იქნებოდა მოვალეზე იმ ზემოქმედების მიზნით, რომ მას კრედიტორის წინაშე მოეხდინა შესრულება. ვთქვათ, მესამე პირმა მე მაიძულა ნათხოვარა ან ნაქირაუები ნივთი კრედიტორისათვის გადამეცა, რომლის გადაცემის ვადაც დამდგარია. ამ შემთხვევაშიც შეიძლება საცილო გავხადო მოვალეობის იძულებითი შესრულება და მოვითხოვო ნივთის უკან დაბრუნება, მაგრამ ეს ვერ განხორციელდება, რადგანაც კრედიტორს შეუძლია ჩემი ბოთხოვნა გააბათილოს თავისი ბოთხოვნით. თავად კრედიტორიდან რომ წამოსულიყო იძულება, მაშინ გამორიცხული იქნებოდა შესაგებლები და ჩათვლები. შესაძლებელია, რომ მართლსაწინააღმდეგო აღმოჩნდეს როგორც იძულება, ისე მისი მიზანი. მაგალითად, ვინმე მაიძულებს ახლო ნათესავის მოკვლის მუქარით მონაწილეობა მივიღო ნარკოტიკული ნივთიურების გასაღებაში ან სხვა დანაშაულის ჩადენაში. მართალია, აქ იძულებაცა და მისი მიზანიც ერთმანეთთან შესაბამისობაშია, თუმცა ორივე მართლსაწინააღმდეგოა.

მუხლი 89. შეცდომების ვადა

იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა იგივეა, რაც მოტყუების შემთხვევაშია და შეადგენს ერთ წელს. ვადა აითვლება იძულების დამთავრების მომენტიდან. იძულება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, რა დროიდანაც პირი იქცევა სხვისი ნების გამოვლენის იარაღად. ამ შემთხვევაშიც შესაბამისად გამოიყენება მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების წესი.

თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში როგორც იძულება, ისე მოტყუება უნდა განვიხილოთ არამართო როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც. შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია, თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნას ერთ წლიანი ვადის გასვლის შემდეგაც. საცილო გარიგების მიმართ ასევე გამოიყენება უსაფუძვლოდ გამდიდრების შესაბამისი წესები. იმის მიუხედავად, ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მასი შეცილება მოხდა, თუ არა.

თავი მეხუთე

პირობითი გარიგებანი

მუხლი 90. ცნება

პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე.

ტერმინი „პირობა“ იურიდიულ ენაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ხშირად პირობა თავად გარიგების არსებობის პირობას წარმოადგენს. აქ პირობა გარიგების შემადგენლობის არსებითი პირობაა, რომელსაც თვით კანონი ითვალისწინებს და პირთა ნებაზე არ არის დამოკიდებული. ასეთს შეიძლება მივაკუთვნოთ გარიგების ნამდვილობის პირობები. თუ კანონი მოითხოვს გარიგების ნამდვილობისათვის წერილობით ფორმას, მაშინ ეს ფორმა იქნება გარიგების ნამდვილობის პირობა; ან კიდევ, არასრულწლოვანის მიერ გარიგების დადებისას ასეთს შეიძლება წარმოადგინდეს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობა, ქორწინებისას – საქორწინო ასაკს მიღწევა და ა.შ. ყველა ასეთ შემთხვევაში სახეზეა ობიექტური პირობები, რომლებიც განაპირობებენ გარიგების, როგორც სამართლებრივი კატეგორიის არსებას (არსებობას) და იგი მოკლებულია დამატებითი ფაქტის მნიშვნელობას. ეს პირობები გარიგების პირობებია, რაც არაა 90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი გარიგების იდენტური.

90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი გარიგება ისეთი გარიგებაა, რომლისთვისაც პირობას აქვს დამატებითი ფაქტის მნიშვნელობა და თვით გარიგებას კი არ განაპირობებს. არამედ ამ გარიგების იურიდიულ შედეგებს განსაზღვრავს იმით, რომ „ან

გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე“. პირობა სამომავლო და უცნობ მოვლენას უკავშირდება. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება გარიგების მოტივი, რომელიც განაპირობებს გარიგების შედეგებს. მთელი ეს ურთიერთობა გამოიხატება „თუ“ და „მაშინ“ კავშირებით. ასე მაგალითად, უცხოელი ქირაობს თბილისში ბინას იმ პირობით, თუ მას საქართველოში ყოფნის ვადას გაუგრძელებენ, ანდა პირიქით, იგი ქირავნობის ხელშეკრულებას შეწყვეტს, თუკი მას გაიწვევენ თავის ქვეყანაში; პირი ვალდებულებას კისრულობს შეიძინოს თავისი მეზობლისაგან მიწის ნაკვეთი. თუკი ამ ნაკვეთის მახლობლად გაივლის ნავთობსადენი, ანდა, პირიქით, იგი ყიდულობს მიწის ნაკვეთს იმ პირობით, თუკი ამ ნაკვეთის ახლოს არ გაივლის ნავთობსადენი. გარიგებით გათვალისწინებული შედეგები შეიძლება დამოკიდებული იყოს რამდენიმე პირობაზე. ეს პირობები შეიძლება იყოს კუმულატიური ან ალტერნატიული. კუმულატიური პირობის შემთხვევაში გარიგების იურიდიული შედეგების დადგომისათვის აუცილებელია ყველა პირობის დადგომა, ალტერნატიული პირობის შემთხვევაში კი საკმარისია ერთ-ერთი პირობის დადგომაც.

პირობის საშუალებით ხდება აწმყოსაგან ჩვენი ემანსიპაცია და მომავლის დამორჩილება, მომავლის შემთხვევითობებთან სამართლებრივი ურთიერთობის შეგუება. აქ არა გვაქვს მომავალში ნების „თვითშეზღუდვა“, პირიქით, პირობის წყალობით ფართოვდება ნების „ბატონობის“ ფარგლები.

პირობა უნდა იყოს უცნობი. მხედველობაშია ობიექტურად უცნობი მოვლენა, რაც მხოლოდ მომავალს განეკუთვნება. წარსული და აწმყო აქ მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან ისინი არ იწვევენ იურიდიული ურთიერთობის განუსაზღვრელობისა და გადაუწყვეტაობის მდგომარეობას, რაც არსებითი ნიშანია პირობითი გარიგებებისათვის.

თუკი მოვლენა ობიექტურად ცნობილია, მაგრამ მხარეთათვის იგი უცნობია, მაშინ ასეთი ალტერნატივის წინაშე დავრჩებით: ან ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა და ამდენად, გარიგება თავიდანვე უპირობოა, ანდა მას არ ჰქონია ადგილი და გარიგებაც არ წარმოშობს არავითარ შედეგებს.

მუხლი 91. მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური პირობის ბათილობა

ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია.

ამ მუხლის განმარტებისას, შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 54-ე მუხლის წესები, რითაც ბათილად ითვლება გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. 91-ე მუხლის მიხედვით, ბათილ პირობებს მიეკუთვნება უკანონო, უზნეო და შეუძლებელი შინაარსის მქონე პირობები. ასე მაგალითად, თუკი გარიგების პირობად ვინმეს მკვლელობა იქნება დათქმული, ასეთი პირობა კანონსაწინააღმდეგოდ იქნება და ზნეობის საწინააღმდეგოდ. თუ უკანონო და უზნეო პირობა შეიძლება სინამდვილეში დადგეს, შეუძლებელი პირობა ობიექტურად უსიცოცხლოა, თავიდანვე ჩანს, რომ იგი არ დადგება. გავისხენოთ ცნობილი ოხუნჯის მოლა ნასრედინის ვალდებულება შაჰის წინაშე, რომ იგი ყოველწლიური გასამრჯელოს ხარჯზე ვირს ლაპარაკს ასწავლიდა. ასეთი პირობა, ჩანს, რომ თავიდანვე შეუსრულებადია. ან კიდევ საფეხბურთო კლუბმა ფეხბურთელებთან დადებული ხელშეკრულების პირობად უეფას თასის მოგება მოითხოვა, როცა აღმოჩნდა,

რომ ეს კლუბი საერთოდ არ მონაწილეობს ამ გათამაშებაში. ცხადია, აქ ჩამოთვლილ პირობათა შესრულება შეუძლებელია.

უკანონო, უზნეო და შეუძლებელი პირობები გარიგების ბათილობას იწვევენ იმის მიუხედავად, ეს პირობები გადადებითია თუ გაუქმებითი, ანდა, თვით გარიგება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო. შეფასების კრიტერიუმი ყველა შემთხვევაში ობიექტურია და გამოძინარეობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა-სიმყარის მოთხოვნებიდან. თორემ უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გავრცელებულია აზრი, რომლის მიხედვითაც, უკანონო და უზნეო პირობით დადებული გარიგება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ბათილად, როცა პირობა გადადებითია. გაუქმებით პირობას არ უნდა მოჰყვეს ასეთი შედეგები. ან კიდევ, აღნიშნული პირობით დადებული მხოლოდ სასყიდლიანი გარიგება ჩაითვალოს ბათილად.

91-ე მუხლის მეორე წინადადების მიხედვით, უკანონო, უზნეო და შეუძლებელი პირობით დადებული გარიგება მთლიანად ბათილია. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება 62-ე მუხლის წესები, რითაც აღიარებულია გარიგების ნაწილის ნამდვილობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ 91-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირობითი გარიგება იმიტომაა პირობითი, რომ იგი მთლიანად დამოკიდებულია რაიმე სამომავლო ან უცნობ მოვლენაზე.

მუხლი 92. ნებაზე დამოკიდებული პირობა

ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია.

პირობის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მხარეთა ნებაზე არაა დამოკიდებული. სწორედ ამის წყალობით იძენს იგი სამართლებრივ

ძალმოსილებას. მაგრამ თუ პირობა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, მაშინ ამ პირობით დადებული გარიგება პათილი იქნება. 95-ე მუხლის განსაზღვრებით ნებაზე დამოკიდებლად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. სხვანაირად, ასეთ პირობას პოტესტატური პირობა ეწოდება. ამ პირობისადმი კანონის ნეგატიური დამოკიდებულება უნდა აიხსნას იმით, რომ თუ პირობის მართვა ერთ რომელიმე მხარეზე იქნება დამოკიდებული, ცხადია, იგი ყოველთვის შეეცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იგი: თუ ხელს აძლევს მისი დადგომა, დააყენებს კიდევ, თუ არადა არც დადგება ასეთი პირობა. ასეთ ვითარებაში ამ მხარის ნების გამოვლენაში შთაინთქმება მოცემული პირობა და მის ელემენტად იქცევა.

შარიალია, მოცემულ მუხლში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი სახის პოტესტატური პირობა: უბრალოდ პოტესტატური და წმინდა პოტესტატური. უბრალოდ პოტესტატურის შემთხვევაში ადგილი აქვს დაინტერესებული პირის მხრიდან არა მარტო ნების გამოვლენას, არამედ გარკვეული გარეგნულად გამოხატული მოქმედების განხორციელებასაც, მაგალითად, თუ თქვენ საცხოვრებლად გადმოხვალთ თბილისში, მოგაქირავეთ ბინას; შე გაძლევთ თქვენ ჩემი სახლის უპირატესი შესყიდვის უფლებას, თუკი ოდესმე განვიზრახავ მის გაყიდვას. უბრალოდ პოტესტატური პირობა არ წარმოადგენს ხელშემშლელ გარემოებას ვალდებულების წარმოშობისათვის. ამ პირობით დადებული გარიგება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს. მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულება ნამდვილია, ვინაიდან დათქმული გარემოებათა დადგომა დამოკიდებულია არა მარტო მის ნებაზე, არამედ მის მიერ უშარიაკ გარემოებებზეც. ასეთ ვითარებაში შე ვალდებული ვიქნები, მივაქირავო ბინა პირს, რომელიც გადმოვა საცხოვრებლად თბილისში. ასევე ვალდებული ვიქნები. სახლი პირველ რიგში მივეყიდო

იმ პირს, ვისაც შევპირდი, თუკი დავაპირებდი მის გაყიდვას.

წმინდა პოტესტატური პირობის შემთხვევაში მოვლენის დადგომა დამოკიდებულია მთლიანად ერთი მხარის ნებაზე და ამ ხრით, სულაც აღარაა იგი შემთხვევითი და გამოუცნობი. ამიტომაც, აპრობა უფრო კატეგორიულ, იმპერატიულ ფორმაში გამოიხატება. ზემოთ მოტანილი გამოთქმები ამ შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებდა: თუ მე მოვისურვებ, თუ მე ამას ჩავთვლი საჭიროდ. უნდა ვიფიქროთ, რომ ვალდებულება არ წარმოშობა, როცა მე განვაცხადებ, რომ მე თქვენ მოგყიდით სახლს მისი გაყიდვის შემთხვევაში, თუ მე ამას საჭიროდ ჩავთვლი. აქ არავითარი შეთანხმება არაა. პირობა მხოლოდ მოვალისთვისაა პირობა. სხვანაირად იქნებოდა საქმე, თუკი წმინდა პოტესტატური პირობა კრედიტორისათვის იქნებოდა გათვალისწინებული. ასე მაგალითად, მე ვკისრულობ ვალდებულებას, 10 თებერვლისათვის გადმოგცეთ სესხად 1000 ლარი, თუ თქვენ ამას მოისურვებთ. ასეთი პირობის ვითარებაში მე ვალდებული ვიქნები, ვადის დადგომისას გადავცე ფული მხარეს, თუკი იგი ამას მოისურვებს.

მუხლი 93. პოზიტიური პირობა

1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა.

2. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია.

1. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობა დადებითი, ანუ პოზიტიური პირობაა, ვინაიდან გარიგების შესრულება დაკავშირებულია რაიმე მოვლენის დადგომასთან. მოვლენა უნდა დადგეს მხარეთა

ძიერ შეთანხმებულ ვადაში. თუ ეს არ მოხდება, გარიგებით გათვალისწინებული შესრულებაც ძალას მოკლებული იქნება. ასე მაგალითად, მშობელი შეჰპირდა შვილს საჩუქარს, თუ იგი მიმდინარე წელს ჩაირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თუ შვილი ვერ ჩაირიცხება აღნიშნულ უნივერსიტეტში, საჩუქარსაც ვერ მიიღებს. ამდენად, პირობა ძალადაკარგულად ჩაითვლება, რადგან დათქმულ ვადაში ბოვლენა არ დამდგარა; პირობის ძალადაკარგულად გამოცხადება შეიძლება არა მხოლოდ გადადებითი პირობის შემთხვევაში, არამედ გაუქმებითი პირობის შემთხვევაშიც.

ძალადაკარგულადვე გამოცხადდება პირობა, თუკი ვადის გასვლამდე, თავიდანვე ცხადი შეიქმნება, რომ ბოვლენის დადგომა შეუძლებელია. მაგალითად თუკი მოტანილ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, საერთოდ შეწყდება აბიტურიენტებს მიღება მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში და ეს უკვე ცნობილია მხარეთათვის.

2. ბოვლენის დადგომა შეიძლება არც კი იყოს დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ ვადასთან და შემოიფარგლოს განუსაზღვრელი ვადით. ასეთ ვითარებაში შეიძლება პირობა ნებისმიერ დროს შესრულდეს. იგივე შემთხვევას თუ მივმართავთ, მაშინ შეიძლება ასეთი სახე მივცეთ მას: როცა მშობელი ჰპირდება შვილს საჩუქარს, თუ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხება, მაშინ მნიშვნელობა აღარ ეძლევა იმას, მიმდინარე წელს ჩაირიცხება იქ, თუ სხვა დროს. როცა არ უნდა ჩაირიცხოს, თუ ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, იგი უნდა შესრულდეს, შვილმა საჩუქარი უნდა მიიღოს. ან კიდევ, ცნობილი მაგალითი, როცა მასწავლებელი უფლებას იტოვებს თავისი აღსაზრდელისაგან მიიღოს სწავლების საფასური, თუკი მისი აღზრდილი თავის პირველ სასამართლო პროცესს მოიგებს.

პირობა ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუკი აშკარა შეიქმნება,

რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია. პირი აქირავებს თავის ბინას იმ პირობით, რომ თუ მიმდინარე წელს დამქირავებელი მოიყვანს ცოლს, მაშინ ის ვალდებული იქნება გაათავისუფლოს დაქირავებული ბინა. ცხადია, თუ დამქირავებელი დაქორწინდება, ქირავნობის ხელშეკრულებაც მოიშლება.

მუხლი 94. ნაპატივრი პირობა

1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე; პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია.

2. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, პირობა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება.

1. ამ მუხლით გათვალისწინებული წესი 93-ე მუხლით გათვალისწინებული წესის მსგავსია. განსხვავება იმაშია, რომ თუ 93-ე მუხლის შემთხვევაში გარიგების იურიდიული შედეგები დაკავშირებული იყო დადებით პირობასთან, აქ სახეზეა უარყოფითი პირობა. ასე მაგალითად, ფეხბურთის ფედერაცია კპირდება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს საჩუქარს, თუ ის მიმდინარე სეზონში არ დადებს კონტრაქტს სხვა გუნდთან. თუკი ეს ვადა გავა და ფეხბურთელი არ გააფორმებს კონტრაქტს სხვა გუნდთან, იგულისხმება, რომ პირობა შესრულებულია. უარყოფითი პირობა შეიძლება იყოს არამართო გადადებითი, არამედ გაუქმებითიც. თუ ფეხბურთის ფედერაცია საჩუქარს უკვე გადასცემს ფეხბურთელს ზემოთმოყვანილი პირობით, იგულისხმება, რომ მისი დაუდგომლობისას მოხდება გარიგების შედეგების ბათილობა, ე.ი. საჩუქარი უკან დაუბრუნდება ფეხბურთის ფედერაციას.

ამრიგად, მოვლენის დადგომა პირველ შემთხვევაში იწვევს შეპირებული საჩუქრის მოუღებლობას, მეორე შემთხვევაში კი – უკვე გადაცემული საჩუქრის უკან დაბრუნებას.

პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია. ასე მაგალითად, ფეხბურთის ფედერაცია „ლინამოს“ ფეხბურთულს ჰპირდება ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას, თუ ის უარს იტყვის უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე. თუ უეფას თასის გათამაშებამდე ფეხბურთულს აეკრძალა მასში მონაწილეობის მიღება, ივარაუდება, რომ ვადის გასვლამდეც აშკარაა, რომ ის ვერ მიიღებს ამ თამაშებში მონაწილეობას და ამდენად უფლებამოსილია ეროვნულ თამაშებში მონაწილეობაზე.

2. მეორე პუნქტის შემთხვევაში ნეგატიური პირობის შესრულება არ არის შეზღუდული რაიმე მკაცრად განსაზღვრული ვადით, მისი შესრულების ვადა განუსაზღვრელია. რა მომენტშივეც ნათელი შეიქმნება, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია, პირობაც შესრულებულად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში არსებითად მეორდება პირველი პუნქტის მეორე წინადადების დანაწესი. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მოვლენის დადგომის ვადებშია, თორემ, თუ ამ მოვლენის დადგომა შეუძლებელია, მაშინ მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, ეს მოვლენა როდის უნდა დამდგარიყო – მიმდინარე წელს, თუ ვადა განუსაზღვრელი იყო და შესაბამისად სულ ერთი იყო როდის დადგებოდა იგი. ორივე შემთხვევაში ნეგატიური პირობა შესრულებულად ჩაითვლება.

მუხლი 95. პირობის დადგომაზე წამოქმედების დაუშვებლობა

1. იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს

მისი ვალდებულების შესრულებას.

2. თუ პირობა დგება განსაზღვრულ დროს და პირს უკვე შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამგვარი მოქმედებით წარმოშობილი ზიანი.

1. პირობითი გარიგების მონაწილეები პირობის დადგომამდე ურთიერთშებოჭვის მდგომარეობაში იმყოფებიან. დაუშვებელია პირობის დადგომამდე რაიმე ისეთი მოქმედების განხორციელება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ნების გამოვლენის სუბიექტს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ აზრი დაეკარგებოდა პირობის დადგომასაც. თუ ერთი პირი შეპირდება მეორეს საჩუქარს პირობის დადგომის შემთხვევაში, იგულისხმება, რომ მეორე მხარეს უკვე წარმოეშვა პირობითი უფლება. ამ უფლებით უკვე შეზღუდულია საჩუქრის შემპირებელი. მართალია, იგი ჯერ კიდევ მესაკუთრეა შეპირებული საგნის, მაგრამ უფლება არა აქვს გაასხვისოს იგი. ახ ასე მოიქცეს, რომ შეუძლებელი გახდეს დასაჩუქრებულზე მისი დათქმულ მდგომარეობაში გადაცემა. მართალია, ვალდებულება პირობითია, მაგრამ ის მაინც ვალდებულებაა და გარიგების მონაწილე ხელს უნდა უწყობდეს მის შესრულებას.

95-ე მუხლის წესები გამოიყენება როგორც გადაღებითი, ისე გაუქმებითი პირობის შემთხვევაში. იგი მიმართულია პოზიტიური ინტერესებისაკენ.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს. ვთქვათ, დადგა მხარეთა შორის დათქმული პირობა, რომელსაც ნივთის გადაცემა უნდა მოჰყოლოდა შედეგად, მაგრამ ნივთი უკვე გასხვისებულია, განადგურებულია. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას? ამ შემთხვევაში ბრალეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ასეთი მოქმედებით გამოწვეული ზიანი.

გარიგება გადაღების პირობით დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ანდა ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია.

პირობა შეიძლება იწვევდეს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. ამ შემთხვევაში პირობითი უფლება მხოლოდ მოსალოდნელი უფლებაა, რომელიც თან უნდა მოჰყვეს დათქმული პირობის დადგომა-დაუდგომლობას. მაგალითად, ერთი პირი ჰპირდება მეორეს, რომ აჩუქებს მას თავის ავტომობილს, თუკი იგი ლატარიის გათამაშებაში მოიგებს ბინას, ანდა სახლის დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულებას კისრულობს გადაუხადოს დამზღვევს საზღაური, თუკი დადგება სადაზღვევო შემთხვევა. აქ მოცემული პირობა გადაღებითია. რადგანაც მის დადგომამდე ვალდებულება გამოურკვეველ და შესაძლებლობის მდგომარეობაშია მხოლოდ. მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია წარმოიშობა იგი თუ არა.

გადაღებითი პირობა ნების გამოვლენის სუბიექტებს ერთმანეთთან აკავშირებს აწმყოშივე. პირობითი ნების გამოვლენა ისევე სავალდებულოა, როგორც უპირობო. თუ სახეზეა ხელშეკრულება, მასზე უარის თქმა შესაძლებელია იმავე საფუძვლებით, რითაც ხდება უარის თქმა ყველა სხვა ხელშეკრულებაზე. მხარეები ვალდებულნი არიან ისეთივე გულისხმიერება გამოიჩინონ ხელშეკრულების საგნის მიმართ, როგორც ეს ხდება ხოლმე ყველა სხვა ხელშეკრულებაში. ამ მოვალეობის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას. ამდენად, გადაღების პირობით დადებულმა გარიგებამ აწმყოშიაც – პირობის დადგომამდე შეიძლება გამოიწვიოს იურიდიული შედეგები.

ის, ვინც გადადების პირობით ივალდებულებს გადასცეს სხვას ნივთი, პირობის დადგომამდე ძველებურადვე ითვლება ამ ნივთის მესაკუთრედ და თავისი მოვალის კრედიტორად. ამ ხნის განმავლობაში მას შეუძლია ნივთის მიმართ გაჰოიფენოს ნებისმიერა სანივთო და ვალდებულებითი უფლებები, თუკი ისინი ხელს არ შეუშლიან პირობის დადგომის შემთხვევაში მის მიერ ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას.

მართალია, კოდექსი პირდაპირ არაფერს იტყობინება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ პირობითი უფლების ბატარებელს შეუძლია წინასწარვე, თავიდანვე მიიღოს ზომები ამ უფლების უზრუნველსაყოფად: გირაოთი, იპოთეკით, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციით.

გადადების პირობით დადებული გარიგება დადებულად ითვლება ნების გამოვლენის მომენტიდან და არა პირობის დადგომის მომენტიდან. პირობის დადგომის დროიდან ხდება პირობითი უფლების განხორციელება.

მუხლი 97. გარიგება გაუქმების პირობით

გარიგება გაუქმების პირობით დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას.

ამ მუხლით ვათვალისწინებულ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა დაუყოვნებლივ გარიგების დადების დროიდანვე. უცნობია მხოლოდ ის, მისი მოქმედება გაგრძელდება, თუ არა. გარიგება იწვევს ვათვალისწინებულ იურიდიულ შედეგებს იმის მიუხედავად, პირობა დადგება, თუ არა. ამ ვითარების გარკვევამდე იგი მოქმედებს ისე, თითქოს უპირობო გარიგება ყოფილიყო.

ასე მაგალითად, ბინის მესაკუთრე აქირავებს ბინას იმ პირობით, თუ მისი შვილი ცოლს მოიყვანს, დააქირავებელი დაუყონებლივ გაათავისუფლებს ბინას; ან კიდევ, მშობელი ჩუქნის შვილს ავტომობილს იმ პირობით, თუ ის უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხება. პირობის დადგომამდე არსებულ შუალედში საჩუქრის შემბენი სარგებლობს მესაკუთრის ყველა უფლებით. გაურკვეველია მხოლოდ მისი სიმყარე. თუ არ დადგება დათქმული პირობა, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობაც შეწყვეტს არსებობას და აღდგება ის მდგომარეობა, რაც გარიგების დადებამდე იყო. ნივთის გამსხვისებელი კვლავინდებურად მისი მესაკუთრე ხდება და მასზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება. მას უფლება აქვს მოახდინოს ამ ნივთის გამოთხოვა ნებისმიერი მესამე პირისაგან, რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის პერიოდში გადაეცა იგი.

მუხლი 98. კეთილსინდისიერების მნიშვნელობა პირობის დადგომისას

1. თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება.

2. თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.

1. პირობითი გარიგება მხარეებს ავალდებულებს მოიქცნენ კეთილსინდისიერად. მართალია, პირობითი უფლება დაკავშირებულია სამომავლო და სავარაუდო მოვლენასთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაინტერესებულ მხარეს ეკრძალება იმოქმედოს მის დასადგომად. ზოგჯერ მთლიანად მის მოქმედებაზეა დამოკიდებუ-

ლი, პირობა დადგება თუ არა. როცა მშობელი შვილს საჩუქარს
ჰპირდება იმ პირობით, თუ იგი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხ-
ება, ბუნებრივია ამ პირობის დადგომა არსებითად ამ უკანასკნელის
მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამდენად, მოქმედების დასაშუება უნდა
შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ითვალისწინებენ მას მხა-
რები კეთილსინდისიერების პოზიციებიდან. არაა აუცილებელი იუ-
რიდიული მოვალეობის დარღვევა. არაკეთილსინდისიერი ქცევით
შეიძლება პირობის დადგომაზე როგორც უარყოფითი, ისე დადები-
თი ზემოქმედება. ასეთ შემთხვევაში სახეზეა პირობის დადგომის
ფიქცია. ერთი მხარის არაკეთილსინდისიერება მეორე მხარის სასარგე-
ბლო შედეგებს იწვევს. თუ პირობის დადგომას თავისი არაკეთილს-
ინდისიერი მოქმედებით აბრკოლებს მხარე, რომლისთვისაც მისი
დადგომა ხელსაყრელი არაა, პირობა ამ შემთხვევაში დამღვარად
ჩაითვლება.

2. იგივე შედეგები დგება მაშინაც, როდესაც პირობის დადგომა
დაინტერესებული მხარე, არაკეთილსინდისიერი ქცევით ხელს უწყობს
მის დადგომას. პირობა ამ შემთხვევაში დაუძღვარად ჩაითვლება.

თავი მქმქმს

თანხმობა გარიგებებში

მუხლი 99. ცნება

1. თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია შესაძე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე.

2. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

3. თუ გარიგება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია შესაძე პირის თანხმობაზე, დადებულია მისი თანხმობით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება ნნ-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები.

1. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ავტონომია სამოქალაქო სამართალში თვითგამორკვევადია, ზოგჯერ გარიგების მონაწილეთა ნების გამოვლენა ნამდვილად რომ ჩათვალოს, იმავდროულად საჭიროა შესაძე პირთა ნების გამოვლენაც, ე.ი. თანხმობა. თვით შესაძე პირები კი, არ წარმოადგენენ იმ გარიგებას მონაწილეებს, რომლის მიმართაც გამოთქვამენ თანხმობას. ამ თანხმობის მიზანი შეიძლება იყოს როგორც გარიგების მონაწილეთა, ისე შესაძე პირთა ინტერესების დაცვა. თანხმობა შეიძლება განხორციელდეს, როგორც გარიგების დადებამდე, ისე მის შემდეგაც.

შესაძე პირის თანხმობა საჭიროა ყველგან, სადაც კი ამას მოითხოვს კანონი. ერთ შემთხვევაში, კანონის ნორმა იმპერატიულ ფორმაში მოითხოვს შესაძე პირის თანხმობას, მაგალითად, როგორიცაა წარმოქმადგენლის თანხმობა პირის შეზღუდული ქმედუნარიანობისას (მე-15 მუხლი), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა საწარმოს გაძლოლის ნებართვაზე (ნნ-ე მუხლის მე-3

ნაწილი), წარმოდგენილი პირის თანხმობა წარმომადგენლის მიერ დადებულ გარიგებაზე (103-ე მუხლი), უფლებამოსილი პირის თანხმობა არაუფლებამოსილის მიერ განხორციელებული განკარგვის მიმართ (102-ე მუხლი). სხვა დროს კი, კანონის ნორმა დისპოზიციურია და გარიგების მონაწილეთა ნებით წყდება შესამე პირის თანხმობის საჭიროება. ასე მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, „საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გადაცემის სხვა პირობებიც, კერძოდ, ვახხვისებისათვის აუცილებელი გახდეს საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება“.

არ შეიძლება ყოველგვარი „თანხმობა“ ჩაითვალოს 99-102-ე მუხლების პოწესრიგების საზნად. ასე მაგალითად, თუკი ვინმეს შესამე პირთან ხელშეკრულებით აქვს დათქმული, რომ მისი თანხმობის გარეშე იგი არ დადებს გარიგებას, თუქცა გარიგება ამ თანხმობის გარეშეც ნამდვილია, ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება 99-ე მუხლის წესები. ხელშეკრულების დარღვევა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს. ასევე, მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სს-ის ან შპს-ის დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს კანონით პირდაპირაა გათვალისწინებული. შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ამა თუ იმ გარიგების დადებისას, საჭირო იყოს პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. ეს იქნება არა თანხმობა გარიგებებში, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ელემენტი, რაზედაც შეიძლება არც კი იყოს დაშოკიდებული გარიგების ნამდვილობა. ამრიგად, თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა განსხვავდება იმ თანხმობისაგან, რომელიც უშუალოდ გარიგების შედეგებზე ახდენს გავლენას.

თანხმობა ცალმხრივი გარიგებაა და მოითხოვს ნების გამოვლენ-

ნის მიღებას. მისი წყალობით ნამდვილი ხდება ნებადართული გარიგება – ძირითადი გარიგება, რომელიც მის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს. თანხმობა ძირითადი გარიგების შემადგენელი ელემენტი კი არაა, არამედ დამოუკიდებელი გარიგებაა, რომელზედაც დამოკიდებულია ძირითადი გარიგება. წინასწარ გაცემულ თანხმობას ჰქვია ნებართვა (მე-100 მუხლი) ხოლო შემდგომ თანხმობას – მოწონება (101-ე მუხლი).

მესამე პირის მხრიდან თანხმობისას ძირითადი გარიგება თავიდანვე ნამდვილი ხდება. მართალია, თანხმობის გარეშე იგი ბათილია, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება მისი მოწონება. ეს გარემოება მას მერყევად ბათილს ხდის, ვინაიდან ბათილობა ჯერ კიდევ არაა საბოლოო. მერყევი მდგომარეობა ისპობა მისი მოწონების, ან მოწონებაზე უარის თქმით.

გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ახდენს არა მარტო კერძო სამართლებრივი ხასიათის თანხმობა, არამედ საჯარო-სამართლებრივი ხასიათის თანხმობაც. ვინაიდან თანხმობა ცალმხრივი ნების გამოვლენაა და მისი მიღება აუცილებელია გარიგების ნამდვილობისათვის, უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს კერძო ხასიათის ნების გამოვლინება იქნება იგი, თუ საჯარო-სამართლებრივი ხასიათის. აქ მთავარია ის, რომ ძირითადი გარიგების მონაწილენი შებოჭილები არიან ამ თანხმობით. საჯარო-სამართლებრივი თანხმობის შემთხვევები ცალკე კანონითაც მოწესრიგდება. თვით ამ თანხმობის მიზანი კი შეიძლება იყოს საზოგადოებისა და პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვა (319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) სამოქალაქო ბრუნვაში შეიმჩნევა საჯარო-სამართლებრივი ხასიათის თანხმობის შემთხვევათა ფართოდ გავრცელების ტენდენცია. აქ მხედველობაშია არა მარტო ლიცენზიები, არამედ სხვა მრავალი შემთხვევა, მაგალითად, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განკარგვა, რისთვისაც საჭიროა სათანადო სახელმწიფო ორგანოს ნებართვა.

2. თანხმობის ფორმა თავისუფალია და იგი არაა დამოკიდებული ძირითადი გარიგების ფორმაზე. აქედან ჩანს, რომ თანხმობა თვითაა დამოუკიდებელი გარიგება და არა იმ გარიგების ნაწილი, რომლის ნამდვილობისათვისაცაა იგი საჭირო. ამიტომ, თანხმობა ნებისმიერი ფორმით შეიძლება განხორციელდეს: ზუპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით და ა. შ., რადგანაც თანხმობა საჭიროებს ნების გამოვლენის მიღებას, მოქმედება ისე უნდა განხორციელდეს, რომ მეორე მხარეს შეეძლოს მისი ზუსტად აღქმა. კანონი ასევე შეიძლება განსაზღვრავდეს თანხმობის სავალდებულო ფორმას. ასე მაგალითად, სააქციო საზოგადოების დირექტორების მიერ უძრავი ქონების გაყიდვისას საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს წერილობითი თანხმობა. თანხმობის სავალდებულო ფორმა შეიძლება იყოს განსაზღვრული მაშინაც, როცა თანხმობა წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ნების გამოვლინებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის სულისკვეთებას გამოხატავს მოცემული მუხლის შესამე პუნქტი, რომელიც იუწყება, რომ შესამე პირის თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისად, გამოიყენება ნაწილი მუხლის მეორე და შესამე წინადადებები. მათში მოცემული წესის თანახმად, წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანზე მიცემული თანხმობა ცნობილი უნდა გახდეს ამ უკანასკნელის კონტრაქტისათვის. თავისთავად თანხმობის მხოლოდ არასრულწლოვანის მიერ მიღება ვერ გახდის მის მიერ დადებულ გარიგებას ნამდვილად. არასრულწლოვანის კონტრაქტის მიერ წარმომადგენლის თანხმობის გაცნობიერება, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ თანხმობას. იგი აუცილებელია არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობისათვის. ამიტომაცაა რომ, როგორც წესი, არასრულწლოვანი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ თავის კონტრაქტს. ასეთი გარიგება ბათილია, თუკი არასრულ-

წლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყონებლივ თქვა მასზე უარი. უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარემ იცოდა კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.

მუხლი 100. წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)

წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) შეიძლება გარიგების დადებამდე გაუქმდეს, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თანხმობის (ნებართვის) გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს ორსავე მხარეს.

წინასწარ გაცემული თანხმობა, იგივე ნებართვა, თავისი ბუნებით მინდობილობაა სკავს. უფრო მეტიც, ნებართვა ხშირად მინდობილობის ფორმით, მაგალითად, წარმომადგენლისათვის მიცემული ნებართვაა.

ნებართვა, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა, შეიძლება გაიცეს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით. თუ ნებართვის მოქმედების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობაზე, მაშინ ამ ურთიერთობის შეწყვეტა გამოიწვევს ნებართვის გაუქმებასაც. ასე მაგალითად, შპს-ის დირექტორების ნებართვებს საფუძვლად უდევს მათი ყოფნა დირექტორის თანამდებობაზე. ამ თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, ცხადია, უქმდება ის ნებართვებიც, რაც მათ გააჩნდათ, როგორც დირექტორს.

ნებართვის გარეშე თანხმობასავალდებულო გარიგება მერყევად ბათილია. იგი არც უფლებებს წარმოშობს და არც მოვალეობებს. ნაჩქარევი ვალდებულებანი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს (976-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა, გარიგება მაინც

აკავშირებს მხარეებს. მათ შეუძლიათ, თავიანთი სახელშეკრულებო ნების გამოვლენა კი არ გააუქმონ, არამედ დაელოდონ, მესამე პირი მოიწონებს მათ მოქმედებას თუ არა. არსებობს ამ წესებიდან გამონაკლისებიც, მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგებისათვის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წარმოდგენლობითი უფლების ნაკლისას 112-ე მუხლის შემთხვევაში.

ნებართვის გამკვეთს ყოველთვის აქვს უფლება ნებადართული გარიგების დადებამდე გააუქმოს თავისი ნებართვა. მაგალითად, თუ სამეთვალყურეო საბჭომ ნებართვა მისცა სს-ის დირექტორს ეყიდა მიწის ნაკვეთი. ამავე საბჭოს შეუძლია ვიდრე ნასყიდობა შედგებოდეს უკან წაიღოს თავისი ნებართვა, ე.ი. გააუქმოს იგი. თუკი მხარეებმა უკვე განახორციელეს რიგი მოქმედებანი გარიგების დასადებად, მაშინ გამოდის, რომ ნებართვის გაუქმებას გარკვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს. შეიძლება რომელიმე მხარემ ზიანიც კი განიცადოს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, დადგება მისი ანაზღაურების საკითხი. უნდა დაეკისროს, თუ არა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გარიგების მეორე მხარეს – ეს კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს.

ნებართვის გაუქმება ისეთივე ცალმხრივი გარიგებაა, როგორც იყო მისი ვაცება. ორივე შემთხვევაში საჭიროა ნების გამოვლენა მიაღოს მეორე მხარემ. კანონი მოითხოვს, რომ ნებართვის გაუქმების შესახებ ეცნობოს გარიგების ორივე მხარეს, ე. ი. არა მხოლოდ იმას, ვისაც მიეცა ნებართვა, არამედ იმასაც, ვისთანაც ნებართვის მიმღები ამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობას. კანონის ასეთი მოთხოვნის მიზანია მხარეთა შორის ურთიერთობაში სიცხადის შეტანა და მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილება.

შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოწონება გარიგების დადების შემდეგ განხორციელებული ნებართვაა. მოწონება შესაძლებელია მანამ, ვიდრე სახეზეა გარიგება, რომელიც საჭიროებს თანხმობას. მოწონებით ბათილი გარიგება იქცევა ნამდვილ გარიგებად, სწორდება ის სამართლებრივი ნაკლი, რომელიც მას ჰქონდა. სწორედ ამაშია მისი სამართლებრივი დანიშნულება. ნებართვას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ნებართვის არარსებობის გამო ძირითადი გარიგება ბათილია. მოწონებით ხდება ადრე დადებული გარიგების ნამდვილად ცნობა და არა ახალი გარიგების მიმართ თანხმობის გამოცხადება. მოწონებას დაქვემდებარებული გარიგება შერყევად ბათილი გარიგებაა, ვინაიდან თანხმობაზეა დამოკიდებული მისი ნამდვილობა. მოწონებას აქვს უკუძალა. მოწონებაქმნილი გარიგება ნამდვილად ითვლება არა მოწონების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან, ე. ი. გარიგების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებიც აქედან წარმოშობილად უნდა ჩაითვალოს. ასე მაგალითად, ა-მ დაუთმო გ-ს თავისი მოთხოვნის უფლება ბ-ს მიმართ ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე როცა საჭირო იყო ეს თანხმობა. თუკი ბ მოიწონებს ა-ს მოქმედებას, მაშინ გ-ზე მოთხოვნის უფლება გადადის არა მოწონების მომენტიდან, არამედ მისი დათმობის მომენტიდან.

101-ე მუხლის თანახმად, მართალია მოწონებას აქვს უკუძალა, თუმცა შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში მას უკუძალა არც კი მიეცეს. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ უკვე დადებული გარიგების შემდეგ განხორციელებულ მოწონებას არა აქვს იურიდიული ძალა. ასე მაგალითად, როცა

გარიგება დადებულია მოწონების სამართლებრივი პირობით, მოწონების ცალმხრივი გამორიცხვა, ასევე, მის ბათილობას იწვევს.

მუხლი 102. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ

1. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით.

2. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.

1. ამ მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული საგნის განკარგვები ნამდვილია, თუკი უფლებამოსილი პირის ნებართვით ხდება იგი, ანდა ეს უკანასკნელი მოიწონებს მას. ამ მუხლში საუბარია მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც არაუფლებამოსილი პირი საგნის განკარგვას ახდენს საკუთარი სახელით. ვინც სხვისი სახელით სხვის კუთვნილ უფლებებს განკარგავს, ის წარმომადგენელია (103-ე მუხლი). როცა ამდგვარ განკარგვას ახდენს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ ის მოკლებულია საჭირო ძალაუფლებას საგნის განკარგვაზე. ასე მაგალითად, არაშესაკუთრე გაასხვისებს ან დატვირთავს სხვის კუთვნილ ნივთებს; პირი, რომელიც არაა კრედიტორი მოახდენს სხვისი მოთხოვნის დათმობას. თუკი ეს ხდება უფლებამოსილი პირის წინასწარი ნებართვით, მაშინ ასეთი განკარგვები ნამდვილად ჩაითვლება. უფლებამოსილი პირი არ საჭიროებს დაცვას, ვინაიდან როცა იგი განკარგვაზე ნებართვას იძლევა, ეს უნდა განიმარტოს ისეთ ვითარებად, თითქოს მან თვითონ მოახდინა განკარგვა. ამ ნებართვით არაუფლებამოსილი პირი ვერ იქცევა უფლებამოსილ პირად, ვინაიდან იგი მოქმედებს საკუთარი სახელით და განკარგვას ახორციელებს ისე, თითქოს საკუთარ უფლებებს განკარგავდეს.

99-ე, მე-100-ე მუხლებისა და 102-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განკარგვებთან დაკავშირებულ ნებართვას უფლებამოსილება ეწოდება. იგი მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როდესაც ნებადართულს განკარგვის დროისათვის გააჩნია აუცილებელი განკარგვითი უფლებამოსილება.

2. ამ მუხლის მეორე პუნქტის თავისებურება იმაშია, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა ნამდვილი ხდება, თუკი მას მოიწონებს უფლებამოსილი პირი. ასე მაგალითად, თუ მეზობლის მიერ ბინის გაქირავების ფაქტს მოიწონებს ბინის მესაკუთრე, მაშინ ასეთი განკარგვა ნამდვილად ჩაითვლება.

თავი მეშვიდე

წარმომადგენლობა გარიგებებში

მუხლი 103. ცნება

1. გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.

2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა, გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით.

1. ჩვეულებისამებრ, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები თვითონ დებენ გარიგებებს და ამდენად თავადვე წარმოადგენენ თავიანთ თავს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. ხშირად სხვადასხვა გარემოებათა გამო სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი თვითონ კი არ დებენ გარიგებებს, არამედ სხვები გამოდიან მათი სახელით. ისეთ ვითარებას, როცა პირი საკუთარი სახელით კი არა, არამედ სხვისი სახელითა და სხვისივე ინტერესებისათვის დებს გარიგებას, წარმომადგენლობა ჰქვია, თვით სხვისი სახელით მოქმედ პირს — წარმომადგენელი, ხოლო მის უფლებამოსილებას, წარმოადგინოს სხვა პირი — წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეწოდება.

წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულია წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე. მხოლოდ წარმომადგენლობითი ძალაუფლება ხდის მას უფლებამოსილსა და ვალდებულს, ვითარცა წარმომადგენელს 103-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონიდან გამომდინარეობს, მაშინ სახეზეა კანონისმიერი წარმომადგენლობა, ხოლო თუ პირის ნებაზეა იგი დამოკიდებული და წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე, ეს უკვე გარიგებითი წარმომადგენლობაა. წარმომადგენლობაში უნდა განვასხვავოთ შინაგანი და გარეგანი ერთიერთობა. წარმოდგენილხა და წარმომადგენელს შორის ურთიერთობა შინაგანი ურთიერთობაა, ხოლო წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის ურთიერთობა გარეგანი ურთიერთობაა. შინაგან ურთიერთობაზეა დამოკიდებული გარეგანი ურთიერთობა. კანონისმიერი წარმომადგენლობისას, წარმომადგენლის სუბიექტი საქართველოს ობიექტური ნების გამოვლენით განისაზღვრება. ასე მაგალითად, ქმედუნარო პირებს სამოქალაქო ურთიერთობებში წარმომადგენენ მათი მშობლები (მეურვეები); გარიგებითი წარმომადგენლობისას კი, წარმოდგენელი პირის სუბიექტური ნების გამოვლენით განისაზღვრება წარმომადგენელი. ასე მაგალითად, ერთი პირი მეორეს ავალებს შეიძინოს მისთვის რაიმე ნივთი.

გარიგებითი წარმომადგენლობის საფუძველს მინდობილობა წარმოადგენს. მასში გამოიხატება ამ თუ იმ პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება. მინდობილობა შეიძლება გაიყოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. პრაქტიკაში უფრო წერილობითი მინდობილობაა ცნობილი. მინდობილობის შინაარსი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ურთიერთობა უღევს საფუძველად ამ უფლებამოსილებას: დავალება, შრომის ხელშეკრულება, სამეწარმეო საზოგადოების წესდება, თუ სხვა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პირდაპირი და არაპირდაპირი წარმომადგენლობა. პირდაპირი წარმომადგენლობის დროს მართალია ურთიერთობაში გარეგნულად მონაწილეობს წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობის შედეგი დგება უშუალოდ წარმოდგენელი პირის მიმართ. მაგალითად, პროკურისტი მო-

ქმედებს არამართო წარმოდგენილი პირისათვის, არამედ ამ უკანასკნელის სახელითაც. არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით. სამართლებრივი ურთიერთობის შედეგი ჯერ მის მიმართ დგება, შემდეგ კი - წარმოდგენილი პირის მიმართ. ასეთია მაგალითად, კომისიის ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის აზრით, წარმომადგენლობა სწორედ რომ პირდაპირი წარმომადგენლობაა.

103-ე მუხლით განსაზღვრულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული სავაჭრო წარმომადგენლის, დამოუკიდებელი მოვაჭრისა და კომისიონერის საქმიანობა. მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა შუამავლობითი საქმიანობაა და არა წარმომადგენლობითი. ასევე არ მიეკუთვნებიან წარმომადგენლებს მრჩევლები, თარჯიმნები და სამდივნოს თანამშრომლები, რომელთა საქმიანობის მიზანსაც შეადგენს ნების გამოვლენის აღრესატიისთვის გადაცემა.

წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირის ინტერესებისათვის და შესაბამისად, მის მიერ დაღებული გარიგების იურიდიული შედეგები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს და არა წარმომადგენელს.

2. წარმომადგენლობით შეუძლებელია დაიდოს ყოველგვარი გარიგება. ზოგჯერ გარიგების ხასიათი ან კანონი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვისი სახელით დაიდოს გარიგება. ასეთ შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია მხოლოდ თვითონ, დამოუკიდებლად დადოს გარიგება წარმომადგენლის გამოუყენებლად. ასეთ გარიგებებს მიეკუთვნება საოჯახო-სამართლებრივი გარიგებები, როგორცაა დაქორწინება (1107-ე მუხლი), შვილება (1243-ე მუხლი); სამემკვიდრეო-სამართლებრივი გარიგებები, როგორცაა ანდერძის შედგენა (1346-ე). ანდერძის შეცვლა (1398-ე).

სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დავალებაში (მინდობილობაში) სპეციალურად არის გათვალისწინებული უფლებამოსილება უარის თქმის შესახებ (1449-ე).

შენიშნა 104. გარიგების შედეგების აღრმხატი წარმომადგენლობისას

1. იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.

2. თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა.

3. თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.

1. წარმომადგენლობის თავისებურება იმაშია, რომ წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ეს განპირობებულია იმით, რომ წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელითა და სხვისი ინტერესები-

სათვის. წარმოდგენილი პირისათვის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგება. წარმომადგენლის გარიგება – ეს ისეთი ნების გამოვლენაა, რომლის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის, როგორც აქტიური, ისე პასიური სუბიექტები ხდებიან წარმოდგენილი და მესამე პირი. წარმომადგენელი ამ ურთიერთობის გარეთ რჩება და არ ხდება აქედან არავითარი უფლება-მოვალეობის მატარებელი. ამდგომარეობა შედეგის საფუძველს შეადგენს სამი პირის შეთანხმებული ნება, როგორცაა: წარმომადგენლისა, რომელიც მიმართულია წარმოდგენლისათვის უფლება-მოვალეობათა შესაქმნელად; მესამე პირისა – წარმოდგენილ პირთან ურთიერთობის დასამყარებლად და ბოლოს, წარმოდგენილი პირისა, რაშიც გამოვლენებულია მისი წინასწარი თუ გვიანდელი ნება ამაზე თანხმობისა. ყოველივე ამისათვის სულაც არაა ხელშემშლელი ის გარემოება, რომ წარმოდგენილი პირი თავად არ მონაწილეობს გარიგების დადებაში. წარმოდგენილ პირზე წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგებიდან წარმოშობილ უფლებამოვალეობათა უშუალო გადასვლა მყარადაა აღიარებული როგორც დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში.

2. წარმომადგენლობითი უფლების გარეშე სხვისი სახელით დადებული გარიგება, როგორც წესი, არ წარმოშობს უფლებამოვალეობებს წარმოდგენილი პირისათვის, მაგრამ თუ გარიგება დადებულია ისეთ პირობებში, რომ მესამე პირს კეთილსინდისიერად ეგონა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა, მაშინ მისი ბათილობა დაუშვებელია. მესამე პირის მხრიდან კი, კეთილსინდისიერება მაშინაა, როდესაც წარმოდგენილი პირი ქმნის ისეთ გარემოებებს, რაც მას წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ავარაუდებინებს.

3. წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელით და ბუნე-

ბრივია მის მიერ დადებული გარიგებაც, სხვისთვის იწვევს სამართლებრივ შედეგებს. სხვისი სახელით მოქმედებისათვის მთავარია ამ მიზანგანზრახულობათა არსებობა, თორემ სულერთია, ეს აშკარად იქნება გამოხატული თუ არსებობს საკმარისი საფუძველი მის სავარაუდებლად. არ შეიძლება ყველა გარიგების შემთხვევაში მოვითხოვოთ წარმოდგენილი პირის ვინაობა და ეს მივიჩნიოთ გარიგების დადების აუცილებელ პირობად. ასე მაგალითად, შინამოსამსახურე ეკენტიუალურად და ღუმილით გამოხატავს თავის წარმომადგენლობით ნებას, როცა მეორე მხარისათვის გარემოებათაგან სავარაუდებელია, რომ მის მიერ დადებული გარიგება მთლიანად ემსახურება ჩრდილში მყოფი წარმოდგენილი პირის ინტერესებს.

შეიძლება სულერთი იყოს მეორე მხარისათვის, ვისთან დადებს იგი გარიგებას. ასეთ ვითარებაში უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, თუ რამდენად შესამჩნევია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ცხადია, იგი წარმოდგენილი პირისათვის წარმოშობს შედეგებს.

მუხლი 105. წარმომადგენლის შეზღუდული ქმედუნარიანობა

წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო.

105-ე მუხლის ძალით, წარმომადგენელი შეიძლება იყოს შეზღუდულად ქმედუნარიანი პირიც. ამ შემთხვევაში, მის მიერ დადებული გარიგება ნამდვილად ჩაითვლება, მაშინ როცა, სხვა დროს იგივე გარიგება ბათილად შეიძლება ჩაითვალოს. ასე მაგალითად, თუ შეზღუდულად ქმედუნარიანი პირი სხვისი სახელით სხვისთვისვე შეიძენს რაიმე საგანს, ასეთი გარიგება ნამდვილი იქნება და მას არ სჭირდება საამისოდ თავისი კანონიერი

წარმომადგენლის თანხმობა. იგივე საგანი საკუთარი სახელით სათავისოდ რომ შეეძინა, შეიძლება დასმულიყო ამ გარიგების ბათილობის საკითხი, თუკი იგი საჭიროებდა მისი კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელ თანხმობას. ამდენად, როცა სხვისი ინტერესებისათვის მოქმედებს შეზღუდულად ქმედუნარიანი პირი, მისი ნების გამოვლენა თავისუფალია, ხოლო როცა იგი საკუთარ ინტერესებს წარმოადგენს, აქ მისი ნებას გამოვლენა შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ არასრულწლოვანს საკუთარი ინტერესები ყოველთვის თავისუფალი ნების გამოვლენით რომ გამოეხატა, შეიძლებოდა ამას არასრული ქმედუნარიანობის გამო, მისთვის არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა. სწორედ ამიტომ მათ საჭირო ზოგჯერ კანონიერი წარმომადგენლის ქმედუნარიანობით მის ქმედუნარიანობაში არსებული „სიცარიელის“ შევსება. სხვა შედეგები დადებოდა არასრულწლოვანს გარიგებით სარგებელი რომ მიეღო. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის აუცილებლობას აბათილებს სარგებლის მიღება და გარიგებაც ნამდვილი ხდება. როცა შეზღუდულად ქმედუნარიანი პირი სხვისი სახელით გამოდის, ამ შემთხვევაში გარიგების შედეგები წარმოდგენილი პირისათვის ღებება, როგორც არ უნდა იყოს იგი — სარგებელიანი თუ უსარგებლო. წარმომადგენელი სრული ქმედუნარიანი იქნება თუ შეზღუდულად ქმედუნარიანი, როცა იგი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, გარიგების შედეგები არ ცვლის მის მდგომარეობას. წარმომადგენლის არჩევას წარმოდგენილი პირი ახდენს და ამ არჩევანის რისკის მატარებელიც თვითონაა. როცა წარმოდგენილი სრულწლოვანია, წარმომადგენელსაც თვითონ ირჩევს დაშოუკიდებლად. ხოლო, თუ წარმოდგენილიც იმავედროულად არასრულწლოვანია, ცხადია მას თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სჭირდება საამისოდ.

კანონიერი წარმომადგენლობისას ცალკეულ შემთხვევებში დაუშ-

ვებელია შეზღუდულად ქმედუნარიანი პირის წარმომადგენლობა. ასე მაგალითად, ვერ იქნებიან კანონიერი წარმომადგენლები, ვითარცა მეურვეები და მზრუნველები თვრამეტ წლამდე პირები და სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი პირები (1283-ე მუხლის ა და ბ ქვეპუნქტები.).

მუხლი 106. ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას

1. ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება.

2. თუ ნების გამოვლენის ნაკლი შეეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული, აღნიშნული ნაკლი შეცდომების უფლებას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნაკლი წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს.

1. სხვისი სახელით გარიგების დადებისას წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას და არა წარმოდგენილი პირის ნებას. იგი ითვლება ხელშეკრულების კონტრაქტად და არა ის პირი, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, გარიგების განმარტების შემთხვევაშიც მთავარია წარმომადგენლის ნება. ეს არ ნიშნავს ცხადია იმას, რომ წარმოდგენილი პირის ნება არავითარ გავლენას არ ახდენს წარმომადგენლის ნების ფორმირებაზე. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რითაც ძიხაზულია წარმომადგენლის მოქმედების ფარგლები, სწორედ რომ წარმოდგენილი პირის ნების შემცველია. ეს ფაქტი წარმომადგენლის ნებას ვერ აქცევს წარმოდგენილის ნების ასლად, გარიგების შინაარსისა და ყოფიერების განსაზღვრაში სწორედ, რომ წარმომადგენლის ნებაა მთავარი. სხვისი ინტერესებისათვის მოქმედება მას არ ხდის ნების გამოვლენის გადაცემის მექანიკურ საშუალებად. ამიტომაცაა, რომ ნების

გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება და არა იმ პირის ნება, რომლის სახელითაც იგი მოქმედებს.

წარმომადგენლის ნების ნაკლი მაშინაა, როცა იგი გარიგებას ღებს ცდომილებით, მოტყუებით, იძულებით, თუ კანონათ გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საფუძვლით. თუ წარმომადგენლის მხრიდან იქნება გამოწვეული მისი კონტრაქტის ნების ნაკლი აღნიშნულ გარემოებათა საფუძველზე, მაშინ გამოიყენება 396-ე მუხლის წესები, რომლის თანახმადაც, მოვალე თავისი კანონიერი წარმომადგენლის მოქმედებისათვის ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. კონტრაქტი, ბუნებრივია, უფლებამოსილია გარიგების ბათილობაზე.

2. 106-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევა გამოჩენისს წარმოადგენს ამავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საგან. ამ შემთხვევაში, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების საცილოობისას მხედველობაში მიიღება არა მისი ნება, არამედ წარმომადგენელი პირის ნება. აქ ისეთი ვითარება ყალიბდება, როდესაც გარემოებანი, რომელსაც შეუძლია გარიგების ბათილობა გამოიწვიოს. წარმომადგენელი პირისათვის ხელშეკრულების დადებამდე ცნობილი. მაგალითად, იგი ავალებს წარმომადგენელს შეიძინოს ესა თუ ის კონკრეტული საგანი, რომლის ნივთიბრივი ნაკლი მისთვის უკვე ცნობილია. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს შემდგომ წარმომადგენელმა პირმა, რომ წარმომადგენელმა არ იცოდა ამის შესახებ და არც შეიძლება სცოდნოდა, სულერთია, გარიგების ბათილად ცნობას ვერ შეძლებს. ამ შემთხვევაში, სწორედაც რომ მხედველობაში მიიღება მისი ნება და არა წარმომადგენლისა. არსებითად იგივე სურათი იხატება მაშინაც, როდესაც ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების ბათილობას ითხოვს შესაბამე პირი. თუკი ნების გამოვლენის ნაკლი შეეხება წარმომადგენელი პირის მიერ განსაზღვრულ

გარემოებებს, გარიგების ბათილობის გამოძწვევი იქნება სწორედ რომ მისი ნების გამოვლენა.

დასასწავლებელ მაგალითში, თუკი წარმოდგენილი პირი ავალებს წარმომადგენელს გაყიდოს ნიუთობრივად ნაკლოვანი საგანი, გარიგების შენარჩუნებას ვერ უშველის იმისი მტკიცება, რომ წარმომადგენელი აქ არაფერ შუაშია და კეთილსინდისიერია, რახან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ამ გარემოებათა შესახებ. ყველა შემთხვევაში, რადგანაც თვით უფლებამოსილებაა დეფექტიანი, ცხადია, ნების გამოვლენის შეფასებისას გადამწყვეტია, ამ უფლებამოსილების მიმცემის ნების გამოვლენის ხასიათი.

მუხლი 107. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.

2. ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა დადგენილია სპეციალური ფორმა.

1. უფლებამოსილება, იგივე რწმუნებულება, გარიგების საფუძველზე გაცემული წარმომადგენლობითი ძალაუფლებაა. მისი მოცულობა განისაზღვრება უფლებამოსილების მიმცემის მიერ. კანონით ზუსტადაა მოხაზული მხოლოდ პროკურის, სავაჭრო და საპროცესო უფლებამოსილების ფარგლები. უფლებამოსილება უქმდება იმ ძირითად ურთიერთობასთან ერთად, რომელსაც იგი ემსახურება.

უფლებამოსილება წარმოადგენს არა ხელშეკრულებას, არამედ ცალმხრივ გარიგებას, რომელშიც გამოხატულია უფლებამოსილების

მიმცემის ნება, რომ ერთ პირს მეორის წინაშე აძლევს წარმომადგენლობით ძალაუფლებას. უფლებამოსილებით მყარდება უფლებამოსილების ურთიერთობა და არა ვალდებულებითი ურთიერთობა.

უფლებამოსილების მიცემა ჰგავს თანხმობის გამოხატვას, რაც ასევე ხდება სხვა პირის მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენით. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი მოქმედებს უფლებამოსილების მიმცემის სახელით და მის მიერ დადებული გარიგებანიც უშუალოდ ამ უკანასკნელისათვის იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს. თანხმობა ისეთი გარიგებაა, რომლის დადება ხდება საკუთარი სახელით.

უფლებამოსილება გაიცემა ან უშუალოდ უფლებამოსილი პირის, რწმუნებულის წინაშე ნების გამოვლენით (შინაგანი უფლებამოსილება), ანდა იმ შესაბამე პირის წინაშე ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა (გარეგანი უფლებამოსილება).

უფლებამოსილებას აქვს სრული ძალა მაშინაც, როცა უფლებამოსილი პირი (რწმუნებული) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა, ვინაიდან უფლებამოსილებას მისთვის არავითარი ვნება არ მოაქვს. უფლებამოსილება ასევე ნამდვილია, როცა მისი მიცემა ხდება იმ შესაბამე პირის წინაშე ნების გამოვლენით, რომელიც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

შესაბამე პირისათვის იმისი შეტყობინება, რომ ამა თუ იმ პირზე მიცემულია უფლებამოსილება, თავად არ წარმოადგენს უფლებამოსილების მიცემას. ესაა ინფორმაციის მიწოდება წარსულში გაცემული უფლებამოსილების შესახებ.

უფლებამოსილებას საფუძვლად უდევს სამართლებრივი ურთიერთობა უფლებამოსილების მიმცემსა და მის მიმდებს შორის, უმეტესწილად ესაა დავალების ხელშეკრულება – მინდობილობა,

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება – ამხანაგობა და სხვა. უფლებამოსილება ცალმხრივი გარიგებაა მაშინაც, როცა მის საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. უფლებამოსილება შეიძლება იყოს ნამდვილი ძირითადი ურთიერთობის ბათილობის შემთხვევაშიც და პირიქით. მან შეიძლება შეინარჩუნოს ძალა ძირითადი ურთიერთობის დასრულების შემდეგაც და პირიქით.

უფლებამოსილების მიცემა წარმოადგენს აბსტრაქტულ გარიგებას, ვიანიდან მის შინაარსში არ შედის ის საფუძველი, რომელსაც იგი ემყარება და, ცხადია, არც მის ნამდვილობაზეა დამოკიდებული უფლებამოსილების ნამდვილობა.

უფლებამოსილების ფარგლებს უფლებამოსილების მიმცემი განსაზღვრავს. მას შეუძლია გასცეს სპეციალური, გვარეობითი და გენერალური უფლებამოსილებანი (მინდობალობანი). სპეციალური უფლებამოსილება ეხება მხოლოდ ერთ განსაზღვრულ გარიგებას, გვარეობითი უფლებამოსილება კი – განსაზღვრული სახის გარიგებებს, გენერალური უფლებამოსილება შეუზღუდავია და შეიძლება ქონებრივი ხასიათის ყველა სახის გარიგების დადების უფლებამოსილებას იძლეოდეს.

2. უფლებამოსილების მიცემისას ნების გამოვლენის ფორმის თავისუფლებას აქვს ადგილი. არაა აუცილებელი უფლებამოსილებაც იმ ფორმით გაიცეს, რაც აუცილებელია იმ გარიგებისათვის, რომელიც ამ უფლებამოსილების საფუძველზე იდება. ეს განპირობებულია იმით, რომ უფლებამოსილება დამოუკიდებელი გარიგებაა და არაა იმ გარიგების ნაწილი, რომელიც მის საფუძველზე იდება. თუკი კანონით დადგენილია უფლებამოსილების მიცემის სპეციალური ფორმა, მაშინ ამ ფორმის დაუცველად გაცემული უფლებამოსილება იქნება ბათილი. ასე მაგალითად, როცა მოანდერბე ანდერძის აღმსრულებლად ნიშნავს პირს, რომელიც არაა კანონისმიერი მემკვიდრე, საჭიროა ამ უკანასკნელმა თავისი თანხმობა გამოხატოს წარ-

წერით თვით ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში (1411-ე მუხლი); ასევე, როცა წარმომადგენლის მეშვეობით ხდება უძრავი ქონების ნასყიდობა, უფლებამოსილობა აუცილებლად სანოტარო წესით უნდა დადასტურდეს.

მუხლი 108. შეტყობინების ვალდებულება უფლებამოსილების შეცვლისას

უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.

უფლებამოსილება წარმოდგენილ პირს წარმომადგენლის მეშვეობით აკავშირებს ძირითადი გარიგების კონტრაქტთან, ანუ მესამე პირთან. მესამე პირს უნდა შეეძლოს თვალყური ადევნოს უფლებამოსილების შემდგომ განვითარებას, რათა თავიდან იქნას აცდენილი ის ზიანი, რაც შეიძლება მოჰყვეს საქმის ვითარების არცოდნას; მოკლელ, უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირს. ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს, როგორც წარმომადგენელმა, ისე წარმოდგენილმა პირმა. ამიტომაც, რომ ვიდრე მესამე პირს არ ეცნობება უფლებამოსილებაში ცვლილებები ან მისი გაუქმება, მის მიმართ უფლებამოსილება ძალაშია იმ სახით, როგორც ეს თავდაპირველად იყო მოცემული. სხვა საქმეა, როცა შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად, მესამე პირმა იცოდა ამის შესახებ. ეს მაშინაა „როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდ-

ნენ, ან უნდა სცოდნოდათ“. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება ძალაშია.

მუხლი 109. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების უქმეების საფუძვლები

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყდება:

- ა. იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;
- ბ. უფლებამოსილი პირის უარით;
- გ. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;
- დ. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- ე. შესრულებით.

109.ა. წარმომადგენლობა ქარწყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება, თუკი უფლებამოსილების კონკრეტული ვადა არაა განსაზღვრული, მაშინ წარმომადგენლობა ქარწყდება იმ ურთიერთობის დამყარებასთან ერთად, რისთვისაც გაიცა უფლებამოსილება. ასე მაგალითად, როცა სახეზეა სპეციალური უფლებამოსილება, რომელიც გაცემულია ერთი რომელიმე კონკრეტული გარიგების დასადებად, დაიდება თუ არა გარიგება – წარმომადგენლობაც ქარწყდება.

109.ბ. უფლებამოსილების გაქარწყლებას იწვევს ასევე უფლებამოსილი პირის უარი უფლებამოსილებაზე. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ხომ მხარეთა ურთიერთობას ემყარება და ცხადია, თუ წარმოდგენილ პირს შეუძლია გააუქმოს იგი, წარმომადგენელს, თავის მხრივ, შეუძლია უარი თქვას მასზე.

უფლებამოსილების გაქარწყლება, როგორც წარმომადგენლის, ისე წარმოდგენილი პირის მხრიდან შეიძლება დაკავშირებული იყოს დაბდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან (720-ე მუხლი).

109.გ. უფლებამოსილების მიმცემს, როგორც წესი, ყოველთვის შეუძლია თავისუფლად უკან გამოითხოვოს – გააუქმოს უფლებამოსილება.

გაუქმება, ისევე როგორც უფლებამოსილება, ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც აუცილებლად უნდა ეცნობოს მეორე მხარეს; ეს შეიძლება განხორციელდეს დუმილითაც, მაგალითად, მინდობილობის უკან გამოთხოვით. გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს ან უფლებამოსილ პირს, ანდა მესამე პირს, რომლის მიმართაც ჰქონდა ადგილი წარმომადგენლობას (108-ე მუხლი). გაუქმების შესახებ ნების გამოვლენა ძალის მქონე იქნება, თუკი იგი მიუვა აღნიშნულ პირებს.

როგორც კანონით დადგენილი წესი, უფლებამოსილება გაუქმებადია. გაუუქმებადი უფლებამოსილება აქედან გამონაკლისს წარმოადგენს.

შეიძლება გარკვეული დროით წარმოიშვას უფლებამოსილების გაუუქმებადობის ვალდებულება წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის შეთანხმებით. ასეთი შეთანხმება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით დადგენილ აკრძალვებს, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმებს.

109.დ. როგორც წესი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლება უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, ან მისი ქმედუნარობის დადგომით. აქედან გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შეთანხმებით. ამ შემთხვევაში, გამოიყენება 721-ე მუხლის შესაბამისი წესები. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა, რაზედაც საუბარია 721-ე მუხლში, იწვევს მის საფუძველზე გაცემული უფლებამოსილების გაქარწყლებასაც.

ამიტომ, რომ თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წყდება 109-ე მუხლის დ ქვეპუნქტის საფუძველზე, მაშინ „რწმუნებულნი ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაფიქსირდა მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეებს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს; ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად“ (721-ე მუხლის მეორე ნაწილი).

მართალია, 109-ე მუხლში არაფერია ნათქვამი უფლებამოსილი პირის ვარდაცვალების შედეგებზე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოებაც გამოიწვევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლებას. ამ შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ 722-ე მუხლში მოცემული წესები, რომლის საფუძველზეც დავალების ხელშეკრულება და ამდენად, უფლებამოსილებაც გაქარწყლებულად უნდა ჩავთვალოთ უფლებამოსილი პირის (რწმუნებულის) ვარდაცვალებით, თუ მხარეთა შეთანხმებიდან, ან მინდობილობის შინაარსიდან სხვა რამ არ გამოძინარეობს (პირველი ნაწილი).

109-ე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლებას იწვევს უფლებამოსილებით გაოვალისწინებული მოქმედების შესრულება. ამ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულების შეწყვეტის საერთო საფუძველი და უნდა გამოვიყენოთ ამ კოდექსის მეექვსე კარის პირველი თავის შესაბამისი წესები.

მუხლი 110. წარმომადგენლის ვალდებულება უფლებამოსილების გაქარწყლებისას

უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

ამ მუხლის მიზანია დაიცვას უფლებამოსილების გამცემის ინტერესები. უფლებამოსილების საფუძველზე ხომ წარმომადგენელი მესამე პირებთან ამყარებს ურთიერთობას. თუ უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგაც, უფლებამოსილების საბუთი ისევ წარმომადგენელთან დარჩება, შეიძლება მან ბოროტად გამოიყენოს იგი და თავი ისევ წარმოადგინოს, თითქოსდა სხვისი წარმომადგენელი იყოს. ამიტომაც, ადგენს მოცემული მუხლი, რომ უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

მუხლი III. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

1. თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.

2. თუ მეორე მხარე წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვს თანხმობას, მაშინ ამ თანხმობის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში; თუ ეს არ მოხდა, მაშინ ითვლება, რომ თანხმობაზე მოთხოვნა უარყოფილია.

1. ხელშეკრულება, რომელსაც პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დებს, ბათილია, თუმცა მოწონებაუნარიანი. ამ შემთხვევაში, არაუფლებამოსილი პირი მოქმედებს სხვისი სახელით და სხვისი ინტერესებისათვის. ხოლო, როცა პირი ითვისებს სხვის სახელს, მაგრამ გარიგებას დებს თავისთვის, ამ შემთხვევაში, სახეზეა საკუთარი სახელით დადებული გარიგება და გამორიცხულია მისი კავშირი ამ სახელის ნამდვილ მატარებელთან.

წარმოდგენილ პირს შეუძლია არაუფლებამოსილი პირის მიერ დაღებულ გარიგება მოიწონოს ან არ მოიწონოს. მოწონების შემთხვევაში, წარმოდგენალი პირისათვის წარმოიშობა ისეთივე შედეგები, როგორც ამას ადგილი აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემთხვევაში. როცა წარმოდგენილი პირი და უფლებამოსილების გარეშე მოქმედი პირი შემკვიდრობისა თუ სხვა საფუძვლის შედეგად ერთ პირში გაერთიანდებიან, მაშინ მოწონების საკითხი აღარ დგება. ასე მაგალითად, შვილი, რომელიც მართავს მამის ქონებას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მამის სიკვდილის შემდეგ მისი შემკვიდრე გახდება. მოწონების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 98-ე, 101-ე და 102-ე მუხლის შესაბამისი წესები.

თანხმობის გამოხატვა, როგორც წესი, ხდება არაუფლებამოსილი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში, გარიგება თავიდანვე ნამდვილად ჩაითვლება თვით წარმოდგენილი პირის მიმართაც. თუკი წარმოდგენილი პირი არ მოიწონებს არაუფლებამოსილი პირის მოქმედებას, გარიგება მის მიმართ ბათილად ჩაითვლება და საქმის ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება მან პასუხი აგოს უსაფუძვლოდ ვაჭიდრობისათვის.

2. ამ მუხლის თავისებურება ისაა, რომ შეიძლება შემდგომი თანხმობის – მოწონების გამოხატვა მეორე მხარის მიმართაც. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მეორე მხარე წარმომადგენლისაგან მოითხოვს თანხმობას. ასეთი თანხმობა შეიძლება ეცნობოს მხოლოდ მას.

როგორ მოვიქცეთ, თუკი წარმოდგენილმა პირმა მოიწონა არაუფლებამოსილი პირის ნების გამოვლენა და ამის შემდეგ უარი უთხრა თანხმობაზე მეორე მხარეს. მართალია, კანონი ამაზე პირდაპირ არაფერს არ იტყობინება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ძალაში დარჩება მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენა. ამრიგად, მეორე

მხარის მიმართ ნების გამოვლენა აბათილებს არაუფლებამოსილ პირის მიმართ ნების გამოვლენას.

მეორე მხარის მიმართ თანხმობა შეიძლება განხორციელდეს მოთხოვნიდან ორი კვირის განმავლობაში. თუ ამ ვადაში არ გაიცა თანხმობა, ეს იმის მაუწყებელია, რომ თანხმობაზე უარია ნათქვამი.

მუხლი 112. ხელშეკრულებაზე უარის უფლება

ხელშეკრულების დასადავად თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვას წარმომადგენლის მიმართაც.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე გარიგების დადებისას კონტრაქტის მდგომარეობა მეტად არასტაბილურია. ამიტომაცაა, რომ მეორე მხარეს აქვს გარიგების არამართო მოწონების მოთხოვნის უფლება, არამედ მისი გაბათილების უფლებაც. სწორედ ამ მუხლის ძალითაა, რომ მეორე მხარეს შეუძლია უკან გამოითხოვოს წარმოდგენილი პირის მიმართ თანხმობის მისაღებად წაყენებული მოთხოვნა და ასე დამოუკიდებლად აქციოს არაუფლებამოსილ პირთან დადებული გარიგება ბათილად. ამისი წინაპირობაა ის, რომ ხელშეკრულებაზე თანხმობა ჯერ უნდა იყოს მიცემული. თუ წარმოდგენილმა პირმა იგი უკვე მოიწონა, ხელშეკრულება ნამდვილი იქნება და მასზე გავლენას აღარ მოახდენს მოთხოვნის უკან გამოსათხოვად დაგვიანებით მიცემული წინადადება. უკან გამოითხოვის უფლება ქარწყლდება, თუკი მეორე მხარემ ხელშეკრულების დადების დროს იცოდა უფლებამოსილის ნაკლის შესახებ. ამის მტკიცების ტვირთი მოპირდაპირე მხარეზეა. ამ

შემთხვევაში, მეორე მხარის ინტერესება დაცვას მოკლებულა, ვინაიდან მან იცოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ და მაინც დადო ხელშეკრულება.

ხელშეკრულების დადებაზე უარი მეორე მხარეს შეუძლია გამოთქვას წარმომადგენლის მიმართაც. უკან გამოთხოვოს წინადადება, ყველა შემთხვევაში, ცალმხრივი გარიგებაა და ფორმით თავისუფალია.

მუხლი 113. წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას

1. თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმომადგენელი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს.

2. თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას.

3. წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

1. წარმომადგენელი, რომელიც ვერ დაადასტურებს თავის წარ-

მომადგენლობით უფლებამოსილებას, მეორე მხარის წინაშე მოუ-
ალგა შეასრულოს ვალდებულება, ანდა ანაზღაუროს ზიანი. 113-ე
მუხლის პირველი პუნქტი ეფუძნება კანონისმიერ საგარანტიო პა-
სუხისმგებლობას შემდეგი პრინციპით: ვინც იჩემებს წარმომადგენ-
ლობით ძალაუფლებას, მან ამისათვის პასუხიც უნდა აგოს. წარმო-
მადგენლის სრული პასუხისმგებლობა კანონისმიერი წესია, აქედან
დაშვებულია ორი გამონაკლისი: 112-ე მუხლის მეორე პუნქტით
გათვალისწინებული შეზღუდული პასუხისმგებლობა ნდობასთან
დაკავშირებული ზიანისათვის და პასუხისმგებლობის გამორიცხვა
113-ე მუხლის შესაბამე პუნქტის მიხედვით.

თუკი მეორე მხარემ შეასრულა ვალდებულება, მაშინ მას შეუ-
ძლია წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვოს შესრულების უკან
დაბრუნება უსაფუძვლოდ ვამდიდრების წესების შესაბამისად (976-
ე მუხლის პირველი ნაწილი), ვინაიდანაც ხელშეკრულება წარმოდ-
გენილი პირის მხრიდან მის მოწონებამდე ბათილია.

113-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხ-
ვევაში, კრედიტორს აქვს არჩევანის უფლება ვალდებულების შეს-
რულებასა და მისი შეუსრულებლობისას ზიანის ანაზღაურებას
შორის. ასე მაგალითად, თუკი წარმომადგენელმა 1000 ლარად
იყიდა ავტომობილი, მეორე მხარეს შეუძლია ან შესრულებით დაკ-
მაყოფილდეს და მოითხოვოს აღნიშნული თანხის გადახდა, ანდა
მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია იმით, რომ
სხვა პირს შეიძლება მიჰყიდოს იგივე ავტომობილი მხოლოდ 900
ლარად. ანაზღაურდება 100 ლარი. როცა მეორე მხარე მოითხოვს
შესრულებას, მაშინ წარმომადგენელი ვერ იქნება ხელშეკრულების
პარტნიორი, ვინაიდან მისი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს არა
ხელშეკრულებიდან, არამედ კანონიდან. ამავე მიზეზის გამო, მას
არც პრეტენზიის უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების მი-
მართ. ეს კანონისმიერი კონსტრუქცია ბოლომდე თანამიმდევრულად

არ ტარდება. წარმომადგენელს შესრულების მოთხოვნისაგან თავის დაცვა შეუძლია იქამდე, ვიდრე მეორე მხარე არ განახორციელებს თავის შესრულებას (369-ე მუხლი).

113-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის განსახორციელებლად საჭიროა ორი წინაპირობა: წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების დადება სხვისი სახელით და წარმომადგენელი პირის უარი მის მოწონებაზე. მტკიცების ტვირთი ძვეს მეორე მხარეზე. წარმომადგენლობითი ძალაუფლების არარსებობა არ წარმოადგენს მოთხოვნის წინაპირობას, ვინაიდან 113-ე მუხლის პირველი პუნქტით, წარმომადგენელი ყოველთვის აგებს პასუხს „თუკი თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს“. წარმომადგენლობითი ძალაუფლება გამორიცხავს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას და აფუძნებს მოთხოვნის საპირისპირო შესაგებელს.

2. მოცემული მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, წარმომადგენელი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს „ნდობის ზიანი“. ერთის მხრივ, მოცემული ნორმით გათვალისწინებულია კანონისმიერი პასუხისმგებლობა, ნდობის ზიანისათვის, მეორეს მხრივ კი, საგარანტიო პასუხისმგებლობა, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტითაა გათვალისწინებული, შეზღუდულია. მართალია, ამ შეზღუდვის შესახებ პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ იგი გამომდინარეობს „ნდობის ზიანის“, იგივე „უარყოფითი ინტერესის“ არსიდან. „ნდობის ზიანი“ სწორედ ის ზიანია, რომელსაც უფლებამოსილი პირი განიცდის იმით, რომ იგი ენდობა ნების გამოვლენის სინამდვილეს და რასაც არ განიცდიდა, თავიდანვე რომ სცოდნოდა გარიგების ბათილობის შესახებ. „ნდობის ზიანის“ ანაზღაურება არ უნდა აჭარბებდეს იმ ინტერესის ანაზღაურებას, რომელიც ექნებოდა დაზარალებულს გარიგების შესრულების შემთხვევაში.

3. 113-ე მუხლის მიხედვით, მეორე მხარე მოკლებულია მოთხო-

ოვნის უფლებას, როდესაც გარიგების ნამდვილობაზე მისი ნდობა დაცვას მოკლებულია.

თუკი მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო, ან უნდა სცოდნოდა მას, რომ წარმომადგენელი მოკლებული იყო წარმომადგენლობით ძალაუფლებას, მაშინ ის არც უნდა ნდობოდა ხელშეკრულების ნამდვილობას და ცხადია, დაცვის უფლებასაც მოკლებული იქნება. მეორე მხარის ასეთი მდგომარეობა აქარწყლებს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას.

როდესაც წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანია, იგი მაშინაც არ აგებს პასუხს და ამდენად, დაცულია მეორე მხარისაგან. არსებობს ამ გამონაკლისის საპირისპირო წესიც: შეზღუდულად ქმედუნარიანი წარმომადგენელი პასუხს აგებს, თუკი მას მიღებული ჰქონდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

წარმომადგენელმა უნდა ამტკიცოს, რომ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ არ არსებობდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

მუხლი 114. საკუთარ თავთან პარიტეტის დადების დაუშვებლობა

თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც შესაძებ პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

ამ მუხლის მიხედვით, წარმომადგენელს არა აქვს უფლება გარიგების ორივე მხარეს განასახიერებდეს. მას არ შეუძლია „წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახ-

კლით, ან როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა დადოს გარიგება“. საკუთარ თავთან გარიგების დადების შემთხვევაში, იგი მოკლებულია წარმომადგენლობით ძალაუფლებას. ესაა კანონით განსაზღვრული წესი, რომელსაც აქვს ორი გამონაკლისი: ერთი, როცა საკუთარ თავთან გარიგების დადება მას ნებადართული აქვს და მეორეც, როცა იგი ამით ასრულებს მხოლოდ ვალდებულებას. ასე მაგალითად, მშობელი საკუთრებაში გადასცემს თავის არასრულწლოვან შვილს მიწის ნაკვეთს და ამით ასრულებს ვალდებულებას, რაც საჩუქრის შეპირებიდან გამომდინარეობს.

ძოცემული მუხლით გათვალისწინებულია ორი შემთხვევა: „თვითკონტრაპირებისა“ და „წარმომადგენლობათა სიმრავლისა“. პირველ შემთხვევაში, წარმომადგენელი გარიგებას დებს, როგორც თავისი, ისე სხვისი სახელით. ასე მაგალითად, წარმომადგენელი ყიდულობს წარმოდგენილი პირისაგან მიწის ნაკვეთს. მყიდველის ნების გამოვლენას იგი თავისი სახელით გამოხატავს, გამყიდველისას კი – გამყიდველის სახელით; მეორე შემთხვევაში, წარმომადგენელი წარმომადგენლობს ურთიერთობის როგორც ერთ, ისე მეორე მონაწილეს. ასე მაგალითად, წარმომადგენელი ყიდულობს ა-სთვის ბ-საგან მიწის ნაკვეთს. მყიდველის ნების გამოვლენას იგი გამოხატავს ა-ს სახელით, ხოლო, გამყიდველისას კი – ბ-ს სახელით. კანონი ორივე შემთხვევაში ზღუდავს წარმომადგენლობით ძალაუფლებას, ვინაიდანაც მოსალოდნელია ინტერესთა კონფლიქტი.

თავისთავთან დადებული გარიგება უცილოდ ბათილი კი არა, არამედ მხოლოდ მერყევად ბათილია. 114-ე მუხლი კანონისმიერი აკრძალვა კი არაა, არამედ მხოლოდ წარმომადგენლობით ძალაუფლებას ზღუდავს იგი. ეს კი განპირობებულია წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვით. ამასთან, მისი მხრიდან მოწონების შემთხვევაში, გარიგება თავიდანვე ნამდვილად ჩაითვლება. მოწონებამდე

კი, გარიგება მერყევად ბათილია. მოწონებაზე უარი მას საბოლოოდ არარად აქცევს.

114-ე მუხლი გამოიყენება ყველა გარიგების მიმართ, მათ შორის, სამეწარმეო საზოგადოებათა გარიგებების მიმართაც. ეს მუხლი ეხება ასევე ყველა წარმომადგენელს, მათ შორის, იურიდიული პირის ორგანოს წარმომადგენელსაც.

114-ე მუხლის მიხედვით, წარმომადგენელი ზოგჯერ გარიგების ორივე მხარეზეა. ეს მხოლოდ ხელშეკრულებისა და ისეთი ნების გამოვლენის დროსაა შესაძლებელი, რომელიც საჭიროებს მიღებას.

პარი მესამე

უფლების განხორციელება

მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართლოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას.

კეთილსინდისირება, მართლზომიერება აუცილებლად უნდა იქნას დაცული პირის მიერ უფლებათა განხორციელებისას. კანონი მოითხოვს, რომ თავისი უფლებები ბოროტად არ უნდა გამოიყენოს პირმა. ეს მისი ზნეობრივი მოვალეობაცაა. უფლების ბოროტად გამოყენებას უთანაბრდება ის მდგომარეობა, როცა პირი უფლებას აყენებს მართლოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას. როცა მისი მოქმედება სხვისი გამწარების, გაღიზიანების მიზანს ისახავს და არა უფლების განხორციელებისათვის აუცილებლობით ნაკარნახევ ინტერესის დაცვას. ამ დროს ზიანი შეიძლება ქონებრივი ზიანის სახითაც დადგეს და მორალური ზიანის სახითაც.

მუხლი 116. აუცილებელი მოვალეობის წარმართვაში მიყენებული ზიანი

1. აუცილებელი მოვალეობის ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.

2. აუცილებელ მოვალეობად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

1. პირთა აქტიურობას გამოვლენის მიზნით საზოგადოებრივად სამიში ხელყოფის დროს გათვალისწინებულია აუცილებელი მოგერიების უფლება. ამ დროს პირის მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება, თუ აღვილი არა აქვს აუცილებელი მოგერიების საზღვრების გადაცილებას.

2. აუცილებელი მოგერიება მართო საკუთარ თავზე დამდგარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი არ არის გამიზნული, არამედ გულისხმობს სხვების, მათ შორის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, თუმცა, საფრთხე რეალურად უნდა არსებობდეს და თავდამცველის მოქმედება ადეკვატურად უნდა გამოხატავდეს მისი მოქმედების გარდუვალობას. აუცილებელი მოგერიება არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას გულისხმობს თავდასხმისაგან, რომელიც სახეზეა - დაიწყო და ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მთლიანად, საფრთხე კვლავაც ძალაშია.

მუხლი 117. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი

1. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა (უკიდურესი აუცილებლობა).

2. იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.

1. უკიდურესი აუცილებლობა ესაა საზოგადოებრივი, თუ პირადი ინტერესებისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებუ-

ლი ზიანი, რომელიც არ შეიძლება სხვა საშუალებით აცდენილიყო და მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია. უკიდურესი აუცილებლობის დროს საქმე გვაქვს მართლზომიერი ინტერესების კოლიზიასთან, რამდენადაც პირს განსაკუთრებული გარემოებების გამო შეუძლია შეიჭრას მესამე პირთა სიკეთეში. ამგვარი შეჭრა მართლზომიერი ქმედებაა თუ გადარჩენილი სიკეთე მეტია, ვიდრე მოსალოდნელი საფრთხე. უკიდურესი აუცილებლობა ეს ისეთი იძულებითი მდგომარეობაა, როცა პირს შეუძლია იმოქმედოს სხვის ნივთზე იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცდენად.

2. უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებული ზიანი მართლზომიერია, მაგრამ ზიანის მიმყენებელი ვალდებულია ანაზღაუროს იგი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მესამე პირსაც, რომლის ინტერესებისათვის იქნა იგი მიყენებული, ამასთან. სასამართლოს შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ქმედობის მართლზომიერების გამო მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.

მუხლი 118. თვითდაზმარება

თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდაზმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც. შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთავს ვალდებულ პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

საკუთარი ძალებით კერძო სამართლის მოთხოვნის უზრუნველყოფა ან დაკმაყოფილება არის თვითდახმარება, ეს არის გზა მოქალაქეთა მხრივ აქტიურობის გამოჩენისა, როცა არ არის სხვა საშუალება თავის დროზე მიიღოს პირმა სახელმწიფო ორგანოს, სასამართლოს, პოლიციის და ა.შ. დახმარება. თვითდახმარება დასაშვებია იმ დროს, როცა იგი ერთადერთი აუცილებელი გზაა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თვითდახმარება დროებითი ღონისძიებაა წინასწარი მოთხოვნის განხორციელების გზაზე. სხვანაირად არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება ანდა არსებითად გართულება მისი განხორციელება. ამ დროს პირს ეძლევა უფლება წაართვას, გაანადგუროს ან დააზიანოს ნივთი. ასევე, მას შეუძლია შეიპყროს ვალდებულები პირი, რომელიც შეიძლება მიიმალოს.

მუხლი 119. თვითდახმარების ფარგლები

1. თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.
2. ნივთის წართმევის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ გაკეთდეს განცხადება ნივთზე ყადაღის დადების შესახებ.
3. ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს.

1. დიდად საფრთხილოა თვითდახმარების ფარგლების ზუსტად დადგენა. ის აუცილებლობით ნაკარნახები ღონისძიებაა და არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რაც გარდუვალია საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რათა მან არ გამოიწვიოს თვითნებური მოქმედებების განხორციელება პიროვნების მხრივ სახელმწიფო იძულების ორგანოების ნაცვლად.

2. ნივთის წართმევის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ განხორციელდეს ნივთზე ყადაღის დადება. თუ ეს დროულად არ მოხდებ-

ბა ანდა ყაღალის დადებაზე უარი ეთქმება, მაშინ უნდა პოიხსნას ყაღალა.

3. ვალდებული პირის შეპყრობა მისი გაქცევის ეჭვის დროს უნდა მოხდეს. ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში. ავი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოს, თუ თხოვნა დაპატიმრებაზე უარყოფილ იქნება. ვალდებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 120. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

პირი, რომელიც 118-ე მუხლში გათვალისწინებულ მოქმედებას განახორციელებს იმ მცდარი ვარაუდით, თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.

თვითდაზმარების მცდარად განხორციელების დროს, როცა ხახეზე არ იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, პირისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს, სულერთია ზიანის თუნდაც გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად იყოს მიყენებული.

ბარი მეოთხე

ვადები

თავი პირველი

ვადების გამოთვლა

მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო.

კანონში, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები.

ვადაში ივულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას. თავისი ბუნებით ვადა იურიდიული ფაქტია, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ერთ შემთხვევაში ვადებთან დაკავშირებულია უფლებების წარმოშობა, მეორე შემთხვევაში უფლების განხორციელება, მესამე შემთხვევაში დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობის შეწყვეტა და ა. შ.

სამოქალაქო-სამართლებრივი ვადები სხვადასხვა სახის არიან. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძვლებით ხდება. დანიშნულების მიხედვით შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ:

1. სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადები. ეს ის ვადებია, რომელთა დადგომა ან გასვლა იწვევს სამოქალაქო უფლების წარმოშობას. მაგალითად, დადგენილია, რომ დაკარგული ნივთის მპოვნელმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ ნივთის დაპყროვას, მესაკუთრეს, უფლებამოსილ პირს, ან, თუ მათი ვინაობა

უცნობია, - პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს, და გადასცეს ეს ნივთი. განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე (სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლი). მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ვადის გასვლა იწვევს საკუთრების უფლების წარმოშობას ნივთზე.

2. სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები. ეს ის ვადებია, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია თვითონ განახორციელოს თავისი უფლება ან თავისი უფლების განხორციელებისათვის მოითხოვოს ვალდებული პირისაგან განსაზღვრული მოქმედების შესრულება.

სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადებში თავის მხრივ შედიან:

სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები, ე. წ. აღმკვეთი ვადები. ეს ვადები განსაზღვრავენ უფლების მოქმედების ფარგლებს დროში და, ცხადია, უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, დადგენილია, რომ საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ ორმოცდაათი წლის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 1062-ე მუხლი).

საგარანტიო ვადები. საგარანტიო ვადის განმავლობაში მოვალე კისრულობს ნაკეთობის შეუფერხებელ გამოყენებას და გამოვლენილი ნაკლის თავის ხარჯით გამოსწორებას ან ნაკეთობის შეცვლას. სამოქალაქო კოდექსის 496-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

საპრეტენზიო ვადები. საპრეტენზიო ვადის განმავლობაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს (ზოგჯერ ვალდებულიცაა) მიმართოს უშუალოდ ვალდებულ პირს სასამართლოსათვის მიმართვაბდე. მაგალითად, ტვირთის გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და

დაზიანების შემთხვევაში ტვირთის მიძღვება გადამზიდველს პრეტენზია უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს შვიდი დღისა ტვირთის ჩაბარებიდან (სამოქალაქო კოდექსის 698-ე მუხლი).

3. ვალდებულების შესრულების ვადები. ვალდებულების შესრულების ვადის განმავლობაში პირმა უნდა შეასრულოს დაკისრებული მოქმედება. ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა ამავე დროს მეორე მხარისათვის არის უფლების განხორციელების ვადის დასაწყისი. ვალდებულების შესრულების ვადები მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება და პეკრ შემთხვევაში ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების საერთო და კერძო (შუალედურ) ვადებს საერთო ვადა წარმოადგენს ვალდებულების ძალიანად შესრულების, ხოლო კერძო კი გარკვეული ნაწილის შესრულების ვადას. სამოქალაქო კოდექსის 553-ე მუხლით დადგენილია, რომ ქირა გადახდილი უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დაბოვებისას, თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილი უნდა იქნეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ. მოცემული ხორმა ითვალისწინებს როგორც საერთო, ისე კერძო ვადების დადგენის შესაძლებლობას.

4. უფლების დაცვის ვადები (ხანდაზმულობის ვადები). იხ. მუხლი 128.

ვადები შეიძლება განსაზღვრონ: ა. ზუსტად განსაზღვრული მომენტით (კალენდარული თარიღით). მაგალითად, როცა ზუსტადაა განსაზღვრული შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების მიცემის კონკრეტული თარიღი ან თითოეული თვის კონკრეტული რიცხვი (ვთქვით, პინის ქირის გადახდისათვის დადგენილია ყოველი თვის 30 რიცხვი).

ბ. განსაზღვრული პერიოდის სახით (მაგალითად, წლებით, კვარტლებით, თვეებით და ა. შ.) ვადების პერიოდებით განსაზღვრისას აუცილებელია მისი დენის დასაწყისი მომენტის დადგენა. თუ

ნივთი ქირავდება სამი წლის ძათითებული უნდა იქნეს, თუ როდღან იწყება ამ სამი წლის გამოთვლა.

გ. მოვლენაზე მითითებით. ვადის მოვლენით განსაზღვრა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მოვლენა აუცილებლად უნდა დადგეს, მაგრამ არ არის ცნობილი მისი დადგომის ზუსტი თარიღი (მაგალითად, სარჩენის გარდაცვალება სამისდღემშიო რჩენისას).

განასხვავებენ ვადებს, რომლებსაც ადგენენ:

1. კანონი. მაგალითად, კანონით (სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლი). დადგენილია, რომ პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი შემთხვევისათვის კანონი ზუსტად ადგენს ვადას, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ურთიერთობის მონაწილეთა მიერ. მაგალითად, დადგენილია, რომ თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლი). ზოგჯერ კი კანონი ადგენს ვადების მაქსიმუმს, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაადგინონ სხვა ვადები. მაგალითად, დადგენილია, რომ როცა გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გაყიდული ნივთის გამოსყიდვის უფლება, გამოსყიდვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს. (სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლი). მაშასადამე, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ გამოსყიდვის ყოველ ვადაზე, მაგრამ ხუთი წლის ფარგლებში. შესაძლებელია კანონი ითვალისწინებდეს ასევე ვადებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როცა ურთიერთობის მონაწილეებს ის სხვაანაირად არ დაუდგენიათ. კანონი შეიძლება ადგენდეს სხვა სახის ვადებსაც.

2. სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება

დადგინდეს განსაზღვრული მოქმედების ვადა. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის გამოქვეყნება განსაზღვრულ დროში.

3. გარიგება. ვადის დადგენა შეიძლება მოხდეს ურთიერთობის მონაწილეთა შეთანხმებით ან ცალმხრივი ნების გამოძღვავენებით. მაგალითად, თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 331-ე მუხლი).

მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

როცა ვადის დასაწყისად აღებულია რომელიმე მოვლენა, იგულისხმება, რომ ეს მოვლენა აუცილებლად დადგება, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებმა არ იციან მისი დადგომის ზუსტი თარიღი. მაგალითად, ასეთ შემთხვევასთან გვექნება საქმე, თუ საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულებაში ვადის დასაწყისად აღებულია უღელტეხილზე მოძრაობის გახსნის დღე. როცა ვადის დასაწყისად რომელიმე მოვლენაა აღებული, ვადას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დადგება ეს მოვლენა, ე. ი. ვადა მომდევნო დღიდან დაიწყება. ასეთივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ვადის დასაწყისად აღებულია დღის რომელიმე დრო (დილა შუადღე, 12 საათი და ა. შ.). მაგალითად, თუ ვადის დასაწყისად აღებულია 15 სექტემბრის 12 საათი, მაშინ 15 სექტემბერი მხედველობაში არ მიიღება და ვადა გამოითვლება 16 სექტემბრიდან.

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტლით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

როდესაც რაიმე მოქმედების შესასრულებლად დღეებით განსაზღვრული ვადაა დადგენილი, მაშინ ეს მოქმედება უნდა შესრულდეს ბოლო დღის 24 საათამდე. მაგალითად, თუ მოქმედების შესრულების ვადა ხუთი დღისაა განსაზღვრული და ეს ვადა დაიწყო 6 მაისს, მაშინ იგი დამთავრდება 11 მაისს 24 საათზე. როცა მოქმედება ორგანიზაციაში უნდა შესრულდეს, მაშინ ვადა ვადის იმ საათს, როდესაც დადგენილი წესის მიხედვით ამ ორგანიზაციაში ოპერაციების წარმოება მთავრდება. მაგალითად, თუ მოქმედება გულისხმობს საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარებას და ბანკი მუშაობას წყვეტს 17 საათზე, მაშინ ვადა გავა შესაბამისი დღის 17 საათზე.

იმ შემთხვევაში, როცა ვადის დასაწყისად აღებულია რომელიმე მოვლენა ან დღის რომელიმე დრო, მაშინ კვირებით, თვეებით, ან რამდენიმე თვის შემცველი დროით (წელი, ნახევარი წელი, კვარტალი) განსაზღვრული ვადა მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება იმ დღეს, რომელ-

მიც დეება მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო. მაგალითად, თუ ვადა განსაზღვრულია მოვლენის დადგომიდან ექვსი თვით, ხოლო მოვლენა კი დადგა 15 მარტს, მაშინ ვადის გამოთვლა დაიწყება 16 მარტს და დამთავრდება 16 სექტემბერს, ან კიდევ თუ მოქმედების ვადა ხუთი დღითაა განსაზღვრული და ეს დრო დაიწყოს 6 მაისს, მაშინ დამთავრდება 11 მაისს 24 საათზე.

თუ თვეების მიხედვით განსაზღვრული ვადის გასვლა პოდის ისეთ თვეზე, რომელშიც არ არის შესაბამისი რიცხვი, მაშინ ვადა გავა ამ თვის ბოლო დღეს. მაგალითად, თუ მხარეთა მიერ შეთანხმებული ორთვიანი ვადა დაიწყოს 1 იანვარს, მაშინ ეს ვადა გავა 28 ან 29 თებერვალს.

თვეების მიხედვით განსაზღვრული ვადის გასვლის საკითხთან დაკავშირებით ის გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ შესაძლებელია რაიმე მოქმედების შესრულება ამა თუ იმ თვეში რიცხვის მიუთითებლად. მაგალითად, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ შესრულება უნდა მოხდეს აგვისტოს თვეში. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ დათქმული მოქმედების შესრულება უნდა მოხდეს აგვისტოს თვის პოლომდე.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი - სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე - თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი ან ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

ნახევარი წელი (ექვსთვიანი ვადა) შეიძლება აითვალოს წლის ყოველი დროიდან. მაგალითად, თუ შესრულების ვადა ნახევარი

წლითაა განსაზღვრული და ეს ვადა 1 დეკემბრიდან დაიწყო, მაშინ იგი გავა მოძღვენო წლის მაისის თვის ბოლო დღეს. ნახევარი წლით განსაზღვრული ვადისაგან განსახვავებით კვარტალი (სამთვიანი ვადა) წლის ყოველი დროიდან კი არ აითვლება, არამედ წლის დასაწყისიდან. პირველი კვარტალი იწყება 1 იანვრიდან, მეორე 1 აპრილიდან და ა. შ. მაგალითად, თუ შესრულების ვადად განსაზღვრულია მესამე კვარტლის დასასრული, მაშინ ვადა გავა სექტემბრის თვის ბოლოს.

ნახევარი თვით განსაზღვრული ვადა განიხილება, როგორც დღეებით გამოსათვლელი ვადა და ითვლება 15 დღედ შესაბამისი თვის დღეების რაოდენობის მიუხედავად (თუნდაც შესაბამისი თვე 28, 29 ან 31 დღისაგან შედგებოდეს). ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ნახევარი თვე ვადას შეადგენს ერთ ან რამდენიმე თვესთან ერთად. მაგალითად, თუ ვადა განსაზღვრული იყო ერთთვენახევრით, ორთთვენახევრით და ა. შ. ვადა შეადგენს შესაბამის თვეს (თვეებს) და 15 დღეს.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ვადა შეიძლება გაგრძელდეს. ეს შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით, კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემით და სხვა. გაგრძელებული ვადა ძირითად ვადასთან ერთად კი არ გამოითვლება, არამედ ცალკე და მისი ათვლა მოხდება ძირითადი (გასული) ვადის დამთავრებიდან. მაგალითად, თუ შესრულების ვადად დათქმული იყო ამა თუ იმ წლის 1 მაისი და ვადა გაგრძელდა ორი თვით, მაშინ ეს ორი თვე გამოითვლება 1 მაისიდან.

მუხლი 126. ვალის გაერთიანება თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე. შუა თვედ – თვის მეოთხედი დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

ეს მუხლი ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა შესრულების დრო თვეებით ან წლებით არის განსაზღვრული, მაგრამ ისე, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა. მაგალითად, შესრულების ვადა შეიძლება განსაზღვრული იქნეს სამი თვით, მაგრამ არა ერთმანეთის მომდევნო თვეებით. ეს თვეები შეიძლება იყოს მაისი, აგვისტო და დეკემბერი ან სხვა სამი თვე და არა მაისი, ივნისი და ივლისი. ასეთ შემთხვევაში, ოვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო თუ დრო განსაზღვრულია წლების მიხედვით, მაშინ წელი გამოითვლება სამას სამოცდახუთი დღით.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები

თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

გამოსასვლელი დღეები შეიძლება იყოს საერთო – შაბათი და კვირა (ხუთდღიანი სამუშაო კვირისას, ან მხოლოდ კვირა (ექვსდღიანი სამუშაო კვირისას) ან სამუშაოს სპეციფიკიდან გამომ-

დინარე ცალკეულ ორგანიზაციებისათვის დადგენილი სხვა დღეები (მაგალითად, ამ თუ იმ ორგანიზაციაში გამოსასვლელი დღე შეიძლება იყოს ორშაბათი ან კვირის სხვა დღე).

სადღესასწაულო დღეებია – 1 იანვარი, 7 იანვარი და ა. შ.

არასამუშაო დღეს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ვადის დამთავრებისათვის. თუ მოქმედების შესასრულებლად განსაზღვრული დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ვადის დამთავრების დროდ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე. მაგალითად, თუ შესრულების ვადის ბოლო დღე არის 31 აგვისტო, მაგრამ ეს რიცხვი კვირა დღეს დაემთხვა, მაშინ ვადა დამთავრდება მომდევნო სამუშაო დღეს – 1 სექტემბერს (ორშაბათს).

გარდა გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეებისა შეიძლება იყოს სხვა არასამუშაო დღეებიც. მაგალითად, როცა მალაზია დაკეტილია სანიტარული დამუშავების გამო. მალაზიისათვის ასეთი დღეები სამუშაოა, მაგრამ არასამუშაოა მყიდველისათვის. ამიტომ, თუ მალაზიაში შექმნილი საქონლის საგარანტიო ვადა ვადის ასეთ დღეს, მაშინ ის დამთავრდება მალაზიის პირველ ნორმალურ სამუშაო დღეს.

სადღესასწაულო და გამოსასვლელი დღეების დამთხვევისას არასამუშაო დღეების რაოდენობა იზრდება. მაგალითად, თუ 1 იანვარი დაემთხვა კვირა დღეს, მაშინ პირველი სამუშაო დღე იქნება 3 იანვარი.

თავი მორე ხანდაზმულობა

მუხლი 128. ცნობა. სახმობო

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

ა. პირად არაქონებრივ უფლებაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ. შენაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

სიტყვა „ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობის ვადის დადგენა იმითაა გამოწვეული, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება სადაო ვარებობების უტყუარად აღდგენა და პირები, რომლებსაც უსაფუძვლოდ წაეყენათ მოთხოვნა აღარ ფლობენ თავის დასაცავად აუცილებელ მტკიცებულებებს. ამავდროულს, ხანდაზმულობის ვადის არსებობა აიძულებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს დროულად იზრუნონ თავიანთი უფლებების განხორციელებისა და დაცვისათვის.

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების

იძულებით განხორციელება ან დაცვა. უმეტეს შემთხვევაში, დარღვეული უფლების განხორციელების და დაცვის მიზნით სარჩელით მიმართავენ სასამართლოს, თუმცა ნორმატიული აქტებით ვათვალისწინებულ შემთხვევაში დარღვეული უფლების განხორციელება და აღდგენა შეიძლება სხვა ორგანოს მიერაც. ამდენად, უფლების დაცვა შეიძლება განხორციელდეს როგორც სასარჩელო, ისე არასასარჩელო გზით და ამიტომ ხანდაზმულობის ცნება მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობას კი არ მოიცავს, არამედ ასევე ვადებს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს უფლების არასასარჩელო დაცვა.

ხანდაზმულობის ვადის გასვლით იფარება (ისპობა) სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის. პირს ყოველთვის შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა, მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

კანონი არ უშვებს ხანდაზმულობის ვადის გავრცელებას ისეთ მოთხოვნებზე, რომლებიც პირად არაქონებრივი უფლებების დარღვევიდან გამომდინარეობენ. ესენია მოთხოვნები პატივისა და ღირსების, სახელის, ავტორის არაქონებრივ უფლებათა და სხვა პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვის შესახებ. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება სპეციალურად იქნეს ვათვალისწინებული კანონის მიერ.

ის გარეშობა, რომ ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება

შეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო, გამოწვეულია ამ ურთიერთობათა ხანგრძლივი ხასიათის გამო.

კანონი ხანდაზმულობის საერთო ვადას განსაზღვრავს ათი წლით.

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

საერთო ვადის გარდა, რომელიც ათ წელს შეადგენს, კანონი ზოგიერთი მოთხოვნებისათვის ადგენს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ საერთო ვადაზე ნაკლები ან მეტი. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი. მაგალითად, თუ სესხის ხელშეკრულების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო ერთი წლით, ამ ერთი წლის გასვლის შემდეგ დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა და გაგრძელდება სამი წელი. უფრო ხანგრძლივი ვადა – ექვსი წელია დადგენილი უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის. მაგალითად, თუ მოთხოვნა გამოძინარეობს სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, ხანდაზმულობის ვადა იქნება ექვსი წელი.

ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ვალდებულების შესრულებას არა ერთდროულად, არამედ განსაზღვრული პერიოდების მიხედვით. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მყიდველისათვის საქონლის მიწოდებას ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრული პერიოდებით, მაგალითად, ყოველკვარტალურად. ასეთ შემთხვევაში, თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია.

კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა სპეციალური ვადებიც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლით დადგენილია, რომ ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან.

მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. როცა, მაგალითად, განსაზღვრულია, რომ ხანდაზმულობის ვადა ათი წელია, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რა დროიდან უნდა დაიწყოს ამ ათი წლის ათვლა.

ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლების წარმოშობამდე არ შეიძლება დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა.

ამიტომ, უპირველესად, აუცილებელია მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტის დადგენა.

ზოგიერთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი უშუალოდ კანონითაა განსაზღვრული. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლით დადგენილია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთი მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან შესამოცუ დღეს.

თუ კანონში ასეთი პირდაპირი მითითება არ არის, მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ. ამასთან ივარაუდება, რომ ობიექტური მომენტი (თვით უფლების დარღვევის ფაქტი) და სუბიექტურა მომენტი (როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ ფაქტის შესახებ) ერთმანეთს ემთხვევიან. თუმცა ყოველივეს ასე არ არის, ეს ორი მომენტი ყოველთვის არ ემთხვევიან ერთმანეთს. ეს მაშინ ხდება, როცა პირი უფრო გვიან იგებს ან შეუძლო გაეგო უფლების დარღვევის შესახებ, ვიდრე დარღვევა მოხდა. თუ დადასტურდება, რომ პირმა გვიან გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ დარღვევის გაგებაში, ბუნებრივია, კერძო უფლების დაცვას მოითხოვს. მაგალითად, ავტომობილის დაჯახების გამო, რამაც არ დატოვა გარეგნული კვალი, დაავადდა ადამიანის რომელიმე ორგანო, რაც განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გამოვლინდა და გახდა ცნობილი.

თუ დადგენილი იქნება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის (გულგრილობის) გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეძლო უფლების დარღვევის შესახებ.

როცა მოთხოვნის წარმოშობის მომენტზე მითითებულია კანონში ან ხელშეკრულებაში, ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ძინაწილისათვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ დროიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა. აქ ის შემთხვევაც იგულისხმება, როცა ხელშეკრულება განსაზღვრული ვადითაა დადებული. მაგალითად, თუ სესხის ხელშეკრულება სამი წლის ვადითაა დადებული, გამსესხებლისათვის ცნობილია, რომ მას მოთხოვნის უფლება წარმოშობა სამი წლის გასვლის შემდეგ და ამ დროიდანვე დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.

ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის და მისი გამოთვლის წესის შეცვლას.

თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული (ან განსაზღვრულია მოთხოვნის მომენტით) უფლების დარღვევის შესახებ პირი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა მოითხოვს შესრულებას, ხოლო მეორე მხარე არ შეასრულებს იმ მოქმედებას, რომლის შესრულებაც ევალებოდა. თუ პირს მიცემული აქვს შელავათიანი ვადა მოთხოვნის შესასრულებლად, მაშინ ხანდაზმულობის ვადა გამოითვლება ამ ვადის გასვლიდან.

როცა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, ხანდაზმულობის ვადის დენა არ დაიწყება მანამდე. სანამ პირი თავს იკავებს ასეთი მოქმედებისაგან. მხოლოდ მაშინ, როცა პირი დაარღვევს ვალდებულებას, ე. ი. შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომლისვანაც თავი უნდა შეეკავებინა, წარმოიშობა მოთხოვნის უფლება და დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა (მაგალითად, დადგმის ხელშეკრულებით ავტორმა იკისრა, რომ არ გადასცემს თავის პიუსის ხელნაწერს სხვა თეატრს, მაგრამ ეს პირობა დაარღვია და

ხელნაწერი გადასცა სხვა თეატრს, ე. ი. შეასრულა მოქმედება, რომლისგანაც თავის შეკავება ევალებოდა). აღნიშნულ შემთხვევაში, კანონით ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას უკავშირებს მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დარღვევას და არა იმას – იცოდა თუ არა პირმა უფლების დარღვევის შესახებ.

მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა

თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დღიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

ხშირად მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის რაიმე მოქმედებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სანამ ის ამ მოქმედებას არ შეასრულებს, მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით დათქმული იყო, რომ მყიდველი ფასს გადაიხდის მას შემდეგ, რაც გამყიდველი გადასცემს მას ნივთს, გამყიდველს მყიდველისაგან ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება არა აქვს მყიდველისათვის ნივთის გადაცემამდე და ამ დრომდე არც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დაიწყება.

კრედიტორს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მოცემული მოქმედება, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არ დაიწყება. თუ კრედიტორს შეეძლო შეესრულებინა მოქმედება, რომელზედაც დამყარებულია მოთხოვნის უფლების წარმოშობა, მაგრამ არ შეასრულებს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ:

ა. ვალდებულების შესრულება გადავადებულია საქართველოს მთავრობის მიერ (მორატორიუმი);

ბ. სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;

გ. კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა ხანდაზმულობის მოთხოვნის განმავლობაში. მაგრამ ზოგჯერ პირი მოკლებულია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. იმის გამო, რომ პირს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა არა აქვს, ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს იმ გარემოებების არსებობისას, რომლებზედაც მოყვანილ მუხლშია მითითებული.

მორატორიუმი არის სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით განსაკუთრებული გარემოებების გამო ვალდებულების შესრულების გადავადება (განსაკუთრებული გარემოება შეიძლება იყოს საომარი მდგომარეობა და სხვა). მორატორიუმი შეიძლება გავრცელდეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ვალდებულებათა ცალკეულ სახეებზე, პირთა განსაზღვრულ ჯგუფებზე და სხვა.

დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორული მოვლენები) შეიძლება იყოს როგორც სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი და ა. შ.), ისე საზოგადოებრივი მოვლენები (სამოქალაქო ომი, გაფიცვები და სხვა). დაუძლეველი ძალა არღვევს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სასამართლოების და სხვა ორგანოების

ნორმალურ მუშაობას და ამით ხელს უშლის მოთხოვნის თავის დროზე წარდგენას.

დაუძლეველი ძალისათვის უპირველესად დამახასიათებელია, რომ ის საგანგებო, უჩვეულო მოვლენაა. მაგალითად, წყალდიდობა ყოველთვის როდია დაუძლეველი ძალა. ის დაუძლეველი ძალა მაშინაა, როცა უჩვეულოა მოცემული ადგილისათვის. ამიტომ დაუძლეველ ძალად არ ჩაითვლება გაზაფხულზე მდინარის ნაპირებიდან გადმოსვლა, რადგან ასეთი გაზაფხულზე უჩვეულო არ არის და შესაძლებელია წინასწარ ზომების მიღება მოთხოვნის წარსადგენად. გარდა აღნიშნულისა, დაუძლეველი ძალა ისეთი მოვლენაა, რომლის თავიდან აცილება მოცემულ პირობებში ტექნიკური და სხვა საშუალებებით ობიექტურად შეუძლებელია. დაუძლეველი ძალა ხანდაზმულობის ვადის დენას აჩერებს არა მისი შინაგანი დამახასიათებელი თვისებების გამო, არამედ მთელი რიგი პირობებისა და კონკრეტული გარემოებების გამო. ის, რისი თავიდან აცილება ერთ ადგილზე შესაძლებელია, სხვა ადგილზე შეიძლება შეუძლებელი გახდეს, რისი თავიდან აცილება ერთი კონტრაქტისათვის შეუძლებელია, მეორისათვის შეიძლება შესაძლებელი იყოს.

ხანდაზმულობის ვადის დენის მიმდინარეობა შეჩერდება, მიუხედავად იმისა, შეიარაღებულ ძალებში იმყოფება კრედიტორი, თუ მოვალე. კრედიტორს შეუძლია ისარგებლოს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებით, როცა შეიარაღებულ ძალებში იმყოფება თვითონ ან მოვალე. ამასთან, შეიარაღებულ ძალებში ყოფნა ხანდაზმულობის ვადის დენას შეაჩერებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაზე.

ჩამოთვლილის გარდა კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სხვა შემთხვევებსაც. მაგალითად, გადაზიდვის ურთიერთობებთან დაკავშირებით სამოქალაქო

კოდექსის 700-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს.

მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ქორწინების განმავლობაში

სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.

132-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებებისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება არა იმის გამო, რომ პირს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა არა აქვს, არამედ იმ თავისებური ურთიერთობის გამო, რომელიც მყარდება მეუღლეებს, მშობლებსა და შვილებს, მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის.

ქორწინებაში ყოფნა, მეურვეობაში ყოფნა და შვილების არასრულწლოვანება წარმოადგენენ ვადის დენის შემაჩერებელ გარემოებებს. მაგალითად, თუ ერთმა მეუღლემ მეორეს სესხად მისცა ფული ერთი წლის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობა მოთხოვნის უფლება, მაგრამ, თუ მეუღლე ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში (მოცემულ შემთხვევაში სამი წლის განმავლობაში) არ მოითხოვს ვალის დაბრუნებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა გავიდა. მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება და შეჩერება

გრძელდება ქორწინების განმავლობაში. განქორწინების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება.

თუ პირს მეორე პირისაგან მოთხოვნის უფლება ჰქონდა და ამ მოთხოვნის ვადის გასვლამდე ეს პირები დაქორწინდნენ, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება და გაგრძელდება ქორწინების მთელი დროის განმავლობაში. განქორწინების შემთხვევაში ვადის დენა გაგრძელდება, მხედველობაში იქნება ნიღბული დაქორწინებამდე გასული დრო.

შვილებსა და მშობლებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გრძელდება შვილების სრულწლოვანების დადგომამდე, ხოლო მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი დროის მანძილზე.

მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქმედუნარიან პირის მონაწილეობისას

თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანი პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ყავს, ანდა მიმართულია ასეთი პირისადმი, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ისეთ შემთხვევებში, როცა:

ა. მოთხოვნის უფლება აქვს თვით ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის პირს, და

ბ. ქმედუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანი პირისაგან მოთხოვნის უფლება აქვს სხვა პირს.

ორივე შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გრძელდება მანამდე, ვიდრე პირი არ გახდება ქმედუნარიანი ან არ დაენიშნება

წარმოადგენელი (მეურვე ან მზრუნველი). დადგენილია, რომ სასამართლო რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ აღიარების თაობაზე, მოვალეა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს სამი დღისა, აცნობოს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ეს უკანასკნელა კი ნიშნავს მეურვეს. მეურვე უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ცნობილი გახდა მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა (იხ. სამოქალაქო კოდექსის 1280-ე, 1281-ე, 1282-ე მუხლები). მაშასადამე, პირის ქმედუნაროდ აღიარებიდან მეურვის დანიშნამდე განსაზღვრული დრო გადის. ამ დროის განმავლობაში ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება.

მუხლი 135. დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია

დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გამოიხატება იმაში, რომ დრო, როელიც გავიდა იმ გარემოებათა დადგომამდე, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იწვევენ, ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება; ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება, მსუდველობაში არ ძიილება. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გაგრძელდება იმ გარემოების შეწყვეტამდე, რომელიც მისი შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა (მაგალითად, მორატორიუმის გაუქმებამდე). მას შემდეგ, რაც ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება შეწყდება, ხანდაზმულობის ვადა განაგრძობს დენას ხანდაზმულობის

დარჩენილი დროის განმავლობაში. დავუშვათ, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 1995 წლის 10 ივლისს. სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ხანდაზმულობის ვადა გავა 1998 წლის 10 ივნისს. 1997 წლის 10 აინვარს ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდა და, ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1997 წლის 20 ოქტომბრამდე. ხანდაზმულობის ვადის შეჩერებამდე გავიდა ორი წელი და ექვსი თვე. შეჩერების მთელი დროის განმავლობაში (1997 წლის 10 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე) ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია და გაგრძელდება 1997 წლის 20 ოქტომბრიდან მთელი დარჩენილი დროით, ე. ი. ექვსი თვით. მაშასადამე, ხანდაზმულობის ვადა გავა 1998 წლის 20 აპრილს.

მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მრეხობა

1. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძნობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში

2. იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე.

სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებები ყოველთვის როდი იწვევენ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას. ისინი ხანდაზმულობის ვადის დენას შეაჩერებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვნენ ან განაგრძნობენ არსებობას ხან-

დაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში. მაგალითად, როცა ხანდაზმულობის ვადა ურთიერთობისათვის სამი წელია, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს, თუ ერთერთ შემაჩერებელ გარემოებას ადგილი ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებიდან ორი წლისა და ექვსი თვის გასვლის შემდეგ. თუ მოხდა ისე, რომ შემაჩერებელი გარემოება წარმოიშვა ადრე (ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვს თვემდე), მაგრამ განაგრძობს არსებობას ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის ფარგლებშიც, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მისი ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე (მაგალითად, თუ ხანდაზმულობის ვადა სამი წელია და ორი წლისა და სამი თვის გასვლის შემდეგ წარმოიშობა მისი შემაჩერებელი გარემოება, რომელიც ხუთი თვე გაგრძელდა, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება ორი წლისა და ექვსი თვის გასვლის შემდეგ). თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება ხანდაზმულობის მთელი ვადის ყოველ მომენტში. მაგალითად, თუ ხანდაზმულობის ვადა ხუთი თვეა, ის შეიძლება შეჩერდეს, თუნდაც, მისი დაწყებიდან ერთი დღის გასვლის შემდეგ.

იგულისხმება, რომ თუ ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შემაჩერებელი გარემოებები წარმოიშენენ და შეწყდნენ ადრე (ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვს თვემდე), პირს მაინც საკმარისი დრო რჩება მოთხოვნას შემაჩერებელი გარემოების შეწყვეტის შემდეგ, პირს (კრედიტორს) უნდა დარჩეს საკმარისი დრო მოთხოვნის წარხადგენად. ამ მიზნით დადგენილია, რომ იმ გარემოების შეწყვეტის დღიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას, ვადა გაგრძელდება ექვს თვემდე, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია ხანდაზმულობის ვადამდე. აქედან გამომდინარეობს, რომ დრო, რომელიც რჩება ვადის დენის შემაჩერებელი გარემოების შეწყვეტის შემდეგ ყოველთვის

ექვსი თვის, ხოლო ექვს თვეზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის არსებობისას თვით ამ ვადის, ტოლია. მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ვადის მიმდინარეობა შეჩერდა მისი დაწყებიდან ორი წლისა და რვა თვის გასვლის შემდეგ და შეჩერება ვაგრძელდა ერთი თვე, ამ ერთი თვის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენა ვაგრძელდება არა დარჩენილი ოთხი თვით, არამედ ექვსი თვით. თუ ხანდაზმულობის ვადა ხუთი თვეა და იგი შეჩერდა ერთი თვის გასვლის შემდეგ, შემაჩერებელი გარემოების შეწყვეტის შემდეგ იგი კვლავ ხუთი თვე იქნება, ე. ი. იმდენი, რამდენიცაა ხანდაზმულობის ვადა.

მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

შეჩერების გარდა შესაძლებელია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან დაიწყება. კანონი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევს. ერთ-ერთი ასეთი გარემოებაა ვალდებული პირის მიერ მოთხოვნის (ვალის) არსებობის აღიარება. მოთხოვნის არსებობის აღიარება მოვალის ძრავალ ისეთი მოქმედებაში შეიძლება გამოიხატოს, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას. ამ მოქმედებებიდან კანონი ასახელებს ავანსის, პროცენტის და კრედიტორისათვის გარანტიის მიცემას, მაგრამ არ გამოიხატავს მოთხოვნის აღიარებას სხვა ისეთი მოქმედებებითაც, რომლებიც მოწმობენ მოთხოვნის აღიარებას. მაგალითად, როცა მოვალე მიმართავს კრედიტორს შესრულების გადა-

ვადების თხოვნით (უგზავნის წერილს და პირდება ვალდებულების შესრულებას), ან ასრულებს მოთხოვნის ნაწილს და სხვ.

იმისათვის, რომ მოვალის ესა თუ ის მოქმედება გაგებულ იქნეს, როგორც მოთხოვნის არსებობის აღიარება, აუცილებელია, რომ აღიარება მოხდეს კრედიტორას და არა სხვა პირის წინაშე.

მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით

ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ერთერთ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოში სარჩელის შეტანა. უმეტეს შემთხვევაში, როცა პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და მთავრდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკითხი ხანდაზმულობის ვადის შესახებ, საერთოდ იხსნება, მაგრამ ზოგჯერ სარჩელის შეტანით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შეტად მნიშვნელოვანია. მაგალითად იმ შემთხვევაში, როცა: გადაუწყვეტელი რჩება ზოგიერთი მოთხოვნა და საჭიროა ახალი სარჩელის შეტანა; სასარჩელო განცხადება გაგზავნილი იყო ფოსტით, რომელმაც ის დაკარგა და სხვ.

სარჩელის შეტანა ყოველთვის არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას. კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ ვადის დენა წყდება, თუ სარჩელს შეიტანს უფლებამოსილი პირი. (გარემოებაზე, რომელთა არსებობის დროსაც სარჩელის შეტანა არ

გამოიწვევს ვადის დენის შეჩერებას, იხ. მუხლი 140).

სარჩელის წარდგენის გარდა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას გამოიწვევს პირის მიერ მოთხოვნის არსებობის შესახებ განცხადების შეტან. სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოში.

კანონი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად მიიჩნევს უფლებამოსილი პირის მიერ აღმასრულებელი მოქმედების განხორციელებას. აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პირი თვითონ აღასრულე^ა თავის მოთხოვნას. მაგალითად, გამნათხოვრებელი, რომლის ნივთის დაირუნების მოთხოვნა მონათხოვრემ არ შეასრულა, თვითონვე წამოიღებს ნივთს.

მუხლი 139. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხან- პრძლივობა

1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

2. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.

ამ ნორმის პირველი ნაწილი ადგენს დროს, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილია. ეს არის დრო სარჩელის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე. მა-

გალითად, თუ სარჩელი შეტანილი იყო პირველ აგვისტოს, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა თხუთმეტ სექტემბერს, მაშინ პირველი აგვისტოდან თხუთმეტ სექტემბრამდე ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილია.

ამ ნორმის მეორე ნაწილი კი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლოს სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ პროცესი შეწყდა მხარეთა შეთანხმებით ან იმის გამო, რომ პროცესის გაგრძელება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად და დაიწყება თავიდან ახალი ვადა, მაგრამ თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს ამ ახალი ვადის დენა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად ჩაითვლება ერთ-ერთი მხარის მიერ პროცესის გაგრძელებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მუხლი 140. შპრი სარჩელზე

1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

2. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

აღნიშნული ნორმა მიუთითებს ისეთ შემთხვევებზე, როცა სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს და ვადა განაგრძობს დენას საერთო წესით. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ:

ა. მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოიხატოს მოსარჩელის მიერ სარჩელის უკანვე გატანაში ან მოსამზადებელ სხდომაზე უარის თქმაში. სარჩელზე უარის თქმად უნდა ჩაითვალოს ასევე მხარეთა მორიგება.

ბ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედუუნარო პირმა; სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წამოებაზე; სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მოსარჩელე (განმცხადებელი), ხოლო მოსარჩელე სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების თანახმაა; ორივე მხარე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლი).

თუ მოსარჩელე გაასაჩივრებს სარჩელის განუხილველად დატოვებას და საქმის განუხილველად დატოვება არასწორად იქნება მიჩნეული, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება.

მოსარჩელი მიერ სარჩელზე უარის თქმის ან სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია შეიტანოს ახალი სარჩელი (იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას). ცხადია, იგულისხმება სარჩელი, რომელიც ეხება დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე საგნებზე და იმავე საფუძველით. თუ ასეთი სარჩელი შეტანილი იქნება სარჩელზე უარის თქმის ან სარჩელის განუხილველად დატოვებიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანიდან.

*მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა
თავიდან*

თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე გაულილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შერეებისაგან განსხვავებით იმაში იღვწობარეობს, რომ შეწყვეტამდე გასული დრო ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება და შეწყვეტიდან ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდანვე დაიწყება. მაგალითად, თუ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 1995 წლის 1 დეკემბერს, ხოლო 1997 წლის 1 დეკემბერს შეწყდა, მაშინ დრო 1995 წლის 1 დეკემბრიდან 1997 წლის 1 დეკემბრამდე მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან აითვლება 1997 წლის 1 დეკემბრიდან.

*მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებულ
მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა*

1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო (იხ. მუხლი 128) ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს, მაგრამ კანონი ითვალისწინებს უფრო მცირე ვადებსაც. მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს, ხოლო

თუ სახელშეკრულები მოთხოვნა დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მაშინ ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი იქნება, თუნდაც ის სახელშეკრულები მოთხოვნა იყოს და ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხანდაზმულობის ვადა ათი წელზე ნაკლებია.

თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ისეთი მოთხოვნაა დადასტურებული, რომელიც შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ თითოეული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს (პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებიდან წარმოშობილ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების შესახებ (იხ. მუხლი 129).

მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ

თუ ნივთი, რომლის მიმართ არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის ვხით შესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრავე წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.

უფლებამონაცვლეობით პირის მფლობელობაში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ნივთი, რომელზედაც არსებობს სხვა პირის სანივთო მოთხოვნა. მაგალითად, დადგენილია, რომ თუ მოანდერძებ არასწორად დაუტოვა შემკვიდრეს ნივთი, ამ ნივთის შესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს იგი საერთო წესის მიხედვით (იხ. სამოქალაქო კოდექსის 1335-ე მუხლი). სანივთო მოთხოვნა წარმოიშობა ასევე მაშინაც, როცა პირის მფლობელობაში უფლებამონაცვლეობით გადავიდა ისეთი ნივთი, რომელზედაც არსებობს შესამე პირის საგირავნო მოთხოვნა და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის ვადა ჯერ კიდევ წინა მფლობელის დროს წარმოიშვა, ეს ვადა გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც. მაგალითად, თუ ნივთზე უფლების

მფლობელის მოთხოვნის უფლება წარმოიშვა 1996 წლის 15 ნოემბერს, ხოლო 1997 წლის 10 იანვარს ეს ნივთი უფლებამონაცვლეობის გზით სხვა პირის მფლობელობაში გადავიდა, მაშინ ამ პირისაგან ნივთის მოთხოვნის ათწლიანი ვადა დაიწყება 1996 წლის 15 ნოემბრიდან და არა იმ დროიდან, როცა მესამე პირი უფლებამონაცვლეობით მფლობელი გახდა (ჩვენ შემთხვევაში 1997 წლის 10 იანვრიდან).

მუხლი 144. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას

1. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

2. თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

3. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

ხანდაზმულობის ვადის გაშვება უფლებამოსილ პირს ართმევს თავისი უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობას. ამიტომაც, რომ კანონი უფლებას აძლევს მოვალეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე (ვადის გადახდაზე, სამუშაოს შესრულებაზე და ა. შ.)

გამორიცხული არ არის მოვალის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც. თუ მოვალე ვალდებულებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეასრულებს, მაშინ მას აღარ აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების უკანვე დაბრუნება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მოვ-

აღემ ვალდებულების შესრულების მომენტში იცოდა თუ არა იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. მაგალითად, თუ მსესხებელმა დაუბრუნა ვალი გამსესხებელს და ამის შემდეგ შეიტყო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ, მას აღარ შეუძლია მოითხოვოს გადახდილის უკანვე დაბრუნება.

ვალდებული პირის მიერ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალის აღიარების ან კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების მიცემის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან დაიწყება და მოვალეს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს მათზე.

მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა

დამატებითია ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ისე არიან დაკავშირებული ძირითად მოთხოვნასთან, რომ ამ უკანასკნელის ხანდაზმულობის ვადის გასვლა ავტომატურად იწვევს მათი ვადის გასვლასაც. დამატებითს მიეკუთვნებიან მოთხოვნები, რომლებიც კანონის ან შეთანხმების ძალით უზრუნველყოფენ მოთხოვნის შესრულებას და არ არსებობენ ძირითადი მოთხოვნის გარეშე დამოუკიდებლად. ესენია: გირაო, თავდებობა, პირგასამტეხლო და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები. გარდა აღნიშნულისა, დამატებითი შეიძლება იყოს სხვა მოთხოვნებიც, მაგალითად, პროცენტის მოთხოვნის უფლება.

დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის აღნიშნული წესი არ გამოიყენება ვალდებულების შესრულების უზრუნვე-

ლყოფის ისეთ საშუალებაზე, როგორცაა საბანკო გარანტია. ძირითადი მოთხოვნის ვადის ვასკლა გაკლენას არ ახდენს მოთხოვნაზე, რომელიც საბანკო გარანტიაზეა დაფუძნებული (იხ. სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი).

დამატებით მოთხოვნაზე შეაძლება დადგენილი იქნეს სხვა ვადები. თუ ეს ვადები უფრო მეტია ვიდრე ძირითადი მოთხოვნის ვადა, ის მაინც ვასკლად ჩაითვლება ძირითადი ვადის ვასკლასთან ერთად. დამატებით მოთხოვნაზე დადგენილი შემცირებული ვადა კი გაკლენას არ ახდენს ძირითადი მოთხოვნის ვადებზე.

მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით

ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

ხანდაზმულობის ვადების შესახებ ნორმები იმპერატიული ნორმებია. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გამორიცხონ ხანდაზმულობის ვადების მოქმედება ან შეცვალონ ისინი (შეთანხმდნენ უფრო მეტ ან ნაკლებ ვადებზე, ვიდრე სამართლის ნორმებითაა დადგენილი), ან მათი გამოთვლის წესი. თუ მხარეები ხანდაზმულობის სხვა ვადებზე შეთანხმდებიან, ვიდრე კანონითაა გათვალისწინებული, მაინც გამოიყენება კანონით დადგენილი ვადები.

306033638015013016

ტექ. რედაქტორი რ. ჭანტურია
კორექტორი ი. ნავროზაშვილი

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21.5
საბეჭდი ქაღალდი № 1 60X84, $\frac{1}{16}$
ბეჭდვა ოფსეტური
შეკვეთა №10

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“
ვრ. რობაქიძის ქ. №7

67.99(2Γ)0
343.(479.22)
ს 323

სამართვლოს სამოქალაქო კოდექსის

კომენტარი

წიგნი პირველი

სამოქალაქო კოდექსის წიგნადი

დებულებანი

სარედაქციო კოლეგია: ლალო ჭანტურია (მთავარი რედაქტორი)

ზურაბ ასვლედიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

ბესარიონ ზოიძე, სერგო ჯორბენაძე

გამომცემლობა „სამართალი“

2002

AKCVLEDIANI /CHANTURIA/ JORBENADZE/ ZOIDZE
COMMENTARY
TO THE CIVIL CODE OF GEORGIA
Volume 1
General Part of the Civil Code
Samartali Publishers
Tbilisi – 2002
(in Georgian)

AKCVLEDIANI /CHANTURIA/ JORBENADZE/ ZOIDZE
COMMENTAR
ZUM ZIVILGESETZBUCH GEORGIENS
I. Buch
Allgemeine Bestimmungen des Zivilgesetzbuchs
Verlag SamarTali
Tbilisi – 2002
(Georgisch)

КОММЕНТАРИЙ
К ГРАЖДАНСКОМУ КОДЕКСУ ГРУЗИИ
Книга первая
(на грузинском языке)
Общие положения Гражданского кодекса
Редакционная коллегия: З. Ахвледиани, Л. Чантурия
С. Джорбенадзе, Б. Зоидзе
Издательство "Самартали"
Тбилиси – 2002



თსუ

ბიბლიოთეკა



900000759551